კვირის პალიტრა

გზა

N40 (278)

ფასი 60 თ.

1168
2005

რას წინასწარმეტყველებს სახელი და გვარი

გულახდილი ინტერვიუ:

„მე და მიხეილ საკაშვილი ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით... ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ჩემს სახლში წყდებოდა...“

სცენის მილმა: „ბრიჯვით“ რთული ცხოვრება

რეპორტაჟი: „ყვითელი ჭირი“ ანუ „ევროპასთან“ ჩადიან?!

ოჯახი

„უბრალოებაში მეტი სილამაზეა — დანარჩენი „ვარსკვლავური ავადმყოფობის“ შედეგია...“



ხელბურთის გარიგება — იორდანიის და მალის ნაკრებების ქართველი მწვრთნელი

7 ოქტომბრიდან!

ყველანაირი!

№18(21), 7-20 ოქტომბერი 2011

ფასი 80 თეთრი

ალილუია

მართლმადიდებლური ჟურნალი

ნომრის თემა:
ცილისწამება

ცის ქვეშ ვდგავართ
და მისკენ
ვორთქლდებით

„ცოტაც და
ქრისტიანად
მაქცევ!“

ზურაბ ცხოვრებაძე:
მთელ ტაძარში
მხოლოდ
პატრიარქი
და მე
ვიდექით ფეხზე

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ

კვირის პალიტრა
№40 (278)
6 – 12 ოქტომბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ნარჩენების არჩევნები“ ანუ პოლიტიკური იუმორინა-2005 3
ერთი კითხვა 4
რეპორტაჟი
„ყვითელი ჭირი“ ანუ „ევროპასთან“ ჩადიან?!. 6
ეკონომიკა
მომავალი წლიდან საქართველოში ახალი საბაჟო კოდექსი იმოქმედებს 8
სცენის მიღმა
გუკა პაპუაშვილის „ბრიჯივით“ რთული ცხოვრება 10
ფესტივალი
„ჩვენებურები“ – გაფანტული დედამიწვილების ოჯახში დაბრუნება 12
კრიმინალი
- არასრულწლოვანმა დედის შეურაცხყოფისთვის შური იძია 15
- მცირეწლოვანი ბავშვებისა და მათი მშობლების მკვლელები დაუსჯელები რჩებიან 16

გზავნილები
მესიჯი საიქიოდან, დაკარგული ცხვირის ამბავი და ცეკვა-გახდა მანქანის სახურავზე 18
ემიგრანტები
ჩეჩენმა ზოგონამ ქართველი სპორტსმენის ბედი რადიკალურად შეცვალა 22
საქმიანი ქალი
„მე და მიხეილ სააკაშვილი ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით... ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ჩემს სახლში წყდებოდა...“ 24
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ბოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 26
კოლეგა
ვიცე-პრემიერის სამდივნოში ნოკაუტს გადარჩენილმა ჟურნალისტმა ამერიკელები ქართული ფულით გააოგნა 26
ოჯახი
„ვთვლი, რომ უბრალოებაში მეტი სილამაზეა – დანარჩენი „ვარსკვლავური ავადმყოფობის“ შედეგია...“ 29
ჯანმრთელობა
- დავამშვიდოთ გაღიზიანებული ნაწლავი 31
- როგორ ვიკვებოთ დისკინეზიის დროს 31
- ჰორმონები კლიმაქსის დროს: მაქსიმალურად უსაფრთხოა 32

„ყვითელი ჭირი“ ანუ „ევროპასთან“ ჩადიან?!.

ეს რეპორტაჟი ალბათ არ შედგებოდა, იმ დღეს დიდი ყვითელი ავტობუსით, რომელსაც ხალხმა „ყვითელი ჭირი“ შეარქვა, მგზავრობა რომ არ გადამეწყვიტა. ძელზე გამოკრულ ცხრილს ყურადღებით გავეცანი და ჩემი მარშრუტისთვის სასურველი ავტობუსის ნომერიც შევარჩიე.

6

„მე და მიხეილ სააკაშვილი ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით... ბევრი საკითხი ჩემს სახლში წყდებოდა...“

„მე კვლავ აქტიურად ვარ ჩაბმული ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების მოგვარების პროცესში. მართალია, აღარ წარმოვადგენ განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს და აღარც უწინდელი თანამდებობა მიკავია, მაგრამ დღესაც, შექმნილი სიტუაციის გამო, მე მთხოვენ ხოლმე კომენტარის გაკეთებას.“

24

„ვთვლი, რომ უბრალოებაში მეტი სილამაზეა – დანარჩენი „ვარსკვლავური ავადმყოფობის“ შედეგია...“

„რომ გითხრათ, ყოველდღე სიუპრიზს მიკეთებს-მეთქი, მოგატყუებთ. დღევანდელი ცხოვრებიდან გამომდინარე, იმდენად გართულდა ყველაფერი, რომ ერთმანეთს სიურპრიზებს ვეღარ ვუკეთებთ. თუმცა, ცოლქმრობის პერიოდში, ყოფილა ასეთი შემთხვევაც: დილის 6 საათზე კარზე ზარი გაისმა, გავედი და...“

29

ვიცე-პრემიერის სამდივნოში ნოკაუტს გადარჩენილმა ჟურნალისტმა ამერიკელები ქართული ფულით გააოგნა

„ვიდრე სოსო ტყებუჩავა სამდივნოს უფროსს აკავებდა, იმ ოთახიდან გამოვარდნა მოვასწარი. როგორც შემდეგ მითხრეს, მთელი დღის განმავლობაში, სვანები მეძებდნენ... იმ დღეს, ჩემმა მეგობარმა, ნიკო ორველაშვილმა გადამარჩინა: იმ დროს, სახელმწიფო კანცელარიაში მუშაობდა და მის კაბინეტში ვიმალებოდი...“

26

საკითხავი ქალებისთვის
რით სჯობს ქალი მამაკაცს? 33
ტაქარი
ივერიის ღვთისმშობლის ხატისა და მისი ასლებისგან ასრულებული სასწაულები 34
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 36
საგანძური
საქართველოდან საუკეთესო გიშერი ჩალის შასად გააქვთ 36
ტრადიციები
ხევსურეთში ყველა ქალი წვებოდა კაცთან და ეს არ იყო დასაძრახი... 38
ტესტი
ერთგული მკითხველი 39
ასპარეზი
იმედო ფხაკაძე – ქართული ხელბურთის გარინჩა 40
ჩემი თაობა
ჯემალ ღაღანიძემ საკუთარ ქორწილში სერგო გაქარიაძეს ყანწი უსახსოვრა 43
ანომალია
ძალაუფლება – გონჯებს 45
სპორტული მოზაიკა 48
ქართული დეტექტივი
შუშის თვალში ჩარჩენილი სიყვარული 50
ვარსკვლავები
XX საუკუნის ქალღმერთები 54
ბომონდი 57
ავტო 58
ასტროლოგია
რას წინასწარმეტყველებს სახელი და გვარი 59
ჰოროსკოპი
კვირის (6-12 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
გრძნობისმიერი ადამიანი ხართ თუ გონისმიერი? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ხევსურეთში ყველა ქალი წვებოდა კაცთან და ეს არ იყო დასაძრახი...

ბევრისთვის დღემდე გაუგებარი და საკამათოა, სწორფრობის – იგივე წოლა-დგომის – ცოტა არ იყოს უცნაური წეს-ჩვეულება.... როდესაც ბატონ ალექსი ჭინჭარაულს მივმართე კითხვით, მიპასუხა, რომ თავადაც გახლდათ მონაწილე ამ წეს-ჩვეულებისა და გამიმხილა, რომ სულ ცოტა, 40 ქალთან ყოფილა ნაწოლი...

38

იმედო ფხაკაძე – ქართული ხელბურთის გარინჩა



ქართული ხელბურთი სავალალო მდგომარეობაში ამჟამად იმყოფება, თორემ, თავის დროზე, სპორტის ეს სახეობა ჩვენში ძალიან პოპულარული იყო და მას ბევრი ახალგაზრდაც მისდევდა. საქართველოში ხელბურთის ტრადიციაზე ისიც მეტყველებს, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი გამარჯვებული, თბილისის „ბურევესტნიკი“ გახლდათ.

40

ივონიმ, რონისა და რობის ყურადღება მიიპყრო

ორიოდე დღის წინ, მადრიდის ერთ-ერთ კლუბში, ესპანეთში მცხოვრები ბრაზილიური დიასპორის წარმომადგენელთა ტრადიციული ღონისძიება – „ბრაზილიური ფლოსტების ზეიმი“ გაიმართა, რომელსაც რონალდო და რობერტო კარლოსიც ესწრებოდნენ...

49

შუშის თვალში ჩარჩენილი სიყვარული



ნეტავ, რა ჩაიფიქრა? – გაუელვა თავში, თაროებს უკან ატუზულ ბადრის, რომელიც უიმედოდ ელოდა პაატასა და კახას გამოჩენას.

– მე ტელეფონით ლაპარაკის დროს გითხარი, რომ შენ ყველაფერი არ იცი... მაგრამ ახალგაზრდები სულსწრაფები ხართ... თქვენი გამარჯვებით ნაადრევად ტკბებით...

50

„ნარჩენების არჩევნები" ანუ პოლიტიკური იუმორინა-2005

ვენაცვალე ჩვენს პოლიტიკურ ბომონდს, ჩვენზე ასეთი ზრუნვისათვის: გზებს გვიგებენ, სოფელ-ქალაქებს გვიშენებენ, პენსია-ხელფასებს გვიზრდიან... მაგრამ კარგად იციან, რომ მარტო მატერიალური კომფორტი არ კმარა სრული ბედნიერებისათვის, სულიერი კომფორტიც აუცილებელია და ამიტომ ხანდახან არჩევნებსაც ატარებენ.

აბა, რა ქნან?! ფილმებს ჩვენ ვერ ვიღებთ და „ფეხბურთებს" ვეღარ ვიგებთ. ორად ორი რამ დარჩა გასართობი: „იუმორინაზე" თუ წახვალ ან არჩევნებზე და იცინებ გულიანად. პრინციპში, დიდი განსხვავება კი არაა ამ ორს შორის, მონაწილეები არიან სხვადასხვა, თორემ, „სასაცილოობით" — რომელი რომელს... მართალია, არჩევნები მხოლოდ ერთდღიანი კონცერტების კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ ხელისუფლება იმასაც ითვალისწინებს, რომ შეიძლება, ვიღაცას არ ეცალა იმ დღეს და ვერ მივიდა. ამიტომ „იუმორინასავით" ამატებენ თანდათან და მეორე ტურსაც ნიშნავენ.

ახლა 5 რაიონში ჩატარდა არჩევნები იმ კანდიდატებისთვის, ვინც თავის დროზე ვერ მოხვდა „იქ", მაგრამ მერე, რამდენიმე სკამი გამოთავისუფლდა პარლამენტში. ამიტომ ამ არჩევნებს ხალხმა მოფერებით „ნარჩენების არჩევნები" უწოდა. „ნარჩენები" ეძახე შენ და, ოპოზიციის თქმით, იმდენი ფული დაუხარჯავს მთავრობას ამ არჩევნებზე, ერთ ახალ პარლამენტს ავირჩევდითო...

გეკითხებით — რა ოპოზიციის საქმეა, რამდენს დახარჯავს ხელისუფლება?! აქვს და ხარჯავს, ძმაო, ჯიგარია და იმიტომ, თორემ, ისეთი ხელისუფლებაც ხომ კარგად გვახსოვს, რომ ჰქონდა, მაგრამ არ ხარჯავდა და ისე იგებდა არჩევნებს.

სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს ლეიბორისტთა ლიდერის მიერ ლუი დე ფიუნესად შერაცხული კანდიდატი (აწ უკვე დეპუტატი): საკუთარი მანქანა და თაფლი გავყიდეო... ისე, ნამეტანიც არ ვარგა, ბატონო ლუი... უკაცრავად — კობა! რად გინდათ ისეთი დეპუტატობა, ფეხით თუ უნდა იაროთ პარლამენტში და სახლში კიდევ, კარაქიან პურზე გადასაცხები თაფლი თუ არ გაქვთ?!. მაგრამ მაინც „საღოლ", ძმაო! ნეტავ, რას „შვებიან" თქვენი ფუტკრები ამდენს?!.

მხიარული მეტსახელის გარეშე, ლეიბორისტებს პრეზიდენტის არც მეორე ფავორიტი დაუტოვებიათ და ისნის რაიონის დღეს უკვე მაჟორიტარ დეპუტატს „ქინდერ-სიურპრიზი" უწოდეს. ძლიერი ოპონენტი კი ჰყავდა — „რა, სად, როდის"-ის ცნობილი წამყვანი, უგანათლებულესი ბიჭი, მაგრამ რად გინდა?! — „რა" და „როდის" კი სცოდნია, მაგრამ „სად" — ვერ გაურკვევია და აღმოჩნდა „მემარჯვენე ოპოზიციაში". ბევრი იყვირა მისმა პარტიულმა ლიდერმა, სახელისუფლებო კანდიდატი სუბუტექსს ურიგებს ამომრჩევლებსო, მაგრამ ვინ გააპარტყუნა ყური?! ისე, იმ ბიჭსაც რა უნდა ექნა? ეგება, არ ჰქონდა ამდენი თაფლი?! ან კიდე, შუა დედაქალაქში მცხოვრებ ამომრჩეველს სასუქსა და „სალიარკას" ხომ ვერ აკადრებდა?!.

სხვათა შორის, ერთ-ორ ამომრჩეველს ისეთი კანდიდატი „ჰქონდა" შემოხაზული ბიულეტენში, მგონი, მართლა სუბუტექსის „პერედოზიროვკა" მოუვიდა, თორემ, საღ ჭკუაზე მყოფი რავა იზამდა ამას?!

ასეა თუ ისე, პოლიტიკური იუმორინის მორიგი ეტაპი დამთავრდა. მაგრამ მხიარული წარმოდგენები წინ გველოდება, რადგან ისედაც კომედიური „უანრის" პარლამენტს „ლუი დე ფიუნესები", „პიერ რიშარები" და „ქინდერ-სიურპრიზები" შეემატნენ...

P.S. სატელეფონო ზარი კობა ხაბაზის კაბინეტში:

— მუსიე ლუი მინდოდა...

— არ გახლავთ, ბატონო, სხდომაზეა. რა გადავცე?

— უთხარით, ფანტომასმა დარეკა-თქო. ფანდორთან ვიკრიბებით ყველანი და პური წამოიღოს...

პროვოკატორი

„მოლაპარაკებები შეჩერებულია და გაგრძელების პერსპექტივაც არ ჩანს...“

— კოკოითი აცხადებს, რომ ცხინვალი მძიმე ტექნიკას ქართული მხარისგან ყიდულობს. მინიშნებები კეთდება იმაზეც, რომ მომავალში, უფრო მეტი შეიარაღება დასჭირდებათ. გამოდის, რომ ოსები ომისთვის ემზადებიან?

გოგა ხაინდრავა, *სახელმწიფო მინისტრი:*

— რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში სიტყვაც არ არის ნათქვამი იმ მოვლენებზე, რომლებიც ცხინვალში 20 სექტემბერს მოხდა. ცხინვალის პოზიცია შერეულ საკონტროლო კომისიაში მუშაობის შეჩერების თაობაზე და კოკოითის მიერ კომისიიდან მისი თანათავმჯდომარის, ჩოჩიევის გაწვევა ასევე მეტყველებს იმაზე, რომ მათი მხრიდან კარგს არაფერს უნდა ველოდეთ. ის ფაქტი, რომ მშვიდობიან მოსახლეობას სრულიად უმიზეზოდ უხსნიან ცეცხლს, ამის ნათელი დადასტურებაა. აქედან გამომდინარე, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები. მოლაპარაკებები შეჩერებულია და გაგრძელების პერსპექტივაც არ ჩანს. შეხვედრა, რომელიც იგეგმებოდა კოკოითსა და ნოღაიდელს შორის, გაურკვეველი დროით გადაიდო. მოსკოვში გამართულმა შეხვედრებმა კი დამარწმუნა, რომ 20 სექტემბრის ინციდენტი სპეციალურად იყო ინსპირირებული. პარლამენტმა „ცისფერჩაფხუტიანებს“ გამოსასწორებლად ვადები მისცა. ამის შემდეგ მათი გაყვანის საკითხი დადგება. კოკოითი აცხადებს, რომ ცხინვალიდან მათ გაყვანას ოსური მხარის თანხმობა სჭირდება. ასეთი „არაკომპეტენტური“ განცხადების მიზეზი, ხელმოწერილი დოკუმენტების უცოდინარობაა. საკუთარი ტერიტორიიდან სხვა ქვეყნის ჯარების გაყვანა საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს კომპეტენციაა. ■

ვინ ლობირებს ნავთობის ბიზნესს?

— როცა მთელი მსოფლიო ნავთობის კრიზისს მოუცავს, საქართველოში ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს მუშაობის ნებართვას არ აძლევენ. როგორ ფიქრობთ, კონკრეტული პიროვნებების პირად ინტერესებთან ხომ არ გვაქვს საქმე?

ნიკო ლეკიშვილი, *დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე:*

— პარლამენტის წევრებისგან შექმნილი კომისია ამ საკითხს შეისწავლის. 24 ნავთობგადამამუშავებელი ქარხანაა გაჩერებული. წინასწარ არ მინდა ვთქვა, თუ ვის ინტერესებში უნდა შედიოდეს ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ ქარხნების გაჩერებით 1000-ზე მეტი ადამიანი დარჩა უმუშევარი. ყოველწლიურად კი, ბიუჯეტი 30 მილიონზე მეტს კარგავს. სახელმწიფოს მხრიდან ამ თანხაზე უარის თქმა, აბსოლუტურად მიუღებელია. როცა ქვეყანაში არ მუშაობენ ქარხნები, მაშინ მთელი დატვირთვა იმპორტიორებზე მოდის. შესაძლოა, კონკრეტული ადამიანები შემოტანილ ნავთობს ლობირებენ. თუმცა, ზუსტ მიზეზს საპარლამენტო კომისია დაადგენს. შეიძლება, 24 ქარხნიდან, ზოგიერთი სათანადო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ვარგა?! ისე ვართ განებივრებული, რომ სამუშაო ადგილები ასე ხელაღებით ვაუქმოთ?!. გარდა ამისა, არ შეიძლება, ქვეყანა მთლიანად იმპორტზე იყოს დამოკიდებული, აუცილებლად უნდა გვქონდეს შიდარესურსი. გვაქვს სიმდიდრე და რატომ არ უნდა გამოვიყენოთ?! 9 თვეა, რაც ხელაღებით, ყველა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა გააჩერეს. ამ ხნის მანძილზე, ნუთუ არ შეიძლებოდა, ხელმძღვანელობისთვის მიეცათ მითითებები და ხარვეზები ეტაპობრივად გამოესწორებინათ?!. მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ მიზანმიმართულ აქციასთან გვაქვს საქმე. ამ საკითხს ჩვენი კომისია დეტალურად შეისწავლის. ■

„დღეს, როცა პატიმარს სცემენ, ციხის ექიმი ამას არ ადასტურებს...“

— გავრცელებული ინფორმაციით, ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს გაუქმება გადაწყვეტილია. თქვენი აზრით, რამდენად ვიქნებით დაზღვეულები იმისგან, რომ ვისაც მომავალში, ავადმყოფ პატიმრებზე ზრუნვა დაევალება, კორუფციულ გარიგებაზე არ წავა?

ანა დოლიძე, *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:*

— ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო ამ სისტემაში კორუფციის მთავარი ბუდეა, ამიტომაც უნდა გაუქმდეს. ვისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც მართლაც მძიმეა, მათ ქალაქის საავადმყოფოში უმკურნალებენ. ჯანდაცვის სამინისტროს აქვს შესაბამისი საავადმყოფოები და შეიქმნება სპეციალურად დაცული ფლიგელები, სადაც პატიმრებს მოათავსებენ და მათი დაცვაც გაადვილდება. კორუფციული გარიგებების ბოლომდე აღმოფხვრა ალბათ, შეუძლებელია, მაგრამ სამედიცინო დაწესებულება სასჯელაღსრულების სისტემიდან რომ გამოვა, ეს უკვე მნიშვნელოვანი წინსვლაა. დღეს, როცა პატიმარს სცემენ, ციხის ექიმი ამას არ ადასტურებს. ის არ გამოვა საკუთარი თანამშრომლების წინააღმდეგ, ამიტომ სამედიცინო დეპარტამენტი სისტემის გარეთ უნდა იყოს გატანილი. ექიმებს სამსახურის დაკარგვის ეშინიათ და იძულებული არიან, შეასრულონ შოთა კოპაძის მითითებები იმის თაობაზე, თუ რომელი პატიმარი გადაიყვანონ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. დღეს იქ არსებული 255-ვე ადგილი შევსებულია, მაშინ, როცა უმძიმესი ავადმყოფები საკნებში ჰყავთ გამოკეტილი და ისე კვდებიან, რომ მათ თხოვნას მკურნალობასთან დაკავშირებით ადმინისტრაცია სრულ იგნორირებას უკეთებს. ვფიქრობ, პატიმრების სამოქალაქო კლინიკებში მკურნალობის იდეა გაამართლებს. ■

„ოპოზიცია საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩიხში მოაქციეს“

— ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შუალედური არჩევნების მსგავსად, ოპოზიცია თვითმმართველობის არჩევნებშიც დამარცხდება. როგორც პრეზიდენტი ამბობს, ოპოზიცია კატასტროფულ მდგომარეობაშია...

ჰამლეტ ჟიპაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— ოპოზიცია გამჭრიახობას ვერ იჩენს, ხელისუფლება კი ყველაფერს აკეთებს, რომ ოპოზიციის გამარჯვება არ დაუშვას. ეს ტენდენცია დაფიქსირდა პირველ ოქტომბერს და კიდევ უფრო აშკარა იქნება ადგილობრივი არჩევნების დროს. „ნაციონალები“ შეეცდებიან, მიიღონ შესა-

ძლებლობის მაქსიმუმი და ამას გაერთიანებული თუ დაქსაქსული ოპოზიცია წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, რადგან მათ საამისო რესურსი არ გააჩნიათ. საზოგადოება არჩევნებს ინდიფერენტულად უყურებს, ადამიანები დარწმუნდნენ იმაში, რომ არჩევნების გზით, მიზნის მიღწევა შეუძლებელია. მაგრამ პოლიტიკოსებმა ფარ-ხმალი არ უნდა დაყარონ. რამდენი ქვეყნის პრეზიდენტი იყო, რომელსაც მიზნის მიღწევამდე მრავალწლიანი ბრძოლა დასჭირვებია!.. გამაოცა ეუთოს წარმომადგენლის განცხადებამ — ამომრჩეველთა სიები ყველა ქვეყანაში არეულია და დასავლეთში ასეთი ხარვეზები არავის უკვირსო. საქართველოში ეს ნაკლოვანებები დანაშაულის დონეზე რომ არის აყვანილი, ამაზე არავის არაფერი უთქვამს. საერთაშორისო ორგანიზაციების ასეთმა ლოიალურმა პოლიტიკამ ოპოზიცია დააბნია და ჩიხში მოაქცია. თუ თვითმმართველობის არჩევნებამდე, ოპოზიციის ლიდერებმა ვერ შეძლეს, საერთაშორისო დამკვირვებლებს რეალური სურათი დაანახვონ, ეს მათთვის უკანასკნელი მარცხი არ იქნება. გარდა ამისა, ოპოზიცია სავალალო მდგომარეობაში ხელისუფლებამ ჩააგდო და თუ მან თავად არ შეცვალა დამოკიდებულება ოპოზიციის მიმართ, არჩევნები საბოლოოდ დაკარგავს აზრს. ■

„ სილატაკის დაძლევის პროგრამის ფარგლებში, 2007 წლამდე, 50 მილიონი ლარი გამოიყოფა“

— 2006 წლის პირველი სექტემბრიდან, პენსიები იზრდება. ლაპარაკია სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების სოციალურ დახმარებებზეც. რა თანხით განისაზღვრება ეს შემწეობა და დაპირება დაპირებად ხომ არ დარჩება?

ლაშა გოცირიძე, *ფინანსთა მინისტრის მოადგილე:*

— პენსიონერებს შეღავათი, გაზრდილი ბიუჯეტის, ახალი საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე დაუწესდათ. პენსიონერები 2006 წლის 1-ელი სექტემბრიდან, 35 ლარს მიიღებენ. ეს პრეზიდენტისა და მთავრობის ერთობლივი გადაწყვეტილებაა. საქართველოში დაახლოებით მილიონი ადამიანი იღებს პენსიას. თუნდაც ერთი ლარით ამ თანხის მომატება წელიწადში დაახლოებით 12 მილიონ ლარს უდრის. 7-ლარიანი ნამატისთვის, ბიუჯეტიდან ათობით მილიონის გამოყოფა გახდება საჭირო. მაგრამ ხელისუფლება თავის დანაპირებს შეასრულებს. რაც შეეხება სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებს — მათთვის განკუთვნილი პროგრამა ა.წ. ნოემბრიდან უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ მთავრობის გადაწყვეტილებით, დახმარებების გაცემა 1-ელი მაისიდან დაიწყება. სილატაკის დაძლევის პროგრამის ფარგლებში, 2007 წლამდე, მათთვის 50 მილიონი ლარი გამოიყოფა. მე ვერ დავაკონკრეტებ, როდის, მაგრამ ახლო მომავალში, ჩვენს პენსიონერებს კვლავ გაეზრდებათ თანხა. სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს, ეტაპობრივად ავიდეს იმ მაჩვენებლამდე, როცა სოციალურად დაუცველი ფენების ყოველთვიური შემოსავალი მათთვის ნორმალურად ცხოვრების გარანტიად იქცევა. ■

„უსაფრთხოების ზომებს ცხინვალის აღების მცდელობად შეაფასებენ“

— ერედვის ინციდენტში ეჭვმიტანილი ოსი პირების დაპატიმრებას კოკოითის ხელისუფლება უკანონობას უწოდებს. თქვენი აზრით, თავად დე ფაქტო მთავრობის წევრები თუ აკონტროლებენ ოს კრიმინალებს?

პაატა ზაქარეიშვილი, *ექსპერტი:*

— როცა არსებობს კონფლიქტი და ვითარება ზოგადად უკონტროლოა, ძნელია, პასუხი მხოლოდ ერთ მხარეს მოსთხოვო. არა მგონია, ცხინვალის ხელისუფლება დაინტერესებული იყოს ისეთი ფაქტების სიმრავლით, როგორიც ორიოდე დღის წინ მოხდა. ასეთი ინციდენტების მიზეზი ხშირად, საქართველოს ხელისუფლებისადმი ოსი მოსახლეობის უნდობლობაა, რასაც დროგამოშვებით ასეთი აგრესიული ფორმით გამოხატავენ. რაც შეეხება კრიმინალების გაკონტროლებას — დე ფაქტო ხელისუფლება მთლიანად კრიმინალურ გარიგებებზე დგას და დანაშაულის აღმოფხვრას არც კოკოითი შეუწყობს ხელს და არც მისი გარემოცვა. აფხაზეთში კრიმინალებს ვერ უმკლავდებიან, ცხინვალში კი, კრიმინალით იკვებებიან. თუმცა, მათი დანაშაული არ არის ცალმხრივი: წლების განმავლობაში, კონტრაბანდა ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უპრობლემოდ შემოედინებოდა. ამიტომ, ცხინვალში რომ კრიმინალური ხელისუფლება არსებობს, გარკვეული დოზით, ჩვენი „დამსახურებაცაა“. ახლა თბილისმა კონფლიქტის ზონაში წესრიგის დამყარებაზე ცალმხრივად რომ იზრუნოს, უსაფრთხოების ზომებს, ცხინვალის აღების მცდელობად შეაფასებენ. თუ არსებობს რამდენიმე ადამიანი, რომელსაც კრიმინალის აღკვეთა დ ა საქართველოსთან დიალოგი სურს, კვლავ რჩება იმედი, რომ მათთან მოლაპარაკების გზით შევძლებთ ერთობლივი ღონისძიებების გატარებას. ■

„yviTeli wiri“ anu „evropasTan“ Cadian?!.

ეს რეპორტაჟი ალბათ არ შედგებოდა, იმ დღეს დიდი ყვითელი ავტობუსით, რომელსაც ხალხმა „ყვითელი ჭირი“ შეარქვა, მგზავრობა რომ არ გადამეწყვიტა. ძელზე გამოკრულ ცხრილს ყურადღებით გავეცანი და ჩემი მარშრუტისთვის სასურველი ავტობუსის ნომერიც შევარჩიე. ყვითელ ჰოლანდიურ ავტობუსს იმდენ ხანს ველოდი, რომ გაჩერებაზე ნერვიულად ბოლთის ცემა დავიწყე. მალევე მივხვდი, რომ წინ და უკან სიარული კიდევ დიდხანს მომიწევდა და ამაზე, გაჩერებაზე შეგროვილი ხალხის რაოდენობაც მიმანიშნებდა...

ემა ტუხიაშვილი

— 35 წუთია, ველოდები ავტობუსს, უგულავას რომ ჰკითხო, 3-4-წუთიანი ინტერვალით ივლიანო... სექტემბერიც გავიდა, ბატონო და აგერ, ოქტომბერიც დადგა, სადაა დაპირებული დამატებითი ავტობუსები?! — აქაქანდა ქერათმიანი ქალბატონი და მერიის შენობას ისე მოუღერა მუშტი, ვიფიქრე, მუნიციპალიტეტის შენობის აივანზე თვით ქალაქის თავი დალანდა-მეთქი. ამ დროს, ნანატრი მე-5 ნომერიც გამოჩნდა და მომლოდინეთა ტალღა ინერტულად მისკენ დაიძრა. მძღოლმა კი, თითქოს განგებ შვრებაო, ავტობუსი მოშორებით, წინ გააჩერა და ხალხის ტალღა ახლა უკვე საპირისპირო მიმართულებით, სირბილით გაემართა გაღებული კარისკენ. ავტობუსი თვალის დახამხამებაში შეივსო ორივე მხრიდან, ხოლო სალონის შუა ნიწილში მოყოლილმა მგზავრებმა დაბნეულად ამოილუღლუღეს: გვაცალეთ, ბატონო, ჩასვლაო!.. სალონში შეჯგუფებულმა მგზავრებმა უკუსვლით გაათავისუფლეს წინა ნაწილი, ვინაიდან ასეთ სიმჭიდროვეში შემობრუნება კი არა, ღრმად ამოსუნთქვაც წარმოუდგენელი იყო.

როგორც იქნა, ავტობუსი დაიძრა და პირველად, იქვე, ქაშვეთის ეკლესიასთან გაჩერდა. მახსოვს, როდესაც სამარშრუტო ტაქსით გზის ამ მონაკვეთს გავდიოდი, მგზავრები პირჯვარს ისახავდნენ, ჰოლანდიურ ავტობუსში კი შუბლთან ხელის მიტანა ისევე ძნელი აღმოჩნდა, როგორც იდაყვზე კბენა... ავტობუსს მგზავრთა ახალი ნაკადი მოაწყდა და ისეთ სივიწროვეში აღმოვჩნდი, რომ ისღა დამრჩენოდა, ცალ ფეხზე დავმდგარიყავი. ძელზე მოკიდებულ ვიღაცის ხელს მეგობრულად ჩავეჭიდე, ხოლო ტანით მძღოლის სავარძლისკენ გადავიხარე. ალბათ, კიდევ დიდხანს მემახსოვრება ავტობუსის მძღოლის ყვითელ და ლურჯ ფერებში გადაწყვეტილი, შემოძენძილი ჰალსტუხი, რომელიც იქვე საკიდარზე ეკიდა და მოძრაობის რიტმში პერიოდულად ცხვირზე მეხახუნებოდა.

— მომაწექით, ბატონო, კარგად მომაწექით უკნიდან! კიდევ ცოტაც, კიდევ... კარგია!.. რა იყო, კაცო, მომაწექი კარგად და შენც დაეტევი და მეც! — ყვიროდა ავტობუსში სანახევროდ ამოსული ქალბატონი.

— ნელა, ქალო, ვერ ხედავ, ბავშვი რომ დგას?! მოეღრიცა საწყალს სახე!.. — ცალი თვალი იქვე ჩაკვეხებულ პატარას შევავლე და მივხვდი, რომ მშობელი არ აზვიადებდა, რადგან შეშინებულ პატარას, სახე მართლაც მოღრეცოდა.

— ესაა საქმე?! — ამ დახუთულ ამინდში კიდევ ავტობუსში იხრჩობი უჰაეროდ! ფანჯარა არა აქვს ამ მართლა „ყვითელ ჭირს“ და ლიუკიდან შემოსული ჰაერი ამოდენა ხალხს რას ეყოფა! არადა, ჰქონია თურმე, ამ ავტობუსს კარგი კონდიციონერები, მაგრამ როგორც კი ჩამოუყვანია სააკაშვილს, მოუხსნიათ და პარლამენტსა და კანცელარიაში დაუყენებიათ თურმე!. — ინვალიდებისთვის განკუთვნილ ადგილზე მოკალათებულმა მამაკაცმა გვერდზე მჯდომი დიალოგზე გამოიწვია.

— რამდენიმე დღეა, რაც შვეიცარიიდან ჩამოვედი... შვილთან ვსტუმრობდი რამდენიმე თვე, ამიტომ წარმოდგენა არა მაქვს, რა ნომერი ავტობუსი სად დადის, — ამაყად მიუგო მამაკაცს მეზობელმა ქალმა.

— შემდეგში ჩაბრძანდებით?..

— გამატარე, კაცო, რას გახიდულხარ ჯორივით!..

— გამიღეთ უკნიდან და მოგცემთ წინ...

— ვაიმე, ნუ გადამიარეთ ზედ!..

— პეკინზე გაივლის?..

— ამოწყდნენ ესენი ხალხის ცოდვით! გამატარეთ რაა!..

— ჩადი, შე დალოცვილო, ჩამატარე და ამოდი მერე ისევ უკან...

— ჩაატარეთ ჩამსვლელები, ხალხო! აბა, ამდენ ხალხს ჩემს სახლში ხომ არ წავიყვან, — მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა მძღოლმა.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო?! გამჩხრიკეთ, თუ გნებავთ, ხელოსანი ვარ... — ერთიანად აკანკალდა „ეჭვმიტანილი“ და საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად, ჯიბიდან, რის ვაი-ვაგლახით, „მეტრიანი“ ამოიღო

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

— ჩემი სიკვდილი!.. ამწუთას, ჩანთა გამიხსნეს და საფულე ამომაცალეს! — აღმოხდა ერთ-ერთ ქალბატონს. გარშემო მიმოიხედა და ერთ-ერთ შუახნის მამაკაცს დასდო ბრალი: შენ იქნებოდიო!

— რას ბრძანებთ, ქალბატონო?! გამჩხრიკეთ, თუ გნებავთ, ხელოსანი ვარ... — ერთიანად აკანკალდა „ეჭვმიტანილი“ და საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად, ჯიბიდან, რის ვაი-ვაგლახით, „მეტრიანი“ ამოიღო.

— პატრული გამოიძახეთ, პატრული! — არ ცხრებოდა დაზარალებული ქალბატონი.

— ორი სტუდენტი შვილი მყავს, იმათ თავს გეფიცებით, ქალბატონო! — თავის მართლებას განაგრძობდა „ეჭვმიტანილი“, — ბედი არ გინდა?.. „მარშრუტკას“ უნდა გამოვყოლოდი და ჩემდა ჭირად, ამ ოხერმა ავტობუსმა გამოიარა, თორემ, ამ ჭყლეტაში რა ამომიყვანდა?! — გადაულაპარაკა მასთან „ჩახუტებულ“ მამაკაცს.

— „ევროპასთან“ ჩადიან?!. — უკვე მეორედ დაარღვია დუმილი მძღოლმა. და რადგან პასუხი არავინ გასცა, რესტორანთან მდგარ მგზავრებს ისე ჩაუარა, რომ მათი აქტიური ჟესტიკულაციისთვის ყურადღება არც კი მიუქცევია, ხოლო სანამ ვინმე რამეს იტყოდა, დააყოლა: ეს ავტობუსი კალოში კი არ არის, გაიწელოსო. ამ დროს, სალონის შუაწელში ჩოჩქოლი ატყდა. როგორც გაირკვა, პატარა გოგონას, რომელიც დედასთან და დასთან ერთად მგზავრობდა, გული წაუვიდა. ჩემ მიერ დაკავებული პოზიციიდან მხოლოდ დედის შეშინებული სახე ჩანდა და ვხვდებოდი, რომ გულშეღონებულ ბავშვს ყურის ბიბილოებს უზელდა. მხოლოდ მაშინღა მიხვდა ახალგაზრდა ვაჟი, რომ გულწასული გოგონასთვის ადგილი უნდა დაეთმო და ბავშვი სავარძელზე მოათავსეს.

— მოიხსენი, შვილო, ეგ ზურგჩანთა, დამენგრა ბეჭები... რა ქნა?!. არ ვიცი მე, თავზე დაიდე, თუ გინდა! — ანჩხლობდა ვიღაც ქალბატონი და აშკარა იყო, რომ სკოლის მოსწავლეს მიმართავდა.

— თუ დროზე არ ჩავედი, დაორსულდება ამ ავტობუსში ქალი... — ვითომ დელიკატურად მიანიშნა უხერხულ მოძრაობებზე ქალმა გვერდით მდგომ მამაკაცს.

— „გეპეისთან“ ჩადიან?!. — ისევ დაარღვია დუმილი ავტობუსის მძღოლმა.

— ჩავდივართ, აბა, „საკატაოდ“ კი არ ამოვსულვართ შენს ავტობუსში...

— ფეხი შემოყავი და ტანით გადმოიწიე... — რთული აკრობატული ილეთების შესრულებას აიძულებდა ჩამსვლელი ქალბატონი გზად გახიდულ გოგონას.

რას გაიგებთ, აქ ვისი რა არის!.. აი, ამას ჰქვია ერთ მუშტად შეკრული და ერთიანი ერი...

— კაცო, გაგვიღე უკნიდან და მოვალთ წინიდან...

— გადამატარე, შვილო, მიწა დაეყარა ამ მთავრობას! მოვიდეს და ჩვენთან ერთად იმგზავროს სააკაშვილმა. იმ გამოწკეპილ პიჯაკზე ერთი ღილიც რომ არ შერჩება, მიხვდება, რა დღეში ჩაგვყარა ამ თავისი ცოლის „ზემლიაკი“ ავტობუსებით. არა, კაცო, სანატრელი გაგვიხდა ის ჭიპაშვილი იყო თუ ჭიაბერაშვილი, ეს გიგი უგულავა მართლაც, უგულო კაცი ყოფილა?! — კიდევ ერთმა მგზავრმა გამოხატა საჯაროდ თავისი პოზიცია.

— „კარმანშჩიკები“, „კარმანშჩიკები“ არიან ავტობუსში! — გაისმა ვიღაცის გამაფრთხილებელი რეპლიკა. ამის გამგონე მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა და იქვე დაყრილი ხურდა ფული ერთი ხელის მოსმით რაღაც უჯრაში ჩაყარა.

— რა იყო, კაცო, ავტობუსში კარტოფილი ხომ არ გიყრია! აქ ხალხს ვერ გვხედავ?! — აღშფოთდა მამაკაცი, რომელმაც დამუხრუჭებისას გვერდით მდგომი ქალბატონის მხარზე ჩამოდო თავი. მძღოლმა მის წინ დამაგრებულ სარკეში შეათვალიერა მგზავრები და ჩვეულებისამებრ, მისი მისამართით გამოთქმული რეპლიკა უკომენტაროდ დატოვა... ამ დროს, ოფლისა და ნაირ-ნაირი სუნამოთი გაჯერებულმა ჰაერმა თავბრუ დამახვია, ხოლო ცალ ფეხზე დგომა უკვე გაუსაძლისი ხდებოდა. ვიფიქრე, შეუმჩნევლად გადავინაცვლებდი მეორე ფეხზე, მაგრამ როცა მივხვდი, ვიღაცას დავაბიჯე, ისევ საწყის — ე.ი. წეროს პოზას დავუბრუნდი.

— ვისია ეს ფეხი? ფრთხილად, რა! — იყვირა ჩემგან დაზარალებულმა მგზავრმა.

— რას გაიგებთ, აქ ვისი რა არის! მადლობა თქვით, თქვენსას თუ იცნობთ.. აი, ამას ჰქვია ერთ მუშტად შეკრული და ერთიანი ერი, — აღნიშნა ვიღაცამ მწარედ და ცინიკურად... ვერ ვიფიქრებდი, სპორტის სასახლის დანახვა ოდესმე ასე თუ გამახარებდა. ცოტაც და ისევ ორ ფეხზე შევძლებდი დგომას და თუნდაც, მთელი 45 წუთის დაგვიანებით, მაგრამ მაინც „წარმატებით“ შევაბიჯებდი სარედაქციო თათბირზე... ზოგი ჭირი მარგებელიაო, — უთქვამთ და მეც ამ „ვოიაჟმა“ დამანახვა, რომ თუ გსურს, სოციალური პრობლემა ობიექტურად შეაფასო, თავად უნდა აღმოჩნდე მის ჩარჩოებში. ამის გარეშე კი ნურავინ დაიკვეხნის, რომ ისიც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია...

ჩადი, შე დალოცვილო, ჩამაგარე და ამოდი მერე ისევ უკან...

P.S. ერთი ძველი ანდაზა გვასწავლის — შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო. მეც ამ სიბრძნეს დავუგდე ყური და მეორე დღეს, სამსახურში სამარშრუტო ტაქსით გამგზავრება გადავწყვიტე. „მარშრუტკის“ მძღოლმა გზა ვერაფრით გაიკვლია. ჯერ იყო და, ამერიკის საელჩოს წინ აღმართულ ბარიკადებს მიაწყდა (უკვე კვირაზე მეტია, რაც საელჩოს წინ სამანქანო გზა მთლიანად პარალიზებულია), შემდეგ ძნელაძის ქუჩით გასვლას ცდილობდა, იქ კი, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ აღმართულ წინაღობებს წააწყდა. მძღოლს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, მანქანას მარშრუტის აღმნიშვნელი ტაბლო მოხსნა და გეზი პირდაპირ, რუსთაველის გამზირისკენ აიღო. მივხვდი, რომ ამჯერად არალეგალურ სამარშრუტო ტაქსიში აღმოვჩნდი. თუმცა დარწმუნებით გეტყვით, რომ ავტობუსით ლეგალურად მგზავრობას, ისევ არალეგალური მგზავრის ამპლუა სჯობს... ■

7 თვეა, რაც ზურაბ ანთელიძე ფინანსთა მინისტრის მოადგილეობიდან საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარედ გადაიყვანეს და როგორც ჩანს, იგი საბაჟოს საკმაოდ ეფექტური ადმინისტრატორი აღმოჩნდა, რადგან როგორც ირკვევა, 2005 წლის ბიუჯეტს 26 მილიონით ძირითადად, საბაჟოს იმედად ზრდიან. მართალია, ზურაბ ანთელიძე წინასწარ არ ამბობს, რამდენით აპირებს წლის ბოლომდე საბაჟო შემოსავლების გაზრდას, მაგრამ ამბობენ, რომ ციფრი საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება. რა სიახლეებს სთავაზობენ იმპორტიორებს, როგორი იქნება ახალი „საბაჟო კოდექსი“ და რამდენი საბაჟო რეჟიმი დარჩება თხუთმეტიდან? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ზურაბ ანთელიძეს ვესაუბრებით.

მომავალი წლიდან საქართველოში ახალი საბაჟო კოდექსი იმოქმედებს

„მაქსიმალურად ვცდილობთ, იმპორტიორმა არ იცოდეს, რომელი მებაჟე განაბაჟებს მის ტვირთს...“

თამარ ცერცვაძე

— კონტრაბანდა საბაჟო დეპარტამენტისთვის დღემდე „აქილევსის ქუსლად“ რჩება. რა კეთდება კონტრაბანდასთან ბრძოლის თვალსაზრისით?

— კონტრაბანდასთან ბრძოლა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს. ერთ-ერთი საკადრო პოლიტიკაა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია კონტრაბანდასთან ბრძოლა. მეორე მიმართულებაა ოპერატიულ ინფორმაციაზე რეაგირება. მესამეა — მებაჟეების კვალიფიკაციის ამაღლება. ვინც ვერ აკმაყოფილებს ატესტაციის მოთხოვნებს, ბუნებრივია, თანამდებობას ტოვებს. ახალი კადრების მოსაზიდად ავამოქმედეთ სტაჟირების სისტემა, რომელმაც ვფიქრობ, რომ გაამართლა. მიღების პირველ ეტაპზე სტაჟიორები უნარ-ჩვევების ტესტებს აბარებენ. მათ მაშინვე არ ვთხოვთ საბაჟო კანონმდებლობის ცოდნას. კანონმდებლობას ისინი პრაქტიკასთან ერთად სწავლობენ, თუმცა, პარალელურად, თეორიულ კურსსაც გადიან. მათგან ირჩევიან ის სტაჟიორები, რომლებმაც შემდგომ ტესტირება უნდა გაიარონ.

საბაჟო სისტემაში ის ადამიანები დარჩებიან, ვინც ამას იმსახურებენ. საბაჟოს თანამშრომლების მიმართ ორი მარტივი მოთხოვნა გვაქვს: წესიერება და მაღალი კვალიფიკაცია. ალბათ წლის ბოლომდე დავამთავრებთ ატესტაციებს.

— როგორც ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, ბიუჯეტის 26-მილიონიანი ზრდა ძირითადად, საბაჟო შემოსავლების გაზრდის ხარჯზე ხდება. როგორია საბაჟო შემოსავლები წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით?

— 8 თვის განმავლობაში, წინა წელთან შედარებით, შემოსავლები 217 მილიონით მეტია. ბუნებრივია, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ადმინისტრირების დონე მნიშვნელოვნად უმჯობესდება.

— რამდენს მიაღწევს წლის ბოლომდე საბაჟო შემოსავლები?

— გარკვეული მიზეზების გამო პასუხისგან თავს შევიკავებ... ვნახოთ. ჩვენი მიზანია, იმპორტირებული საქონელი, რომელიც დაბეგვრას ექვემდებარება, დაიბეგროს. როცა ამ მიმართულებით სწორი პოლიტიკა ტარდება, შესაბამისად, შემოსავლები ავტომატურად იზრდება.

— ამას წინათ, იმპორტიორთა უკმაყოფილება გამოიწვია ტვირთების კუბმეტრების მიხედვით განბაჟებამ...

— მე არ ვიცი, კუბმეტრებს რას ეძახიან... მაგრამ არსებობს ქვეყნები, საიდანაც შემოსული ტვირთების საბაჟო ღირებულება დოკუმენტებში შემცირებულია. ასეთი ქვეყნებიდან შემოდის ტვირთები, რომელიც არ არის შესაბამისად დასაწყობებული. ბუნებრივია, ასეთი ტვირთების შემომტანებს საბაჟოზე პრობლემები ექმნებათ და თუ ასე გაგრძელებენ, მომავალშიც შეექმნებათ. მაგალითად, როცა ტვირთი ემირატებიდან შემოდის ერთი ავტოსატრსანსპორტო საშუალებით, მასში დაახლოებით 20-30 ადამიანის ტვირთია. ტვირთი სხვადასხ-

ფრაზა გენიალური

ვიღაცამ ჰკითხა დიოგენეს: კაცმა სადილი რა დროს უნდა ჭამოსო? — თუ მდიდარია, მაშინ, როცა სურს, თუ ღარიბია — როცა სადილი აქვსო, — უპასუხა დიოგენემ.

ვა სახის საქონლისგან შედგება. ადამიანი, რომელიც ამ ტვირთზეა პასუხისმგებელი, აცხადებს, რომ არ დავსწრებივარ ჩატვირთვას და იქნებ, ექსპერტიზა დამინიშნოთო. თქვენ გჯერათ, რომ ადამიანმა, რომელიც ფულს იხდის, არ იცის, რა არის უცხოეთიდან ჩამოსულ ტვირთში? აშკარაა, რომ ასეთი იმპორტიორები გადასახადის თავიდან აცილებას ცდილობენ. ჩვენ ამ ტვირთების დათვლა, შეფასება გვიწევს, რაც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული. პრობლემებიც აქედან მომდინარეობს. იმპორტიორებს შევთავაზეთ, რომ თავიანთი ტვირთები ცხრანიშნა საბაჟო კოდების მიხედვით დაალაგონ, რაც შესაბამისად, გააადვილებს ტვირთის დათვლას და მისი საბაჟო ღირებულების დადგენას. მსგავსი პრობლემები არ ექმნება მსხვილ, ანუ ორგანიზებულ იმპორტიორებს. ამ ტიპის პრეტენზიებს გამოთქვამენ ის ადამიანები, რომლებიც ე.წ. ჩანთის ბიზნესით არიან დაკავებულები და რომლებიც სისტემატურად ცდილობენ, თავი აარიდონ გადასახადებს.

— იმპორტიორთა უკმაყოფილებას

პარადოქსი — საქართველოში საბაჟო ურთიერთობებს 100 კანონი არეგულირებს

გაფორმების ადგილას მოქმედებს. „ოპიზაში“ ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ იმპორტიორს მებაჟესთან შეხება აღარ აქვს. შეიძლება ჯერ ყველაფერი იდეალურად არ არის, მაგრამ დახვეწის პროცესშია. ადრე იმპორტიორი ეძებდა მებაჟეს, მოურიგდებოდა, შემდეგ მებაჟე იმპორტიორს უშვებდა ე.წ. ბროკერთან, რომელიც დეკლარაციას უბეჭდავდა. შემდეგ, მიდიოდა ბუღალტერიაში, კანცელარიაში, სალაროში... ანუ იმპორტიორი დაახლოებით 6 ადამიანთან ურთიერთობდა. დღეს ვითარება შეიცვალა — იმპორტიორმა დეკლარაცია უნდა წარადგინოს და იგი ერთი საათის განმავლობაში იღებს წერილობით პასუხს. მნიშვნელოვანია, რომ როცა ადამიანი წერილობით პასუხს იღებს, მას ამ პასუხის გასაჩივრების საშუალებაც აქვს.

ირდება შუამავალ ფირმებთან საქმის დაჭერა. ყველანაირ კონსულტაციას ადგილზე მიიღებს.

— ამჟამად ახალ „საბაჟო კოდექსზე“ მუშაობთ. რა სიახლეებით გამოირჩევა იგი და როდიდან შევა ძალაში?

— მნიშვნელოვანი აქცენტებია პროცედურების გამარტივებაზე. ამაში იგულისხმება იმ უწყებების მაქსიმალური შემცირება, რომლებიც განბაჟების პროცედურებში არიან ჩაბმულნი. ახალი საბაჟო კოდექსი მთლიანად ჰარმონიზებული იქნება ევროპის საბაჟო კანონმდებლობასთან. ვფიქრობ, მომავალი წლისთვის ამას მივაღწევთ.

P.S. ახალი კოდექსი ესტონეთის საბაჟო კოდექსის მსგავსი იქნება. მართალია, საქართველოს ევროკავშირამდე ჯერ ბევრი უკლია, მაგრამ ევროინტეგრაცია უკვე დაიწყო. ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებული საქონელი ევროსივრცეში არ იბეგრება. საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონელი კი 5 საბაჟო გადასახადით იბეგრება. ესენია: საბაჟო მოსაკრებელი, საბაჟო გადასახადი, აქციზი, დღგ და აგრარული გადასახადი. თუმცა, ევროკავშირის ქვეყნებთან დღეს-დღეობით მოქმედებს პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ევროპის ქვეყნებში ექსპორტირებული რიგი საქონლის საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებას ან მნიშვნელოვნად შემცირებული განაკვეთებით დაბეგვრას. პარადოქსია, მაგრამ დღეს-დღეობით საბაჟო ურთიერთობებს საქართველოში 100 კანონი არეგულირებს და არსებობს 15 საბაჟო რეჟიმი. ახალი კოდექსით მხოლოდ 8 დარჩება და ბიუროკრატიული ბარიერები მნიშვნელოვნად შემცირდება. აღარ იარსებებს ორმაგი ინტერპრეტაციის მუხლებიც.

■

ავტომანქანის მფლობელი ყველა პროცედურას ამ შენობაში გაივლის. 40 წუთში ის განბაჟებას და ნომრის მიღებას ახერხებს

ისიც იწვევს, რომ წითელი ხიდის საბაჟოდან შემოტანილი ტვირთის საბაჟო „ოპიზაში“ განბაჟება უწევთ და საამისოდ, მათ დიდი მანძილის გავლა უხდებათ...

— წარმოუდგენელია, რომ ყველა ტვირთის განბაჟება გამშვებ პუნქტებზე დავიწყოთ. ეს ნიშნავს უზარმაზარ რიგებს, რაც პრობლემებს შეუქმნის ტრანზიტულ ტვირთებსაც. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწრაფი მომსახურებაა, რაც შეუძლებელი იქნება ტვირთების ადგილზე განბაჟების შემთხვევაში. 700 ლარამდე ღირებულების ტვირთი ადგილზევე ბაჟდება, მაგრამ თუ ასეთი ტვირთების შემოსვლა მასიურ ხასიათს იღებს (მაგალითად, წითელ ხიდზე 3000 ადამიანი დღეში 5-ჯერ გადადიოდა და გადმოდიოდა), ჩნდება ეჭვი, რომ საქმე გვაქვს ორგანიზებულ კონტრაბანდასთან.

— არაერთხელ ითქვა, რომ საბაჟო ტერმინალ „ოპიზას“ გაძლიერება და „ლილო-1“-ის დასუსტება გარკვეული პოლიტიკოსების ინტერესებს ემსახურება. თქვენ რას იტყოდით ამ ფაქტთან დაკავშირებით?

— პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის. ჩემი საქმეა ადმინისტრირება... მნიშვნელოვანია „ერთი ფანჯრის“ პრინციპის დამკვიდრება, რომელიც თითქმის უკვე ყველა მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ იმპორტიორმა არ იცოდეს, რომელი მებაჟე განაბაჟებს მის ტვირთს, რათა გამოვრიცხოთ გარიგება...

— რამდენიმე დღის წინ, ავტომანქანების განბაჟების ცენტრის პრეზენტაცია მოაწყვეთ. რა სახის სერვისს სთავაზობთ იმპორტიორებს?

— ცენტრი მდებარეობს დიღმის მასივში, პატრულის შენობაში. დღემდე ავტომობილის მფლობელს რამდენიმე უწყებაში მისვლა სჭირდებოდა განსაბაჟებლად. ამ ცენტრის გახსნა არის ორი სამინისტროს — ფინანსთა და შსს-ს თანამშრომლობის კარგი მაგალითი. დღეს, ავტომანქანის მფლობელი ყველა პროცედურას ამ შენობაში გაივლის. 40 წუთში ის განბაჟებას და ნომრის მიღებას ახერხებს. მეორეც, იმპორტიორს აღარ დასჭ-

7 თვეა, რაც ზურაბ ანთელიძე ფინანსთა მინისტრის მოადგილეობიდან საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარედ გადაიყვანეს, და როგორც ჩანს, იგი საბაჟოს საკმაოდ ეფექტური ადმინისტრატორი აღმოჩდა, რადგან როგორც ირკვევა, 2005 წლის ბიუჯეტს 26 მილიონით ძირითადად, საბაჟოს იმედად ზრდიან. მართალია, ზურაბ ანთელიძე წინასწარ არ ამბობს, რამდენით აპირებს წლის ბოლომდე საბაჟო შემოსავლების გაზრდას, მაგრამ ამბობენ, რომ ციფრი საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება. რა სიახლეებს სთავაზობენ იმპორტიორებს, როგორი იქნება ახალი „საბაჟო კოდექსი“ და რამდენი საბაჟო რეჟიმი დარჩება თხუთმეტიდან? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ზურაბ ანთელიძეს ვესაუბრებით.

„მაქსიმალურად ვცდილობთ, იმპორტიორმა არ იცოდეს, რომელი მებაჟე განაბაჟებს მის ტვირთს...“
მომავალი წლიდან საქართველოში ახალი საბაჟო კოდექსი იმოქმედებს
პარადოქსი — საქართველოში საბაჟო ურთიერთობებს 100 კანონი არეგულირებს

თამარ სუჯაშვილი

— კონტრაბანდა საბაჟო დეპარტამენტისთვის დღემდე „აქილევსის ქუსლად“ რჩება. რა კეთდება კონტრაბანდასთან ბრძოლის თვალსაზრისით?

— კონტრაბანდასთან ბრძოლა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს. ერთ-ერთი საკადრო პოლიტიკაა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამის გარეშე შეუძლებელია კონტრაბანდასთან ბრძოლა. მეორე მიმართულებაა ოპერატიულ ინფორმაციაზე რეაგირება. მესამეა — მებაჟეების კვალიფიკაციის ამაღლება. ვინც ვერ აკმაყოფილებს ატესტაციის მოთხოვნებს, ბუნებრივია, თანამდებობას ტოვებს. ახალი კადრების მოსაზიდად ავამოქმედეთ სტაჟირების სისტემა, რომელმაც ვფიქრობ, რომ გაამართლა. მიღების პირველ ეტაპზე სტაჟიორები უნარ-ჩვევების ტესტებს აბარებენ. მათ მაშინვე არ ვთხოვთ საბაჟო კანონმდებლობის ცოდნას. კანონმდებლობას ისინი პრაქტიკასთან ერთად სწავლობენ, თუმცა, პარალელურად თეორიულ კურსსაც გადიან. მათგან ირჩევიან ის სტაჟიორები, რომლებმაც შემდგომ ტესტირება უნდა გაიარონ.

საბაჟო სისტემაში ის ადამიანები დარჩებიან, ვინც ამას იმსახურებენ. საბაჟოს თანამშრომლების მიმართ ორი მარტივი მოთხოვნა გვაქვს: წესიერება და მაღალი კვლიფიკაცია. ალბათ წლის ბოლომდე დავამთავრებთ ატესტაციებს.

— როგორც ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, ბიუჯეტის 26-მილიონიანი ზრდა ძირითადად, საბაჟო შემოსავლების გაზრდის ხარჯზე ხდება. როგორია საბაჟო შემოსავლები წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით?

— 8 თვის განმავლობაში წინა წელთან შედარებით, შემოსავლები 217 მილიონით მეტია. ბუნებრივია, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ადმინისტრირების დონე მნიშვნელოვნად უმჯობესდება.

— რამდენს მიაღწევს წლის ბოლომდე საბაჟო შემოსავლები?

— გარკვეული მიზეზების გამო პასუხისგან თავს შევიკავებ... ვნახოთ. ჩვენი მიზანია, იმპორტირებული საქონელი, რომელიც დაბეგვრას ექვემდებარება, დაიბეგროს. როცა ამ მიმართულებით სწორი პოლიტიკა ტარდება, შესაბამისად, შემოსავლები ავტომატურად იზრდება.

— ამას წინათ, იმპორტიორთა უკმაყოფილება გამოიწვია ტვირთების კუბმეტრების მიხედვით განბაჟებამ...

— მე არ ვიცი, კუბმეტრებს რას ეძახიან... მაგრამ არსებობს ქვეყნები, საიდანაც შემოსული ტვირთების საბაჟო ღირებულება დოკუმენტებში შემცირებულია. ასეთი ქვეყნებიდან შემოდის ტვირთები, რომელიც არ არის შესაბამისად დასაწყობებული. ბუნებრივია, ასეთი ტვირთების შემომტანებს საბაჟოზე პრობლემები ექმნებათ და თუ ასე გააგრძელებენ, მომავალშიც შეექმნებათ. მაგალითად, როცა ტვირთი ემირატებიდან შემოდის, ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, მასში დაახლოებით 20-30 ადამიანის ტვირთია. ტვირთი სხვადასხვა სახის საქონლისგან შედგება. ადამიანი, რომელიც ამ ტვირთზეა პასუხისმგებელი აცხადებს, რომ არ დავსწრებივარ ჩატვირთვას და იქნებ, ექსპერტიზა დამინიშნოთო. თქვენ გჯერათ, რომ ადამიანმა, რომელიც ფულს იხდის, არ იცის, რა არის უცხოეთიდან ჩამოსულ ტვირთში? აშკარაა, რომ ასეთი იმპორტიორები გადასახადის თავიდან აცილებას ცდილობენ. ჩვენ ამ ტვირთების დათვლა, შეფასება გვიწევს, რაც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული. პრობლემებიც აქედან მომდინარეობს. იმპორტიორებს შევთავაზეთ, რომ თავიანთი ტვირთები ცხრანიშნა საბაჟო კოდების მიხედვით დაალაგონ, რაც შესაბამისად, გააადვილებს ტვირთის დათვლას და მის საბაჟო ღირებულების დადგენას. მსგავსი პრობლემები არ ექმნება მსხვილ, ანუ ორგანიზებულ იმპორტიორებს. ამ ტიპის პრეტენზიებს გამოთქვამენ ის ადამიანები, რომლებიც ე.წ. ჩანთის ბიზნესით არიან დაკავებულები და რომლებიც სისტემატურად ცდილობენ თავი აარიდონ გადასახადებს.

— იმპორტიორთა უკმაყოფილებას ისიც იწვევს, რომ წითელი ხიდის საბაჟოდან შემოტანილი ტვირთის საბაჟო „ოპიზაში“ განბაჟება უწევთ და საამისოდ, მათ დიდი მანძილის გავლა უსდებათ...

— წარმოუდგენელია, რომ ყველა ტვირთის განბაჟება გამშვებ პუნქტებზე დავიწყოთ. ეს ნიშნავს უზარმაზარ რიგებს, რაც პრობლემებს შეუქმნის ტრანზიტულ ტვირთებსაც. ჩვენი ერთი-


ეგზოტიკა და ბუნება ჩემი ცხოვრების განუყრელი ნაწილია

გეიზერი. გეიზერში ვიბანავე და ძალიან დიდი შთაბეჭდილებაც დატოვა. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, რომანტიკული დღე ბევრი მაქვს. ბოჰემაში ყოფნა მიყვარს...

— ბოჰემა ახსენეთ. ხელოვანი ხალხი, ბოჰემა და... თავისთავად სასმლის ასოციაციაც მოდის. როგორი დამოკიდებულება გაქვთ სასმელთან, ხშირად გიწევთ ქეიფი?

— In vino veritas — ღვინოშია ჭეშმარიტება! — ნათქვამია, რასაც სავსებით ვეთანხმები. ძალიან მიყვარს ქეიფი. ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც სულ მამაჩემის ძმაკაცები ტრიალებდნენ და კვიცი გვარზე ხტისო — ხომ გაგიგონიათ! ჩემი სამეგობროც მოქეიფე ადამიანებისგან შედგება. ისე, ღვინით ქეიფს თავისი ტრადიცია აქვს, თავისებური მიდგომა უნდა. არ მიყვარს, როცა ადამიანი დასათრობად ქეიფობს. თუმცა, დგება მომენტები, როცა რაღაცას გინდა გამოეთიშო, თვალები დახუჭო... ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, სულ მიწევს სუფრასთან „ურთიერთობა“: ყველას უყვარს მსახიობებთან ქეიფი და დროს ტარება. ჩვენც უარს არ ვამბობთ მიპატიჟებაზე და არ ვიკლებთ...

— ...მერე, დილით, „დილიჟანსს“ ქირაობთ, რომელშიც გვერდს ფაფარაშლილი ლომები გიმშვენებთ, ხომ?..

— ახლა, მთლად ლომები არ მყოლია, მაგრამ თუ საჭირო გახდება, აბა, რას ვიზამ *(იცინის)*?!.

— „პახმელიას“ და სამუშაოს როგორ უთავსებთ ერთმანეთს?

— არასოდეს ყოფილა შემთხვევა, რომ „პახმელიაზე“ სპექტაკლი მეთამაშოს. ბევრ მსახიობს ვიცნობ, უფროსი თაობიდანაც და ახლანდელიდანაც, რომელიც „პახმელიაზე“ სვამს და მერე ჩვეულებრივად თამაშობს. მე ეს არ შემიძლია. საკმარისია, ცოტა ლუდი მოვწრუპო, ენა მებმება. ასე რომ, სამუშაო დღეებში ალკოჰოლთან არ „ვმეგობრობ“. არ არის სწორი „პახმელიაზე“ თამაში...

— თქვენს ცხოვრებას რას შეადარებდით — ჭადრაკის პარტიას თუ „პოკერს“?

— უარესს გეტყვით: „ბრიჯის“ თამაშს. ყველაზე რთული თამაშია და სწორედ ამიტომ შევადარებდი...

— ყველაზე დიდი კომპლიმენტი, რომელმაც არაორდინარულობით დაგამახსოვრათ თავი?

— სპექტაკლი — „სამგროშიანი ოპერა“ რომ დამთავრდა და მსახიობები სცენაზე გამოვედით, ერთ-ერთმა მაყურებელმა ერთ და ორთეთრიანი მონეტები ბღუჯად შემოგვაყარა. ძალიან დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი იყო. სიმბოლური იყო „სამგროშიანი ოპერისთვის“ გროშების სროლა...

— „სამგროშიანი ოპერის“ დროს, თუ არ ვცდები, ერთხელ, რაღაც აფეთქებაც მოხდა...

— მართალია. მსახიობი გია გოგიშვილი აგვიფეთქდა: სპექტაკლის დროს რა იარაღიც უნდა ეხმარა, იმაში პლასტმასის „პისტონჩიკები“ დევს. გიას საშინელი ხელი აქვს, რაღაც სხვანაირად გამოჰკრა ჩახმახს ხელი და ყველა „პისტონმა“ მიყოლებით დაიწყო აფეთქება. აუვიდა გიას ბოლი, გაიჭვარტლა. დარბაზში რაც მოხდებოდა, ადვილი წარმოსადგენია...

— თუ გაიხსენებთ ყველაზე საზიზღარ კითხვას, რომელიც თქვენთვის დაუსვამთ?

— ვერ ვიტან უაზრო კითხვებს. ზოგიერთი ჟურნალისტი მოვა თეატრში და მეკითხება, ვთქვათ, რა ზომის ფეხი მაქვს. რა არის ეს? ფეხის ზომა გაინტერესებს თუ თეატრი?! მესმის, სხვა თემაზეც შეიძლება საუბარი, მაგრამ „დაბნეულ“ კითხვებს ვერ ვიტან. ამიტომაც ვცდილობ, თავი ავარიდო ინტერვიუებს. ყველაზე მეტად კი ის მაგიჟებს, როცა რაღაცას მოვყვები და სათაურად სულ სხვა რაღაცას დაურთავენ.

ლევან წულაძის „სხვა მთვარე“
ვახტანგი (რეჟისორი) — ზუკა პაპუაშვილი

— ახლა ისიც მითხარით, ისეთი რა კითხვა არ დაუსვამთ, რომელზეც სიამოვნებით გასცემდით პასუხს?

— ჩემს შვილზე არ დაუსვამთ კითხვა... ქეთევანი ერთი წლისაა და ნელ-ნელა, უკვე დაიწყო ლაპარაკი. ძალიან დამემსგავსა. „დიმპიტაურ-დამპიტაურიც“ ისწავლა და აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მასში მამის გენები ჭარბობს: ახლა რომ „დიმპიტაურის“ ძახილშია, 10 წლის შემდეგ რაღას იზამს, წარმოგიდგენიათ?!. ამის გამო, ძალიან ვშიშობ. რასაკვირველია, მიხარია, მამას რომ ჰგავს, მაგრამ გოგოა და ყველაფერში მამას რომ ჰგავდეს, ნამდვილად არ მინდა...

■

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების ინტენსიური სწავლების ცენტრი აცხადებს მსურველთა მიღებას ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული სასაუბრო და სპეციალური სამედიცინო ენის შესასწავლ კურსებზე.

სწავლების სრული კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა ენის ფლობის შესაბამისი დონის (დამწყები, საშუალო, სამედიცინო ენა) დამადასტურებელი სერტიფიკატი.

☎ 39-54-86; 8(93) 26-38-36; 8(93) 10-40-81

„ჩვენებურები“ — ყაფანარეული ტექმამიშვილების ოჯახში ლაბრეანება

ფესტივალზე — „ჩვენებურები“ კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ ქართველი რაც არ უნდა შორს იყოს სამშობლოსაგან და რაც არ უნდა ბევრი დრო გავიდეს სიშორეში, დედაენას და მშობლიურ სიმღერას ვერ ივიწყებს. ემიგრანტების თქმისა არ იყოს, როგორც ჩანს, „ქართული გენი იმ საოცარ ყვავილს ჰგავს, რომელსაც ვერანაირი წინაღობა ვერ აკავებს და ერთ მშვენიერ დღეს, კლდესაც კი არღვევს, რათა თავისი დიდებულებითა და ბრწყინვალებით წარმოჩინდეს სამზეოზე“. ამიტომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ ქართველებს, რომელთაც მშობლიური ენა არ იციან, იმედი აქვთ, რომ ბოლოს და ბოლოს, ქართულად ალაპარაკებულ-ამღერებულნი ეახლებიან საკუთარ „დედამიწას“ (ასე ეძახის ზოგიერთი ემიგრანტი საქართველოს) და თაყვანს სცემენ მას...

ეკა ლომიძე

ფესტივალმა — „ჩვენებურები“ კიდევ უფრო გაამყარა ხიდი, რომელიც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე შენდებოდა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა შორის. „ჩვენი გაერთიანება იწყება. როდესაც საბოლოოდ მოვძებნით ერთმანეთს და ქართველს საქართველოსთან სიშორის ტკივილი აღარ დაახრჩობს, ამ მადლიანი ქვეყნის მიწაც გაერთიანდება. ეს მალე მოხდება“, — ხმამაღლა ამხელენ ოცნებას ევროპისა და აზიის ქვეყნებში გაბნეული ქართველები, რომლებიც სიამოვნებით გვიმხელდნენ პატარა საიდუმლოს: ახლა, ჩვენ აქ თავს სტუმრებად უნდა ვგრძნობდეთ, არადა, გვგონია, რომ მასპინძლები ვართო...

ფესტივალზე განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია მაჭახელას ხეობიდან ჩამოსულმა არაპროფესიონალი მომღერლებისგან შემდგარმა, მაგრამ საოცარი ემოციური მუხტის მქონე, ბაბუების ანსამბლმა — „მაჭახელამ“. ხეობის სხვადასხვა სოფელში მცხოვრებთ ერთმანეთი დიდი ხნის წინ, ქართული სიმღერის წყალობით მოუძებნიათ... „დავდიოდით მერე ლხინსა და ჭირში და ჩვენებური სიმღერით ვხალისობდით, თან ნაღველს ვიქარვებდით. გვიხარია, რომ ამ სიბერეში დედასამშობლოს გულს ვეწვიეთ და აქ ვიმღერეთ ჩვენი მამა-პაპისაგან გადმონაკვნესარი. ეს

დიდი ძმობის აღდგენის დღეა და აღარასოდეს უნდა დამთავრდეს. ჩვენ წავალთ, როცა დრო მოვა, ჩავქრებით და ჩვენი სიმღერები თქვენ, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა ატაროთ ქვეყნიერების კიდით კიდემდე ისე, როგორც მამა-პაპისგან დანატოვარი ჩვენ ვატარეთ. ამას გიანდერძებთ, ბაბუ“, — ასე დაგვმოძღვრეს მაჭახელელმა ბაბუებმა, რომლებიც ძალზე პოპულარულები არიან მთელ თურქეთში, ტელეკომპანია TRT-მ მათზე დოკუმენტური ფილმიც გადაიღო.

ანსამბლი „მაჭახელა“

ბაბუების ანსამბლად ჩამოყალიბება ახალგაზრდა კაცის — იბერია ოზგანმელაშვილის დამსახურებაა. სწორედ ქართული ფოლკლორის ამ თაყვანისცემლისა და ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებლის თაოსნობით დაიწყო სცენაზე გამოსვლა ანსამბლმა, რომელიც ადრე, მხოლოდ ყოფით პირობებში — სახლში, ყანაში, მეგობარ-ნათესავების თავშეყრის ადგილებში მღეროდა. „მაჭახელას“ გამოცემული აქვს ალბომი, აუდიოკასეტა და კომპაქტ-დისკი. მისი შემოქმედება ქართველ ფოლკორისტთა დიდი ინტერესისა და შესწავლის ობიექტადაც იქცა, ვინაიდან ისინი მღერიან ბევრ ისეთ სიმღერას, რომელიც ჩვენში უკვე დავიწყებულია.

„ჩვენებურების“ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყვნენ, თურქეთში ცნობილი მომღერლები — გურჯი ბაიარ გუნდარიძე და ლაზი ბიროლ თოფალიში. „გზა“ ორივე მათგანს პირადად შეხვდა. სხვათა შორის, ბაიარიც მაჭახელიდანაა წარმოშობით. იქ დაბადებულა და მხოლოდ 13 წლის ასაკში გადასულა საცხოვრებლად შუაგულ თურქეთში. იგი უკვე რამდენიმე მუსიკალური ალბომის ავტორია. ბაიარი თურქეთის ქართველებში სოფელ-სოფელ დადის, მივიწყებული ქართული სიმღერების გადასარჩენად. მინდა, ეს სიმღერები მსოფლიომ გაიცნოსო, — ამბობს ბაიარი. მის რეპერტუარში ძირითადად, ქართული და ლაზური სიმღერებია, ასევე მღერის თურქულსაც. ალბათ, სულ მალე, ბაიარი უფრო ხშირად ესტუმრება სამშობლოს, რადგან მისი სრულუფლებიანი მოქალაქე გახდება: მომღერალმა გადაწყვიტა, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ უცხოეთში მცხოვრები ქართველებისადმი ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების უფლებით ისარგებლოს. ამის შესახებ ***ბიარ გუნდარიძემ*** *ექსკლუზიურად გაგვიმხილა.*

— ბაიარ, ამბობენ, რომ სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდები თურქეთში, მართალია?

— საბედნიეროდ, ასეა. უფრო ხშირად მიწვევენ კონცერტზე. თუმცა, ეს სამწუხაროდ, არ მოქმედებს სპონსორების დაინტერესებაზე. არადა, ძალიან მჭირდება

არ გაბოროტდეთ!

ოქტომბრის ნომერი

ლიტერატურული პაექრობა



თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

ფინანსური თანადგომა იმისათვის, რომ სოფლებში სიმღერების ჩაწერა და შესწავლა შევძლო.

— საქართველოდანაც არავინ დაინტერესებულა ამ საქმით?

— ამ საკითხზე ლაპარაკი კი იყო, მაგრამ ჯერჯერობით, არავის უთქვამს — აბა, ავდგეთ და საქმე გავაკეთოთო. საკმაოდ ბევრი დროც სჭირდება თურქეთში გაბნეულ ქართველებთან მუშაობას. მათთან რომ მიხვიდე და უთხრა — აბა, გაიხსენე, რა გისწავლია მამა-პაპისგანო, — გაუჭირდება ასე უცებ რაიმეს თქმა: იბნევიან, მორცხვობენ... თავისებური მიდგომა სჭირდება ამ ხალხს. მე მივდივარ, როგორც სტუმარი, რომელსაც უბრალოდ, მათთან ყოფნა სურს. 2-3 დღის განმავლობაში, მეჩვევიან და საოცრად უშუალოები ხდებიან. თამამად მღერიან, იხსენებენ ტვინის ლაბირინთებში მინავლებულ ულამაზეს მელოდიებს. ერთად ვმღერით ხოლმე, ეს განსაკუთრებით მოქმედებს მათთან ურთიერთობისას.

— შენ შექმენი ანსამბლი „მშვიდობის მომღერლები“, მაგრამ ფესტივალზე ის არ გამოჩენილა. რატომ?

— მხოლოდ ორი მუსიკოსი მახლავს — ჭიბონზე და ქამანჩაზე დამკვრელები. მინდოდა, აქ დამეგობრებულ ბიჭებს გაეწიათ ჩვენთვის მუსიკალური „ძმობაც“. არსებობს შესანიშნავი გუნდი, რომელმაც „ჩვენებურები“ შარშანდელი ფესტივალის შემდეგ დაირქვა. ამ ბიჭებსაც მიხედვა, პატრონობა სჭირდებათ. მინდა, რომ მათაც ჰქონდეთ წინსვლა. ამას ნამდვილად იმსახურებენ.

— ბაიარ, შენ უკრავ ორიგინალური მოდელის საკრავზე, რომელიც გიტარას ჰგავს. იქნებ, გაგვიმხილო მისი წარმოშობის საიდუმლო?

— 2002 წელს, როცა თბილისში ჩამოვედი, გავიცანი შერმადინ დარჩიაშვილი, რომელიც ქართულ საკრავებს აკეთებს. მან მაჩვენა ეს გიტარა. ერთი ასეთი ჯემალ ბაღაშვილისთვის მიუცია. მომეწონა გიტარის ფორმა, ქართულ ჩოხას ჰგავს. სულ ოთხი ცალი გაუკეთებია. ერთ-ერთი მე ვიყიდე, ფანდურის სისტემაზე ავაწყვე და მას შემდეგ, ჩემი განუყრელი ინსტრუმენტია. ოსტატის გვარიდან გამომდინარე, მას „დარჩეული“ ჰქვია. მიხარია, რომ მსოფლიოში ოთხი „დარჩეულიდან“ ერთ-ერთი მე მაქვს.

— ახალს რას შესთავაზებ მსმენელს უახლოეს ხანებში?

— ახლა ვწერთ ახალ სიმღერებს, მათ შორის, ერთი — ლაზური იქნება, ერთიც — ხევსურული. მომავალ ზამთარში, სოფელში წასვლასაც ვაპირებ, რომ



იქ გაბნეული მუსიკალური მარგალიტები შევკრიბო. ნოემბერში კონცერტის ჩასატარებლად მივდივარ გერმანიაში, მერე თურქეთში გავმართავ კონცერტებს, შემდეგ, ალბათ, ისევ საქართველოს ვესტუმრები...

— თურქეთში ქართველი მომღერლების რაოდენობა მომრავლდა. ალბათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული სიმღერა პოპულარული ხდება იქ, ხომ? ამდენი ანსამბლი — „ქაფთა“, „ჩვენებურები“, „მაჭახელა“, „მშვიდობის მომღერლები“ — ცოტა ნამდვილად არ არის...

— ჯერ ვერ ვიტყვი, რომ მათი სიმრავლე თურქეთში ქართული ფოლკლორის პოპულარობის ნიშანია. მთავარი ის არის, რომ ქართული სიმღერა იქაურ ქართველებში ხდება პოპულარული. მიხარია, რომ ჩემმა მუსიკალურმა ალბომებმა და ტელევიზიით გამოსვლებმა ხელი შეუწყო ამ საქმეს. განსაკუთრებით ის მახარებს, რომ ახალგაზრდების დაინტერესება შევძელი. აი, „ჩვენებურების“ ახალგაზრდა მომღერლები ჩემს სიმღერებს რომ მღერიან, ისე მიხარია, რომ სიტყვებით ვერ გადმოგცემთ.

ბიროლ თოფალიში *ყველაზე ცნობილი ლაზი მომღერალია თურქეთში. შესანიშნავად უკრავს კოლხური მუსიკალური კულტურის კუთვნილ ყველა ინსტრუმენტზე — პილილზე, ტულუმზე (ლაზური გუდასტვირი). შარშან, თბილისში ჩონგურზე დაკვრაც უსწავლია. ბაიარის მსგავსად, ბიროლიც რამდენიმე ალბომის ავტორია. იგი ახალ ლაზურ სიმღერებს ჩაწერს ქართველ მომღერლებთან ერთად საპატრიარქოს მუსიკალურ სტუდიაში. ბიროლს ლამაზი ლაზური ოჯახი აქვს, რომელიც რამდენიმე დღეში, ახალი წევრის დაბადებას ელოდება. მომღელი სიამოვნებით გვიმხელს პატარა საიდუმლოს:*

— თუ ვაჟი შეგვეძინა, გოლას დავარქმევთ, რაც ლაზურად მთას ნიშნავს, თუ ქალიშვილი შეგვეძინა — შანას, რაც ჩვენებურად ბედს ნიშნავს...

— ამ ფესტივალს თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

— ძალიან დიდი. რადგან როგორც იქნა, თავი მოიყარეს ქართველებმა — უკრაინიდან, რუსეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან. ეს ძალიან კარგი მოვლენაა. ყველანი შევხვდით ერთმანეთს და არა უბრალოდ, საქართველოში მცხოვრები და ერთი რომელიმე დიასპორის წარმომადგენლები. ეს იმას ჰგავს, სხვაგან წასული და-ძმები ერთ დღეს, ოჯახში რომ ბრუნდებიან... ლაზები დანარჩენ ქართველებთან დიდად დაახლოებული თურქეთშიც კი არ ვართ და იმედი მაქვს, ასეთი ფესტივალები ჩვენს ურთიერთობებს უფრო გაამყარებს.

— როგორც გავიგე, საქართველოს საპატრიარქოში უნდა ჩაწეროთ ახალი ლაზური სიმღერები. ეს თქვენი და აქაური მომღერლების ერთობლივი პროექტის განხორციელების პირველი მცდელობა იქნება?

— არის ამაზე ლაპარაკი. თუმცა, სანამ არ გავეცნობი მომღერლების ვოკალურ მონაცემებს, არ დავადგენ, მოუხდება თუ არა მათი მონაცემები ლაზურ სიმღერას, მანამ თავს შევიკავებ გადაჭრით იმის თქმისაგან, რომ სიმღერას რომელიმე მომღერალთან ერთად ჩავწერ. თუმცა, არიან ისეთები, ვისთანაც ალბათ, ვიფიქრებდი სიმღერის ჩაწერაზე.

— თქვენს რეპერტუარში მხოლოდ ლაზური სიმღერებია?

ანსამბლი „მშვიდობის მეგობარი“

— ლაზური და თურქული. ვაპირებ ახალი მუსიკალური ალბომის ჩაწერას, სადაც მეგრული სიმღერებიც შევა. ამისათვის აქედან მიმაქვს ტექსტები სიმღერებისათვის.

— შარშან, თბილისში ჩონგურზე დაკვრა გისწავლიათ. პირობაც დაგიდვიათ აქაური მომღერლებისთვის — ჩონგურზე ნამღერს შემდეგი ჩამოსვლისას მოგასმენინებთო...

— ვცდილობ, კარგად დავხელოვნდე ამ ინსტრუმენტის ფლობაში. საერთოდ, ძალიან მაინტერესებს ქართული ფოლკლორი, მაგრამ ვფიქრობ, დღეს მეტი ყურადღების მიქცევა ლაზურ ფოლკლორს სჭირდება. მე ვმუშაობ მის გადარჩენაზე, მაგრამ ჩემი გარჯა საკმარისი არ არის. იმის გამო, რომ ლაზური სიმღერების პოპულარიზაცია არ ხდება, ისინი იკარგება. ჩვენი სიმღერები არ არის პოლიფონიური და ბევრ აქაურს ისინი თურქული ჰგონია. არადა, ის, რასაც ლაზები ვმღერით, მხოლოდ ლაზურია. ლაზურს ისევე უნდა

ბაიარ გუნდარიძე

გაფრთხილება, როგორც მეგრულს და სვანურს. ვფიქრობ, საქართველოში ამ ენების განვითარებას უნდა მიაქციონ ყურადღება, ბავშვებს პატარაობიდანვე უნდა ასწავლონ ამ ენებზე შემონახული ლეგენდები, მითები, ზღაპრები. ასე ძალიან შევეშველებით დაკარგვის პირას მისულ ენებს, რომლებიც ქართული ენის საფუძველი იყო. სამწუხაროდ, თურქეთში სერიოზული პრობლემა აქვს ლაზურ კულტურას და თუ საქართველო რაღაც ღონეს არ იხმარს ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ლაზურ კულტურას ძალიან გაუჭირდება. მას თურქულ კულტურაში ათქვეფის საშიშროება ემუქრება.

— რა ემოცია გეუფლებათ აქ ჩამოსვლის დროს?

— მისტიკური. საქართველოს და კავკასიას ჩემთვის მისტიკური, აუხსნელი მნიშვნელობა აქვს. მომწონს, თუ როგორ ინახავთ ქართველები თქვენს უძველეს კულტურას. მინდა, ყოველივე ლაზურიც — ანუ კოლხურიც — ასევე დაცული იყოს. ალბათ, მეტი სიახლოვე გვჭირდება ამისათვის...

■

ორასრულწლოვანმა დედის შეურაცხყოფისთვის შვრი იძია

მოკლული ცოლ-ქმრის გადამალული გვამები 5 დღის შემდეგ იპოვეს

ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთში მომხდარი შემზარავი მკვლელობის ამბავმა ყველა გააოგნა. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, აღშფოთებას ვერ ფარავდნენ სამართალდამცველებიც, როცა გაარკვიეს, რომ სასტიკი დანაშაული სრულიად შეუბღალავი წარსულისა და ბევრი დადებითი თვისების მქონე (მეზობლებისა და ახლობლების თქმით) არასრულწლოვნის მიერ იყო ჩადენილი. გაირკვა ისიც, რომ ამ შემზარავ გადაწყვეტილებამდე ის მოზრდილებმა მიიყვანეს. სწორედ მათ შორის წლების მანძილზე დაუსრულებელი ჩხუბისა და აგრესიის შედეგად გადმონთხეულმა ბოღმამ არასრულწლოვან მ. ორთოიძეს ცეცხლსასროლი იარაღი ააღებინა ხელში და ეს საშინელი დანაშაული ჩაადენინა. მის მიერ მოკლული ორი ადამიანის — კარის მეზობლებისა და მოგვარეების — ცოლ-ქმრის — ა. და ი. ორთოიძეების გვამები მოკლულების ნათესავებმა შემთხვევიდან მხოლოდ მეხუთე დღეს იპოვეს. აღმოჩნდა, რომ დამნაშავემ მოკლულთა გვამები მათივე საცხოვრებელი სახლის საპირფარეშოში დამალა, თავად კი მიიმალა.

გამოძიების მასალების მიხედვით, ხაშურის რაიონის სოფელ ქვიშხეთში, გვერდიგვერდ მცხოვრებ ორთოიძეების ოჯახებს შორის წლების მანძილზე გრძელდებოდა დავა და ჩხუბი. როგორც ამბობენ, კონფლიქტი საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოიშვა. მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, ერთ-ერთი ოჯახის დიასახლისი, ი. ორთოიძე პერიოდულად ეჩხუბებოდა მეზობელს — გ. ორთოიძეს, მაგრამ ასევე ხშირად, ამ უკანასკნელის შვილზე, ამჟამად მსჯავრდებულზე — მ. ორთოიძეზეც იყრიდა ჯავრს. ამავე ჩვენებების თანახმად, ის სისტემატურად წყევლიდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მ. ორთოიძეს, ეს კი არასრულწლოვნის აშკარა გაღიზიანებას იწვევდა.

2003 წლის ოქტომბრის ბოლოს (ზუსტი რიცხვი გამოძიებით დაუდგენელია), მ. ორთოიძემ შემთხვევით მოკლა ღორი. მან ღორის პატრონის ვინაობა არ იცოდა და ამიტომაც, ხორცი ბაზარში გაყიდა. ცოტა ხანში, მფლობელი გამოჩნდა. ის ორთოიძის თანასოფელი, ვ. ჩიტაძე აღმოჩნდა. მ. ორთოიძემ ისიც შეიტყო, რომ ღორის მოკვლის შესახებ ჩიტაძისთვის ამბავი მის ოჯახზე განაწყენებულ მეზობელს — ი. ორთოიძეს მიუტანია. ჩათვალა, რომ ეს მან მხოლოდ ანგარიშსწორების მიზნით ჩაიდინა და სურდა, ამით ჩიტაძის განაწყენებაც გამოეწვია. ჩიტაძეს ზარალი სრულად აუნაზღაურეს, ორთოიძეების ოჯახებს შორის კი, ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა.

მ. ორთოიძის დედა მძიმე სენით იყო დაავადებული. 2003 წლის 10 დეკემბერს, ის ცუდად შეიქნა და ოჯახის წევრები იძულებული გახდნენ, იგი თბილისის საავადმყოფოში მოეთავსებინათ. როცა ოჯახის უფროსმა, გ. ორთოიძემ დასნეულებული მეუღლე თბილისში წაიყვანა, სახლი მისახედად შვილს, მ. ორთოიძეს დაუტოვა. სწორედ იმ დღეს, მეზობელმა ცოლ-ქმარმა — ორთოიძეებმა ღორი დაკლეს. დიასახლისმა, ი. ორთოიძემ იცოდა, რომ მ. ორთოიძე შინ მარტო იმყოფებოდა, დაუძახა მას, ხორცი მიაწოდა და დამცინავად უთხრა: ღორი არ გყავთ, ვერც ეღირსებით, აჰა, წაუღე დედაშენს, სიკვდილის წინ აჭამეო... ასეთმა ცინიკურმა ქმედებამ მ. ორთოიძე წონასწორობიდან გამოიყვანა და მასში აგრესია გააღვივა. შურისძიების სურვილით აღვსილი, იმ გადაწყვეტილებით შებრუნდა შინ, რომ ცოლ-ქმარს იმავე ღამით გამოასალმებდა სიცოცხლეს. ამ საშინელი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან მოძებნა ლითონის 2,8-კილოგრამიანი მილი, რომელსაც ხრახნიანი წვერი ჰქონდა და 11 დეკემბერს, გამთენიისას, მალულად გადავიდა მეზობლების ეზოში. მერე ტუალეტში დაიმალა და ხელსაყრელ მომენტს, — თუ როდის გამოვიდოდა სახლიდან ცოლი ან ქმარი დაელოდა.

დაახლოებით დილის 7 საათისთვის,

სახლიდან ყავისფერ ლაბადაში გახვეული დიასახლისი — ი. ორთოიძე გამოვიდა და პირდაპირ საპირფარეშოსკენ გაემართა. კარი გააღო თუ არა, იქვე ჩასაფრებულმა მ. ორთოიძემ მას მილი რამდენჯერმე მოუქნია, შემდეგ კი, თავში ჩაარტყა. ქალი მაშინვე უსულოდ დაეცა. თუმცა მანამდე, დაკივლება მაინც მოასწრო.

ცოლის კივილი ა. ორთოიძემ გაიგონა. იგრძნო, რომ რაღაც საფრთხე არსებობდა და მეუღლის საშველად მოემზადა. მამის ნაქონ, სანადირო თოფს დაავლო ხელი და გარეთ გავარდა. მ. ორთოიძემ ის მაშინვე შენიშნა, სახლის კედელს ამოეფარა და მის მიახლოებას დაელოდა. დრო იხელთა თუ არა, მილი ა. ორთოიძესაც ჩაარტყა კეფაში. დარტყმის შედეგად, კაცი მიწაზე პირქვე დავარდა და ხელიდან თოფიც გაუვარდა. მ. ორთოიძე იარაღს სწვდა, საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და გონდაკარგულ ა. ორთოიძეს თავში დამიზნებით ესროლა.

როცა დარწმუნდა, რომ ორივე დახოცა, გადაწყვიტა, გვამები დაემალა. ჯერ ქალის გვამის შეტანა სცადა საპირფარეშოში. ტყავის ლაბადითვე სცადა მისი აწევა, მაგრამ ქსოვილმა სიმძიმეს ვერ გაუძლო. მ. ორთოიძემ ლაბადა იქვე მიაგდო და ხელით გადაიტანა მოკლული ქალი საპირფარეშოში. შემდეგ მეორე გვამთან მივიდა, ისიც გადაიტანა საპირფარეშოში, ცოლის გვამზე ზევიდან მოათავსა და კარი მიხურა. რაც შეეხება დანაშაულის იარაღს — ლითონის მილსა და სანადირო თოფს, — ორივე თან წაიღო და საკუთარი სახლის ეზოში გადავიდა. თოფიდან მასრა ამოიღო და სახლის კიბესთან მიაგდო, მილი თავის ავტოფარეხში დადო, სანადირო თოფი კი მეზობლად, მიტოვებულ სახლში დამალა. იარაღთან ერთად, მან თავის სახლში შენახული, 13 გასროლილი მასრაც გადამალა, რათა ვინმეს მასზე არ მიეტანა ეჭვი. ამის შემდეგ ტანსაცმელი გამოიცვალა და დის სახლისკენ გასწია. ფეხსაცმელი, რომელიც შემთხვევის დროს ეცვა, გზად მიმავალმა, მდინარე მტკვარში გადაყარა, ტანსაცმელი კი დას წაუღო გასარეცხად.

მოკლული ცოლ-ქმრის გვამები ნათესავებმა შემთხვევიდან მხოლოდ მეხუთე დღეს — 15 დეკემბერს აღმოაჩინეს საპირფარეშოში. ხალხის დაკითხვის შემდეგ, პოლიციამ მაშინვე მიიტანა ეჭვი მ. ორთოიძეზე, რომელიც იმავე დღეს დააკავეს. დაკავებულმა სამართალდამცველებს აღიარებითი ჩვენება მისცა და იმ ადგილებზეც მიუთითა, სადაც დანაშაული ჩაიდინა და იარაღი გადამალა.

სასამართლო პროცესზე განსასჯელმა წარდგენილ ბრალდებაში — განზრახ მკვლელობაში (დამამძიმებელი გარემოებით) თავი სრულად ცნო დამნაშავედ. მის მიერ ჩადენილი დანაშაული სასამართლომ გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებითაც — მოწმეთა ჩვენებებითა და ექსპერტიზის დასკვნებითაც ცნო დადასტურებულად. თუმცა, ყოველივე ამასთან დაკავშირებით, განსხვავებული პოზიცია და ვერსია ჰქონდათ დაზარალებულებს. მოკლულთა ნათესავები ვარაუდობდნენ, რომ მკვლელობა მხოლოდ არასრულწლოვანი მ. ორთოიძის მიერ ჩადენილი არ იყო. მათი ეჭვით, დანაშაულში სხვების ხელიც ერია და ამდენად, ადგილი ჰქონდა ჯგუფურ მკვლელობას. დაზარალებულთა თქმით, მხოლოდ ორთოიძე ვერ შეძლებდა დანაშაულის ორგანიზებასა და მის განხორციელებას, თანამონაწილეებს კი ის, ისევე, როგორც გამოძიება, ხელს აფარებდა. თუმცა, სასამართლომ დაზარალებულთა ეს ვერსია არ გაითვალისწინა, რადგან სასამართლოს განაჩენისა და განჩინების მიხედვით, მომხდარ ფაქტზე წინასწარი გამოძიება სრულყოფილად ჩატარდა, დანაშაულში სხვა პირთა მონაწილეობა კი არაფრით დადასტურდა.

ჩადენილი დანაშაულისთვის მ. ორთოიძეს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მოგვიანებით, მსჯავრდებულმა საკასაციო პალატას მიმართა და სასჯელის შემსუბუქება ითხოვა, მაგრამ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. პალატამ მიიჩნია, რომ სწორედ შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით განუსაზღვრეს მას ასეთი სასჯელი. მსჯავრდებული პატიმრობას არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის. ■

ფრაზები

გენიალური

უნდა შევუნდოთ და მივუტევოთ მტერს, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩამოახრჩობენ.

ჰაინე

გამამართლებელი განაჩენი ძალაში დარჩა

მცირეწლოვანი ბავშვებისა და მათი მშობლების მკვლელები დაუსჯელები რჩებიან

7 კაცის მკვლელობაში ბრალდებული 3 პირის მიმართ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გიორგი ქოიავას მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი, რომელსაც თავად იურისტები ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევას უწოდებენ, გასულ კვირას, საკასაციო პალატამაც ძალაში დატოვა. საქმე 1996 წელს, თიანეთის რაიონის სოფელ არტანში მცხოვრები, ბერიანიძეების ოჯახში დატრიალებულ საშინელ ტრაგედიას ეხება.

1996 წლის 25 სექტემბერს დღისით, ნათესავებმა და მეზობლებმა ბერიანიძეების ოჯახის ხუთივე წევრი — ცოლ-ქმარი პავლე და სონია, მათი შვილები — 15 წლის მაია, 13 წლის ნინო, 9 წლის გიორგი, ასევე ამ ოჯახში იმ დროს მყოფი ორი სტუმარი — სონია ბერიანიძის ძმა, შოთა წიკლაური და მეზობელი, 70 წლის ევა პაპიაშვილი ავტომატის ტყვიებით დაცხრილულები იპოვეს. შვიდივე გვამი ბერიანიძეების სახლის მეორე სართულზე აღმოაჩინეს. როგორც ჩანდა, ბოროტმოქმედებმა ისინი წინა ღამით, მძინარეები საწოლებში ჩაცხრილეს. ამ შემზარავ დანაშაულში პროკურატურამ 3 პირს — 1965 წელს დაბადებულ ზურაბ ქუშხეველს, 1955 წელს დაბადებულ გენადი პატარაშვილსა და 1964 წელს დაბადებულ ნიკო ჭამაშვილს დასდო ბრალი. გამოძიების მასალებით, მათ მკვლელობა ბერიანიძეების დაყაჩაღების, ამ დანაშაულის ჩადენის გაადვილებისა და დაფარვის მიზნით ჩაიდინეს. თუმცა, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ პროკურატურის ბრალდება სარწმუნოდ არ მიიჩნია და მტკიცებულებების არარსებობის მოტივით, სამივე განსასჯელი გაამართლა. განაჩენი პროკურატურამ ზემდგომ ინსტანციაში საკასაციო წესით გაასაჩივრა და მისი გაუქმება მოითხოვა.

რამდენიმე დღის წინ — 28 სექტემბერს, პროკურატურის საჩივარი უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართ-

ლის საქმეთა პალატამ განიხილა. პალატის მოსამართლეებმა პროკურატურის არგუმენტები არ გაიზიარეს, განაჩენის კანონიერება დაადასტურეს, ის ძალაში დატოვეს და მსჯავრდებულები კვლავ გამართლებულები დარჩნენ. წარსულში, მათგან მხოლოდ ზურაბ ქუშხეველი გახლდათ ნასამართლევი. პროკურატურა საბრალდებო დასკვნაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ის წინათ, გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობისა და სატრანსპორტო საშუალების გატაცებისთვის გაასამართლეს. თუმცა, მისი ადვოკატის — ზურაბ როსტიაშვილის თქმით, ქუშხეველის წარსული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას მსგავსი სისასტიკის ჩადენა — მცირეწლოვანი ბავშვების დახოცვა შეუძლია. სამივე განსასჯელი კატეგორიულად უარყოფდა ბრალს. სასამართლო პროცესზე ქუშხეველის ინტერესს, ზურაბ როსტიაშვილის გარდა, კიდევ ორი ადვოკატი — ხათუნა კაკალია და ოთარ სუყაშვილი იცავდნენ. პროკურატურა სწორედ ქუშხეველს ასახელებდა ბერიანიძეებზე ყაჩაღური თავდასხმისა და მკვლელობის ინიციატორად და ორგანიზატორად.

ზურაბ როსტიაშვილი, ქუშხეველის ადვოკატი:

„თავდაპირველად, როცა საქმეში ჩავერთე და ზურაბ ქუშხეველთან ციხეში შევედი, მცირე პროცენტით მაინც ვუშვებდი — მართლა ამის ჩადენილი ხომ არ არის დანაშაული-მეთქი? როდესაც ასეთ უმძიმეს ბრალდებებთან გაქვს საქმე, ბუნებრივია, ბრალდებულის მიმართ ეჭვი ჩნდება. მაშინ ქუშხეველმა შემომხედა და მითხრა — გულწრფელად ვაღიარებ, რომ მომპარავი ვარ და არაერთი ქურდობა ჩამიდენია, მაგრამ ფულის გამო კაცს ვერ მოვკლავ და მით უმეტეს, ბავშვებზე ხელს არ აღვმართავო. ამ სიტყვებს რომ მეუბნებოდა, ვაკვირდებოდი და ვხვდებოდი, არ ცრუობდა. იმასაც ვხედავდი, რომ სასტიკად იყო ნაწამები. მაგრამ მისი, ისევე, როგორც დანარჩენი ორი ბრალდებულის უდანაშაულობაში ყველაზე მეტად თავად გამოძიების მასალებმა დამარწმუნა. საქმე ისე იყო შეკერილი და იქ მოყვანილი ფაქტები ერთიმეორეზე ისე „ლამაზად“ აკინძული, რომ თავიდან ეჭვიც არ შეგეპარებოდა ამ ხალხის დანაშაულში. თანაც, შემზარავი იყო თავად ფაქტი. როცა წავიკითხე, თუ როგორ ჰყავდა 13 წლის გოგონას პატარა ძმა ჩახუტებული (როგორც ჩანს, სროლების დროს გაეღვიძა და უნდოდა, ძმას გადაჰფარებოდა), საქმის წაკითხვის სურვილიც კი დამეკარგა. ამ სისასტიკემ შემზარა. მაგრამ ისიც ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლებოდა, უდანაშაულო ადამიანისთვის ასეთი უმძიმესი ბრალდება წაეყენებინათ. საქმის დეტალებს და ჩვენებებს რომ ჩავუღრმავდი, სამწუხაროდ, ასეც აღმოჩნდა. იმდენმა წინააღმდეგობამ მოიყარა თავი, რომ ქუშხეველის, პატარაშვილისა და ჭამაშვილის უდანაშაულობაში ეჭვი აღარ მეპარებოდა. როგორც აღმოჩნდა, პროკურატურას ამ ადამიანების წინააღმდეგ ერთადერთი მტკიცებულება, ერთ-ერთი პატიმრის — გიორგი იმერლიშვილის მამხილებელი ჩვენება ჰქონდა. ამის გარდა, არც ერთი სამხილი გამოძიებას არ გააჩნდა. იმერლიშვილმა წლების შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად მოულოდნელად დაწერა ქუშხეველის, პატარაშვილისა და ჭამაშვილის მამხილებელი ჩვენება. როცა ის სასამართლოზე დავკითხეთ, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ცრუობდა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ იმერლიშვილმა ჩვენება სამართალდამცველების შეკვეთითა და მათი კარნახით დაწერა, სანაცვლოდ მას ციხიდან ვადამდე გათავისუფლებას დაჰპირდნენ. შემდეგ, გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით წარიმართა. პროკურატურა მხოლოდ ამ გეგმის განმხორციელებელი იყო. არავის აძლევდა ხელს, 7 კაცის მკვლელობის საქმე გაუხსნელი დარჩენილიყო, ამიტომაც ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ შესაფერისი კანდიდატურები მოეძებნათ. ესენი კი, იმ პერიოდში რუსეთიდან ახალი ჩამოსული ქუშხეველი (თანაც სხვა დანაშაულისთვის პასუხისგებაში მიცემული), პატარაშვილი და ჭამაშვილი აღმოჩნდნენ. სამივენი ბერიანიძეების თანასოფლელები არიან. გარდა ამისა, პატარაშვილი, ბერიანიძეების მცირეწლოვანი შვილის — გიორგის ნათლიაც იყო. თუმცა, პროკურატურამ ამაში ულოგიკობა კი არ დაინახა, არამედ პირიქით, იმის დასადასტურებლად გამოიყენა, თითქოს პატარაშვილმა ბერიანიძეების ოჯახის შემოსავალი იცოდა და დანაშაულის განსახორციელებლად სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციებსაც ფლობდა.

აღნიშნულ მკვლელობასთან დაკავშირებით, ხალხში სხვა ვერსიებიც ვრცელდებოდა, სხვათა შორის — არცთუ ისე უსაფუძვლო, მაგრამ გამოძიება ამ ვერსიების გზას არ გაჰყოლია. არც დაინტერესებულან, რადგან იმთავითვე გრძნობდნენ, რომ ამ გზით საქმეს ვერ გახსნიდნენ და ნამდვილ დამნაშავეებს ვერ დაიჭერდნენ. ამიტომაც ამოიღეს მიზანში ქუშხეველი, დანარჩენი ორი პირიც, მოძებნეს იმერლიშვილიც და საქმე, ვითომდა გახსნილი და გამოძიებული, სასამართლოში გაგზავნეს. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ კარგი ნამუშევარი ჰქონდათ, მაგრამ, როგორც იტყვიან — მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო — ჩვენთან ვერაფერს გახდნენ; სასამართლოში გამოძახებულმა, ბრალდების ვერც ერთმა მოწმემ კრიტიკულ დაკითხვას ვერ გაუძლო. იმერლიშვილის მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება თავდაყირა დადგა. სწორედ ამ ჩვენების მიხედვით, ქუშხეველი მასთან მივიდა და ბერიანიძეების ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა შესთავაზა; იმერლიშვილმა უარი უთხრა, მაგრამ ყაჩაღობისთვის საჭირო, თავისი კუთვნილი ავტომანქანა ათხოვა. მისივე თქმით, ამ საუბარს მისი ბავშვობის მეგობარი — წიქარაძე ესწრებოდა. დავინტერესდით, ვინ იყო წიქარაძე. ისიც პატიმარი აღმოჩნდა. გაირკვა, რომ იმერლიშვილმა ის სწორედ ციხეში გაიცნო და ბავშვობის მეგობარი, აქედან გამომდინარე, ვერ იქნებოდა. დავადგინეთ ისიც, რომ ზუსტად იმ პერიოდში, როცა იმერლიშვილმა, მისივე თქმით, ქუშხეველს ავტომანქანა ათხოვა, წიქარაძე ციხეში სასჯელს იხდიდა და მის ბინაში ვერანაირად ვერ იქნებოდა და ვერც ზემოთ აღნიშნულ, ვითომდა საუბარს დაესწრებოდა. მამხილებელი ჩვენების გასაბათილებლად ესეც საკმარისი იყო, მაგრამ ამას გარდა, კიდევ ბევრი უზუსტობა გამოიკვეთა. სასამართლო პროცესზე დღითი დღე ცხადი ხდებოდა ყველასთვის, რომ პროკურატურა სრულიად უდანაშაულო ადამიანებს უყენებდა ბრალს უმძიმესი — 104-ე მუხლით. ეს მუხლი ადრე, სასჯელის მაქსიმუმს — დახვრეტას ითვალისწინებდა. სამართლებრივ ქვეყანაში ასეთი ბრალდება არ უნდა შეითხზას, უდანაშაულო პირთა განზრახ პასუხისგებაში მიცემისთვის კი, პროკურატურის თანამშრომლებმა, რომელთაც ამაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს, კანონის თანახმად, პასუხი უნდა აგონ. არ გამოვრიცხავ და სრულიად სამართლიანიც იქნება, რომ ქუშხეველმა, პატარაშვილმა და ჭამაშვილმა იჩივლონ და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვონ, რადგან მათ დაუმსახურებლად მოუხდათ ციხეში საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის გატარება და ამასთანავე, საზოგადოებამ ისინი გაიცნო, როგორც მკვლელები, უფრო მეტიც — როგორც მცირეწლოვანი ბავშვების მკვლელები. ყოველივე ეს კი, დღემდე თრგუნავს და ჩირქს სცხებს თითოეული მათგანის ღირსებას“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი კანონის თანახმად, უდანაშაულო პირის განზრახ პასუხისგებაში მიცემისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მისი ბრალდებისთვის (146-ე მუხლი) გათვალისწინებული სასჯელი — 3-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა გახლავთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კანონის მიუხედავად, ადვოკატები ნაკლებად ელიან, რომ ვინმეს პასუხს აგებინებენ. საქმეს გენერალური პროკურატურა (გამომძიებელი — ზ. ზარანდია) იძიებდა. პროკურატურის წარმომადგენლები, ჯერ კიდევ სასამართლო პროცესზე, კატეგორიულად უარყოფდნენ განსასჯელთა ადვოკატების ბრალდებებსა და პრეტენზიებს, საქმის არაობიექტური გამოძიების შესახებ. გამამართლებელი განაჩენის შემდეგ კი, თავად სდებდნენ ბრალს სასამართლოს, დაინტერესებასა და მიკერძოებაში. ფაქტი ერთია: 9 წლის წინ მომხდარი საზარელი მკვლელობა კვლავ გაუხსნელია, მცირეწლოვანი ბავშვებისა და მათი მშობლების მკვლელები კი — დაუსჯელები რჩებიან.

■



სიმთვრალეში დაშვებული შეცდომები

მესიჯი საიქიოდან, დაკარგული ცხვირის ამბავი და ცეკვა-გახდა მანქანის სახურავზე

პირველი სასწაული, რომელიც იესომ მოახდინა, იყო ის, რომ წყალი ღვინოდ აქცია. მაგრამ უფალს არ უთქვამს — წყლის მაგივრად, ღვინო მიირთვით და ყოველდღე ბანცალ-ბანცალით იარეთო... ქრისტეს კიდევ ერთი სასწაული — ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებაა. მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ უფალს ამ სასწაულზე „საავტორო უფლება“ ჩამოვართვი და იმდენი ვწერე ეს „გზავნილები“, რომ სანამ მკვდარი არ „ავალაპარაკე“, არ მოვისვენე (ამის შესახებ — მოგვიანებით): ახლა უკვე მესიჯებს „ზეციდანაც“ ვიღებ და იმ „მკვდარს“ ცოტა რომ გავუშინაურდები, მერე ჩემი წინაპრების ამბავსაც გამოვკითხავ... ახლა ხუმრობა იქით იყოს და ნამდვილი სასწაული ის იქნება, თუ პირველი მესიჯის ავტორს თავისი ნაამბობის გამოქვეყნება და საქვეყნოდ ბოდიშის მოხდა უშველის და სიმთვრალეში ჩადენილ შეცდომას ასე გამოისყიდის.

მარი ჯაფარიძე

„მაპატიე, თორემ...“

„მარი, ბოლო იმედად შენღა დამრჩი. ვერ წარმოიდგენ, ამ რამდენიმე დღის წინ, სიმთვრალეში რა სისულელე ჩავიდინე. დავიწყებ იმით, რომ 2 წლის წინ, ორი მეგობარი გოგო ერთად გავიცანი. დალი უფრო „სტერვა“ — თამამი და ამაყი გოგო იყო; ხათუნა — ჩუმი, მოკრძალებული და მუდამ მოღიმარი. გარეგნობით თითქმის თანაბარი შანსი ჰქონდათ, მაგრამ მე მაინც დალი შემიყვარდა, მისკენ უფრო მიმიწევდა გული. მთელი წელი ვდიე. ხან მეუბნებოდა — მიყვარხარო, ხან — დასანახავად ვერ გიტანო, მაწვალებდა და მაწამებდა. ვგრძნობდი, რომ ხათუნას ვუყვარდი, მაგრამ ისე ვიყავი დაკავებული დალის მორჯულებით, რომ მის გრძნობას აინუნშიაც არ ვაგდებდი. ბოლოს ისე მოხდა, რომ დალი თავისზე 17 წლით უფროს კაცზე გათხოვდა... ერთი კვირის შემდეგ, ხათუნას დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. მინდოდა, დალის ამბები გამომეკითხა. შევხვდით. კაფეში დავსხედით თუ არა, ჯერ დალის გინებით ვიჯერე გული, მერე აღშფოთებული, მაგიდაზე მუშტს ვაბრახუნებდი, მერე, ღამის ვიტირე... ხათუნა ჩუმად მისმენდა. უცებ გავჩუმდი, რადგან მივხვდი, რომ 2 საათის განმავლობაში, სულ მე ვლაპარაკობდი, მას კი სიტყვაც არ უთქვამს. როცა გავჩუმდი, თვალებში შემომხედა და მკითხა — მორჩიო? თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად. — შენ ბრმა ხარო, — მითხრა. რა თქმა უნდა, გავაპროტესტე და დავინტერესდი, რით ახსნიდა თავის ნათქვამს. — შენ ცხვირწინ დალი სხვა კაცს როცა ხვდებოდა, ვერ ხედავდი, იმ კაცთან ქორწინებამდე, სექსიც რომ ჰქონდა, ვერც იმას, შენს გრძნობებზე რომ თამაშობდა და თავის გართობასა და ძვირფას საჩუქრებზე ფულს რომ გახარჯვინებდა, ვერც ეგ დაინახეს შენმა დასაბრმავებელმა თვალებმა და ვერც ის, რომ მე გაცნობის პირველსავე დღიდან მიყვარხარ, დალიმ კი უბრალოდ, ჩემთან დადებული სანაძლეო მოიგოო... — თქვა და წამოდგა, კაფეში მსხდომ ხალხს არ მოერიდა, დაიხარა, თავისი ფუმფფულა ტუჩებით ტუჩებზე შემეხო და წავიდა. ეს წამიერად მოხდა, მაგრამ არც ერთი ქალის კოცნას ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია... მთელი ღამე არ დამაძინა მისმა ამბორმა. გათენდა თუ არა, მის სამსახურთან დავერჭვე. რომ დამინახა, გამიღიმა, მომიახლოვდა და მითხრა — მგონი, მკურნალობამ შედეგი გამოიღო და თვალში სინათლე დაგიბრუნდაო... იმ დღის შემდეგ, მის აჩრდილად ვიქეცი და პირველად, 26 წლის ასაკში მთელი გულით შემიყვარდა. აი, თურმე, ნამდვილი გრძნობა როგორი ყოფილა-მეთქი! — ვფიქრობდი. მალე ქორწილსაც ვგეგმავდით, მაგრამ ერთი დაბრკოლება არსებობდა — მამამისს ჩემი სახელის ხსენებაც კი არ უნდოდა. ხათუნა დაუფარავად მეუბნებოდა — რომ გავიპაროთ, ორივეს დაგვხოცავს. თავისი ნებით ის შვილს არ გამატანდა და აბა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი?.. მოკლედ, სასიმამროზე დაბოღმილი ვიყავი და მის სიკვდილს ვნატრობდი... ამ რამდენიმე დღის წინ, მეგობრის ქორწილში ვიყავი. კარგად გამოვთვერი. სიძე-პატარძალს რომ ვუყურებდი, მეც მომინდა, ჩემი ხათო ასე, თეთრ კაბაში გამოწყობილი ამომეყენებინა გვერდით და სუფრასთან ისევე მეჩურჩულა ყურში, მიყვარხარ-მეთქი, როგორც ამას ჩემი მეგობარი აკეთებდა. ღვინოს ამის გამო მივეძალე... შუაღამე იყო, როდესაც ქორწილიდან წამოვედი. ხათუნას დავურეკე და ვუთხარი — ჩამოდი, უნდა გნახო-მეთქი. უარობდა: — მამაჩემი შინ არის, მომკლავს, ახლა გარეთ რომ გამოვიდეო. ავდექი და მე თვითონ მივედი მათთან ოჯახში. გადავწყვიტე, მამამისთან ურთიერთობა ერთხელ და სამუდამოდ გამერკვია. „ომახიანად“ დავაკაკუნე. კარი სასიმამრომ გამიღო. უცერემონიოდ შევაბიჯე ოთახში. სავარძელში ჩავჯექი, იდაყვი მაგიდის კუთხეზე ჩამოვდე და მტკიცე ხმით ვიკითხე — ამ ოჯახში ვის არ ვევასები-მეთქი?.. ჰოდა, ატყდა, მაგრამ რა ატყდა! ხან მე ვიყავი ზევიდან და ხან ის იყო... ქვევიდან... ვიჩხუბეთ მე და სასიმამრომ, უშვერი სიტყვებით ვაგინე, თვალიც დავულურჯე (მეც დამილურჯა) და წამოვედი, უფრო სწორად — გამომაგდეს და კარიც მომიჯახუნეს. მერე ვაბრახუნებდი კარზე და ხათუნას ვეძახდი — თუ ახლა არ გამომყვები, მიგატოვებმეთქი... სახლამდე პატრულმა „მიმაცილა“... რომ გამოვფხიზლდი, თავის მოკვლა მინდოდა. ეს რა ჩავიდინე?! ღმერთო, მაპატიე!.. არა, ღმერთი რა შუაშია?.. ანზორ მიხაილოვიჩ, საქვეყნოდ გიხდით ბოდიშს! მაინც თქვენი სიძე გავხდები და გირჩევნიათ, მაპატიოთ... ხათუნას მომავალი ქმარი“.

მესიჯის ბოლო ნაწილმა ჩემი სვანი ნათესავი გამახსენა. წვეულებიდან ვბრუნდებოდით, ჯგუფად მოვდიოდით და გამვლელები გვერდს გვიქცევდნენ. ერთი კაცი კი, ჯიქურ შემოიჭრა 10-12 სვანს შუა. ლევანმა ხელით გააჩერა და სანთებელა სთხოვა; ამ დროს წაბარბაცდა და იმ კაცს შემთხვევით ფეხი დაადგა. — უჰ, მაპატიეო, — მოუხადა ბოდიში და სახეზე შეხედა. გამვლელმა პასუხი არ გასცა. — მაპატიე? — ჩაეკითხა ლევანი. ისიც კარგი ვინმე ჩანდა — ისევ არ გასცა პასუხი. ლევანი კოსტიუმში ჩაებღაუჭა და გაუმეორა — მაპატიე-მეთქი!.. რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას წააწყდა. ატყდა ჩხუბი. ლევანი თვალის დახამხამებაში ზევიდან მოექცა საწყალ, უდანაშაულო ადამიანს, თან ურტყამდა და თან — მაპატიე, თუ არა, შენი?.. მაპატიე, მაპატიეო! — ჩასძახოდა. ძლივს გავაშველეთ. უცხო კაცს ტანისამოსი ჩამოვუფერთხეთ, ცხვირსახოცი მივაწოდეთ, რომ სისხლი მოეწმინდა, ტაქსიში ჩავსვით, ფული გადავუხადეთ და გავუშვით. ჩვენ ისევ ფეხით განვაგრძეთ გზა. ლევანი შუბლშეკრული მოდიოდა, ხმას არ იღებდა. ჩვენ ვიცინოდით, რომ გაგვახსენდებოდა, როგორ

ეუბნებოდა, მაპატიე, მაპატიეო, — თან მუშტებს უშენდა... უეცრად, „გმირმა“ ხმა ამოიღო და მე, როგორც ჟურნალისტს, მკითხა — მაინც ვერ გავიგე, მაპატია თუ არა, შენ როგორ გგონია, რომ არ ეპატიებინა, ხომ თვითონ გამლახავდაო?!. მეტი რა გზა მქონდა — თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე და გაღიმებაც ვერ გავბედე. სამაგიეროდ, 2 წუთის შემდეგ, ერთერთის მიერ უნიჭოდ მოყოლილ ანეკდოტზე იმდენი ვიცინე... იმდენი ვიცინე... ახლა მე თქვენ გეკითხებით — საქართველოს რომელი კუთხის წარმომადგენლები არიან ყველაზე თავაზიანები და ზრდილობიანები? რა თქმა უნდა, პასუხი ცალსახაა... ახლა კი — შემდეგი მესიჯი.

ნოშრევანი ბიბლიოთეკაში

„ჩემი ქმარი რომ დათვრება, სულ გამოპრუტუნდება ხოლმე. ათასგვარ სისულელეს სჩადის. ასეთ დროს რომ ჰკითხოთ — სად იყავიო? — გიპასუხებთ — ბიბლიოთეკაშიო. ჯანდაბამდე გზა ჰქონია, რამდენიც უნდა, იმდენი ჩახეთქოს, მაგრამ მერე ჩვევად აქვს, რომ აუცილებლად საუნაში წავიდეს ან სადმე სხვაგან, ქალებში გასართობად და გულს ეს მიხეთქავს. ერთხელ გადავწყვიტე, მემხილებინა. იმ დილით, 5 საათზე დაბრუნდა შინ. ოთახში შემოვიდა თუ არა, ვუთხარი: — ახლა შენ მეტყვი, რომ ძმაკაცებთან ერთად ბიბლიოთეკაში იყავი... — ჰო, მართალია, ბიბლიოთეკაში ვიყავი — დამიქნია თავი. შემდეგ, ჩვენ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა: — აჰა! მიხვედით თუ არა, თითო წიგნი აიღეთ, ხომ? — მასე იყო, თითო წიგნი ავიღეთ... — მერე — კიდევ თითო, ხომ? — მართალი ხარ, მაგრამ შენ ეს საიდან იცი? — თქვა და ცალი თვალით შემომხედა. — შემდეგ კიდევ... კიდევ... კიდევ... — ჰო, ჰო, ასე იყო ნამდვილად. — მერე 1-2 ძველი „ძმაკაცი“ „მოხსენით“, რამდენიმე წიგნი ხელს გააყოლეთ და სამკითხველო დარბაზში წახვედით, ხომ? — ჰო, მაგრამ „ძმაკაცები“ არც ძალიან ძველები იყვნენ... — და გაიხსენეთ ახალგაზრდობის წლები, ხომ? — კი, ვიხსენებდით და ვიხსენებდით, ვიხსენებდით და ვიხსენებდით, სამ-სამჯერ მაინც გავიხსენეთ... — ნუთუ, სამ-სამჯერ?! — გავიკვირვე მე. — ჰო, სამჯერ; შეიძლება, ოთხჯერაც... — მაპატიე, ძვირფასო, მე კი მეგონა, რომ ძმაკაცებთან ერთად დალიე და მერე დილამდე, ბოზებთან ერთად იყავი... — როგორ მიბედავ მაგის თქმას?!. მე... ნოშრევანს!.. ხომ იცი, რომ შენი ერთგული ვარ! ყველაფერი პირიქით იყო, ჩემო სიცოცხლევ: არაყი ბოზებთან ერთად დავლიე და საუნაში ძმაკაცებთან ერთად ვიყავიო!.. ეს ისე დამაჯერებლად თქვა, რომ კარგა ხანს, პირდაღებული ვუყურებდი. მერე მიხვდა, რომ ჩემს ანკესს წამოეგო და ყველაფერი დაფქვა. შემდეგ, უცებ დაფაცურდა — ახლა უნდა დავიძინოო, — და ცხვირი ბალიშში ჩარგო... აბა, მიდი და ამისთანა კაცს ელაპარაკე რამე...“

უოლტ დისნეის უთქვამს: მიკი მაუსი ყველა იმ ქალზე მეტად მიყვარს, ვინც კი ოდესმე შემხვედრიაო. ის მიკის შემქმნელია და არც არის გასაკვირი, რომ უყვარდეს, მაგრამ თქვენ სულაც არ ხართ ვალდებული, რომ ქორწილის ღამე მიკი მაუსთან გაატაროთ. თუმცა, სიმთვრალე რას არ გაგაკეთებინებს კაცს?!

შერცხვენილი სიძე და „ბედნიერი“ მიკი მაუსი

„ჰოოოდა, გავთხოვდიიიი! ვიფიქრე, როგორც იქნა, მეშველა, ქმარი „ვიშოვე“-მეთქი და სიხარულისგან ჭკუაზე აღარ ვიყავი. 3 წელი შეყვარებულები ვიყავით და როგორც იქნა, მოვაბით თავი ოჯახის შექმნას. ამ ხნის მანძილზე, ქორწილამდე თავი თითდაუკარებლად შევინახე და სულ საქორწილო ღამეზე ვოცნებობდი. ათასი ვარიანტი მქონდა შემუშავებული გონებაში. ხან ასე წარმომედგინა, ხან — ისე და რაღაც ახლისა და კარგის მოლოდინში ღამეებს თეთრად ვათენებდი. იქით ჩემს საქმროს ვტანჯავდი, აქეთ — მე ვიტანჯებოდი იმით, რომ კოცნის ნებასაც კი არ ვაძლევდი... ამ ყველაფერს იმიტომ გიყვებით, რომ ნათლად წარმოიდგინოთ, თუ როგორ ველოდი ქორწილის დამთავრებასა და სტუმრების წასვლას. პატარძლის როლში შეჭრილმა, ვერც კი შევნიშნე, ჩემი ქმარი როგორ გამოთვრა. ბოლოს, როცა კარგად დავაკვირდი, გული გამისკდა: ისეთი მთვრალი იყო, ფეხზე ძლივს იდგა. მე ისევ ვიღაცამ გადამკოცნა, დამემშვიდობა, შემდეგ — სხვამ და გიოს თვალი ვეღარ მოვკარი... მას თურმე, ფეხი წამოუკრავს სკამზე და წაქცეულა. იქვე ამოუშვია ხვრინვა. ასე, სამარცხვინოდ „გაუტანია“ 4 კაცს და სახლში აუყვანია (საქორწილო დარბაზი იქვე, კორპუსის ქვეშ ჰქონდათ დაქირავებული). დედამთილი მოვიდა ჩემთან და ჩამჩურჩულა — შვილო, წამოდი, გიო ზევით გელოდებაო. გავწითლდი. სასწრაფოდ დავემშვიდობე ყველას. მაზლმა (ის ჩემი მეგობარი იყო, ვიდრე გიოს გავიცნობდი) გამაჩერა და იმანაც ყურში მიჩურჩულა — იმედია, ჩემი ძმა არ შემარცხვენს ამაღამო... უარესად გავწითლდი. დედამთილი საძინებელ ოთახში შემიძღვა და მითხრა — ამაღამ სახლში არავინ ვიქნებით, ჩემს დასთან მივდივართ დასაძინებლადო... მოვიხედე და რას ვხედავ? გიო ტანისამოსიანა გდია საწოლზე, გულში კი უზარმაზარი, თითქმის ჩემი სიმაღლის მიკი მაუსი ჰყავს ჩახუტებული. ჩამოვჯექი საწოლზე, ვაღვიძე, ვეფერე, მაგრამ მკვდარივით იწვა. მივატოვე და მეორე ოთახში გავედი. გული მიკვდებოდა, რომ ვფიქრობდი — გიო ასე რომ არ დამთვრალიყო, მიკი მაუსის ნაცვლად, მე ვეყოლებოდი გულში ჩახუტებული-მეთქი... მთელი ღამე დივანზე გავათენე, ტირილში. გამთენიისას ჩამეძინა. უკვე კარგად რომ მოშუადღევდა, გიოს ხელის შეხებამ გამაღვიძა. ბოდიშები მიხადა, საკუთარი თავი მეზიზღებაო, — ამბობდა, თვალებს მიკოცნიდა და — მიყვარხარო, მეჩურჩულებოდა. შევურიგდი, რაღას ვიზამდი?! ვიცოდი, რომ მართლა, მიკი მაუსზე მეტად ვუყვარდი... ამ ამბის შემდეგ, უკვე 14 წელი გავიდა. დღემდე ვსაყვედურობ და მიკი მაუსზე „ვეჭვიანობ“. პატივისცემით, ოლიკო“.

ხშირად გამიგონია მამაკაცისგან — დალევა კარგია, მაგრამ „პახმელია“ საშინელებაა. სამაგიეროდ, როდესაც დილით „პახმელიაზე“ ლუდის ბოთლს მოიყუდებთ, საინტერესო დასკვნებს გააკეთებთ — მაგალითად, მიხვდებით, რომ ჩვენი წინაპრები ლუდს აუცილებლად დილით, ნაბახუსევზე გამოიგონებდნენ და იოლად დაიჯერებთ იმას, რომ ღმერთს ნამდვილად უყვარხართ, რადგან ეს სასმელი „მოავლინა“ ქვეყნად... ახლა კი — მორიგი რესპონდენტის ნაამბობი. როგორც თვითონ ამბობს, ეს ამბავი სწორედ „პახმელიაზე“ ყოფნისას გადახდა თავს.

„ლუდი გინდა? წადი, რა!“

„წინადღეს, ძმაკაცის ქორწილში მაგრად დავთვერი. დილით სამსახურში უნდა წავსულიყავი. საშინელ „პახმელიაზე“ ვიყავი. თავი მტკიოდა, ყელი მიშრებოდა და გულმუცელი მიხურდა. რომ გავიღვიძე, ვინანე, რომ ღამით, „ბორჯომი“ ან ლუდი არ გამოვაყოლე ხელს. ჩქარ-ჩქარა ჩავიცვი და სასწრაფოდ გარეთ გავვარდი, რომ სამსახურში მისვლამდე, რომელიმე ბარში დავმჯდარიყავი და ლუდი დამელია. მანქანა გამოვიყვანე და სიჩქარეში გარაჟის კარიც კი ღია დამრჩა. სახლთან ახლოს, ვიღაც გოგონა შევნიშნე, რომელიც დიდი ჩანთით ხელში იდგა და ეტყობოდა, რომ ძალიან ეჩქარებოდა. ვიფიქრე, გავუჩერებ, დავეხმარები-მეთქი. — სადგურში მივდივარ, „მარშრუტკას“ უნდა მივუსწროო, — მითხრა, უკანა კარი გამოაღო და დაჯდა. მანქანა დავძარი და იმწამსვე დამავიწყდა, რომ მანქანაში ვიღაც მეჯდა. ჩამოვიარე ცენტრალური ქუჩები, თან იმის ფიქრში ვიყავი, სად დავლიო ლუდი-მეთქი? თითქმის ყველა ბარი დაკეტილი იყო, რადგან მხოლოდ დილის 8-ის ნახევარი გახლდათ. ხელმეორედ დავიწყე ჩამოვლა — იქნებ, რომელიმე გაიხსნა-მეთქი? — და უცებ, მესმის ხმა — უკაცრავად, აქ ერთხელ უკვე ხომ გავიარეთო!.. მოულოდნელობისგან შევხტი და დავამუხრუჭე. უკან მომავალი მანქანა დამეჯახა და კარგადაც „დამჭეჭყა“... ახლა იკითხავთ — აბა, შეცდომა სად არისო?.. შეცდომაა, მაშ, რა არის, კაცო?! თუ მიდიხარ ლუდის დასალევად — წადი, რა! თუ არა და, რამ უნდა დაგავიწყოს, რომ მანქანაში ვიღაც გოგო გიზის, რომელსაც, „მარშრუტკაზე“ აგვიანდება?!. გამოვედი მეც „გადაუდებელი დახმარება“!.. ჩემი გასაჭირი არ მეყოფოდა, სხვა რომ ავიკიდე?!.“

ქალების უმეტესობას რომ ჰკითხოთ, ყველა მამაკაცი წუწურაქია, მაგრამ აბა, ნასვამი კაცის ლაპარაკს მიუგდეთ ყური — როგორი ხელგაშლილები არიან! შეუძლიათ, მთელი თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონება „დაგიმტკიცონ“ („მოძრავ ქონება-

ში“ ისინი, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, საკუთარ თავს გულისხმობენ) და ათასგვარ რამეს შეგპირდნენ; გამოფხიზლებულებს კი, ცხადია, დანაპირები „აღარ ახსოვთ“... ასეთ „ხელგაშლილ“ მამაკაცებს ერთ რჩევას შევკადრებ: სიფხიზლეში აუცილებლად შეასრულეთ სიმთვრალეში მიცემული დანაპირები — ეს გასწავლით, როგორ უნდა დააჭიროთ ენას კბილი.

„გავიქეცი, მაგრამ დამეწია...“

„ერთი საშინელი ჩვევა მაქვს: ორი ჭიქაც რომ დავლიო, მაშინვე ძალიან ხელგაშლილი ვხდები და თანახმა ვარ, ყველაფერი გავიღო სასურველი ქალისთვის. ქალებიც ხომ ეშმაკები არიან! მთვრალი კაცის ნაბჟუტურებს, რა თქმა უნდა, არ იჯერებენ, მაგრამ მერე მაინც ელოდებიან, როდის შეასრულებ დანაპირებს და მხოლოდ ამის შემდეგ არიან თანახმა, უკვე თავიანთი დანაპირები შეასრულონ... ერთხელ, წვეულებაზე მშვენიერი ქალბატონი გავიცანი. შევთვერი თუ არა, საცეკვაოდ გავიწვიე. წელზე ხელი რომ მოვხვიე, იმ წუთიდან მზად ვიყავი, მისთვის მთელი ჩემი ავლადიდება დამემტკიცებინა. ყურში ვეჩურჩულებოდი — ხელისგულზე გატარებ, ოქროვერცხლით აგავსებ, შენზე უკეთესად ჩაცმულ-დახურული თბილისში არავინ ივლის, ოღონდ ჩემი გახდი-მეთქი... ის ღიმილიანი, მაგრამ არაფრის მთქმელი სახით მიყურებდა. როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არისმეთქი, — გავიფიქრე და ჩამონათვალს მანქანაც მივამატე. — მანქანის ტარება არ ვიცი, — მითხრა. — გასწავლი-მეთქი! — წამოვიძახე გახარებულმა. — ვიცი, რომ სასმელი გალაპარაკებს, შორიდან გიცნობ და შენი სიძუნწის შესახებ ლეგენდები დადისო, — მითხრა. გადავირიე... იმის დასამტკიცებლად, რომ ძუნწი არ ვიყავი, მეორე დღიდანვე დავიწყე მიცემული პირობების შესრულება. საჩუქარს საჩუქარზე ვუძღვნიდი, რესტორანში ერთ წასვლაზე უამრავ ფულს ვხარჯავდი იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს, ამ ქალს ხელში ჩავიგდებდი... საქმე მანქანის ტარების სწავლებაზე მიდგა. გამიხარდა — თან ვასწავლი, თან ხელსაც მოვუფათურებ-მეთქი, — ვიფიქრე და ქალაქგარეთ წავედით. საჭესთან რომ დავსვი, მისკენ გადავიხარე, მარცხენა ფეხი პედლებისკენ გადავყავი... ოფლმა დამასხა. მთელი 3 საათი ვიმეცადინეთ. კაცად აღარ ვვარგოდი, ისეთ დღეში ჩავვარდი. ბოლოს ვიფიქრე — თუ ახლა სუფთა ჰაერს არ ჩავისუნთქავ, გავგიჟდები-მეთქი, — და მანქანიდან გადავედი. — ახლა დამოუკიდებლად სცადე-მეთქი, — ვუთხარი. მანქანის წინ დავდექი და ხელების ქნევითა და ხმამაღალი შეძახილებით ვკარნახობდი, რა უნდა გაეკეთებინა. როგორც იქნა, ძრავა აამუშავა. — აქეთ, აქეთ-მეთქი! — ხელებით ვანიშნე ჩემკენ. უეცრად მანქანა დიდი სისწრაფით მოსწყდა ადგილს... გავიქეცი, მაგრამ დამეწია და ჰაერში ბურთივით ამისროლა, თვითონ კი გზა განაგრძო... საჭე ვერ დაიმორჩილა და ბოძს შეასკდა. თუმცა, მანამდე, სიჩქარეს უკლო და მანქანას მხოლოდ ფარი ჩაემსხვრა, ცოტა წინა ნაწილიც დაეჭეჭყა. მე კი, ფეხმოტეხილი ვეგდე და ვკვნესოდი. მთელი თვე, ფეხი თაბაშირში მქონდა ჩასმული. ძლივს მოვირჩინე დაჟეჟილი ადგილებიც... რომ გამოვჯანმრთელდი, მერე კი ჩავიგდე ხელში ის საოცნებო ქალი, მაგრამ რამდენი რამე გადავიტანე!.. ახლა ვისწავლე ჭკუა, რომ სიმთვრალეში არაფერი წამომცდეს და ვინმეს ისეთი რამ არ დავპირდე, რაც უარეს შედეგს მომიტანს, მაგრამ აბა, რაღა დროს?..“

ქართული სუფრის ადათ-წესები მოგეხსენებათ. თამადას რომ ავირჩევთ, მორჩა — ჩაიგდებს მართვის სადავეებს ხელში და თუ უნდა, ღვინოშიც ჩაგახრჩობს, ჯარიმასაც „აგკიდებს“ და ბოლო ჭიქასაც, თუ არ დალევ, კისერში ჩაგასხამს... შემდეგი რესპონდენტი სწორედ ჯარიმამ დაღუპა.

ინსპექტორი – თამადად

„ცოლისდის დაბადების დღეზე ვიყავი. ისეთი თამადა აირჩიეს, რომ სულ თავბედი ვიწყევლე. თუ შენიშნავდა, რომ ჭიქაში სულ ცოტა სასმელს დავტოვებდი, მაშინვე ჯარიმას მასმევდა, პირამდე გავსებული სასმისით. გვიან რომ მივედი, იმისთვისაც დამაჯარიმა, მის ნათქვამ სადღეგრძელოს რომ არ მოვუსმინე — იმისთვისაც. მისი ნებართვის გარეშე ტუალეტში რომ წავედი, განსხვავებული სასმისი მაჯახა... ისე დავთვერი, რომ ცოლიც ვეღარ ვიცანი: ქალბატონო, გამატარეთ, შინ მივდივარ-მეთქი, — მითქვამს მისთვის. — მეც მოვდივარო! — მიპასუხა და რომ გამომეკიდა, თურმე ცოცხალი თავით არ ვსვამდი მანქანაში, ვეუბნებოდი — ქალბატონო, თქვენ ელდარი გაგაცილებთ, მე მეჩქარება-მეთქი (ეს ელდარი ვინ არის, დღემდე ვერ გავარკვიეთ)... მოკლედ, მაინც თავისი გაიტანა და მანქანაში ჩაჯდა. ქუჩაში ინსპექტორმა გაგვაჩერა. გადავედი და — ჩაბერეო, — რომ მითხრა, ჩავბერე, — ჯარიმაო, — რომ მითხრა, — დაასხი, მაგასაც დავლევ-მეთქი, — ჩავილუღლუღე და ხელი გავუწოდე ჭიქის გამოსართმევად; თან ვეუბნებოდი — თამადა შენ ხარ და თუ კაცი ხარ, დამკვრელებს უთხარი, „შალახო“ დაუკრან-მეთქი... ინსპექტორმა თურმე, მაგრად იცინა, აღარც დამაჯარიმა, ოღონდ, მანქანა დამატოვებინა და შინ ტაქსით მომიხდა წასვლა. ტაქსის მძღოლს კი, დამატებით ვაძლევდი ფულს და ვთხოვდი — ეს ქალბატონი (ჩემი ცოლი) სახლამდე მიიყვანე-მეთქი... აი, ასე დამემართა, სუფრული ჯარიმების გამო“.

ახლა კი, მოკლე მესიჯების ჯერი დადგა.

„სიმთვრალეს გაუმარჯოოოს!“

„3 წლის წინ, შობას, მე და ჩემმა ორმა დაქალმა გადავწყვიტეთ, მაგრად დავმთვრალიყავით. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ ჯერ თოვლში ვიწექი და ადგომის თავი არ მქონდა, მერე ალუბლის კომპოტი დავისხი თავზე. ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ სამივემ ბიძაჩემს ცხვირწინ გავუბოლეთ სიგარეტი... დილით კი, თავი მოვიკატუნეთ, ვითომ არაფერი გვახსოვდა. ბეკო ამას თუ წაიკითხავს, მიხვდება, ვინც ვარ. ბაკო“.

„რომელ შეცდომაზეა ლაპარაკი?! სულ ორჯერ დავთვერი. პირველად მაშინ, როცა 17 წლის გავხდი. დაქალები მყავს „ლოთები“ და... ისე მომეწონა სიმთვრალე, რომ ერთ კვირაში, ექსკურსიაზეც მაგრად გამოვთვერი. შეცდომებს კი, ფხიზელი უფრო ვუშვებ. მარიკა“.

„ხოს, მარი, ამ მესიჯსაც თუ არ დამიბეჭდავ, არ ვიცი, რას ვიზამ. ისე სვანი არ ვარ, მაგრამ ნათესავი მყავს სვანი და იქნებ, გაითვალისწინო. ჩემი ნათესავის დაბადების დღეზე ჩვენს საერთო მეგობარს ღვინის სმაში ვეჯიბრებოდი. ისე დავთვერი, მტრისას! ისეთი უფასო საცირკო წარმოდგენები ჩავატარე!.. ბოლოს, იუბილარი ისე მივტყიპე, რომ ერთი კვირა, თვალჩალურჯებული, სახლიდან ვეღარ გამოდიოდა. მე კი დაბადების დღიდან უსირცხვილოდ გამოვიპარე. ნინი“.

„ჰმ, სიმთვრალეში დაშვებული შეცდომები?.. ძალიან ბევრია, მაგრამ ერთი არასოდეს დამავიწყდება: ზაფხულის უმეტესი ნაწილი იმერეთში — ე.ი. ქეიფში გავატარე. ერთხელაც, ქეიფიდან დაბრუნებულებმა აღმოვაჩინეთ, რომ საჭესთან მჯდომი თანამეინახე კარგად შეზარხოშებული იყო. გადავწყვიტეთ, გაგვესეირნა და თან ერთ-ერთი ძმაკაცის შეყვარებული მოგვენახულებინა. გზაში „გენიალური“ იდეა მომივიდა. მანქანის სახურავზე ავედი და ცეკვა დავიწყე. ძმა ძმისთვისაო, — და აბა, მარტო ვინ დამტოვებდა?! ყველა ამყვა. ასე, ცეკვა-გახდითა და „სექსბომბის“ სიმღერით ჩავუარეთ ძმაკაცის შეყვარებულის სახლს. ამ დროს, გაოგნებული გოგო აივნიდან გვიყურებდა. ძმაკაცი მიესალმა. რა თქმა უნდა, ჩვენც თავაზიანად დავუქნიეთ ხელი... რომ არავინ გამოგვკიდებოდა, სასწრაფოდ გავცილდით იქაურობას... ჩემი ძმაკაცები ამას რომ წაიკითხავენ, თვალცრემლიანი ღიმილით მომიგონებენ... ვახო (ლოთი)“.

„მარი, რომ იცოდე, ხუთშაბათი როგორ მიყვარს „გზავნილების“ გამო! ერთი სული მაქვს ხოლმე, „გზას“ როდის ვიყიდი. რაც შეეხება სიმთვრალეს, ერთხელ შეყვარებულმა წამიყვანა ნათესავის დაბადების დღეზე. თან, ყველას გაგაცნობო, — მითხრა. ჰოდა, დაძაბულობის მოსახსნელად, კარგად გამოვთვერი და თან, იმდენი ვიცეკვე, ვეღარ მაჩერებდნენ. შეყვარებულს იმ დღეს პირველად ვაკოცე და თანაც, ჩემი ინიციატივით. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ოქტომბერში ქორწილი გვაქვს. პატივისცემით, ნინი“.

„თაზო ტელეფონით გავიცანი. რომ შევხვდი, თითქოს არ მომეწონა, მაგრამ თანდათან, გრძნობა გამიჩნდა. უბრალოდ მომწონდა, თაზო კი, სიყვარულს მეფიცებოდა. ერთ დღეს, შეხვედრა მთხოვა. მისი მანქანით გავისეირნეთ. გზაში სასმელი ვიყიდეთ და დავლიეთ. კარგად შევთვერი.

მან ისევ სიყვარულის ახსნა დამიწყო. ავდექი და სიმთვრალეში ვუთხარი — მეც მიყვარხარ-მეთქი. 2 დღის შემდეგ, იცით, რა მითხრა?.. არასოდეს მყვარებიხარ, მხოლოდ ვერთობოდიო... ძალიან ვნანობ, რომ სიყვარულში გამოვუტყდი. არადა, მართლა არ მიყვარდა. თაზო, მინდა გითხრა — ნაადრევად ნუ ზეიმობ გამარჯვებას“.

„დალევას ყოველთვის ვერიდები. არც ალკოჰოლი მსიამოვნებს და არც ის მომწონს, მთვრალი ქალები რომ აჩერჩეტდებიან ხოლმე. ერთხელ კი, მეგობრებს ხათრი ვერ გავუტეხე და დავლიე. ის ადამიანიც იქ იყო, ვინც მე ქვეყანას მერჩივნა. გვერდით მომიჯდა, ხელი გადამხვია და ყურში ჩამჩურჩულა — დღეს შენთვის მნიშვნელოვანი რამ მაქვს სათქმელიო. მარტო რომ დავრჩით, ისე მეფერებოდა, ღამის გამაგიჟა. როდესაც ტანისამოსის გახდა დამიწყო, უცებ მოვეგე გონს, თითქოს ერთბაშად გამოვფხიზლდი. უსინდისო ყოფილხარ-მეთქი! — ვუყვირე და უკანმოუხედავად გამოვექეცი... რამდენიმე ხნის შემდეგ, მან ვიღაც გოგო ჯერ შეაცდინა, შემდეგ ცოლად მოიყვანა. მე კი დღემდე ვნანობ: ნეტავ, იმ საღამოს შეცდომა დამეშვა — დღეს ხომ მისი ცოლი ვიქნებოდი!..“

„...შენ უკვე აქ ხარ... ჩემგან სულ ახლოს. თითქოს გუშინ იყო ყველაფერი. არადა, რა დრო გასულა! ახლოს ყოფნა უფრო ძნელი ყოფილა. ისე, ყველაფერს ეგუება ადამიანი. პირველ დღეებში, წარმოუდგენლად მეჩვენებოდა უშენობა. მეგონა, მოვკვდებოდი. მერე კი ყველაფერი ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. მეც შევეჩვიე შენს გარეშე დილის დადგომას... ხშირად ისიც კი წარმომიდგენია, როგორ შეგხვდებოდი ოდესმე, ქუჩაში, მეუღლესთან ერთად მომავალს... მერე გავიდა დრო და საერთოდ არ ვფიქრობდი ამაზე. ახლა კი კვლავ ტკივილად გიგრძენი. რა დამემართა? რა მჭირს? ეს თვითონაც არ ვიცი... დათოს ქამელეონასგან“.

„ზამთარში მარტომ დავლიე, მაგრად „გავილეწე“ და გიოს სიყვარული ავუხსენი. მერე ვემალებოდი. ერთმანეთს დავშორდით. მას შემდეგ, აღარ ვსვამ. გაუმარჯოს სიმთვრალეს! ანი“.

„მარი, გახსოვს, რომ გწერდი — დაქალის შეყვარებული მიყვარს-მეთქი?.. მათი ქორწილი 15-ში უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვინ მიართვა?! ლუკა 9-ში ჩემთან მოვიდა და მითხრა — მიყვარხარ, ერთად გავიპაროთო. მე, დიდი ფიქრის შემდეგ, უარი ვუთხარი: ნათიას ვერ ვუღალატებ-მეთქი. თანაც, ჩვენი ოჯახები გაგიჟდებოდნენ, რადგან სამივენი ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით... ქორწილის დღეს, სიძემ დაიგვიანა. არც ტელეფონს პასუხობდა. ვერსად მივაგენით. ბოლოს გაირკვა, რომ ნათიას ბიძაშვილთან ერთად გაპარულა. იქ ამბავი ატყდაა!.. მე ვშიშობდი, დაქალს ვერ ვუღალატებ-მეთქი, მაგრამ ასეთი ბედი ჰქონია, საწყალს. საკუთარმა ბიძაშვილმა უღალატა და საქმრო წაართვა“.

„ერთხელ, დაქალი ისე დამითვრა, ეგონა, რომ ცხვირი დაკარგა. მთელი ღამე სახლის ირგლივ დარბოდა და ტირილ-ტირილით ეძებდა ცხვირს. ჩვენ კი მას დავდევდით. ვერ დავარწმუნეთ, რომ ცხვირი ადგილზე ჰქონდა. ნონა, საყვარელო, ალბათ, ამდენს აღარასოდეს დალევ... მაკა“.

„ყველაზე დიდი სისულელე სწორედ სიმთვრალეში ჩავიდინე. ჩემს კლასელს სიყვარულში გამოვუტყდი და „მაგარი გაუტყდა“, რადგან ჩვენი ურთიერთობა დაძმურს არ გასცილებია. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ძმაკაცი შემიყვარდებოდა. ამის გამო კინაღამ საერთოდ დავკარგე. მე მის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. ლადო, მიყვარხარ“.

„წელს, პირველ სექტემბერს, 17 წლის გავხდი და ბარში ისე დავთვერი შეყვარებულთან ერთად, რომ სახლში წასვლის თავი აღარ მქონდა. გადავწყვიტეთ, იქვე დავრჩენილიყავით. ბარის თანამშრომლებმა კი, სასწრაფოდ პატრული გამოიძახეს და ასე ამოვყავით თავი პოლიციის განყოფილებაში. მაშინ დავიფიცე, რომ ასე აღარასოდეს დავთვრებოდი“.

„დაქალს ბავშვი მოვუნათლე. დავთვერი და მერე, ყოფილი შეყვარებულის თანდასწრებით, ქმარზე ვიჭორავე... არ უნდა დამეშვა ეს შეცდომა... ნ.“

„სიმთვრალეში იყო სწორედ, თავი რომ მოვიკალი და ახლა ზეციდან გწერთ მესიჯს“...

„შენს ღიმილს ვნატრობდი, მტანჯავდა სიმარტოვე და ბოლოს, ნანატრი ღიმილით მიმატოვე!.. ჩემი და გიოს სიყვარული სიმთვრალეში დაიბადა და სიმთვრალეში დამთავრდა. ლიკა“.

„აუ, ეს რომ ხატიამ წაიკითხოს, მომკლავს, მაგრამ მაინც მოგწერთ. ერთხელ, ჩემს დაბადების დღეზე ისე დათვრა ჩვენი ხატია, რომ უბანში შიშველს უნდოდა გავლა. ძლივს გადავაფიქრებინეთ. რომ გამოფხიზლდა, არ გვიჯერებდა. ახლა იმედია, თავს ამოიცნობს. მაოდი და ნაკა“.

„მარტყოფელი გიო ერთი კვირა მეფიცებოდა, მიყვარხარო და პასუხს მოითხოვდა ჩემგან. მე რა თქმა უნდა, თავს ვიფასებდი და უარვყოფდი მის სიყვარულს. იმანაც, ერთი კვირის შემდეგ მითხრა — აუ, მაპატიე, რა, მთვრალი ვიყავიო!.. ამის შემდეგ ყველა მამაკაცზე წარმოდგენა დავკარგე“.

„ეჰ, მარი, უკვე 3 კვირაა, მესიჯს გიგზავნი და ერთიც არ დამიბეჭდე. მე დადუ მიყვარს და მენატრება ძალიან... და იქნებ, ეს მაინც... მარი...“

„სიმთვრალეში ჩემმა საყვარელმა, თავისი მეორე საყვარლის ბინის ტელეფონიდან ისე დამირეკა, რომ დაავიწყდა, ნომერს რომ დავაფიქსირებდი. თანაც იცის, როგორი ეჭვიანი ვარ. არ მქონია საქმე საეჭვიანოდ?.. ეს უცხო ნომერი ვერაფრით ამოვშალე მეხსიერებიდან. ინტუიციამ არ მიღალატა. მისამართი დავადგინე და... ერთ დღესაც, ამჟამად უკვე ექსსაყვარელს ღამის 2 საათზე დავადექი თავზე, მის ტურფასთან. უნდა გენახათ, იქ რა მოხდა... იმ გოგოს დავპირდი — მალე, ამ არამზადას ჩემი საწოლიდან დაგალაპარაკებ-მეთქი. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი!.. შევურიგდი და მერე მოვიშორე. დღესაც ჩემკენ მოუწევს გული, მაგრამ მე ის ქალი არა ვარ, წყენას მალე რომ ივიწყებს. ასე რომ, ორგულო საყვარლებო, ფრთხილად!.. გკოცნით „გზის“ ყველა მკითხველს. მაკა“.

ამ ბოლო დროს, მკითხველებისგან უამრავი საჩივარი მომდის — როგორც ჩემ მიმართ გამოთქმული, ისე სხვადასხვა ყოფითი პრობლემის გამო. ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ თემას „გზავნილებში“ ადგილი დავუთმოთ და მას დავარქვათ

საჩივრის სვეტი

„მარი, რატომ არ აქვეყნებ ჩემს გზავნილებს? უკვე ბევრი მესიჯი გამოგიგზავნე, შენ კი მაინც ჯიუტად ამბობ უარს მის დაბეჭდვაზე. იქნებ, ეს მაინც გამოაქვეყნო?.. გოგა გ-ძე, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. მაია“.

„მარი, გთხოვთ, დაწერე იმის შესახებ, რომ ეს ყვითელი ავტობუსები საშინელებაა. ისეთი ჭყლეტაა, რომ ცალ ფეხზეც კი ვერ დადგები. იქნებ, წაიკითხოს მავანმა და რაიმე ზომა მიიღოს?!. ნინო“.

მე დავწერ, ჩემო ნინო, მაგრამ შედეგს გამოიღებს თუ არა, ამას ვერ გეტყვი. ისე, „გზის“ დღევანდელ ნომერში ამ თემაზე ჩემი კოლეგის მშვენიერი რეპორტაჟია გამოქვეყნებული.

„აღარ ვიცი, რა ვუყო ამ ჩემს მეზობელს, რომელსაც ვერ შევაგნებინე, რომ ნაგავი კიბეზე არ უნდა დაყაროს. მარი, იქნებ „გზავნილებში“ დაბეჭდო, მერე წაიკითხოს და შერცხვეს?! თემქა, მადონა“.

აგერ, ბატონო, დაგიბეჭდეთ, წააკითხეთ იმ თქვენს მეზობელს და თუ ჩვენი ხერხი გაჭრის, ისიც შეგვატყობინეთ.

„მარი, იქნებ, საპატრულო პოლიციას მიაწვდინო ხმა: ქუჩაში ღამით რომ დადიან, იმ საშინელ სიგნალს ნუ ჩართავენ — ისე შეშინებულს მეღვიძება ხოლმე, რომ კარგა ხანი მჭირდება გონს მოსასვლელად. ამ მესიჯს ღამის 3 საათზე გწერ, სწორედ მაგათ გამაღვიძეს და გადავწყვიტე, თქვენთვის მეთხოვა შველა“.

ღამის 3 საათზე შველა რომ დაგჭირდება და მე გაგახსენდები, ეს უკვე ბევრს ნიშნავს, მაგრამ აბა, მე მაგათ სირენის ჩართვას მოვაშლევინებ?!. ვნახოთ...

ასე და ამგვარად, მოგვწერეთ, რა გაწუხებთ, იწუწუნეთ თქვენს მეზობლებზე, ახლობლებზე, ოჯახის წევრებზე, მთავრობასა და წვრილფეხა ჩინოვნიკებზე. სხვა თუ არაფერი, გულზე მაინც მოგეშვებათ... ჩემს სახელზე მოსულ საჩივრებსაც უცვლელად გამოვაქვეყნებ, გპირდებით. იმედია, ამ სიახლეს მოიწონებთ. მომდევნო ნომრის თემად კი გთავაზობთ — რისკი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გვიამბეთ, რატომ გარისკეთ და გაამართლა თუ არა თქვენმა რისკმა. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

■

ვეფხია ავალიანი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ უმუშევარი დარჩა და ოჯახთან ერთად საქართველო დატოვა. ის ორგზის მსოფლიო და მრავალგზის ევროპის ჩემპიონი გახლავთ ჭიდაობაში. წლების განმავლობაში, მაღალ თანამდებობებზეც მუშაობდა. 2004 წლიდან, ესპანეთში ცხოვრობდა და ფიზიკური შრომით არჩენდა ოჯახს. ბოლო დროს, ტარიელ ონიანის გარშემო ატეხილი აურზაურის გამო, იძულებული გახდა, ესპანეთიც დაეტოვებინა და საფრანგეთში გადასულიყო. იქ კი მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილმა ჩეჩენმა გოგონამ...

ვეფხიასთან დაკავშირება მისი დედის, **რუსუდან ლიპარტელიანის** საშუალებით მოვახერხეთ. თავდაპირველად, შვილის სპორტული მიღწევების შესახებ ქალბატონი რუსუდანის მიერ ნაამბობს შემოგთავაზებთ.

ესპანეთში გაჩერება ნებისმიერი ქართველისთვის სარისკოა...

ჩეჩენმა გოგონამ ჭაბუკელი სპორტსმენის შედი პადიკალურად შეცვალა

მარი ჯაფარიძე

— ჩემი მეუღლე მოჭიდავე გახლდათ. ამიტომ ვეფხია მამამისმა სწორედ სპორტის ამ სახეობით დაინტერესა. ამაში ფიზიკური მონაცემებიც უწყობდა ხელს. ქალაქის ჩემპიონი პირველად მაშინ გახდა, როცა პირველ კლასში სწავლობდა. ამის შემდეგ, წარმატებას წარმატებაზე აღწევდა და არ დარჩენილა არც ერთი ტიტული, რომელიც მას არ მოუპოვებია — საქართველოს ჩემპიონიც იყო, საბჭოთა კავშირისაც, ევროპისაც, ორგზის მსოფლიო ჩემპიონიც გახლდათ და არაერთ საერთაშორისო ტურნირშიც გაუმარჯვია. იყო საქართველოს ნაკრების წევრი სამბოსა და ძიუდოში. ჯერ კიდევ მერვე კლასის მოსწავლე იყო, როდესაც ხელფასი დაუნიშნეს — ყოველთვიურად 100 მანეთს იღებდა. სპორტს 20 წლის ასაკში დაანება თავი, მაშინ, როცა ბევრი სპორტსმენი კარიერას იწყებს. სხვადასხვა დროს, მუშაობდა ლენტეხის რაიონის პოლიციის უფროსად, ცაგერის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსად, რუსთავის სასჯელაღსრულების №2 კოლონიის უფროსის მოადგილედ და ქუთაისის საპყრობილის უფროსად... ვარდების რევოლუციის შემდეგ კი, უმუშევარი დარჩა. გადაწყვიტა ოჯახთან ერთად ესპანეთში წასულიყო. იქ ჩემი სიძის (ქალიშვილის მეუღლის) მეგობარი ცხოვრობდა და მისი დახმარების იმედი ჰქონდა. ჩასვლის დღიდანვე დასაქმდა და ფიზიკურად შრომობდა.

— ბავშვობიდანვე წარმატებას მიჩვეული ადამიანისთვის ძნელი იქნებოდა მშენებლობაზე მუშაობა.

— ჩემი შვილი ძალზე თავმდაბალი ადამიანია და მისთვის ნებისმიერი საქმე მისაღებია. მახსოვს, როდესაც 7 წლის ასაკში პირველად გახდა ჩემპიონი და მისი გვარი გამოაცხადეს, ორივე ხელი ნამდვილი ჩემპიონივით ასწია და ჰაერში შეათამაშა. მამამისმა თავისთან იხმო. ბავშვს ეგონა, მამა საალერსო სიტყვებს ეტყოდა. მან კი სახეში ხელი შემოჰკრა და უთხრა — შენ რა, მსოფლიო ჩემპიონი გახდი, ხელებს რომ იქნევო?!. ამის შემდეგ, ვეფხია ყოველ დაჯილდოებაზე ისეთი სერიოზული სახით იდგა ხოლმე, რომ ვეხვეწებოდი, გაიღიმე-მეთქი. რა თქმა უნდა, მამამისი შვილით ამაყობდა. ვეფხიას მიერ მოპოვებულ თასებს განსხვავებულ სასმისად იყენებდა და მისი მომავალი გამარჯვებების სადღეგრძელოს სვამდა ხოლმე...

მენაცვლებიან ჩემი ახლობლები. ჩემი ქალაქი და ყველაფერი ქართული, მაგრამ ვფიქრობ, აქ უკეთ ვიცხოვრებ, რადგან უფრო მეტად დააფასეს ჩემი მიღწევები... (მეუღლესთან ეკა შეყილაძესთან ერთად)

ქალბატონ რუსუდანთან საუბრის შემდეგ, ვეფხიას საფრანგეთში დავუკავშირდით და უცხოეთში თავს გადახდენილი ამბების შესახებ გამოვკითხეთ.

— ესპანეთში ერთი წელი ვიცხოვრე. ჩავედი თუ არა, მეორე დღიდან მუშაობა დავიწყე. ფიზიკურად ვშრომობდი, არჩევანის საშუალება ნამდვილად არ იყო და პირველსავე შემოთავაზებულ ვარიანტს დავთანხმდი. ბავშვები სკოლაში დადიოდნენ. უფროსი, შმაგი ფეხბურთელი გახლავთ და ესპანეთში საკმაოდ ძლიერ გუნდში თამაშობდა. ის იმდენად წარმატებული ბავშვი იყო, რომ გადასახადისგანაც კი გაგვათავისუფლეს. უმცროსი, ტატო, რომელიც 12 წლისაა, მოჭიდავეა. ორჯერ გახდა კატალონიის ჩემპიონი. ესპანეთის კანონის მიხედვით, 15 წლის ასაკიდან, ტატოს ხელფასიც დაენიშნებოდა. ბავშვების კარგ სკოლაში მიყვანა ძალზე დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ჩვენთვის შეუძლებელი გახლდათ ამ თანხის გადახდა. შედარებით იაფფასიან სკოლაში კი, სწავლას არცთუ ისე დიდი ყურადღება ეთმობა. ამიტომ ბავშვების განათლების დონე არ მომწონდა. ერთ-ერთი ფაქტორი, რის

გამოც საფრანგეთში წამოსვლა გადავწყვიტეთ, სწორედ ეს გახლდათ.

— მეორე კი, ალბათ, ესპანეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, რომელსაც ქართველების დაპატიმრება მოჰყვა, ხომ?

— დიახ, ასეა. ესპანეთში გაჩერება ნებისმიერი ქართველისთვის სარისკოა, რადგან როდის რა მოხდება, ღმერთმა უწყის...

— რას ამბობდნენ ამ მოვლენების შესახებ ესპანეთში მცხოვრები ქართველები?

— იქ მუსირებდა აზრი, რომ ეს ყველაფერი საქართველოს მთავრობისგან მოდიოდა. ტარიელ ონიანთან პირისპირ შეხვედრა ჭირს, თორემ, ის ესპანეთში ჩასული ნებისმიერი ქართველისთვის საიმედო დასაყრდენია, გასაჭირში არავის ტოვებს.

— იმასაც ამბობენ, თითქოს იმ პერიოდშიც ის ესპანეთში იმყოფებოდა და ვერ მიაგნეს.

— არ არის გამორიცხული, რომ ის იმ დროს თავის სახლშიც ყოფილიყო და მაინც ვერ მიეგნოთ, რადგან იმ სახლს იმდენი საიდუმლო შესასვლელ-გასასვლელი აქვს, თანაც ისეთი უზარმაზარია, რომ შესაძლოა, მთელი წელი დაგჭირდეს ყველა ოთახის მოსავლელად...

— როგორც ვიცი, ეს სახლი წინათ მარადონას ეკუთვნოდა, ახლა კი მას სვანური კოშკიც კი მიაშენეს...

— სვანური კოშკი მართლაც აქვს მიშენებული და როგორც ამბობენ, ის სვანეთიდან ჩამოტანილი ქვით ააშენა პატრონმა.

— ახლა თქვენ შესახებ მოგვიყევით. საფრანგეთში გამგზავრების შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი ცხოვრება?

— თავდაპირველად, პარიზში ჩამოვედით. ესპანეთში დაგროვილი მცირედი თანხით ბინა ვიქირავე და ჩემი ცოლ-შვილით იქ ვცხოვრობდი. სამსახურს ვეძებდი. ერთხელ, მთელი ოჯახი ქალაქში ვიყავით გასული. ვიღაც გოგონამ გაგვაჩერა. აღმოჩნდა, რომ ეროვნებით ჩეჩენი ყოფილა, იქ გაჩაღებული ომის დროს წამოსულა საფრანგეთში და აქაურ მოქალაქეზე გათხოვილა. მას ჩვენი ქართული საუბარი რომ გაუგონია, მიმხვდარა, რომ კავკასიელები ვიყავით. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. ჩემი თავგადასავალი დაწვრილებით მოვუყევი. პირველად, მსოფლიო ჩემპიონი საფრანგეთში გავხდი და ესეც ვუთხარი... შემდეგ მან ფრანგ ვეტერან სპორტსმენთან დამაკავშირა. ამ კაცმა მომისმინა, ინტერნეტში გადაამოწმა ჩემ მიერ მიწოდებული ინფორმაცია და როცა დარწმუნდა, 1991 წელს, მართლაც მსოფლიო ჩემპიონი გავხდი საფრანგეთში, ძალზე გაუხარდა. ამის შემდეგ ჩემი და ჩემი ოჯახის ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. მაშინვე გამოგვიყვეს ქალაქ ნიორდში კოტეჯი, რომელიც თვითონვე გაავსეს საუცხოო ავეჯითა და ჭურჭლით. ბავშვები საუკეთესო სკოლაში ჩარიცხეს. მე კი ფრანგული ენის მასწავლებელი დამიქირავეს, რომელიც შინ მოდის და გაკვეთილებს მიტარებს. ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სპორტულ სკოლაში მწვრთნელად დამნიშნეს და საკმაოდ სოლიდური ხელფასიც დამინიშნეს. რამდენიმე დღის განმავლობაში, მთელი საფრანგეთი მოგვატარეს მე და ჩემს ოჯახს. დაგვათვალიერებინეს ფორტ ბოიარდის ციხესიმაგრე და ყველა ის ადგილი, რომელიც საფრანგეთის კულტურისა და ისტორიის შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნიდა. ნიორდში არის სკოლა, სადაც მიუსაფარი ბავშვები სწავლობენ. ამის შესახებ რომ შევიტყვე, სურვილი გამოვთქვი, იმ სკოლაში მემუშავა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამან ჩემ მიმართ პატივისცემის გრძნობა უფრო გაზარდა.

შმაგი (მარცხნივ) ესპანეთში მცხოვრებ ქართველ თანაგოლელებთან ერთად



უმცროსი, ტაგო, რომელიც 12 წლისაა, მოჭიდავეა. ორჯერ გახდა კატალონიის ჩემპიონი...

— მაგრამ თქვენ ხომ მაინც არალეგალურად ცხოვრობთ?!

— დიახ, მაგრამ ჯერჯერობით, სამთვიანი ლეგალური ცხოვრების უფლება მოგვცეს. შემდეგ ვადას გაგვიზრდიან. დაგვინიშნეს სოციალური დახმარებაც, ოჯახის თითოეულ სულზე 300 ევროს ოდენობით. უკვე გითხარით, რომ ტატო ესპანეთში ორჯერ გახდა კატალონიის ჩემპიონი. თუ საფრანგეთში იმავე რანგის შეჯიბრებას მოიგებს, მას ასაკის მიუხედავად, 1.500 ევროს ოდენობის ხელფასი დაენიშნება. მეც შემითანხმდნენ იმაზე, რომ უნდა ვივარჯიშო და კომერციულ ტურნირებში მივიღო მონაწილეობა...

— როგორც ჩანს, საქართველოში კარგა ხნის განმავლობაში აღარ დაბრუნდებით.

— ძალზე მენატრებიან ჩემი ახლობლები. ჩემი ქალაქი და ყველაფერი ქართული, მაგრამ ვფიქრობ, აქ უკეთ ვიცხოვრებ, რადგან უფრო მეტად დააფასეს ჩემი მიღწევები და ჩემი შვილების მომავალი კარიერისთვისაც ასე ჯობს. ■

მას შემდეგ, რაც ლალი მოროშკინამ განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტი დატოვა, საჯარო სამსახურში ის აღარავის უნახავს. თუმცა, დადიოდა ხმები მისი რუსეთში ელჩად დანიშვნის თაობაზე, რომლებიც არ დადასტურდა. მიუხედავად ამისა, ლალი აქტიურ ცხოვრებაზე უარის თქმას არ აპირებს: ის ხელმძღვანელობს ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ეთნიკურ პრობლემებზე მუშაობს, ასწავლის სტუდენტებს უნივერსიტეტში და რამდენიმე თვეში შესაძლოა, ჟურნალ „კოსმოპოლიტენის“ ფურცლებზეც გამოჩნდეს.

„მე და მიხეილ სააკაშვილი ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით... ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ჩემს სახლში წყდებოდა...“

ემა ტუხიაშვილი

— ლალი, მოგვიყევით თქვენი ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ.

— უნივერსიტეტში ვკითხულობ ლექციებს და გახლავართ რუსული ენის კათედრის დოცენტი. ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, მჭირდება კიდევ რამდენიმე ნაშრომი იმისათვის, რომ პროფესორის წოდება მივიღო. აქვე გეტყვით, რომ ყოველივე ეს დედაჩემის ხათრით გავაკეთე — მე თვითონ არასოდეს მქონია დიდი სურვილი იმისა, რომ დისერტაციები დამეცვა, რადგან ვფიქრობ, საქართველოში ამ ტიპის საქმიანობა ჯერჯერობით დაუფასებელია. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი ხელფასის ასაღებად, უნივერსიტეტში დედაჩემი დადის... გარდა ამისა, მე კვლავ აქტიურად ვარ ჩაბმული ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების მოგვარების პროცესში. მართალია, აღარ წარმოვადგენ განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს და აღარც უწინდელი თანამდებობა მიკავია, მაგრამ დღესაც, შექმნილი სიტუაციის გამო, მე მთხოვენ ხოლმე კომენტარის გაკეთებას. შესაძლოა, ამის მიზეზი ის არის, რომ მე არ გამიწყვეტია ცხინვალთან ის ურთიერთობა, რომელიც წლების განმავლობაში მქონდა. ძალიან ხშირად მირეკავენ ცხინვალიდან და ხდება ისეც, რომ ბევრჯერ ჩემგან უფრო მეტი და ობიექტური ინფორმაციის მიღება შეუძლიათ, ვიდრე თუნდაც, ოფიციალური წყაროებიდან. უახლოეს მომავალში ვაპირებ მუშაობას წიგნზე, რომლის პირობითი სახელი შესაძლოა, იყოს — „რა მოხდა უკანასკნელ წლებში საქართველოში?“ ამაში იგულისხმება, როგორც ზემოთ ხსენებული კონფლიქტები, ასევე ე.წ. ნოემბრის რევოლუცია. შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ამ რევოლუციის დიდი ნაწილი ჩემი სახლის ვერანდაზე დაიგეგმა. ეს ის დრო იყო, როდესაც მე და მიხეილ სააკაშვილი ძალიან ახლო მეგობრები ვიყავით, ამიტომ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ჩემს სახლში წყდებოდა. სამწუხაროა, მაგრამ ამ საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების შემდეგ, მე ვეღარ დავინახე ისეთი გაგრძელება, როგორიც მას უნდა მოჰყოლოდა. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ამის გამო, დღეს მათი გუნდის წევრი აღარ ვარ. მინდა, გავაგონო ჩემს მეგობარ მიშას, რომ მას ემართება იგივე, რაც მის წინამორბედს დაემართა, რადგან ის აბსოლუტურ ვაკუუმშია მოქცეული. ერთი აღმოსავლური ანდაზა მახსენდება, რომელიც გვეუბნება, რომ ღმერთი ადამიანს აძლევს ყველაფერს — მაგალითად, ქალს — სილამაზეს, რომ გამოსცადოს, როგორ გამოიყენებს ის ამ მინიჭებულ ჯილდოს, მამაკაცს კი — სიმდიდრეს და ძალაუფლებას, ხოლო როგორ შეძლებს ამის გამოყენებას, ეს უკვე თვითონ ადამიანზეა დამოკიდებული. შემიძლია გითხრათ, რომ დღეს ბევრმა ვერ მოახერხა ამ ღვთისგან ბოძებული წყალობის სწორად გამოყენება და სიმართლე გითხრათ, ეს ადამიანები უფრო გონიერები მეგონა, ვიდრე სინამდვილეში აღმოჩნდნენ.

— არადა, სწორედ ამ ხელისუფლების დროს დადიოდა ხმები, რუსეთში საქართველოს ელჩად თქვენი დანიშვნის შესახებ.

— როგორც ჩანს, ეს საკითხი ოფიციალურ წრეებში მართლაც, განიხილებოდა. მე არ ვიცი, რატომ ატყდა მაშინ ჩემი კანდიდატურის გარშემო ამხელა აჟიოტაჟი, მაგრამ სხვას ვერაფერს დავარქმევ, თუ არა საგარეო საქმეთა მინისტრისთვის შეუფერებელ საქციელს, იმას, რაც სალომე ზურაბიშვილმა ჩემთან მიმართებაში გააკეთა: მან სპეციალურად ჩემზე სასაუბროდ მოიწვია ბრიფინგი და განგებ კითხულობდა: ვინ არის ის სიმპათიური გოგო?.. მე საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა მაქვს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და საყოველთაოდ ცნობილი იყო მათი პოზიცია იმის თაობაზე, რომ მოხარულები იქნებოდნენ, თუ საქართველო თავის ელჩად რუსული გენეტიკის მქონე ადამიანს წარმოადგენდა — ისევე, როგორც რუსეთმა გამოგზავნა საქართველოში ელჩად ქართული გენეტიკის მქონე ადამიანი. ხოლო იმის დადგენა, თუ ვინ ვისი აგენტია, ვფიქრობ, დღეს პრობლემას არ წარმოადგენს. მე მაგალითად, კარგად ვიცი ბევრი დღევანდელი მაღალჩინოსნის წარსული...

— ამას რატომ ამბობთ? ვინმე ბრალს გდებდათ იმაში, რომ რუსე-

უფროსი სტუდენტია, უმცროსი ვაჟი გიორგი კი, წელს მივიდა სკოლაში...

თის აგენტი იყავით?

— ჩვენში ხომ ასეა: თუ რუსული გვარი გაქვს, გამოდის, რუსების სამსახურში ხარ. ეს იყო უბრალოდ, იაფფასიანი ტრიუკები ჩემი მისამართით.

— ხანგრძლივი ჟურნალისტური საქმიანობის გამო, ხომ არ გიფიქრიათ, ისევ დაჰბრუნებოდით ტელევიზიას?

— ამჟამად მოლაპარაკებებს ვაწარმოებ ჟურნალ „კოსმოპოლიტენის“ ქართული ვარიანტის გამომცემლებთან. სხვათა შორის, პირველი ნომრის გამოცემა უკვე დეკემბრისთვის იგეგმება. ალბათ, ცოტა ხანს, ამ გამოცემაში ვიმუშავებ, თუმცა, საკუთარ თავს უფრო პოლიტიკურ სფეროში ვხედავ და არა იმ საქმიანობაში, რომელიც სილამაზეზე სტატიების წერას ითვალისწინებს... რაც შეეხება ტელევიზიაში დაბრუნებას — ეს ყოვლად წარმოუდგენლად მიმაჩნია, რადგან დღეს საქართველოში ფაქტობრივად აღარ დარჩა სატელევიზიო არხი, რომელსაც შეუძლია მოვლენების ობიექტურად გაშუქება. მეტსაც გეტყვით — ისეთ ფაქტებსაც წავაწყდი, როდესაც სატელევიზიო გზავნილები ისევ ტელევიზიის სამზარეულოში მზადდება და არანაირად არ არის მაყურებლის პოზიციის გამომხატველი. ამიტომ ვფიქრობ, რომ დღეს საქართველოში ბეჭდური მედია გაცილებით ეფექტურია.

— იმისთვისაც მომიკრავს ყური — ლალი მოროშკინა ბიზნესსაქმიანობას აპირებსო...

— საქმე შეეხება ღვინის და სარკინიგზო ბიზნესს. თუმცა, იდეა ჯერჯერობით, განუხორციელებელია, რადგან ჩემი პოტენციური პარტნიორები ინვესტიციის განსახორციელებლად, საქართველოში მისი დაცვის მყარ გარანტიებს ითხოვენ. მაგრამ ჩვენთან არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, ამის გარანტიები ფაქტობრივად არ არსებობს. მეტსაც გეტყვით — რამდენიმე ქართველ ჩინოსანსაც კი ვესაუბრე ამ თემაზე და მათგან არათუ რაღაც პერიოდის, არამედ ხვალინდელი დღის გარანტიაც კი ვერ მივიღე...

— მოდი, ახლა, ცოტა უფრო მსუბუქ თემებზე გადავიდეთ... ხომ არ გიჭირთ სტუდენტებთან ურთიერთობა ან პრიქით — ისინი ხომ არ იბნევიან მომხიბვლელ ახალგაზრდა ლექტორთან კონტაქტისას?

— მსგავსი ბარიერები ჩვენ შორის არ არსებობს, რადგან ყველა მათგანთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ ვასწავლი რუსულ ენას იმ თაობას, რომელსაც ეს ენა სკოლაშიც არ უსწავლია. ამრიგად, როდესაც მინდა, რომ უკვე ზრდასრულ ადამიანებს ღრმად შევასწავლო რუსული კულტურა და ლიტერატურა, „МОЯ-ТВОЯ“-ს დონეზე მიწევს მათთან მეცადინეობის ჩატარება... სხვათა შორის, ჩემი უფროსი ვაჟიც უნივერსიტეტში, იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსზე სწავლობს და სულ მეუბნება: გეხვეწები, უნივერსიტეტის დერეფანში რომ შეეხვდებით ერთმანეთს, ნუ ჩამეხუტებიო. იმასაც მეუბნება ხოლმე: ყველას ნუ გააგებინებ, რომ დედაჩემი ხარ, არ მინდა, ჩაწყობით და დედიკოს დახმარებით მიღებული ნიშნები მქონდესო...

— როგორც ვიცი, თქვენი ვაჟი სანდრო მუსიკით არის გატაცებული...

— ეს ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო და უნდა გითხრათ, რომ მისი მუსიკალური საქმიანობის შესახებ მე ყველაზე გვიან გავიგე. ცოტა ხნის წინ, სანდრომ თავის მეგობრებთან ერთად, ერთ-ერთ ცნობილ კლუბში მუსიკალური საღამო გამართა. როგორც ვიცი, ამ ჯგუფში სანდროს კომპეტენციაში კომპიუტერული უზრუნველყოფა შედის. მიხარია, რომ ჩემი შვილი დამოუკიდებლად ცხოვრებას ცდილობს და დედის ფაქტორით არასდროს სარგებლობს. ჩემი უმცროსი ვაჟი გიორგი კი, წელს მივიდა სკოლაში.

— ლალი, რა გჭირდებათ იმისათვის, რომ თავი ბედნიერად იგრძნოთ?

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, შვილების ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა. ამას მოსდევს მშობლებისა და ახლობლების კეთილდღეობის ფაქტორი. რაღა თქმა უნდა, მეც, ისევე, როგორც ყველა ქალს, ბედნიერებისთვის გვერდით ძლიერი მამაკაცი მჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ რამდენსაც არ უნდა შრომობდეს ქალი და რამდენიც არ უნდა ამტკიცოს, რომ თავად შეუძლია, ყველაფერს გაუმკლავდეს, თუ გვერდში მამაკაცი არ ჰყავს, მისი ფასი — „კაპიკია“. იგივე შემიძლია ვთქვა მამაკაცზე, რომლის ცხოვრების განმსაზღვრელი, მნიშვნელოვანწილად, მის გვერდით მყოფი ქალია. ბედნიერებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს მამაკაცი, რომელსაც უყვარხარ, გაფასებს და შენს საზრუნავს იზიარებს. ბედნიერებისთვის ასევე საჭიროა, გქონდეს სამსახური — არა აქვს მნიშვნელობა, რა პროფესია გაქვს, მთავარია, გრძნობდე, რომ ვიღაცას სჭირდები... ბედნიერების კიდევ ერთი აუცილებელი პირობაა მეგობრებთან ურთიერთობა და კიდევ — მნიშვნელოვანია იმ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური

ამჟამად მოლაპარაკებებს ვაწარმოებ ჟურნალ „კოსმოპოლიტენის“ ქართული ვარიანტის გამომცემლებთან...

ვითარება, რომელშიც ცხოვრობ. რაც თავი მახსოვს, ჩემს ქვეყანაში სულ ომია. ჩემი თაობა ყველაზე დაჩაგრული თაობაა, რომელიც მოესწრო 1989 წლის 9 აპრილს, საკუთარი თვალით ნახა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში განვითარებული მოვლენები და ვერც ახლა ვგრძნობთ სტაბილურად თავს. როგორ შეიძლება, იყო ბედნიერი როდესაც ხედავ, რომ შენ გვერდით ვიღაც შიმშილობს?!. თუმცა, მგონია, რომ „ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული“... ■

თმის გაფანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გაფანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამერიკა-ევროპაში
მრავალნლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
ფიზიკური ტანჯვის, ტკივილის, ოპერაციის, ანესთეზიის, ჰოსპიტალიზაციის, სტაციონარული ტანჯვის, ინფექციის, ნაწიბურების, ანგარიშგაწეული ტანჯვის, ინფარქტის, ინსულტის, ანგინის, ალერგიის, ანემიის, ინფექციის, ანგინის, ალერგიის, ანემიის, ინფექციის, ანგინის, ალერგიის, ანემიის, ინფექცი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ქურდული, სოფელია ხულოს რაიონში.

2. ოპიდოფობია — გველების პანიკურ შიშს ნიშნავს.

3. ჟაკლინ კენედი აღმერთებდა ძვირფასეულობას.

4. „შვიდკვირა“ და „ორმოსავალა“ ღომის ჯიშებია.

5. „სემბეკიკო“, „სამიკო“ და „სირტაკი“ — ბერძნული ცეკვებია.

6. „ციცკა“ — ალექსანდრე ყაზბეგის პირველი მოთხრობაა.

7. გარდაცვალებამდე, გალილეო გალილეიმ მხედველობა დაკარგა.

8. „გატო ენ ბოტას“ — ასე ეღერს ესპანურად „ჩექმებიანი კატა“.

9. „ჩვენი დროის გმირი“ მიხაილ ლერმონტოვმა თბილისში დაწერა.

10. ჩხეიძე — ქართველი მწერლის, გიორგი ქუჩიშვილის ნამდვილი გვარია.

11. ხეოფსის პირამიდის აგებას 2 მილიონზე მეტი ქვის ბლოკი დასჭირდა.

12. კარლ მარქსი სპარტაკს ანტიკური ხანის ყველაზე გამორჩეულ ადამიანად მიიჩნევდა.

13. ბოსელი — ნაყოფიერებისა და გამრავლების წარმართული ღვთაება იყო საქართველოში.

14. ლესია უკრაინკას ვარცხნილობა იულია ტიმოშენკომ ნარინჯისფერი რევოლუციის წინ მოირგო.

15. შეჯიბრებაში გამარჯვებულ სუმოისტს ჯილდოდ მშვილდს გადასცემდნენ. ეს ტრადიცია დღემდეა შემორჩენილი.

16. „კავკასიელი ტყვე ქალის“ გადაღების შემდეგ, რეჟისორმა ლეონიდ გაიდაიმ სათამაშო ვირების კოლექციის შეგროვება დაიწყო.

17. „რობინზონ კრუზოს თავგადასავალი“ დღესაც 300-ზე მეტ ენაზე გამოიცემა. მარტო „ბიბლია“ არის ნათარგმნი უფრო მეტ ენაზე, ვიდრე დანიელ დეფოს ეს ნაწარმოები.

18. „თუ ადამიანი სამსახურებრივ კიბეზე დიდი მონდომებით მიიწევს მაღლა, ნუ იჩქარებთ, მას კარიერისტი უწოდოთ — შესაძლოა, ის მეხანძრეა...“ — ამბობს მიხაილ ზადორნოვი.

19. ახლახან, ერთ-ერთ აუქციონზე 44.500 დოლარად გაიყიდა ტიტანიკის კლასის მგზავრებისთვის განკუთვნილი რესტორნის მენიუ. მის გარეკანზე მაგიდასთან ქცევის წესებია დაბეჭდილი.

20. ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ნაწარმოებთა შესრულებას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს. მისი საფორტე-

ვიცე-პრემიერის სამდივნოში ნოკაუტს გადარჩენილმა ქურნალისტმა ამერიკელები ქართული ფულით გააოგნა

როგორც თავად ამბობს, განათლებით ქიმიკოსია, პროფესიით კი — ჟურნალისტი. ქიმიას რაც შეეხება, ახლა მხოლოდ ერთ „ცდასღა“ ატარებს: ერთი ბოთლიდან მეორეში ისე ასხამს წყალს, რომ წვეთსაც არ ღვრის. ჟურნალისტიკაში კი, საქმე სულ სხვაგვარად აქვს. პირველად, კალამი გაზეთ „რეზონანსში“ მოსინჯა და მერე, მისი კარიერა „ჯაჭვური რეაქციით“ განვითარდა. მუშაობდა რადიოში, საინფორმაციო სააგენტოში, ინტერნეტგამოცემასა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში. ამჟამად, გიორგი კალანდაძე საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობს.

ემა ტუხიაშვილი

— შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალისტიკაში სრულიად შემთხვევით მოვხვდი. ტექნიკურ უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, როდესაც გაზეთ „რეზონანსში“ წავიკითხე განცხადება, სადაც რედაქცია იუწყებოდა, რომ სამუშაოდ იწვევდა მათ, ვისაც „მახვილი კალამი“ ჰქონდა. ვფიქრობ, რომ მაშინ ჩემში ახალგაზრდულმა სითავხედემ იმძლავრა — ჩავთვალე, რომ გაზეთის მოთხოვნებს ვაკმაყოფილებდი, ხოლო დაახლოებით ნახევარ წელიწადში, უკვე „რეზონანსის“ სამთავრობო კორესპონდენტი ვიყავი. თავდაპირველად, მე და ჩემს ერთ-ერთ კოლეგას გაზეთში გვქონდა რუბრიკა, სადაც საზოგადოებას იმ კანონპროექტებს ვაცნობდით, რომლებიც იმ დროს პარლამენტში განიხილებოდა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ჩვენ მიერ დაბეჭდილ კანონპროექტებს თავად პოლიტიკოსებიც სიამოვნებით ეცნობოდნენ, რადგან მანამდე, წაკითხულიც კი არ ჰქონდათ...

— ჟურნალისტურ წრეებში დამკვიდრება არ გაგიჭირდა?

— ნამდვილად არ გამჭირვებია, ერთი უბრალო მიზეზის გამო: თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკა ფაქტობრივად, იმ დროს ყალიბდებოდა. და კიდევ ერთი: მინდა გითხრა, რომ იმდროინდელი ჟურნალისტიკის მეტრები გაცილებით კოლეგიალურები იყვნენ, ვიდრე ახლანდელები... როდესაც ამ სფეროში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, ურთიერთობა მქონდა ისეთ გამოცდილ ჟურნალისტთან, როგორიც გახ-

მილებული გამოცდილება დღევანდელ საქმიანობაში ძალიან მეხმარება, რადგან ვიცი, ვის როგორ უნდა მივაწოდო საჭირო ინფორმაცია (რომან გოცირიძესთან ერთად)

ლავთ ზვიად ქორიძე. იგივე ითქმის გაზეთების — „შვიდი დღისა“ და „დრონის“ სარედაქციო შემადგენლობაზე, ვინც თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ თანამედროვე ჟურნალისტიკის ფუძემდებლებად.

— **შენი ყველაზე სკანდალური სტატია თუ გახსოვს?**

— რა თქმა უნდა, მახსოვს და იმასაც გეტყვი, რომ სტატია, რომლის შესახებაც ახლა გიამბობ, 1993 წელს, გაზეთ „რეზონანსში“ 14-15 მაისის ნომერში დაიბეჭდა. ცოტა ხნით ადრე კი, მაშინდელი ვიცე-პრემიერი, ავთანდილ მარგიანი წასული გახლდათ მინსკში, სადაც სტუმრის სტატუსით ესწრებოდა დსთ-ის ეკონომიკური საბჭოს სხდომას. ალბათ,

აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯორჯ შულცის (შუაში) ვიზიტისას კოლეგებთან ერთად გადაღებული ფოტო

ყველას ახსოვს, რომ იმ დროს, დსთ-ში საქართველოს შესაძლო გაერთიანება საზოგადოებაში ნეგატიურად აღიქმებოდა. მიუხედავად ამისა, ცოტა ხანში ცნობილი გახდა, რომ მარგიანმა აღნიშნულ საბჭოს სხდომაზე ხელი მოაწერა საქართველოს გაერთიანებას ეკონომიკურ კავშირში. შესაძლოა, ღიმილის მომგვრელი იყოს, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტი თავად მარგიანის სამდივნოს უფროსმა გადმომცა. დარწმუნებული ვარ, ახლაც არ იცის, რომ ის ჩემთვის არ უნდა ეჩვენებინა. როდესაც მივხვდი, თუ რა „ბომბი“ მეჭირა ხელში, რედაქციას მივაშურე და მაშინვე დავბეჭდეთ გაზეთის ფურცლებზე. რა თქმა უნდა, ამ სტატიას დიდი ხმაური მოჰყვა, ხოლო დაახლოებით 2 კვირის შემდეგ, კვლავ მომიხდა ავთო მარგიანის სამდივნოში მისვლა. ცოტა ხანში, სამდივნოს უფროსი უკვე „საქმეს მირჩევდა“ — როგორ გავბედე და ეს დოკუმენტი როგორ გამოვაქვეყნე!.. ამ საუბარს, ექსპრეზიდენტ შევარდნაძის პრესსამსახურის თანამშრომელი, სოსო ტყებუჩავა ესწრებოდა. მოულოდნელად, სამდივნოს უფროსმა, რომელიც თურმე, წარსულში მოკრივე ყოფილა, მუშტი მომიღერა. კარგია, რომ დროულად მოვასწარი თავის არიდება, თორემ, ნოკაუტში ჩავარდნა არ ამცდებოდა. თუმცა, მოკრივის მუშტმა მსუბუქად მაინც დამაზიანა. ვიდრე სოსო ტყებუჩავა სამდივნოს უფროსს აკავებდა, იმ ოთახიდან გამოვარდნა მოვასწარი. როგორც შემდეგ მითხრეს, მთელი დღის განმავლობაში, სვანები მეძებდნენ... იმ დღეს, ჩემმა მეგობარმა, ნიკო ორველაშვილმა გადამარჩინა: იმ დროს, სახელმწიფო კანცელარიაში მუშაობდა და მის კაბინეტში ვიმალებოდი...

— **ტელეჟურნალისტიკაში როგორ მოხვდი?**

— ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე მუშაობა რომ დავიწყე, ეს ეროსი კიწმარიშვილის, ეკა ხოფერიასა და ამ არხის ერთ-ერთი დამფუძნებლის, დათო დვალის დამსახურებაა. სწორედ მათ შემომთავაზეს გაზეთ „24 საათიდან“ ტელევიზიაში გადავსულიყავი. ეს გარკვეული ექსპერიმენტიც იყო, რომელმაც გაამართლა და თითქმის 3 წელი გაგრძელდა.

— **კამერის წინ მუშაობა ხომ არ გაგჭირვებია?**

— წარმოიდგინე, იმდენად თავისუფლად ვგრძნობდი კამერის ობიექტივთან თავს, რომ მე თვითონაც მიკვირდა. რა თქმა უნდა, ზოგადად ჟურნალისტიკაში საერთო პრინციპები მოქმედებს, მაგრამ ერთია, იყო, პრესის ჟურნალისტი, სადაც ყველაზე დიდი დატვირთვა სიტყვაზე მოდის, და სულ სხვაა ტელევიზია, სადაც ამბის გადმოცემისას, ვიდეორიგს აქვს დიდი დატვირვა და ძალზე მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ და რა თანმიმდევრობით დააწყობ კადრებს. სასურველია, რომ თითოეულ ჟურნალისტს მიეცეს შესაძლებლობა, პრაქტიკულად გაეცნოს ყველა იმ სფეროს, რომელსაც ჟურნალისტიკა აერთიანებს. მადლობა ღმერთს, რომ მქონდა შესაძლებლობა, მემუშავა საინფორმაციო სააგენტოში, გაზეთში, ინტერნეტგამოცემაში, ტელევიზიასა და რადიოშიც კი. მიღებული გამოცდილება დღევანდელ საქმიანობაში ძალიან მეხმარება, რადგან ვიცი, ვის როგორ უნდა მივაწოდო საჭირო ინფორმაცია.

— **ყველაზე ექსტრემალური და**

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

პიანო კონცერტები და სონატები პირველი ქართველი პიანისტის, ალოიზ მიზანდარის რეპერტუარში შედიოდა. ქართული საბჭოთა საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიაში შევიდა, 1927 წლის 4 აპრილს, თბილისში გამართული, ბეთჰოვენის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი: „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ სიმფონიურმა ორკესტრმა ივანე ფალიაშვილის დირიჟორობით საქართველოში პირველად შეასრულა ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია.

21. ლეონარდო და ვინჩიმ „საიდუმლო სერობის“ ხატვისას, საღებავების ახალი ნარევი სცადა, რომელიც ძალზე ნელა შრებოდა. სამუშაო გაჭიანურდა, რის გამოც მხატვარმა შემკვეთთაგან საყვედურიც კი მიიღო. სამწუხაროდ, ექსპერიმენტმა არ გაამართლა — ფრესკამ მხატვრის სიცოცხლეშივე დაიწყო გაფუჭება.

22. ათენას ქანდაკება მოქანდაკე ფიდიასმა პერიკლესის დაკვეთით გააკეთა. ეს ქმნილება ოქროთი და სპილოს ძვლით იყო აგებული. სამუშაოს დასრულების შემდეგ, ფიდიასი გენიოსად შერაცხეს, მაგრამ იმის გამო, რომ მან ვერ წარმოადგინა მონაცემები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის ოქრო დაიხარჯა ქანდაკების შესაქმნელად, მოქანდაკეს ოქროს მოპარვაში დასდეს ბრალი. P.S. ეს ის ფიდიასია, რომელმაც შემდგომში, ქალაქ ოლიმპიაში მსოფლიოს ერთ-ერთი შვიდ საოცრებათაგანი — ზევსის ქანდაკება შექმნა.

23. სტალინის სიკვდილის შემდეგ, ბერიამ პარტიის ყრილობაზე წამოაყენა წინადადება, საკავშირო რესპუბლიკებში მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობიდან აერჩიათ ცეკას პირველი მდივნები და ნაციონალური გვარდიების შექმნის იდეითაც გამოვიდა, რის გამოც, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბევრი წევრი ხრუშჩოვს მიეხრო.

24. თვითნასწავლი გერმანელი ფილოსოფოსი, იაკობ ბემე პროფესიით მეწაღე იყო. მას ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი — თემიდას ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს, სასწორს თავზე გადაამტვრევდნენო.

25. სადარაჯოზე მდგარ სააღლუმო ფორმაში გამოწყობილ ინგლისის სამეფო გვარდიის კავალერისტებს ლაპარაკი და განძრევაც კი ეკრძალებათ. ისინი მაშინაც კი გაქვავებულნი სხედან ცხენებზე, როდესაც ულამაზესი ქალიშვილები ჩექმის ყელში ბარათებს უდებენ, თავიანთი ტელეფონის ნომრებით.

მიმაჩნია, რომ ინტერვიუ არის ორთაბრძოლა...

საინტერესო რეპორტაჟი თუ შეგიძლია, გაიხსენო?

— შემიძლია გავიხსენო ყველაზე ცოცხალი დღე ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის მანძილზე. ეს გახლდათ 2003 წლის 22 ნოემბერი, როდესაც მე და ჩემი კოლეგები ტელეკომპანიებიდან — „მე-9 არხი“ და „იბერია“ — სახელმწიფო კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაგვკეტეს და გარეთ გამოსვლის უფლებას არ გვაძლევდნენ. საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ პროცესებს ჩვენ კანცელარიის ღობის იქიდან ვადევნებდით თვალყურს და გვქონდა რეალური შიში იმისა, რომ შეიძლებოდა, რაღაც არასასიამოვნო მომხდარიყო. ყველგან შეიარაღებული ადამიანები იდგნენ, კანცელარიაში კი სრული პანიკა სუფევდა. ვხვდებოდით, რომ მთავრდებოდა ერთი ეპოქა და რაღაც ახალი უნდა დაწყებულიყო. მახსოვს, უცნაური იყო იმის აღქმა, რომ შენობა, სადაც ჩვენი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები ვითარდებოდა, სრულიად დაცარიელდა. კანცელარიაში მიმოდიოდნენ დაბნეული დაცვის წევრები, იქ იმყოფებოდნენ პეტრე მამრაძე და გიორგი ისაკაძე, რომლებსაც იმ დღეს შენობა ფაქტობრივად არ დაუტოვებიათ... რაც შეეხება ყველაზე საინტერესო ინტერვიუს — ამ თვალსაზრისით ბევრი ჩემი რესპონდენტი შემიძლია გამოვყო, თუმცა, ყველაზე მეტად მაინც ევგენი პრიმაკოვთან ჩაწერილი საუბარი დამამახსოვრდა. ეს ისეთ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება, როდესაც დასმულ კითხვებში თითოეული სიტყვა უნდა გათვალო. არიან რესპონდენტები, ვისთანაც შეგიძლია, ცოტა მოეშვა, კითხვა ვერ ჩამოაყალიბო. პრიმაკოვთან საუბრისას კი, კითხვა სწორედ იმგვარად უნდა ჩამოაყალიბო, რომ შენთვის სასურველი პასუხი მიიღო... მიმაჩნია, რომ ინტერვიუ არის ორთაბრძოლა, რომლის დასრულებისას, ორივე მოსაუბრეს ისეთი შთაბეჭდილება უნდა დარჩეს, რომ ერთმანეთის პირისპირ თანაბარი დონის პარტნიორები იმყოფებოდნენ და კარგია, თუ ყოველივე ეს ურთიერთპატივისცემით მთავრდება.

— როგორც ტელეკორესპონდენტს, ხშირად გიწევდა საზღვარგარეთ მივლინებით გამგზავრება...

— დიახ, სიუჟეტების მოსამზადებლად ნამყოფი ვარ: აზერბაიჯანში, უზბეკეთში, უკრაინაში, პოლონეთსა და თურქეთში. ამ ქვეყნებიდან, უკრაინას გამოვყოფდი. მე და ჩემი ოპერატორი კიევში, პრეზიდენტ იუშჩენკოს ინაუგურაციამდე ცოტა ხნით ადრე მიგვავლინეს. საშუალება მქონდა, გავცნობოდი უკრაინის მთელ პოლიტიკურ სპექტრს. ინტერვიუ ჩავწერე თავად იუშჩენკოსთან, იულია ტიმოშენკოსთან, მოროზთან, პოროშენკოსთან... სხვათა შორის, ისეთი შემთხვევაც მქონდა, როდესაც უკრაინელ ჟურნალისტებს დავეხმარე ყოფილი პრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმას სიძის, პინჩუკის ინტერვიუს ჩაწერაში. ეს ამბავი იმით დაიწყო, რომ პინჩუკი საქართველოში გავიცანი, როდესაც ის „ჭიათურმანგანუმის“ პრივატიზებასთან დაკავშირებით იყო ჩამოსული, თუმცა, მაშინ ინტერვიუზე ვერაფრით დავითანხმე. უკრაინაში კი, თავად მიცნო და გამომელაპარაკა. საკმაო ხანს ვისაუბრეთ. ამით იქაურმა ჟურნალისტებმა ისარგებლეს და კომენტარი სთხოვეს. შემდეგ, ჩემი უკრაინელი კოლეგები მადლობას მიხდიდნენ: შენ რომ არა, პინჩუკი ჩვენ არაფრად ჩაგვაგდებდაო... კიდევ ერთი საინტერესო ფაქტის მომსწრე გავხდი უკრაინაში. იქ შევხვდი ერთ-ერთ ქართველ ბიზნესმენს, რომელსაც მთელი უკრაინის მასშტაბით მაღალი დონის ავტოსალონები, ასევე საავტომობილო ქარხანა აქვს, სადაც ცნობილი მარკების — მაგალითად, „მერსედესის“ ავტომობილებს აწყობენ. ამ ბიზნესმენთან ვწერდი ინტერვიუს, როდესაც უკრაინული პარლამენტის — რადის დეპუტატი პოროშენკო შემოვიდა და ჩვენ თვალწინ, 150 ათასი ევროს ღირებულების მანქანა შეიძინა...

— აქტიური ჟურნალისტური საქმიანობიდან, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში როგორ მოხვდი?

— ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ბატონი რომან გოცირიძე ჩემი დიდი ხნის რესპონდენტი გახლდათ. მისგან ამ თანამდებობაზე გადმოსვლის წინადადება მივიღე და მეორე დღეს, დავთანხმდი კიდეც...

— რამდენიმე დღეა, რაც ეროვნული ბანკის დელეგაცია, ბატონი რომანის ხელმძღვანელობით, ვაშინგტონიდან დაბრუნდა. რა მისიით იმყოფებოდით აშშ-ში?

— ამ ვიზიტის ფარგლებში, ჩემი კონკრეტული პროგრამა მქონდა. შევხვდი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღვანელებს. შედგა საუბარი იმის თაობაზე, რომ თბილისში მომზადდეს ამიერკავკასიის ფულის ნიშნების ისტორიის ამსახველი ექსპოზიცია, რომელიც შესაძლოა, მოძრავი იყოს და გასაცნობად წარვადგინოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ცენტრალურ ოფისებში. სხვათა შორის, გაოცებულები იყვნენ იმით, როცა შეიტყვეს, რომ კოლხური თეთრი ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე V საუკუნეში არსებობდა... რაც შეეხება თავად ეროვნული ბანკის პრეზიდენტს — მას შეხვედრები ჰქონდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელებთან, მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებთან. სავალუტო ფონდში გაკვირვებულები არიან იმით, რომ საქართველო დადგენილი პროგრამით გათვალისწინებულ ყველა პარამეტრს ასრულებს. ოქტომბერში საქართველოში ჩამოვა ამ ფონდის ტექნიკური მისია, ადგილზე მოხდება არსებული ვითარების შესწავლა, რის შემდეგაც, სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო მიიღებს საქართველოსთვის მორიგი ტრანშის გამოყოფის საკითხს, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. ■

ზოგადად ჟურნალისტიკაში საერთო პრინციპები მოქმედებს, მაგრამ ერთია, იყო, პრესის ჟურნალისტი, სადაც ყველაზე დიდი დაგვირთვა სიტყვაზე მოდის, და სულ სხვაა ტელევიზია...

„ეთელი, რომ უბრალოებაში მეტი სილამაზეა — დანარჩენი „ეარსკვლავური აკადემიოზის“ შედეგია...“

ზურა და ქეთინო დოიჯაშვილებმა ერთმანეთი ბორჯომში 1979 წელს გაიცნეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი, ოჯახიც შექმნეს. მათთვის ოჯახი ის წმინდა ადგილია, სადაც ადგილი არა აქვს ორგულობას, ღალატსა და ტყუილს. ცდილობენ, შვილებიც ისე აღზარდონ, როგორც ტრადიციულ ქართულ ოჯახს შეეფერება.

სოფო ჭონიშვილი

ქეთინო:

— ერთმანეთი 1981 წელს ბორჯომში გავიცანით...

ზურა:

— 1981-ში კი არა, — 1979-ში! ერთი ნახვით შემიყვარდა...

ქეთინო:

— მგონი, ეს გატაცება უფრო იყო, ვიდრე სიყვარული.

— არა, ეს პირველი სიყვარული იყო.

— ერთმანეთი რით მოხიბლეთ?

ზურა:

— ყველაფრით.

ქეთინო:

— მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, მე ზურათი არ მოვხიბლულვარ, ეს ადვილი არ იყო...

— ბატონო ზურა, რით მიიქციეთ თქვენი მეუღლის ყურადღება?

— მთელმა ბორჯომმა იცოდა, ქეთინო ჩემი მეგობარი რომ იყო, ცივ ნიავს არ ვაკარებდი. მისი გულისთვის ხეზეც კი ავდიოდი და „კევებს“ ვაგროვებდი. დილის 7 საათზე სერენადებს ვუმღეროდი.

ქეთინო:

— მაშინ ბესო კალანდაძის სიმღერა — „მე გაზაფხულივით მოგეპარე“ — იყო მოდაში.

— თქვენი ურთიერთობა როგორ გაგრძელდა?

— ვმეგობრობდით. მერე ზურა ჯარში წავიდა... 1992 წელს კი, შევუღლდით.

— პირველი პაემანი თუ გახსოვთ?

— ეს 1981 წელს იყო. მე და ჩემი მეგობარი „ლაღიძეში“ დაგვპატიჟა. სად იყო მაშინ ამდენი კაფე-ბარი?!

— ამ შეხვედრის დროს არ ნერვიულობდით?

— არ ვნერვიულობდი, რადგან ერთმანეთთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებდა.

— თქვენი შეუღლება ტრადიციული წესების დაცვით მოხდა თუ გაიპარეთ?

— არა, არ გავპარულვართ. გასაპარი არაფერი გვჭირდა.

— მშობლებს სასიძო მოსწონდათ?

— ზურა საერთოდ, ყველას უყვარს და მოსწონს, ამიტომ მოწონება-არმოწონებაზე ლაპარაკი არ ყოფილა... ქორწილი ძალიან ვიწრო წრეში გადავიხადეთ. ეს იყო მაშინ, როცა საქართველოში ძალიან მძიმე პერიოდი იდგა. ჩვენს სახლში შეიკრიბნენ ჩემი და ზურას ახლობლები, დაახლოებით 50 კაცი.

— როგორია ზურა ოჯახში? თუ გეხმარებათ საოჯახო საქმეებში?

ზურა:

— სამწუხაროდ, ვერაფერში ვეხმარები. მხოლოდ მატერიალურ მხარეს ვუზრუნველყოფ. ღმერთმა დაიფაროს და, თუ ცუდად გახდა, იმ შემთხვევაში შეიძლება დავეხმარო...

ქეთინო:

— ბავშვებთან დაკავშირებით მეხმარება: მათ წაყვანა-მოყვანას შეძლებისდაგვარად ახერხებს. მაგრამ ხშირად, გასტროლებზე იმყოფება. ამის გამო ხდება ისიც, რომ მამაკაცის ზოგიერთი ფუნქცია შეთავსებული მაქვს — მაგალითად, ბაზარში წასვლა.

— ერთმანეთის დადებით და უარყოფით თვისებებზე თუ შეგიძლიათ, მითხრათ რამე?

— ზურას ძალიან ბევრი დადებითი თვისება აქვს. ერთგულია თავისი ოჯახის, შვილების, მეგობრების... საერთოდ, ძალიან ერთგული ადამიანია. უარყოფითი თვისებებიც აქვს ალბათ, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო, რომ ყურადღებას არც ვაქცევ.

ზურა:

— მე და ქეთინო ერთი მთლიანი ვართ, რაც წლები გადის, მით უფრო ვუახლოვდებით ერთმანეთს. ყოველთვის შემიძლია ვიყო ამ ადამიანის იმედზე. რა საქმესაც არ უნდა მოჰკიდოს ხელი, ვიცი, რომ ბოლომდე მიიყვანს. ტყუპი რომ დაიბადა, ქეთინოს არავინ ეხმარებოდა. მიუხედავად ამისა, ორივეს არაჩვეულებრივად უვლიდა. ახლა უკვე მეგობრებს აძლევს რჩევა-დარიგებებს.

— კონფლიქტურები თუ ხართ?

— ქეთინო კონფლიქტური არ არის. ყველა ოჯახში ხდება პატარ-პატარა წალაპარაკება. ასეთ დროს, ვცდილობთ, ერთმანეთს გავუგოთ, მხოლოდ ცოტა ხნით ვებუტეებით ურთიერთს, მალე ვრიგდებით, ისე, რომ არც გვახსოვს ხოლმე, რაზე გავუბრაზდით ერთმანეთს.

ქეთინო:

— ზურა კონფლიქტების გარეშე ცხოვრობს, ყოველთვის ცდილობს, თავი აარიდოს მას და იპოვოს გამოსავალი. ჩვენი ერთად ცხოვრების მანძილზე, გაბრაზებული ზურა იშვიათად მინახავს. შეიძლება, უეცრად რაღაცაზე იყვიროს, რაღაც არ ესიამოვნოს, მაგრამ სერიოზული გაბრაზება არ იცის. ვერ იტანს ტყუილს.

— თქვენ მოგიტყუებიათ მეუღლე ოდესმე?

— არასოდეს. შეიძლება გავაშაყირო, თორემ, ტყუილი ჩვენ შორის არ არსებობს.

— ბატონი ზურა ოჯახში მკაცრია?

— მკაცრი არ არის, მაგრამ არც ძალიან ლმობიერია. ითხოვს იმას, რაც ტრადიციული ქართული ოჯახის შენარჩუნებას სჭირდება. სურს, შვილებიც ტრადიციულად აღზარდოს. თუმცა, შვილები მას ხასიათით არ ჰგვანან.

— მუსიკალური ნიჭით თუ ჰგვანან?

მკაცრი არ არის, მაგრამ არც ძალიან ლმობიერია...

— მუსიკალური ნიჭით ბიჭი (ნიკა) ჰგავს. ნიკა უსმენს იმ მუსიკას, რომელსაც დღევანდელი ტინეიჯერები არ უსმენენ. ზურამ თავიდანვე ჩამოუყალიბა შვილებს მუსიკალური გემოვნება.

— რამდენად ყურადღებიანი მეუღლეა?

— რომ გითხრათ, ყოველდღე სიუპრიზს მიკეთებს-მეთქი, მოგატყუებთ. ცდილობს, რაღაცნაირად მოახერხოს, ვყავდე ყურადღების ცენტრში. მას იმდენად დატვირთული გრაფიკი აქვს, ამისთვის დროც აღარ რჩება. დღევანდელი ცხოვრებიდან გამომდინარე, იმდენად გართულდა ყველაფერი, რომ ერთმანეთს სიურპრიზებს ვეღარ ვუკეთებთ. თუმცა, ცოლქმრობის პერიოდში, ყოფილა ასეთი შემთხვევაც: დილის 6 საათზე კარზე ზარი გაისმა, გავედი და შემრჩა ზურა 101 ვარდით ხელში...

— დაბადების დღეზე რას გიძღვნით ხოლმე საჩუქრად?

— ძირითადად, სუნამოს. ძალიან მიყვარს „ჟადორი“. ისე, უფრო ხშირად, მე ვუკეთებ ხოლმე საჩუქრებს: ვფიქრობ, რომ მას უფრო მეტი სჭირდება.

— ბატონო ზურა, რა კერძი გიყვართ, მეუღლის მომზადებული?

— ქეთინო ძალიან კარგად აკეთებს სოკოს არაჟნით და შილაფლავს. განსაკუთრებით კი, ხინკალი მიყვარს.

— ლუდთან ერთად, ხომ?

— არა — ლუდი მიყვარს ხინკალთან ერთად *(იცინის)*.

— ალკოჰოლური სასმელებიც გიყვართ?

— რომ ვთქვა, მიყვარს-მეთქი, არ იქნება სწორი — უბრალოდ, ქეიფის მომენტი მომწონს. მარტო ვერასდროს დავლევ, ლუდსაც კი. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს, ერთ კათხა ლუდზე მეტს ვერ ვსვამ და კიდევ — ლუდსა და არაყს ერთად არასდროს ვსვამ, რადგან ამ დროს, ვერც ერთის გემოს ვერ იგებ.

— ქალბატონო ქეთინო, როგორი სიმთვრალე აქვს თქვენს მეუღლეს?

— ნორმალური. ოღონდ, ძალიან უჭირს სუფრიდან ადგომა და სახლში წამოსვლა — მეგობრების დატოვება ეძნელება ხოლმე.

— ვინ არიან მისი მეგობრები?

— მამუკა ონაშვილისა და ზურას მეგობრობის შესახებ მთელმა თბილისმა იცის. ისინი ერთმანეთს ყველანაირად უგებენ... მისი მეგობრები არიან ზურა კობეშავიძე, მერაბ სეფაშვილი, პანჩო, „ნიკოლშოუს“ წევრები, „ქუჩის ბიჭები“ და ა.შ.

— ბატონ ზურას კერძის მომზადება თუ ეხერხება?

— შეიძლება, შეიწვას კარტოფილი, კვერცხი, დაისხას ჩაი, ასევე ამზადებს პომიდვრის სალათას, რომელიც თვითონ ძალიან მოსწონს.

— ქალბატონო ქეთინო, როგორ აფასებთ ზურას შემოქმედებას?

— მე ვთვლი, რომ ზურა საკმაოდ კარგი მომღერალია. მას უფრო მეტი შეუძლია გააკეთოს, ვიდრე აკეთებს. მაგრამ როცა გყავს ოჯახი და 2 შვილი, ამ ყველაფერს იმდენად ვეღარ ახორციელებ... ზურას აქვს არჩეული ისეთი სტილი, რომელსაც არავითარ შემთხვევაში, არანაირი დროისა და ასაკობრივი ცენზის გამო არ მიატოვებს. მისი სიმღერების გარემოქცევა გამორიცხულია.

— შვილები თუ უსმენენ თქვენს სიმღერებს?

ზურა:

— კი უსმენენ. რაღაც მოსწონთ, რაღაც — არა. მათ აზრს ყოველთვის ვითვალისწინებ ხოლმე.

— ქალბატონო ქეთინო, ძნელია თუ არა პოპულარული კაცის ცოლობა?

— ძნელი არ არის. ყოველ შემთხვევაში, მე ამას არ ვართულებ. ჩვეულებრივად ვცხოვრობ. თუ გინდა, იმიჯი შეიცვალო და ყურადღების ცენტრში მოექცე, ვარსკვლავის ცოლად იგრძნო თავი, — ესეც შეიძლება, მაგრამ ვთვლი, რომ უბრალოებაში მეტი სილამაზეა, დანარჩენი კი „ვარსკვლავური ავადმყოფობის“ შედეგია. ზურაც ასევე ფიქრობს და ამიტომ მისი ცოლობა ადვილია.

— ზურას თაყვანისმცემლები არ გაწუხებენ?

— არა.

ზურა:

— არც მე.

ქეთინო:

— მე შეწუხებად არ ვთვლი იმას, რომ ადამიანი მეტყვის — მიყვარხარ, მომწონხარ, ავტოგრაფი მომეცი, სურათი გადავიღოთო და ა.შ.

ზურა:

— მე მგონი, ეს, პირიქით, სასიამოვნოც კია.

— წელს სად ისვენებდით?

— ქეთინო:

— ქობულეთში, წლების განმავლობაში სისტემატურად ვისვენებთ ერთ ოჯახში. ვიკრიბებით კობეშავიძეები, ონაშვილები, თეთრაშვილები და კიდევ რამდენიმე ოჯახი. იქაურობა ძალიან მოგვწონს და კარგადაც ვერთობით.

ზურა:

— ყოველ წელიწადს ვამბობთ — სხვაგან წავიდეთ-თქო, მაგრამ მაინც იქ მივდივართ.

ქეთინო:

— მიუხედავად იმისა, რომ იქ დიდი კომფორტი არ არის, იქაურობა ძალიან შეგვიყვარდა.

— ბატონო ზურა, რა სიახლეებია თქვენს შემოქმედებაში?

— ახალ სიმღერებს ვწერ. მინდა, წლის ბოლომდე ახალი ალბომი გამოვუშვა. 2 აუდიოკასეტა მაქვს გამოშვებული, ერთი — დუეტების, მეორე — სოლო სიმღერების. კომპაქტ-დისკი არ მაქვს. ახლა ამაზე ვმუშაობ.

— ხომ არ გეგმავთ სოლო კონცერტის ჩატარებას?

— ახლო მომავალში — არა, მაგრამ ვაპირებ. თან მინდა, ძალიან კარგი გამოვიდეს, ფირზე გადავიღო, ამას კი დრო და მუშაობა სჭირდება. ვაპირებ ასევე კლიპის გადაღებას ჩემს ახალ სიმღერაზე...

■



მინდა, წლის ბოლომდე ახალი ალბომი გამოვუშვა...

დავამშვიდოთ გაღიზიანებული ნაწლავი

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი (გნს) სამედიცინო დიაგნოზია, რომელსაც პლანეტის მოსახლეობის თითქმის 40%-ს უსვამენ. გნს-ის სიმპტომებია: მუცლის ტკივილი და ყურყურის შეგრძნება, შებერილობა, აირების ჭარბად წამოქმნა (მეტეორიზმი), ზოგჯერ თავის ტკივილი, ძილის დარღვევა, ყელში ბურთის გაჩხერის შეგრძნება, დაბოლოს — ყაბზობა ან ღაფარათი.

თუ ექიმმა დაგისვათ „ქრონიკული სპაზმური კოლიტის“ დიაგნოზი, ესეც იგივეა, რაც გნს. უბრალოდ, ტერმინი — „გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი“ სულ ცოტა ხნის — დაახლოებით 10-15 წლის წინ დამკვიდრდა. საქმე ის გახლავთ, რომ მსხვილი ნაწლავის დეტალური ენდოსკოპიური გამოკვლევებისას დადგინდა, რომ სინამდვილეში, არავითარი კოლიტი (ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება) ავადმყოფებს არ ჰქონდათ. მაგრამ იყო ჩივილები და აშკარად გამოხატული სიმპტომები. მაშინ ექიმები დაფიქრდნენ და დაასკვნეს: პაციენტთა უმრავლესობას აქვს ნაწლავის მოტორული (მამოძრავებელი) ფუნქციის ნერვული რეგულაციის დარღვევა. ასე გაჩნდა გნს.

სპეციალისტები გნს-ის მიმდინარეობის 3 ძირითად ვარიანტს გამოყოფენ: ტკივილითა და მეტეორიზმით გამოხატულს; რეგულარული ყაბზობით გამოხატულს; რეგულარული ფაღარათით გამოხატულს. რა თქმა უნდა, ყველა ჩამოთვლილი სიმპტომი კუჭ-ნაწლავის ტრაქტის უფრო სერიოზული დაავადებების — მაგალითად, წყლულოვანი კოლიტის, კრონის დაავადების, ავთვისებიანი სიმსივნის სიგნალიც შეიძლება იყოს. ამიტომ გასტროენტეროლოგები გნს-ის დიაგნოსტირებისას ყოველთვის უნდა სარგებლობდნენ გამოკვეთილი კრიტერიუმებით, რათა არ გამოეპაროთ უფრო სერიოზული პათოლოგია. ამიტომ ავადმყოფებს უტარდებათ დეტალური კლინიკური გამოკვლევები (სისხლის, შინაგანი ორგანოების და ა.შ.).

დღეისათვის გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომს მკურნალობენ არა მხოლოდ მედიკამენტებით (რომელთაც, სხვათა შორის, ნიშნავს ექიმი და არა აფთიაქის პროვიზორი, ვისაც სთხოვთ — რამე საშუალებას მუცლისთვის), არამედ ფსიქოთერაპიული მეთოდებითაც. გარდა ამისა, მკურნალობის კურსი მოიცავს დღის რეჟიმისა და კვების ხასიათის მოწესრიგებას, პაციენტის შინაგანი დისციპლინის დახვწას, მის განკურნებას დეპრესიისა და იპოქონდრიისაგან.

გნს-ისას, რომელიც გამოხატული ტკივილის შეგრძნებით მიმდინარეობს, გასტროენტეროლოგები ჩვეულებრივ, ნიშნავენ სპაზმოლიზური მოქმედების პრეპარატებს. თუ ყაბზობა დომინირებს, წინა პლანზე გადმოდის დიეტური რეკომენდაციები, კერძოდ — კვების რაციონის გამდიდრება კვებითი ბოჭკოებით. ამასთან ერთად კი, ინიშნება ნაწლავის მოტორიკის გამაძლიერებელი პრეპარატები. ფაღარათით გამოხატული გნს-ის დროს უმჯობესია, რაციონიდან ამოვიღოთ უჯრედისი და დავნიშნოთ მადსორბირებელი საშუალებები — მაგალითად, გააქტიურებული ნახშირი.

სწორი მკურნალობისას სინდრომი არ პროგრესირებს და ადამიანი თავს კომფორტულად გრძნობს. ■

როგორ ვიკვებოთ დისკინეზიის დროს

სანაღვლე გზებისა და ნაღვლის ბუშტის დისკინეზია სანაღვლე სადინარებისა და ბუშტის მამოძრავებელი ფუნქციის ფუნქციური მოშლაა. განასხვავებენ ნაღვლის ბუშტის დისკინეზიის ჰიპერტონიულ და ჰიპოტონიურ ფორმებს. პირველ შემთხვევაში, ბუშტი ძლიერად იკუმშება და ნაღველს არ გამოყოფს, მეორეში კი — ცუდად იკუმშება და ნაღველი მუდმივად გამოიყოფა.

დაავადების მიზეზები შეიძლება იყოს: ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციის დარღვევა, შინაგანი ორგანოების სხვადასხვა დაავადება, გადატანილი ინფექციები, ორგანიზმის ინტოქსიკაცია, ალერგია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი კი, კვების რეჟიმის დარღვევაა, ამიტომ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს. ხალხური მედიცინა ასეთ რეკომენდაციებს იძლევა:

● მიირთვით თალგამი, უმად და მოხარშული. მას ანტიანთებითი და ნაღველმდენი თვისებები აქვს;

● მიირთვით გოგრა. მის უმსა და მოხარშულ რბილობს ნაღველმდენი ეფექტი აქვს. მყარი გამაჯანსაღებელი ეფექტის მისაღებად კი, საჭიროა დღეში 0,5 კგ-ზე მეტი გოგრის ჭამა.

● გოგრის ჭამის ნაცვლად შეგიძლიათ, ყოველდღიურად 0,5-1 ჭიქა ახალგამოწურული გოგრის წვენი სვათ. იგი ზემოაღნიშნულ თვისებებთან ერთად, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს ძილს, ამიტომ სასარგებლოა მისი დალევა ძილის წინ.

● ხორბლის მარცვლებს დაასხით წყალი და დადგით თბილ ადგილას. როგორც კი მარცვლებს გამოუვა 1 მმ ზომის წანაზარდები, კარგად გარეცხეთ. გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, დაუმატეთ ზეთი; ჭამეთ დილაობით, უზმოზე.

● „ჰერკულესის“ მარცვლები ჩაალბეთ ცხელ წყალში, შეაგრილეთ და მიიღეთ ჭამამდე 30 წუთით ადრე დილა-საღამოს.

● პირშუშხას ფესვი და 5-6 ცალი ფოთოლი დააქუცმაცეთ, დაასხით 0,5 ლ არაყი და დადგით 1 კვირით. მიიღეთ თითო ს/კ სამჯერ დღეში ჭამამდე.

● გოგრის გამომშრალი თესლი დაფქვით. 1 ჩ/ჭ ასეთ ფქვილს დაასხით 1 ჩ/ჭ ცხელი ანადუღარი რძე. გააჩერეთ თერმოსში 0,5 საათი, გადაწურეთ და დალიეთ 0,5 ჩ/ჭ დილით უზმოზე.

● ყოველდღიურად, ყოველ 2 საათში ერთხელ სვით 2-2 ს/კ ლიმონის წვენი.

● შეურიეთ ერთმანეთს 0,5 ჩ/ჭ ახალგამოწურული სტაფილოს წვენი და იმავე რაოდენობის, 70-80 გრადუსამდე შემთბარი რძე. ეს ნარევი უნდა სვათ ყლუპ-ყლუპად ვახშმის ნაცვლად. თუ მძიმე სამუშაო გაქვთ და ეს კალორიები თქვენთვის საკმარისი არ არის, მაშინ შეგიძლიათ, ჩვეულებრივად ივახშმოთ კიდეც, ოღონდ — მხოლოდ წვენის მიღებიდან 1 საათის შემდეგ.

● შეურიეთ კიტრის, სტაფილოსა და ჭარხლის წვენები თანაბარი რაოდენობით. მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ ნარევი 3-ჯერ დღეში ჭამამდე 20 წუთით ადრე.

● კომბოსტოს მწნილის წვენს შეურიეთ იმდენივე ტომატის წვენი. დალიეთ 1 ჩ/ჭ ეს ნარევი ჭამის შემდეგ.

● 1 ჩ/ჭ ვაშლის წვენში გახსენით 1 ს/კ თაფლი. სვით 0,5 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში.

ყრუ ტკივილის შეგრძნებისას ასე უნდა მოიქცეთ: მიიღეთ 1 ცალი ათქვეფილი კვერცხის გული; 5 წუთის შემდეგ, დალიეთ 1 ჩ/ჭ თბილი მინერალური წყალი, რის შემდეგაც, დაწექით მარჯვენა მხარეს და მარჯვენა ფერდქვეშ დაიდეთ თბილი სათბურა.

ჰორმონები კლიმაქსის დროს: მაქსიმალურად უსაფრთხოა

სამედიცინო პრესაში პერიოდულად ჩნდება ცნობები იმის შესახებ, რომ მენოპაუზის დროს დანიშნულმა ჩანაცვლებითმა ჰორმონოთერაპიამ შეიძლება, უფრო მეტი ზიანი მოუტანოს ადამიანს, ვიდრე სარგებელი. რამდენად საფუძვლიანია ასეთი მოსაზრება?



გთავაზობთ ტელ-ავივის უნივერსიტეტის კლინიკის პროფესორის, მენოპაუზის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტის, ოსტეოპოროზისა და დენსიტომეტრიის კლინიკის დირექტორის ამოს პაინესის მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხზე. იგი უარყოფს ჰორმონოთერაპიასთან დაკავშირებულ რამდენიმე მითს.

მითი პირველი

ჰორმონებით მკურნალობამ მენოპაუზის დროს შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული გვერდითი მოქმედებები — ონკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები.

45-55 წლის ქალებისთვის (ჰორმონოთერაპიას ხშირ შემთხვევაში სწორედ მათ უნიშნავენ) რისკი პრაქტიკულად ნულის ტოლია, კლიმაქსის უსიამოვნო სიმპტომების — ალების, უძილობის, ოსტეოპოროზის — მკურნალობის ეფექტურობა კი მაქსიმალურად მაღალია.

გარკვეული რისკი არსებობს მხოლოდ 60 წელზე უფროსი ქალებისათვის პრეპარატების ხანგრძლივად (10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში) მიღების შემთხვევაში. გამოკვლევები, რომლებმაც გამოავლინა მკერდის კიბოს, ინფარქტისა და ინსულტის განვითარების რისკის მატება ჩანაცვლებითი ჰორმონოთერაპიის ფონზე, ტარდებოდა ასაკოვან ქალებში (მონაწილეთა უმრავლესობა 65 წელზე მეტი ხნის იყო, ფიზიოლოგია ამ ასაკში კი სრულიად განსხვავებულია). გარდა ამისა, გამოკვლევათა ორგანიზატორები აღიარებენ, რომ მათი მონაწილენი ჰორმონებს უფრო დიდი დოზით იღებდნენ, ვიდრე მათ შეიცავს თანამედროვე პრეპარატები.

მითი მეორე

ჰორმონული პრეპარატების მიღებას მენოპაუზის პერიოდში გამაახალგაზრდავებელი ეფექტი აქვს.

ასეთი მკურნალობა მარადიულ ახალგაზრდობას ვერ უზრუნველყოფს. ჰორმონოთერაპია ბუნებრივ ასაკობრივ პროცესებს არც აჩერებს და არც ანელებს, იგი უბრალოდ უზრუნველყოფს „ჯანსაღ დაბერებას“, აუმჯობესებს ქალის ცხოვრების ხარისხს მენოპაუზის დროს, საშუალებას აძლევს მას, ნორმალურად იცხოვროს, იმუშაოს, უყვარდეს.

მცდარია ის მოსაზრებაც, რომ მხოლოდ წამლები გადაგვიწყვეტს ყველა პრობლემას, დაგვეხმარება ჯანმრთელობისა და სილამაზის შენარჩუნებაში — ძალზე მნიშვნელოვანია სწორი კვება, გონივრული ფიზიკური დატვირთვა, მავნე ჩვევებზე უარის თქმა. სხვათა შორის, სიგარეტის მოწევა მნიშვნელოვნად აქვეითებს ჰორმონოთერაპიის ეფექტს.

მითი მესამე

ჰორმონოთერაპია წონის მატებას იწვევს.

არ არსებობს სარწმუნო მონაცემები იმის შესახებ, რომ ჰორმონოთერაპია სიმსუქნეს იწვევს. ზოგჯერ გვხვდება წონის უმნიშვნელო მატება (2-3 კგ), რაც სითხის შეკავებას უკავშირდება. ამის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ გამოვიყენებთ თანამედროვე ჰორმონულ პრეპარატებს, რომლებიც ხელს უშლის ორგანიზმში ნატრიუმისა და წყლის შეკავებას და თავიდან აგვაშორებს შეშუპებას, ჭარბ წონას და არტერიული წნევის მატებას.

დღეისთვის ჰორმონული პრეპარატების ფართო არჩევანი გვაქვს. მთავარია, რომ ექიმმა ისინი სწორად შეარჩიოს ქალის მდგომარეობის გათვალისწინებით.

უარი ვთქვათ ჰორმონებზე

ჩანაცვლებითი ჰორმონული თერაპიის გამოყენება არ შეიძლება, თუ ქალს ჰქონდა, აქვს ან შესაძლოა, ჰქონდეს შემდეგი დაავადებები:

- მკერდის კიბო ან ჰორმონდამოკიდებული ავთვისებიანი სიმსივნე;
- ვენური თრომბოემბოლია ან სისხლის მომატებული შემდედებლობა;
- სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი;
- ღვიძლის დაავადებები გამწვავების სტადიაში;
- პრეპარატების ალერგიული აუტანლობა. ■

| სიროფში მოხარშული ხილი | | |

რით სჯობს ქალი მამაკაცს?

ამერიკელი ანთროპოლოგი, ჰელენ ფიშერი, თავის წიგნში — „ქალის ბუნებრივი ნიჭი და მსოფლიოს შეცვლის უნარი“ — ასაბუთებს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები ამ საუკუნეში „ფრთებს გაშლიან“ მასმედიის, მედიცინისა და განათლების სფეროში. ფიშერი ხაზს უსვამს ქალის ყველა იმ შესაძლებლობას, რომელთა მაქსიმალურად გამოვლინის შემთხვევაში, სუსტი სქესის წარმომადგენლები უკან ჩამოიტოვებენ მამაკაცებს.

1. ქალი უფრო ხელმარჯვეა, ვიდრე მამაკაცი.

არავინ დაობს იმის შესახებ, რომ ქალები ხელმარჯვეობით გამოირჩევიან და ადვილად მანიპულირებენ თვით ყველაზე პატარა საგნებითაც კი. ამ უნარს ქალის ორგანიზმში ესტროგენის ჰორმონის სიჭარბე განაპირობებს. ანტიკური პერიოდის ქალები, დროის დიდ ნაწილს კენჭროვანი ხილის შეგროვებაში ატარებდნენ. ხელმარჯვეობა როგორც ბუნებრივი, ასევე ისტორიულად შეძენილი თვისებაა და საკმაოდ შვენის ქალს.

2. ქალებს უკეთესი სმენა აქვთ.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ქალებს მამაკაცებთან შედარებით, გაცილებით უკეთესი სმენა აქვთ. გარდა ამისა, ქალები თურმე ექვსჯერ მეტად მუსიკალურები არიან, ვიდრე საპირისპირო სქესის წარმომადგენლები.

3. ქალი უკეთ ცეკვავს, ვიდრე მამაკაცი.

ამის მიზეზი ის არის, რომ ქალებს გაცილებით კარგი კოორდინაციის უნარი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს.

4. ქალი არ დაიმშვება.

ქალის ორგანიზმი ბუნებრივი რეზერვებით მდიდარია, რომელიც მას სხეულის გამოშრობისა და ავიტამინოზისგან იცავს. რა თქმა უნდა, ამას უარყოფითი მხარეც აქვს. ზედმეტი კვების შემთხვევაში ქალი გაცილებით იოლად და სწრაფად იმატებს წონაში.

5. ქალი უფრო დაკვირვებული და ყურადღებიანია.

ფიშერის აზრით, ქალებს დეტალების დამახსოვრების გამორჩეული უნარი აქვთ. ამას პოლიციელებიც ადასტურებენ. პოლიციის თანამშრომლებმა მოწმეებთან ურთიერთობის გამოცდილებიდან ერთი საინტერესო რამ დაასკვნეს: ქალები გასაოცარი სიზუსტით იმახსოვრებენ ისეთ დეტალებს, როგორიც არის თმის ფერი, ჩაცმულობა, წონა და სიმაღლე.

6. ქალი სექსში უფრო სტაბილურია, ვიდრე მამაკაცი.

ცნობილია, რომ მაშინ, როდესაც მამაკაცი თავისი სექსუალურობის პიკს 20 წლის ასაკში აღწევს, ქალი ამ მხრივ წინსვლას 30-35 წლამდე აგრძელებს. მამაკაცის სექსუალურობა ზიგზაგისებურად იცვლება, ქალი კი სტაბილური პარტნიორია.

7. ქალებს ნაკლები უბედური შემთხვევა მოსდით.

მამაკაცები სამჯერ უფრო ხშირად იღუპებიან უბედური შემთხვევის შედეგად,



ვიდრე ქალები. გამოკვლევებისას აღმოჩნდა, რომ ბიჭები უფრო რისკიან და სახიფათო სპორტსა და საქმიანობას ირჩევენ. ტესტოსტერონის მომატებული გამომუშავების შედეგად იზრდება ძლიერი სქესის აგრესიულობა. მათგან განსხვავებით, ქალებს გამძაფრებული აქვთ თავდაცვის ინსტინქტი.

8. ქალებს უკეთესი ორიენტაციის უნარი აქვთ.

აბა, სცადეთ და სთხოვეთ თქვენს მეგობარ ბიჭს, დახუჭოს თვალები და ისე გაჩვენოთ, საით არის ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი. არ გაგიკვირდეთ, თუ იგი უშეცდომოდ გიპასუხებთ. მაგრამ თუ ორნი სადმე დაიკარგებით, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ სწორედ თქვენ იქნებით ის, ვინც შინისკენ გზას გაიგნებს. ექსპერტები ამბობენ, რომ ქალს ისტორიულად მოსდგამს ორიენტაციის უნარი. ეს იმ დროიდან მოდის, როცა ქალები საკვებს სხვადასხვა სეზონზე, ერთსა და იმავე ადგილებში აგროვებდნენ.

9. ქალები უკეთესი ფინანსური მენეჯერები არიან.

საზღვარგარეთ ის საინიციატივო ჯგუფები, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ, წელიწადში საშუალოდ 21,3 % მოგებას იღებენ — მაშინ, როდესაც მამაკაცები დროის იმავე მონაკვეთში მოგების მხოლოდ 15%-ს აღწევენ. აღმოჩნდა, რომ ქალები უფრო ფრთხილობენ გარიგებების დროს. მამაკაცები ხშირად მიდიან უაზრო რისკზე. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ქალებს ერთი საინტერესო თვისება ახასიათებთ: ისინი ბიზნესში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე, საგულდაგულოდ აგროვებენ ინფორმაციას ბიზნესპარტნიორის შესახებ და უფრო მეტად ცდილობენ, მათთან, კონსულტანტებთან და თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნონ, რაც საქმეში წაადგებათ კიდეც.

10. ქალები უფრო ვერბალურები არიან.

საგანგებო ტესტებმა ცხადყო, რომ მეტყველების უნარითა და ეფექტურობით, როგორც წესი, გოგონები ბიჭებს სჯობიან. ამის მიზეზი შეიძლება ქალური ჰორმონი — ესტროგენი იყოს, რომელიც თურმე ნეირონებს შორის ინფორმაციის გადაცემას უწყობს ხელს, რაც საბოლოო ჯამში, ქალს უფრო ვერბალურს ხდის.

11. ქალებს უკეთესი მხედველობა აქვთ.

ქალის თვალის გუგის მიხედვით, სპეციალისტებმა ერთი საინტერესო დასკვნა გააკეთეს: თურმე ქალს მამაკაცზე უკეთესი პერიფერიული მხედველობა ჰქონია. ეს ნიჭი მას ხელს უწყობს ადამიანის შეცნობაში და მნიშვნელოვან არავერბალურ ინფორმაციას აწვდის.

12. ქალი უფრო ბევრითია.

დააკვირდით, როგორ მუშაობს მამაკაცი. ცოტას წაიმუშავებს და უკვე წახემსება უნდა. შემდეგ ლუდით გაგრილება მოუნდება... ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდება. ქალი კი საქმეს მუყაითად ასრულებს და ამ სიბეჯითის წყალობით, ის მასზე ნიჭიერ, მაგრამ ზარმაც მამაკაცზე მეტ წარმატებას აღწევს. ■

...ების ...ლი	ბადრი ბეგალიშვილის გმირი ფილმში „ჩარი-რამა“	წყლის ნიჩბიანი ტრანსპორტი	...-დეუანეირო	გრიგი „... გიუნტი“	იგავი	გ. დანელიას ფილმი	რეგიონი, ანუ ...

გენია, ტალანტი	3,14	ტროპიკული ხვიარა მცენარე	სახედარი	მუსიკალური სპექტაკლი	ბულგარული არაყი	გასასვლელი მდინარეზე	უარყოფითი პასუხი	დამუხტული ნაწილაკი

ივერიის ღვთისმშობლის ხატისა და მისი ასლებისგან აღსრულებული სასწაულები

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიწმინდეს წარმოადგენს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის — პორტაიტისას („კარიბჭის მცველის“) ასლი (ხატის ორიგინალი ათონის მთაზე, ქართველთა მონასტერში, ივერიონშია დავანებული). ეს უდიდესი სიწმინდე, რომელიც სიონის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული, საქართველოში 1989 წლის 9 ოქტომბერს ჩამოაბრძანეს. იგი საგანგებოდ მოხატეს ათონის წმინდა მთის ბერებმა. მას ოფიციალურ სიგელში „კანონიერი ასლი“ ეწოდება. ეკლესიური მოძღვრებით, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის კანონიერი ასლი, დედნის არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ სულიერ მსგავსებასაც წარმოადგენს. დედნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში კი, მის მნიშვნელობას იძენს...

მორენა მერკვილაძე

როგორ აღმოჩნდა ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ათონის მთაზე?

წმინდა მარიამის ხატი, რომელიც ამჟამად „ივერიის ღვთისმშობლის ხატის“ სახელწოდებითაა ცნობილი, გადმოცემით, ლუკა მოციქულს დაუწერია. IX საუკუნემდე, ამ ხატის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება. იმპერატორ თეოფილეს მეფობის პერიოდში (829-842), ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლობა მძვინვარებდა. იმპერატორის ბრძანებით, მხედრები სოფლებსა და ქალაქებში ეძებდნენ გადამალულ ხატებს და ანადგურებდნენ... ქალაქ ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ერთი ღვთისმოსავი ქვრივი დედაკაცი, რომელიც ფარულად ინახავდა შინ ღვთისმშობლის ერთ-ერთ ხატს. მხედრებმა მის ოჯახში აღმოაჩინეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, ერთ-ერთმა მხედარმა ხატს მახვილი დასცა, ნაიარევიდან სისხლი გადმოვიდა (სისხლიანი ნაკვალევი დღესაც ატყვია ხატს). შეშინებულმა მხედრებმა ქალს სთხოვეს, დაემალა ეს ხატი, თვითონ კი იქაურობა დატოვეს. ქვრივი დედაკაცი დილამდე მუხლმოყრილი ლოცულობდა, დილით კი, ღვთის განგებით, ხატი ზღვასთან მიაბრძანა, ილოცა მის წინაშე და წყალში ჩაუშვა. ზღვის ტალღებზე აღმართული ხატი დასავლეთის მიმართულებით გაემართა.

ამ ქვრივ დედაკაცს ჰყავდა ვაჟი, რომელიც ხატმებრძოლთა რისხვას ათონის მთაზე განერიდა და ბერად შედგა. ათონელმა მამებმა სწორედ მისგან შეიტყვეს ნიკეაში მომხდარი სასწაულის — მახვილდაცემული ღვთისმშობლის ხატის შესახებ.

XI საუკუნის დამდეგს, დიდმარხვის დროს, მწუხრისას, ათონის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე დაშვებული ნათლის სვეტი იხილეს. ხილვა რამდენიმე დღის მანძილზე გრძელდებოდა. ზღვის ნაპირზე მისულმა ბერებმა იხილეს, რომ ციდან დაშვებული ნათლის სვეტი ღვთისმშობლის ხატს ადგა. როდესაც ხატის გამოსვენება განიზრახეს, ხატმა უკან დაიხია. ეს რამდენჯერმე მოხდა. საგონებელში ჩავარდნილ ბერებს, თავად ღვთისმშობელი გამოეცხადა და აუწყა, რომ მხოლოდ გაბრიელ ივერიელი იყო ღირსი, ზღვიდან ხატის გამოსვენებისა. ღვთისმშობელი თავად ივერიის მონასტრის მოხუც ბერს, გაბრიელსაც გამოეცხადა და უთხრა: „შემოდი ზღვაში, ტალღებზე რწმენით გაიარე და ყველა იხილავს ჩემს სიყვარულს და წყალობას თქვენი სავანისადმი“.

ღირსმა გაბრიელმა მართლაც, ისე გაიარა ზღვაზე, როგორც ხმელეთზე და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ნაპირზე გამოაბრძანა. ეს მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს.

ზღვის ნაპირზე დასვენებული ღვთისმშობლის ხატის წინაშე სამადლობელი პარაკლისი გადაიხადეს. იმ ადგილას ცივმა და საამო წყარომ ამოხეთქა. შემდეგ ხატი ივერთა მონასტრის საკურთხეველში დააბრძანეს. დილით, კანდელის დასანთებად მისულ ბერებს ხატი ადგილზე არ დახვდათ, იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს. ხატი ისევ საკურთხეველში შეაბრძანეს, მაგრამ კვლავ იგივე განმეორდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე. ბოლოს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა ღირს გაბრიელს და აუწყა: „გამოუცხადე ძმებს, რომ ისინი ნუღარ გამომცდიან და დატოვონ ჩემი ხატი კარიბჭეში... სანამ ჩემი ხატი სავანეში იქნება, მანამდე არ მოგაკლდებათ ჩემი წყალობა და მადლი“.

ივერიის მონასტრის კარიბჭეში ბერებმა პატარა ტაძარი ააგეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლს სახელზე (ბერძნები ამ ტაძარს „კარიბჭის მცველის“ — პორტაიტისას სამლოცველოდაც მოიხსენიებენ) და სასწაულმოქმედი ხატი იქ დაასვენეს.

რა უნდა ვიცოდეთ, თბილისის სიონის ტაძარში დაბრძანებული, ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის კანონიერი ასლის შესახებ?

ის დახატეს ათონის წმინდა მთის ბერებმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის თხოვნითა და ლოცვა-კურთხევით. ხატის ასლი 40 დღის მანძილზე მიდებული ჰქონდათ დედანთან — დედა ხატთან, რომელიც უხილავად გადმოსცემდა მას ლოცვა-კურთხევას. ასლი 1989 წლის 9 ოქტომბერს ჩამოაბრძანეს საქართველოში, ათონის წმინდა მთიდან და სიონის საკათედრო ტაძარში დააბრძანეს. ათონის მთიდან ჩამობრძანებული ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულს, საქართველოს სამოციქულო ეკლესია ყოველწლიურად 9 ოქტომბერს აღნიშნავს.

თავდაპირველად, ხატისთვის სადა ჩარჩო დაამზადეს და ტაძრის შუაგულში დააბრძანეს. შემდეგ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კურთხევით, დამზადდა საგანგებო კიოტი და ხატი იქ გადაასვენეს. როდესაც ის ჩარჩოდან კიოტში გადაჰქონდათ, აღმოჩნდა, რომ ღვთისმშობლის გამოსახულება, ყველა დეტალით, აღბეჭდილიყო მინაზე, რომლითაც ხატი იყო დაფარული. ეს გამოსახულება დღესაც სიონის ტაძარში, მის ჩრდილოეთ მინაშენში ინახება. ეს იყო ივერიის ღვთისმშობლის კანონიერი ასლისგან აღსრულებული პირველი სასწაული...

ივერიის ღვთისმშობლის ხატისა და მისი ასლებისგან აღსრულებული სასწაულები

ივერიის ღვთისმშობლის ხატის მადლით არაერთი სასწაული აღსრულებულა. მოგითხრობთ რამდენიმე მათგანის შესახებ: ივერიონის მონასტერზე თავდასხმისას, ერთმა არაბმა მეკობრემ ხატს შუბი დაჰკრა. ჭრილობიდან სისხლმა იფეთქა და მეკობრეს შეეხა. შეშინებული არაბი მუხლმოყრილი ითხოვდა შენდობას. ის მონასტერში დარჩა, ქრისტიანულ სჯულზე მოექცა და ბერად აღიკვეცა... ყოფილა ასეთი შემთხვევაც: ერთხელ ივერიის მონასტრის დარაჯთან მშიერი გლახაკი მისულა და პური უთხოვია. დარაჯს უარი უთქვამს. მწირი დაღონებული ჩამომჯდარა მოშორებით, ქვაზე. მოულოდნელად მასთან უმშვენიერესი ქალწული მისულა — ყრმით ხელში — და

ოქროს მონეტა მიუცია. გლახაკი მონასტრის დარაჯთან მივიდა და პურის საფასურად, ოქროს მონეტა შესთავაზა. როდესაც დარაჯმა მონეტას დახედა, იცნო, რომ იგი „კარიბჭისად“ წოდებული, ივერიის ღვთისმშობლის ხატისადმი შეწირულებიდან იყო. ეს ამბავი სასწრაფოდ აუწყა იქ მოღვაწე მამებს. გამოცხადების ადგილას მისულმა მამებმა ვერავინ იპოვეს, მაგრამ გადაწყვიტეს, რომ სასწაულის სადიდებლად, იქვე პატარა სამლოცველო აეგოთ.

ასევე ცნობილია მრავალი შემთხვევა, როდესაც ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინაშე გულმხურვალე და რწმენით აღსავსე ლოცვის შემდეგ, მძიმე სენისგან განკურნებულან ადამიანები. არსებობს გადმოცემა, რომ ხატი უწმინდურ ადამიანებს მონასტერში არ უშვებდა, ურწმუნონი მისთვის სურათის გადაღებას ვერ ახერხებენ...

სასწაულები არა მხოლოდ ხატის ორიგინალისგან, არამედ მისი ასლებისგანაც აღესრულებოდა და დღესაც აღესრულება (არსებობს ივერიის ღვთისმშობლის ხატის რამდენიმე ასლი, ზოგიერთი მათგანი ათონის წმინდა მთაზე იმყოფება, ზოგიერთი კი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მდებარე მართლმადიდებლურ ტაძრებშია დავანებული). ივერიის ღვთისმშობლის ხატის ერთ-ერთი ასლი, რომელიც თავდაპირველად ივერიის მონასტრის ჰერაკლესეულ მეტოქიონში ესვენა (ეს მეტოქიონი ოდესღაც აღმოსავლეთ თრაკიაში მდებარეობდა), ბერძენმა ლტოლვილებმა ახალ ჰერაკლიაში გადააბრძანეს და იქ მდებარე ერთ-ერთ მონასტერში დააბრძანეს. ამ ხატთან მრავალი წლის განმავლობაში მიჰყავდათ მძიმე ფსიქიკური აშლილობით დაავადებული და ეშმაკეული ადამიანები. ტაძრის კარიბჭეში დღესაც მრავალი ჯაჭვი და ბორკილი ინახება, რომლითაც ეს ადამიანები იყვნენ შებორკილნი, სანამ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლის ძალით განიკურნებოდნენ. იყო ასეთი შემთხვევაც: ივერიის ღვთისმშობლის ხატის ერთ-ერთი ასლი რუსეთიდან ამერიკაში გადაიტანეს. ხატზე გამოსახულ ღვთისმშობელს ცრემლები დაედინა. ამის შემდეგ აღესრულა სასწაული — ნიუ-იორკელი 8 თვის ნეიული გოგონა — მატილდა, რომელიც მართლმადიდებელი ბერების ოჯახიდან იყო, სიკვდილის პირას მყოფი ინვა საავადმყოფოში. ექიმებს ჩვილის გადარჩენის არავითარი იმედი არ ჰქონდათ. ბავშვის მამის თხოვნით, მღვდლებმა გიორგიმ და ხრისტომ მის პალატაში ივერიის ღვთისმშობლის ცრემლმდინარი ხატი მიაბრძანეს და მის წინაშე პარაკლისი გადაიხადეს. პარაკლისის დროს, ბავშვს პირიდან სისხლდენა შეუწყდა და მან მოძრაობა დაიწყო, საკვების მიღებაც შეძლო და სულ მალე, სრულიად გამოჯანმრთელდა.

სიონის ტაძარში დაბრძანებული, ივერიის ღვთისმშობლის კანონიერი ასლის გარდა, საქართველოში ამ ხატის კიდევ რამდენიმე ასლი არსებობს. სასწაულმოქმედებით გამორჩეული ხატის ასლები დავანებულია: ბოდბის, სამთავროსა და ჯიხეთის დედათა მონასტრებში, რომელთა ძალითაც, მრავალი სასწაული აღსრულებულა. ■



2000 წლის იანვრიდან გაზეთ ,,კვირის პალიტრაში“ დამკვიდრდა რუბრიკა ,,რას გვეტყვი, მამაო“. ამ დროიდან გაზეთის ყოველ ნომერში საქართველოს ეკლესიის მართლმადიდებელი მოძღვრები პასუხობენ მკითხველს საეკლესიო ცხოვრებისა და ღვთივსულიერი აღზრდის მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მკითხველს ვთავაზობთ ერთ კრებულად აკინძულ კითხვა-პასუხებს, რომლებიც დაგროვდა ამ ბოლო ხუთი წლის (2000-2005) განმავლობაში. კითხვები დაუოფილია თემატურად. აქვე შევნიშნავთ, რომ შეკითხვების გარკვეული ნაწილი თავისი შინაარსით ხშირად ემსგავსება ერთმანეთს, რაც პასუხების თითქმის იდენტურ ხასიათს განაპირობებს.

ცხადია, კრებულში დასმული კითხვა-პასუხები სრულად ვერ მოიცავს მკითხველთა შორის წამოჭრილ ყველა საჭირბოროტო პრობლემას, რომლებზეც პასუხი მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებითა და წმინდა მამათა ნაზრევის გაცნობის შედეგად მიიღწევა, მაგრამ, ვფიქრობთ, შემლებისდაგვარად მაინც დააკმაყოფილებს მათ ცნობისწადილს.

ტესტი ერუდიციაზე

1. „ფუნიკულორი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს:



ა) ბაგირს;
ბ) მაღალ მთას;
გ) ლამაზ ხედს.

2. რა ჰქვია წმინდა შალის ძსოვილს?

ა) ქიშმირი;
ბ) ბუკლე;
გ) შიფონი.

3. რა ჰქვია ჭარხლიდან შაქრის მისაღებ აპარატს?



ა) პერპეტუუმ-მობილე;
ბ) დიფუზორი;
გ) ტრანსფორმატორი.

4. რას ეძახიან ლოს-ანჯელესს?



ა) უდარდელთა ქალაქს;
ბ) განგსტერთა ქალაქს;
გ) ამერიკის ტვინს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

იყო და არა იყო რა... ქვემო იმერეთში იყო მეშახტეთა ქალაქი ტყიბული, რომელშიც, გარეუბნიანად, 38400 კაცი ცხოვრობდა. ტყიბული ქართული ქვანახშირის დედაქალაქი იყო და 1846 წლიდან ხდებოდა ქვანახშირის დამუშავება. აქ მუშაობდა ჩაის ფაბრიკები, სამკერვალო ფაბრიკა. ტყიბულში მილიონობით მანეთის ღირებულების პროდუქციას აწარმოებდნენ. ეს ყველაფერი იყო და... „არა იყო რა“...

სიქართველოდან



საკვლევი გიშერი ჩამის ყანად გაქვთ

ლელა ჯიყაშვილი

დღეს ტყიბულში 8000 კაცი თუ ცხოვრობს. ბევრი სახლი ცარიელია, ბევრი ოჯახიდან კი მამაკაცები საშოვარზე თბილისში არიან წამოსულები. ამ უყურადღებოდ, ბედის ანაბარად მიტოვებულ ქალაქში, რომელიც შეიძლება ითქვას, აღარც არსებობს, ერთი წლის წინ, ერთი სალონი მუშაობდა, რომელშიც არაჩვეულებრივი ხელოვნების ნიმუშები იყიდებოდა: ვერცხლით მოოქვილი გიშრის ქვები, ბზის, ტყემლისა და უთხოვარის ხისგან დამზადებული ფიგურები. უთხოვარი ის წიწვოვანი ხეა, რომლის მოჭრაც თამარ მეფეს აუკრძალავს. დღეს კი, ტყიბულის ტყეებში, მიუვალ ადგილებში თითო-ოროლა უთხოვარი თუა შემორჩენილი.

ზემოთ ხსენებული ხელოვნების ნიმუშებზე ჩვეულებრივი ტყიბულელები მუშაობენ. დღეს მათი სალონი აღარ ფუნქციონირებს. ბიჭები თბილისში წამოვიდნენ და ახლა აქ ცდილობენ, როგორმე ფეხი მოიკიდონ. მათი ხელნაკეთი არაჩვეულებრივი ნივთები, რომელთა მსგავსიც მსოფლიოში არავის უწარმოებია და რომლებშიც მაღალ საფასურს გადაიხდიან ხელოვნების მოყვარული ევროპელები და ამერიკელები, ძალზე იაფად იყიდება თბილისში. ბიჭებს გული სტკივათ, რომ მათი ოსტატობის ყადრი

უთხოვარი ის წიწვოვანი ხეა, რომლის მოჭრაც თამარ მეფეს აუკრძალავს...

მისი მოპოვება ველური წესით ხდება. ოკრიბის რეგიონსა და ტყიბულში ათასი ადამიანი ამითაა დასაქმებული...

ბევრმა ვერ გაიგო. თუმცა ისეთებიც გამოჩნდნენ, ვინც უცებ აუღო ალღო, თუ რასთან ჰქონდა საქმე და დახმარების ხელი გაუწოდა ხელოვანთ.

დათო ბუბაშვილი ამ ნაკეთობათა ერთ-ერთი შემქმნელი გახლავთ. ის კახა ხანთაძესთან, პაატა ბუაძესთან, ლევან ცქიფურიშვილთან, პაატა ტუხაშვილთან და ფარნა მგელაძესთან ერთად მუშაობს სახელდახელოდ მოწყობილ სალონში. ბიჭები ფარნა მგელაძეს გემის კაპიტანს ეძახიან, ჩვენი „რეჟისორიაო“, — ამბობენ ღიმილით... **დათო ბუბაშვილმა** *უმთავრესი სათქმელი გულისტკივილით დაიწყო:*

— ჩვენთან ტყიბულის რაიონში არის სოფელი, სადაც გიშერი მოიპოვება. მისი ამოღებით ბევრია დაკავებული. გიშრის ქვას, ხინჯი და ბზარი რომ არ ექნება, ობოლ ქვას ვეძახით. საკმაოდ რთულია, დაამუშაო და შეინარჩუნო ობოლი გიშერი. მოსახლეობისგან გიშერს საკმაოდ დაბალ ფასებში ვყიდულობთ. სამწუხაროა, რომ გიშერი როგორც ნედლეული ან ნახევარფაბრიკატი, ისე გაედინება საქართველოდან. ჩვენ იმიტომ ვამუშავებთ გიშერს, რომ მას ფასი დაედოს. უდიდესი პრობლემაა, რომ ინფორმაციულ ვაკუუმში ვართ — რასაც ვაკეთებთ, ვერავის ვაწვდით და ვუჩვენებთ... ძალიან უჭირს ტყიბულს. იქაურებს თბილისში, შრომის ბირჟაზე უფრო მეტს ნახავთ, ვიდრე ტყიბულში. დგანან დეზერტირების ბაზარში. „კაპიკებზე“ მუშაობენ. ტყიბულში სოფლის მეურნეობა მოშლილია. ადრე, ყველა ქვანახშირზე მუშაობდა — რატომღა მოიყვანდა გლეხი სიმინდს, როცა 400-500 მანეთი ხელფასი ჰქონდა და ყველაფერს ყიდულობდა?.. ლურსმნების საამქროში ყარაულს 60 მანეთი რომ ჰქონდა ხელფასი, 200 მანეთის ლურსმანი გაჰქონდა გასაყიდად. ყარაული რომ ასე იყო, სხვები ხომ უკეთ იქნებოდნენ! ამ სიტუაციამ სოფლის მეურნეობის ტრადიცია მოშალა. მის აღდგენას წლები და ბევრი შრომა სჭირდება.

— თქვენი ნაწარმის მყიდველი გყავთ?

— გვყავს. თუმცა, ჩვენს მუშაობას საქარხნო სახე რომ მიეცეს, უკეთესი მდგომარეობა იქნება: ჩვენ ხელით შრომით ვერ მივაღწიეთ ნორმალურ ანაზღაურებას.

— ქარვაზე არ მუშაობთ?

— ქარვა იმავე სტრუქტურის ქვაა, როგორიც გიშერი და შეგვიძლია ვიმუშაოთ, მაგრამ ქარვა ჩვენთან არ მოიპოვება, შემოტანილი ნედლეული კი ძვირია. გიშერს ტყიბულში მოიპოვებენ, ამიტომ ხელმისაწვდომია. გულსატკენი ის არის, რომ ეს ქვა არალეგალურად გააქვთ საზღვარგარეთ. მისი მოპოვება ველური წესით ხდება. ოკრიბის რეგიონსა და ტყიბულში ათასი ადამიანი ამითაა დასაქმებული. ათასი ადამიანი ათასი ოჯახია. გამოდის, რომ მთელი ოკრიბის 30% მაინც ამით ჭამს პურს...

— მაინც რა ღირს ტყიბულის გიშერი?

— მსოფლიო ფასთან შედარებით, ამის თქმაც კი სასაცილოა. ჩვენი ინფორმაციით, მსოფლიოში კილოგრამი გიშრის ფასი 50 დოლარიდან იწყება და 150 დოლარამდე ადის — ხარისხის მიხედვით. ჩვენთან კი გიშერი მაქსიმუმ 10 ლარი ღირს. ამ ფასად გადის თურქეთში (ცოტა გაძვირდა ბოლო დროს). იქ, უნივერმაღი „თბილისი“ რომ არის, იმხელა დაწესებულება ყოფილა. შუაში ეზო ჰქონია. ირგვლივ მაღაზიები და სახელოსნოებია. მოკლედ, ტყიბული იმ ცენტრშია „გადატანილი“, თავის გიშრიანად. მთელ მსოფლიოს ტყიბულის დამუშავებულ გიშერს აწვდის თურქეთი. თვითონაც აქვთ გიშერი, მაგრამ შეზღუდული რაოდენობით და უხარისხო. ტყიბულის გიშერი გაცილებით ძვირფასია, თანაც, საქართველოდან ჩატანილის ყიდვა უფრო იაფი უჯდებათ, ვიდრე თავისის... არალეგალურად ჩატანილ გიშერს „კაპიკებად“ უთმობენ.

მთელ მსოფლიოს ტყიბულის დამუშავებულ გიშერს აწვდის თურქეთი...

— თქვენი პროდუქცია თუ ნახეს თურქეთში?

— რამდენჯერაც ჩაიტანეს, იმდენჯერ გაოცებულები დარჩნენ და ნორმალური ფასიც გადაიხადეს, მაგრამ ისინი სულ სხვა სტრატეგიით უყურებენ თავიანთ საქმეს. სულაც არ აძლევთ ხელს, რომ ჩვენნაირმა ხალხმა შეძლოს თავის დამკვიდრება გიშრის ბაზარზე. საქართველოდან გადის ნახევარფაბრიკატი — ბურთულებიანი მძივი, მას 2-3 ლარად ყიდულობენ ტყიბულში, ჩააქვთ თურქეთში და ყიდიან დაახლოებით 5 ლარის შესაბამისად. თურქები ოდნავ წაჰკრავენ ხელს ამ ბურთულებს და ყიდიან მაღალ ფასში. ამგვარად, დიდი მოგება რჩებათ.

— არ გეშინიათ, რომ თურქებმა თქვენი ტექნოლოგია აითვისონ?

— ვერ ისწავლიან. მაშინ, ჩვენთან ერთად უნდა იყვნენ და ერთ ქვაზე ერთი დღე-ღამე მუშაობდნენ. ჩვენ ტყიბულში გვქონდა სასწავლო დაოსტატების კაბინეტი. ახლა უკვე ბევრი ამუშავებს ვერცხლით მხატვრულად გიშერს. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ ვნახეთ დაინტერესებული პირი, მსოფლიო ბაზარზე გასვლაში ხელი რომ შეგვიწყოს...

■



ბევრისთვის დღემდე გაუგებარი და საკამათოა, ფშავ-ხევსურეთში ისტორიულად დამკვიდრებული სწორფრობის — იგივე წოლა-დგომის — ცოტა არ იყოს უცნაური წეს-ჩვეულება. ამ ინსტიტუტის ფუნქცია დღემდე ბოლომდე ნათელი არ არის, თუმცა თავად იქაურები მას თავისებურად ხსნიან. ამ რამდენიმე ხნის წინ, როდესაც დავინტერესდი და ბატონ ალექსი ჭინჭარაულს მივმართე კითხვით, მიპასუხა, რომ თავადაც გახლდათ მონაწილე ამ წეს-ჩვეულებისა და სატრაბახოდ არა, მაგრამ მაინც გამიმხილა, რომ სულ ცოტა, 40 ქალთან ყოფილა ნაწოლი... ვიდრე მისი ინტერვიუდან შევიტყობთ, თუ როგორ უძლებდნენ ძველად მამაკაცები ასეთ ძნელ გამოცდას და მისი აზრით, როგორ წარმოშვა ამ წეს-ჩვეულებამ კახპობა, აღნიშნული ტრადიციის ფესვებს გავეცნოთ.

ხევსურეთში

ყველა ქალი წვეოდა კაცთან და

ეს არ იყო დანაშაული...

ნინო ჯავახიშვილი

ხევსურული გადმოცემით, სწორფრობა ლეკების შემოსევის შედეგად დამკვიდრებულა, როგორც წეს-ჩვეულება. ლეკებს ახალგაზრდა ქალები ტყვედ ხშირად მიჰყავდათ. ხევსურეთის სოფლებს მტერი ზოგჯერ წელიწადში ორჯერაც ესხმოდა თავს. ამიტომ ისინი ციხესიმაგრეებს აფარებდნენ ცოლ-შვილს. მათ ახალგაზრდა ვაჟები იცავდნენ. ქალ-ვაჟის მეგობრობას სწორედ იქ ეყრებოდა საფუძველი, მაგრამ ქალის გათხოვებისთანავე, ეს ურთიერთობა წყდებოდა. აქედან წარმოიშვა ტერმინი — „დობილძმობილობა“, „სწორფრობა“, „წოლა-დგომა“ ხევსურეთში ერთი და იმავე აზრის გამომხატველია. ასეთი წესი დობილძმობილობისა თანდათანობით გადავიდა სწორფრობის ფორმაში, რომელიც სხვადასხვა ხასიათისაა — ნამდვილი სწორფრობა — ე.ი. წოლა ძმობილებთან; სწორფრობა რძალსა და ქმრის ნათესავებს შორის; სიძისა და ცოლის მოგვარე ან მისი ახლობელი ქალების სწორფრობა, სწორფრობა დეიდაშვილებსა და მამიდაშვილებს შორის და კიდევ — ქალის წოლა თავის მოგვარეებსა და სოფლელებთან პატივისცემის მიზნით და სწორფრობა და სწორფრობა უცხოებთან — ჭირ-ლხინის დროს შეხვედრილ უცნობ ხევსურებთან.

ხევსური ქალი ან ვაჟი სწორფრობას 16-17 წლის ასაკიდან იწყებდა. წოლა-დგომის წესებს მათ უფროსები ასწავლიდნენ. ქალი პირველად უარობდა ვაჟთან წოლას, ნათესავები კი საყვედურობდნენ, დასცინოდნენ — შნო არა გაქვსო. პირველად ქალს კარგ ვაჟთან აწვენდნენ — გამოცდილთან და კარგი გარეგნობის მქონესთან. დასაწოლად მიჰყავდა ელჩს — შუამავალს. ქალსა და ელჩს შორის დაახლოებით ასეთი დიალოგი იმართებოდა: ელჩი ეკითხებოდა მას — მითხარი, არვინ მოგწონს სოფელში, მასთან ხომ არ წაგიყვანოო? ქალი უარობდა: — ეეგ რამ გათქმიე ჩემთან? ჩემ წოლა-დგომა ვისაღ გაუგონავ, ბეწიკურაი (პატარა) ვარ, მე რაი ვიც წოლისა?.. — ერთხანაოდ უნდა დასწვე. დედის მუცელში არცვინ არ სწავლობს წოლას, მაგრა, ხო ხედავ, სრუყველაი წვების ავიცა და კარგიც, — ასეთი იყო ელჩის პასუხი. მოკლედ, ეს საუბარი იმით მთავრდებოდა, რომ თუ ქალიც თანახმა იყო ვაჟთან დაწოლაზე და ვაჟიც, ელჩი ქალს სწორფერის საწოლამდე მიაცილებდა... ვაჟი ქალს ძალიან ზრდილობიანად ექცეოდა, ნაკლებად კოცნიდა და ეხვეოდა. ქალი მორცხვობდა, მარცხენა გვერდზე ისე წვებოდა, რომ ფარაგის ღილი ქვევით მოქცეულიყო (ვაჟს ღილი რომ არ გაეხსნა მისთვის), მარცხენა ხელს გულზე იდებდა, მარჯვენას კი ვაჟს გადახვევდა. ვაჟი ქალს მარჯვენა მკლავზე იწვენდა და იხუტებდა. საუბრობდნენ სხვადასხვა საკითხზე, კამათობდნენ და იცავდნენ თავ-თავისი სქესის ღირსებას. ქალს უფლება ჰქონდა, ვაჟის ყელთან ხელი მიეტანა; შეეძლო, გულზეც დაედო, მაგრამ არ შეიძლებოდა, საყელოში ხელის ჩაყოფა, არც იღლიის ქვეშ მოსმა და საერთოდ, წელამდე ხელის ჩატანა. ვაჟისთვის დიდად სათაკილო საქმედ ითვლებოდა ქალის საყელოზე ხელის მიკარება, ფარაგის ღილზე ხელის შეხება კი, უკვე დაუშვებელი იყო. ფარაგის ღილი თუ გაიხსნებოდა, ქალს მკერდი ნახევრად გამოუჩნდებოდა — გულზე ხელის შეხება ხევსურეთში დიდ სირცხვილად ითვლებოდა... დილით ქალი დგებოდა ლოგინიდან და იქ მიდიოდა, საიდანაც წამოვიდა. პირველი დაწოლის დროს, ქლა-ვაჟი დობილ-ძმობილებად არ ითვლებოდა; ქალი სწორფერს უფრო გვიან ირჩევდა. მეორე და მესამე დაწოლის დღეს, ხვევნა-კოცნას უფრო უმატებდნენ, აქედან იწყებოდა ძმობილობაც. იმ შემთხვევაში, როცა ქალიცა და ვაჟიც თავდაჭერილები იყვნენ, ერთმანეთს აფასებდნენ, თუმცა მაინც ათვალიერებდნენ სხვებს. როდესაც ქალი ორთან ან სამთან დაწვებოდა, უკვე ნამდვილ ქალად ითვლებოდა. ხევსურეთში ყველა ქალი წვებოდა კაცთან და ეს არ იყო დასაძრახი, პირიქით — კარგ ქალად ითვლებოდა ის, ვისაც ბევრი სწორფერი ჰყავდა — ჰყავდა კარგი საქმროც და კარგი სწორფერებიც!.. ხევსურ ქალს ამას ვერავინ დაუშლიდა — მხოლოდ მშობლებს ჰქონდათ ამის უფლება, მაგრამ ისინიც არაფერს ამბობდნენ. ძმას და ნათესავებს კი, საერთოდაც არ ამოელებოდათ ხმა.

გათხოვების შემდეგ, ქალს ეკრძალებოდა სწორფერთან შეხვედრა, ვაჟს კი — არა. თუ კაცი ბევრ ქალს მოსწონდა, ზოგჯერ ცოლთან დასაძინებლადაც კი აღარ რჩებოდა დრო. ცოლის შერთვის შემდეგ ვაჟის სხვებთან წოლა ზოგიერთ მშობელს არ მოსწონდა და შვილს უწყრებოდა. ზოგჯერ კი ვაჟის დედა ისე ბრაზობდა, რომ ქალებს სახლიდან ჯოხით ყრიდა — თქვე კახპებო, ჩემს შვილს რატომ არ მოშორდებით?! არ იცით, რომ ცოლი მოიყვანა, განა, ისევ თავისუფალიაო!..

ხევსურეთში სწორფრობის დროს უწესობას, „გარყვნას ან „გარყვნილებას“ ეძახდნენ. კაცი ერიდებოდა ქალთან უწესობის ჩადენას, თავდაჭერილი იყო და ქალისგანაც იმასვე მოითხოვდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ თავმოყვარეობა არ შელახვოდა

და კიდევ — ჯვარში დარისხების შიში. ჯვარში თავმოყრილი ახალგაზრდები ამბობდნენ — „ვინაც სოფლის ქალსა-დ, ზაალს (ე.ი. რძალს) არ დავსწამებიორთ, დავიფიცათო (ანუ სქესობრივი კავშირი არ გვქონიაო)“. ჯვარის კარზე კი ვერავინ გაბედავდა ტყუილად დაფიცებას. გარყვნა იწყებოდა ერთად წოლით — როცა სუსტი ნებისყოფის ქალი გულისპირს გაიხსნიდა და ნებას მისცემდა ვაჟს, მკერდზე ეკოცნა თუ ვაჟიც აჩქარდებოდა და აჰყვებოდა, საქმე ცუდად მთავრდებოდა. უფრო თავდაჭერილი კი ქალს არცხვენდა და ლოგინიდან აგდებდა — ვისთანაც ეგრე წვები, წადი და ისევ იმასთან დაწექიო... იმ შემთხვევაში კი, თუ ვაჟი იყო თავშეუკავებელი, ქალი გააფრთხილებდა — შენ გირჩევნია, მაგისთანებს თავი დაანებო, თორემ შერცხვებიო. ამის თქმის შემდეგ მიდიოდა, ვაჟს კი სახელი უტყდებოდა...

ზოგიერთი მკვლევარის გადმოცემით, ეს ტრადიცია ხელს უწყობდა ძლიერი, მტკიცე ოჯახის შექმნას. ხევსურული ტრადიციის მიხედვით, მომავალი ცოლ-ქმარი აკვანშივე ინიშნებოდა, რის გამოც, სიყვარულში არჩევანი არ ჰქონდა. სწორედ ამიტომ, ნამდვილი შეყვარებულის და სულიერი მეგობრის ფუნქციას სწორფერი ასრულებდა.

დაბოლოს, სწორფრობა და წაწლობა დღესაც ბევრს ერთი და იგივე რამ ჰგონია — არადა, ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული წეს-ჩვეულებაა. წაწლობა ფშავში იყო გავრცელებული და ქალ-ვაჟს შორის აბსოლუტურად თავისუფალ ურთიერთობებს გულისხმობდა.

სწორფრობის და მისი ავკარგიანობის შესახებ ამ წეს-ჩვეულების მონაწილეს ბატონ **ალექსი ძინძარაულს** ვესაუბრეთ.

— მე მოვესწარი იმ დროს, როდესაც სწორფრობა ხევსურეთში ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა. ჩვენი ტრადიციები ბევრს ზომაზე მეტად მკაცრი ეჩვენება, სწორფრობის — ანუ წოლა-დგომის წეს-ჩვეულება კი ბევრისთვის დღემდე გაუგებარი და აუხსნელია. სწორფრობა ქალ-ვაჟის მეგობრობის განსაკუთრებული ფორმაა. ისინი გვერდიგვერდ ერთმანეთის უკეთ გასაცნობად წვებოდნენ, მაგრამ ეს ურთიერთობა კრძალავდა მათ შორის ფიზიკურ კავშირს და ერთმანეთთან დაოჯახებასაც კი. არაერთი ქალი გამოთქვამდა კარგ ვაჟკაცთან დაწოლის სურვილს. როდესაც ოჯახს ახალგაზრდა კაცი სტუმრობდა, ქეიფის დროს თუ მოეწონებოდა რომელიმე გოგო ან თვით გოგოს თუ მოეწონებოდა სტუმარი კაცი, შუამავალი — ელჩი ერეოდა საქმეში. მას მიჰყავდა ქალი მამაკაცის საწოლამდე. დაწესებულ ზღვარს კი, არც ერთი არ უნდა გადასცილებოდა. და თუ მაინც დაირღვეოდა წესი, ცუდად მთავრდებოდა ყველაფერი. ბოლოს, როდესაც ეს ტრადიცია ლამის უკვე კახპობად გადააქციეს და გახშირდა ქალის დაფეხმძიმების შემთხვევა, რადგან ნაყოფს ვერ იშორებდა, ბევრი თვითმკვლელობით ასრულებდა სიცოცხლეს. ძველად ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ახლანდელი ბიჭები ვაჟკაცობის ამგვარ გამოცდას ვერ გაუძლებენ. დღეს უკვე სხვა რაღაცები ითვლება ვაჟკაცობად... ახლანდელებს ჯავშანჩაცმული ქალებიც რომ მიუწვინონ გვერდით, მაინც გახდიან!.. აღარ არის ის დრო... სწორფრობა — ეს არის გამარჯვება ადამიანის ხორციელ ბუნებაზე, ეს არის უდიდესი ვნებათაღელვის ძლევა. სწორფრობა მთისთვის მორალურად მდგრადი და ძლიერი საზოგადოების არსებობის მყარი გარანტი იყო.

— ბატონო ალექსი, ქალებისთვის ასეთი საქციელი ულირს, საძრახის საქციელად რატომ არ ითვლებოდა?

— არავითარ შემთხვევაში, პირიქით — ისეთ ქალს, რომელთან დაწოლის სურვილსაც არავინ გამოთქვამდა და რომელსაც ვაჟები ერიდებოდნენ, უშნოს და უსწროფეროს ეძახდნენ. ასეთი ქალი იყო დაძრახული. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამავე დროს ქალისთვის ბევრი რამ დაუშვებელი და მიუღებელი იყო. ხალხში უმანდილოდ, თავშიშველი გამოჩენა არ შეიძლებოდა. ძალიან დიდ სირცხვილად ითვლებოდა, ქალს კაბა თუ აუფრიალდებოდა და შიშველი სხეული გამოუჩნდებოდა. მთაში მოხდა ასეთი რამ: ულამაზესი ქალი ყოფილა — მზექალი. თურმე ლხინის დროს ტრიალებდა, უეცრად ფეხი დასცდენია და წაქცეულა. რაკი ამისთვის ხალხს თვალი მოუკრავს, მზექალს თოფი აუღია და თავი მოუკლავს... სახელის შერცხვენას ბევრი — ქალიც და კაციც სიკვდილს ამჯობინებდა. ორცოლიანობა ხევსურეთში ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა — ვთქვათ, თუ ქალი დაავადმყოფდებოდა ან წყვილს ვაჟიშვილი არ ჰყავდა, თვითონვე სთავაზობდა ქმარს — სხვა ცოლი მოიყვანეო. იყო ასეთი შემთხვევებიც, მაგრამ ამის მიუხედავად, ორცოლიანი კაცი ხევსურეთში დიდი პატივისცემით არ სარგებლობდა. პატივს არ სცემდნენ იმასაც, ვინც თავისი გვარის ქალს შეირთავდა ცოლად, ვისაც მოღალატეობაში ედებოდა ბრალი, ვინც უდანაშაულო კაცს მოკლავდა, ვინც სოფლის წესსა და ადათს გადაუხვევდა. ასეთებს სოფელში აღარ დაედგომებოდათ.

— როგორც თქვით, თქვენ თავად მონაწილეობდით სწორფრობაში. რამდენი ქალის გვერდით წოლილხართ და თუ გსმენიათ ისეთი ფაქტის შესახებ, როცა სწორფრები დაქორწინებულან?

— ასე, 40-მდე ქალთან ვარ ნაწოლი. ეს ვიდრე, თბილისში წამოვიდოდი მანამდე იყო... რაც შეეხება დაქორწინებას — მოგეხსენებათ, ხევსურეთში აკვანშივე ნიშნავდნენ ქალს — უფროსები წყვეტდნენ, თუ ვის უნდა გაჰყოლოდა ის. ამიტომაც არ ჰქონდა ქალს სწორფრის შეყვარების და მასთან ოჯახის შექმნის უფლება. თუმცა ხდებოდა ასეთი შემთხვევებიც და მაშინ, ურჩი ქალ-ვაჟი სოფლიდან იკვეთებოდა...

P.S. მასალის მომზადებისას, ზოგიერთ ფაქტსა და განმარტებას, ნათელა ბალიაურის წიგნს — „სწორფრობა ხევსურეთში“ — დავესესხეთ.

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რომელი უცხო ენა იცოდა აკაკი წერეთელმა?

ა) ინგლისური;
ბ) არაბული;
გ) იტალიური.

2. სად დაიგადა უდიდესი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი?

ა) ყიზლარში;
ბ) კასპში;
გ) გორში.

3. პოეტი მიხეილ ძვლივიძე სტუდენტობისას, სტალინის სახელობის სტიპენდიანტი იყო, მაგრამ სტიპენდიას არ აძლევდნენ, რადგან...

ა) ...კომკავშირის კრებებს აცდენდა;
ბ) ...უარი თქვა კომკავშირის წევრობაზე;
გ) ...ცოლს გაეყარა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

იმედო ფხაკაძე — ქართული ხელბურთის გარინჩა

იორდანიისა და მალის ნაკრებების ქართველი მწვრთნელი



ქართული ხელბურთი სავალალო მდგომარეობაში ამჟამად იმყოფება, თორემ, თავის დროზე, სპორტის ეს სახეობა ჩვენში ძალიან პოპულარული იყო და მას ბევრი ახალგაზრდაც მისდევდა. საქართველოში ხელბურთის ტრადიციაზე ისიც მეტყველებს, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი გამარჯვებული, თბილისის „ბურევესტნიკი“ გახლდათ, რომელ-საც წლების მანძილზე მოწინავე პოზიცია ეკავა და საპრიზო სამეულის ქვემოთ არ ჩამოსულა. ნაკრებში ქართველები თითქმის ყოველთვის თამაშობდნენ. ჩვენი ხელბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია იმედო ფხაკაძე, რომელიც წლების განმავლობაში „ბურევესტნიკისა“ და საბჭოთა კავშირის პირველი გუნდის ღირსებას იცავდა, ხოლო ცნობილმა ხორვატმა ხელბურთელმა, ჟაგმე სტარმა ის მსოფლიო ნაკრებშიც დაასახელა, მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე. ამჟამად, ბატონი იმედო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპორტული სკოლის ხელმძღვანელია და ჩვენი საუბარიც მის კაბინეტში შედგა.

ლაშა თაბაგარი

თავისუფალი სტილის ჭიდაობიდან – ხელბურთამდე

— საქართველოში ხელბურთი 1957 წელს, უკრაინელმა კაცმა, გვარად კუდრიავცევმა შემოიტანა. თავიდან მას თერთმეტი-თერთმეტზე ან შვიდი-შვიდზე თამაშობდნენ, ხოლო 1960 წლიდან მოყოლებული, გუნდებს მოედანზე მხოლოდ შვიდი სპორტსმენის გამოყვანის საშუალება მიეცათ. იმ პერიოდში, თავისუფალ ჭიდაობას მივდევდი და საკმაოდ პერსპექტიულ ათლეტადაც ვითვლებოდი. ნაძალადევში არსებული მე-10 საშუალო სკოლა, სადაც მე ვსწავლობდი, ხელბურთში ქალაქის ჩემპიონატში მონაწილეობას აპირებდა და როგორც სპორტსმენს, დახმარება მთხოვეს. სპორტის ამ სახეობამ დამაინტერესა, ჭიდაობა მივატოვე და ხელბურთში ვარჯიში დავიწყე. 1961 წელს, მოსწავლეთა საკავშირო პირველობა ჩატარდა, რომელზეც ბომბარდირი გავხდი. მალე გიორგი შარაშიძემ საქართველოს უძლიერეს გუნდში — „ბურევესტნიკში“ ამიყვანა. 1961-ში თბილისში სპორტის სასახლე გაიხსნა და პირველი ღონისძიება, რომელიც იქ ჩატარდა, ხელბურთის მატჩი იყო. საქართველოს ნაკრებმა უნგრეთის ნაკრებს ვუმასპინძლეთ და დავამარცხეთ. ამის შემდეგ დანიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს მოვუგეთ. აქვე გეტყვით, რომ სპორტის სასახლემ საქართველოში ხელბურთის პოპულარიზაციას ხელი დიდად შეუწყო და თუ პირველ მატჩს 3000 გულშემატკივარი დაესწრო, მომდევნო შეხვედრებში თამაში უკვე სავსე ტრიბუნების წინ გვიწევდა.

პირველი ჩემპიონები

— 1962 წელს, პირველად ჩატარდა ხელბურთში საბჭოთა კავშირის პირველობა, რომლის ფინალური ეტაპიც კაუნასში შედგა. ჩვენთვის საპრიზო სამეულში მოხვედრა წარმატებად ჩაითვლებოდა, მაგრამ ტურნირი ისე წარიმართა, რომ ყველა შეხვედრა მოვიგეთ და ბოლო მატჩის წინ, კაუნასის „ჟალგირისთან“ ოქროს მედლების მოპოვების შანსი გაგვიჩნდა: თუ მასპინძლებთან თამაშს ფრედ დავამთავრებდით ან მოვიგებდით, მაშინ ჩემპიონები გავხდებოდით, წაგების შემთხვევაში, კი, მესამე ადგილზე გავიდოდით. „სპორტჰალე“, სადაც ეს მატჩი შედგა, ადგილობრივი გულშემატკივრით გადაჭედილი იყო, მაგრამ ასეთი მხარდაჭერის მიუხედავად, თამაში ფრედ 17:17 დამთავრდა და საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონები გავხდით. ჩემდა სასიხარულოდ, ტურნირის დასრულებისას საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში ამიყვანეს. შემდგომში, კაუნასში ფინალური ეტაპის ჩატარება ყოველთვის მსიამოვნებდა, რადგან, ლიტველები რუსებს ვერ იტანდნენ და როცა „ჟალგირისს“ არ ვეთამაშებოდით, ისე გვქომაგობდნენ, თავი თბილისში მეგონა ხოლმე. 1964 წელს მოსკოვში გამართულ ქვეყნის პირველობის ფინალში კვლავ 8 გუნდმა ითამაშა და გადამწყვეტი შეხვედრა 8-ბურთიანი სხვაობით ზაპოროჟიეს „ზაზ“-ს მოვუგეთ. მაშინ ერთ-ერთი შეხვედრისას ტრიბუნიდან ვიღაცამ დამიძახა: გარინჩა! ამ ადამიანმა ლეგენდარულ ბრაზილიელ ფეხბურთელს შემადარა, რომელიც ჩემსავით მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა... აქვე გეტყვით, რომ 1963 წელს საკავშირო ჩემპიონატზე ვერცხლი გვერგო, ხოლო 1965, 1966 და 1967 წლებში — ბრინჯაო.

ფოტოაპარატის გაყიდვისთვის ნაკრებიდან მოკვეთილი

— მოსკოვში, 1962 წლის მიწურულს, ოთხთა ტურნირი შედგა, რომელშიც რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის პირველი და ახალგაზრდული ნაკრებები მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ მოსკოვში პირველი მატჩი ახალგაზრდულ გუნდში ვითამაშე, ბოლო კი — პირველ ნაკრებში. ჩემ გარდა, გუნდში იმყოფებოდნენ: აბაიშვილი, ცერცვაძე და ექსეულიძე. ნაკრების მაშინდელი მთავარი მწვრთნელის, უკრაინელი ივახინის გამო, 1963 წლის სეზონში ოთხივე დაგვსაჯეს ერთი წლით და 1964-ში მსოფლიო ჩემპიონატზე არ წაგვიყვანეს. საქმე ის გახლდათ, რომ ივახინს მხოლოდ უკრაინელების მიმართ ჰქონდა სიმპათია და იუგოსლავიაში „ტაშმაიდანის“ ტურნირის წაგების შემდეგ, მან გადაწყვიტა, წარუმატებლობა ქართველებისთვის დაებრალებინა. კერძოდ, მე იმაში დამადანაშაულა, რომ ტურნირზე ნაკლებად ვფიქრობდი და ვაჭრობით ვიყავი დაკავებული. მაგალითად კი, ჩემ მიერ ფოტოაპარატის გაყიდვის ფაქტი დაასახელა. ეს ნამდვილად მოხდა, რადგან 21 წლის ბიჭი ვიყავი და საზღვარგარეთ მხოლოდ კვებისთვის მოცემული ფული, ცხადია, არ მეყოფოდა. თუმცა, იმის დაბრალება, რომ თამაშისთვის სათანადოდ არ ვემზადებოდი, აბსურდი იყო. ივახინმა ექსეულიძესა და ცერცვაძეს უდისციპლინობა დასწამა,

ხოლო აბაიშვილზე თქვა: როგორც მეკარე, დაბალიაო. მართალია, ნაკრების მეორე მწვრთნელი, შარაშიძე იყო, მაგრამ მან ვერ გვიშველა... ერთი წლის შემდეგ, ივახინი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ჩვენ გუნდში დაგვაბრუნეს. საერთოდ, როდესაც საზღვარგარეთ მივდიოდით, მკაცრ ინსტრუქტაჟს გვიტარებდნენ, თუ როგორ მოვქცეულიყავით საბჭოეთის ფარგლებს გარეთ. მახსოვს, ერთხელ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიმყოფებოდით და ნაკრების დელეგაციის ხელმძღვანელმა, რომელიც საავიაციო ინსტიტუტის კათედრის გამგე იყო, კინოში არ გაგვიშვა: მისი თქმით, მეორე დღეს, ადგილობრივ გაზეთებში დაიწერებოდა, რომ საჭოთა სპორტსმენებმა პორნოფილმს უყურეს... მიუხედავად დიდი შეზღუდვისა, ჩუმად მაინც ვახერხებდით ინსტრუქციების დარღვევას. აბა, როგორ უნდა მომეთმინა ახალგაზრდა ბიჭს, რომ სტრიპტიზბარში არ შევსულიყავი?!. არადა, ეს ღიად რომ გამეცხადებინა, ალბათ, დამიჭერდნენ.

შარაშიძის მცდარი ტაქტიკა

— საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად 1967 წელს შვედეთში ვიასპარეზე. მაშინ გუნდის მთავარი მწვრთნელი გიორგი შარაშიძე იყო და ჩვენ ნახევარფინალში დანიელებთან წავაგეთ. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველად გადაიცემოდა უცხოეთიდან ხელბურთელთა ნაკრების შეხვედრა და შარაშიძემ ძირითად შემადგენლობაში 4 ქართველის გამოყვანა ვერ გაბედა: შეეშიდა, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში, ქართველების წინ წამოწევაში დასდებდნენ ბრალს. არადა, დანიას ჩვენზე სუსტი გუნდი ჰყავდა, რომელიც შვედეთში წასვლამდეც გვყავდა დამარცხებული და ჩემპიონატის დასრულების შემდეგაც მოვუგეთ ამხანაგური მატჩი. რაც შეეხება 1970 წლის მსოფლიო პირველობას, მაშინ ჯგუფიდანაც ვერ გავედით.

ევტუშენკოსა და აკბაშევის ინტრიგებს შეწირული

— ხელბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად 1972 წელს მიუნხენში შეიტანეს. იმ პერიოდში ნაკრების მთავარი მწვრთნელი ანატოლი ევტუშენკო გახლდათ, რომელიც ხელბურთის ნიუანსებში ვერ ერკვეოდა, მაგრამ იმის ნიჭი კი ჰქონდა, რომ უცხოური ლიტერატურა შეეძინა და სპორტის ამ სახეობის შესახებ თეორიულად მომზადებულიყო. მას აგრეთვე კარგად ეხერხებოდა სპორტკომიტეტის ჩინოვნიკების „გაბრუება“. ოლიმპიურ გუნდში მარჯვენაფლანგელებად მე და უკრაინელი უსატი უნდა ვყოფილიყავით. მაგრამ ევტუშენკოს ნაკრების მეორე მწვრთნელობაზე აკბაშევი რომ დაეთანხმებინა, ამ უკანასკნელთან გარიგებაზე წავიდა და მიუნხენში ჩემ მაგივრად, აკბაშევის ფავორიტი შევჩენკო წაიყვანა, ოლიმპადაზე საბჭოთა ნაკრებმა მე-6 ადგილი დაიკავა, ხოლო ევტუშენკომ აკბაშევთან იჩხუბა და მარცხი შევჩენკოს დააბრალა.



თუ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, ვიცოდი, რომ მწვრთნელის პოსტიდან მაშინვე გამათავისუფლებდნენ

სასიკეთოდ დასჯილი ანპილოგოვი

— გერმანიაში ჩატარებული ოლიმპიადის წლისთავზე, ხელბურთის თამაშს თავი დავანებე და საქართველოს სპორტკომიტეტში სახელმწიფო მწვრთნელად დავიწყე მუშაობა. ამ დროს, ჯანო ბაგრატიონი, რომელიც „ბურევესტნიკის“ თავკაცი იყო, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფიზკულტურის კათედრის გამგედ გადაიყვანეს, ხოლო გუნდის წვრთნა მე შემომთავაზეს, რასაც სიამოვნებით დავთანხმდი. მწვრთნელობა ადვილი ნამდვილად არ არის, მაგრამ ისე მოხდა, რომ ბიჭები მომენდვნენ და „ბურევესტნიკმა“ ჩემი ხუთწლიანი მოღვაწეობის პერიოდში ნორმალური შედეგები უჩვენა. კერძოდ, 1975 წელს საკავშირო სპარტაკიადაზე და 1977 წელს ქვეყნის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავეთ. 1974 წელს კი, ზაპოროჟიეში მსაჯებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ საკავშირო პირველობის ბრინჯაოს მედლები ადგილობრივ „ზაზ“-ს რგებოდა. მართალია, ხელბურთელებთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ზოგჯერ მათი დასჯაც მიხდებოდა. მახსოვს, აგვისტოში, ლესელიძეში ვემზადებოდით ჩემპიონატისთვის და ალექსანდე ანპილოგოვი მენისკმა შეაწუხა. იგი სასწრაფოდ გამოვამგზავრე თბილისში, ღუდუშაურის კლინიკაში ოპერაციის გასაკეთებლად და თან შევპირდი: სექტემბერში, სირიაში დაგეგმილ ტურნირზე, ყავარჯნებითაც რომ იყო, მაინც წაგიყვანმეთქი. მაშინ საზღვარგარეთ გამგზავრება იშვიათობა გახლდათ და ანპილოგოვმა ალბათ, იფიქრა, რომ ნაოპერაციევს სირიაში არ წავიყვანდი, ამიტომ ოპერაცია არ გაიკეთა. ცხადია, ამისთვის დავსაჯე, თბილისში დავტოვე, თან საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა ვაიძულე. ერთი წლის შემდეგ, ანპილოგოვი ქვეყნის ნაკრებში მოხვდა და მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონიც გახდა. არადა, მისთვის ოპერაციის გაკეთება რომ არ მეიძულებინა, ანპილოგოვი, როგორც ხელბურთელი, ვერ გაითქვამდა სახელს.



გაყიდული და ნაყიდი მატჩები

— სამწვრთნელო კარიერის მანძილზე, თამაშის „მიცემა“ მეტოქისთვის ერთხელ მომიხდა, ხოლო ერთხელ მატჩი თავად „ვიყიდე“... 1977 წელს, ქვეყნის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მინსკში ტარდებოდა და ბოლო შეხვედრა ადგილობრივ „ასკ“-თან უნდა ჩაგვეტარებინა. მომავალი მატჩი ჩვენს სატურნირო მდგომარეობას არ ცვლიდა — მე-3 ადგილი ნებისმიერ შემთხვევაში გარანტირებული გვქონდა, ხოლო თუ მინსკელები დამარცხდებოდნენ, ისინი უმაღლეს ლიგას დატოვებდნენ. ჩვენთან ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე, გენერალი მოვიდა და მე და მეორე მწვრთნელს გვითხრა — თქვენთან საქმე მაქვსო. მან საუნაში წაგვიყვანა, სადაც საკუთარი თვალით ვნახე, თუ როგორ ცხოვრობდნენ მაშინდელი გენერლები. იმ დაწესებულებას საუნა კი ერქვა, მაგრამ შიგნით, ხელოვნური ჩანჩქერებიდან დაწყებული, წყლის მასაჟის დანადგარებით დამთავრებული, ყველაფერი საუცხოოდ იყო მოწყობილი. წარმოიდგინეთ, ორთქლის აბანოს მიღებისას, ზურგზე სპეციალურ ცოცხს პოლკოვნიკი მირტყამდა!.. ჩვენ გარდა, ცალკე გუნდის მოთამაშეებსაც სცეს სათანადო პატივი. მე კი, სასტუმროში დაბრუნების შემდეგ, ხელბურთელებს გამოვუცხადე: ხვალ მატჩზე არ მოვდივარ და როგორც გსურთ, ისე ითამაშეთ-მეთქი... მართლაც, მეორე დღეს მინსკელებმა უბრძოლველად მოიგეს და ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს. 1975 წელს, საკავშირო სპარტაკიადაზე უკრაინის ნაკრები რუსეთს ხვდებოდა და თუ წააგებდა, ჩვენ მეოთხე ადგილზე გავიდოდით. მისი მოგების შემთხვევაში კი — მესამეზე. უკრაინელებს მეორე ადგილი გარანტირებული ჰქონდათ და ამიტომ უმოტივაციოდ იყვნენ. გადავწ-

ყვიტეთ, ისინი დაგვეინტერესებინა და დავპირდით, რომ თუ რუსეთთან გაიმარჯვებდნენ, პრემიის სახით თითოეულ მოთამაშეს 100-100 მანეთს მივცემდით. უკრაინის ნაკრების წევრებს შეთავაზება ჭკუაში დაუჯდათ და რუსებს მართლაც მოუგეს. ცხადია, სიტყვა არ გაგვიტეხია და მათ კუთვნილი თანხა გადავუხადეთ.

„საქმის გარჩევამდე" საქმის არმიმყვანი

— საბჭოთა კავშირის ჩემპიონაზე სხვადასხვა ქალაქის 4 საარმიო სპორტული კლუბი გამოდიოდა და თითოეულ მათგანს ავალდებულებდნენ, მოსკოვის „ცსკა"-სთვის მატჩი უბრძოლველად დაეთმო. ერთხელ, მოსკოველთა მწვრთნელი პრედეხა ჩემთანაც მოვიდა და მითხრა: თამაში უნდა მოგვცეთო, რაზეც უარი მიიღო. ის შეხვედრა „ცსკას"-ს ფაქტობრივად მოვუგეთ, მაგრამ ბოლო წამებზე მსაჯმა ასპროცენტიანი გოლი არ ჩაგვითვალა. მომდევნო ტურში, მოსკოვიდან მიღებული ბრძანების გამო, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქმა ვახტანგ ბერიაშვილსა და ამბერკო ტაბიძეს, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდნენ, თამაშის უფლება არ მისცა. გამომდინარე იქიდან, რომ ამ მოთაშეების სრულფასოვანი შემცვლელი არ გვყავდა, მე მომიწია მოედანზე გამოსვლამ. სხვათა შორის, აღნიშნული ოლქის ხელმძღვანელობა მთავაზობდა, რომ „ბურევესტნიკი" არმიელთა კლუბი გამხდარიყო. თუ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, ვიცოდი, რომ მწვრთნელის პოსტიდან მაშინვე გამათავისუფლებდნენ. ყოველივეს ისიც დაემთხვა, რომ გუნდში ჩემ მიმართ უკმაყოფილება გაჩნდა. კერძოდ, ანპილოგოვი, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი იყო, პრივილეგიებს ითხოვდა და სურდა, რომ მისთვის, საცხოვრებელ ბინასთან ერთად, ავტომანქანაც ურიგოდ მიგვეცა. ჩემთვის მისი პრეტენზიები მიუღებელი გახლდათ. ბოლოს და ბოლოს, გუნდი ორად გაიხლიჩა და თუ ერთი ნაწილი ანპილოგოვთან ერთად მიპირისპირდებოდა, მეორე — პირიქით, მიცავდა. სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ „საქმის გარჩევა" გარდაუვალი იყო, მაგრამ ვითარება თავადვე განვმუხტე — „ბურევესტნიკი" დავტოვე.

სტუმართმოყვარეობა იორდანიულად

— ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებობდა იმის პრაქტიკა, რომ გამოცდილების მიღების მიზნით, მწვრთნელი რამდენიმე თვით სამუშაოდ სხვა ქვეყანაში გაეგზავნათ. 1976 წლის აგვისტოში, იორდანიის ხელბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დავინიშნე, რომელიც ოქტომბრისთვის სირიაში დაგეგმილი, არაბული ქვეყნების ტურნირისთვის ემზადებოდა. სამთვიანი ვარჯიშის შემდეგ, ამ შეჯიბრებაზე მე-3 ადგილი დავიკავეთ და იორდანიის სპორტის ისტორიაში პრველად მოხდა, რომ ამ ქვეყნის ნაკრებმა სათამაშო სახეობაში საერთაშორისო ასპარეზზე ბრინჯაოს მედალი მოიგო. იორდანიელებმა კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზეს, მაგრამ რუსებმა ისეთი ანაზღაურება მოსთხოვეს, რომ ეს ქვეყანა ამდენ ფულს ნამდვილად ვერ გადამიხდიდა... თითქმის მთელი მსოფლიო შემოვლილი მაქვს, სტუმრის ისეთი პატივისცემა, როგორიც იორდანიაში იციან, სხვაგან არ მინახავს. ახალჩასულს, მაღაზიებში გავლა მინდოდა, მაგრამ ნაკრების ხელბურთელებმა გამაფრთხილეს, რომ მათ გარეშე საყიდლებზე არ წავსულიყავი. ქალაქში გასულს, ჩემი გუნდის ერთ-ერთი მოთამაშე გამომყვა. მაღაზიაში შესულმა, როდესაც ნივთი ავირჩიე და ფულის გადახდა დავაპირე, გამყიდველმა მითხრა, რომ ანგარიში გასწორებული იყო: თურმე ნივთის საფასური ხელბურთელს გაუსტუმრებია. იგივე გამეორდა მეორე და მესამე მაღაზიაშიც. ბუნებრივია, ამან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო და იორდანიელებს ავუხსენი, რომ მათ ხარჯზე ცხოვრებას არ ვაპირებდი. საკმაოდ ხშირად, რომელიმე კაფეში საღამოს, ბანქოს ვთამაშობდით და რასაც მაგიდასთან მივირთმევდით, იმის ხარჯი წაგებულს უნდა გაესტუმრებინა. იორდანიაში ყოფნისას, ბანქოში ერთადერთხელ წავაგე და მაშინაც ფული არ გადამახდევინეს...

მალის მსგავსი საქართველო და ბაყაყის მწვადი

— 1980 წელს, აფრიკაში, მალის ხელბურთელთა ნაკრების თავკაცად დავინიშნე და ამ პოსტზე 2 წელი დავყავი. გასაკვირი ის იყო, რომ გუნდი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ვარჯიშობდა და უსახსრობის გამო, არც ერთ ტურნირში არ მონაწილეობდა. 23 წელია, მალიდან დაბრუნდი და მაშინ რაც იქ ხდებოდა, დღევანდელ საქართველოში იგივე სიტუაციაა: სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მალისაც უამრავი გრანტი და კრედიტი ეძლეოდა, რომელიც უკვალოდ ქრებოდა. ქვეყნის დედაქალაქი ბამაკო, თბილისის მსგავსად, ერთ დიდ ბაზრად იყო გადაქცეული. გადასახადის გადახდას ყველა თავს არიდებდა და შუქსაც ხშირად თიშავდნენ. საქართველოს მსგავსად, მალიდანაც აგზავნიდნენ შვილებს შეძლებული ოჯახები საზღვარგარეთ სასწავლებლად, რათა უკან დაბრუნებულები, ისინი თავიანთ ქვეყანას გამოსდგომოდნენ. მაგრამ ეს არ ხორციელდებოდა, რადგან სახელმწიფოს, რომელიც კორუფციაში გახლდათ ჩაძირული, რამდენიმე კლანი მართავდა. მთელი ქვეყანა რუსების, ამერიკელებისა და ფრანგების მონად იყო გადაქცეული. მაგალითად, თუ მე ხელფასი თვეში 1.800 დოლარი მქონდა, ადგილობრივი მოქალაქე გასამრჯელოდ 20 დოლარს იღებდა... ცხადია, პირველ რიგში, სიცხესთან მიჩვევა გამიჭირდა და ხშირად ყოფილა, რომ ცივი შხაპის ქვეშ მდგომს, ოფლი მომდიოდა ან ღამით სველ ზეწარს შემოვიხვევდი, რომ დამეძინა. თქვენ წარმოიდგინეთ, ადგილობრივები, როდესაც ტემპერატურა 22 გრადუსამდე ჩამოდიოდა, პალტოებს იცვამდნენ და თბილ ქუდს იხურავდნენ!.. როგორც ახალჩასული, პირველსავე დღეს, ბაყაყის შემწვარ ხორცზე დამპატიჟეს, რომელიც ძალიან მომეწონა. შემდგომ, ბანქოს ან ჩოგბურთს ბაყაყის მწვადზე ვთამაშობდით ხოლმე. იქ ქუჩაში სხვადასხვა სახის ბაყაყით დატვირთული ურიკით დადიოდა ადამიანი, რომელიც მყიდველისთვის სასურველ ბაყაყს შესაწვავად უმალვე გაამზადებდა. მალელებს ასევე ძალიან უყვართ ცხარე კერძები. ერთხელ, სადილად გლეხებმა დამპატიჟეს და ისეთი ცხარე საჭმლით გამიმასპინძლდნენ, მეგრელიც კი ვერ წარმოიდგენს. ბამაკოში ყოფნისას, ყოველთვის „კოკა-კოლას" ან სხვა უცხოურ გამაგრილებელ სასმელს ვსვამდი. ერთხელ, ადგილობრივი წარმოების ლიმონათის დალევამ მომიწია, რომელიც წიწაკიანი იყო. ქუჩაში დანაშაულის ჩადენას ყველა ერიდებოდა, რადგან თუ ვინმეს ქურდობაში შეამჩნევდნენ, მას გამვლელები დაესეოდნენ და იქვე სცემდნენ, მაგრამ ჩაქოლვამდე საქმე არ მიდიოდა.

■



„მიუხედავად მძიმე პირობებისა, ჩვენს დროს, ადამიანებს შორის უფრო თბილი დამოკიდებულება იყო. შეიძლება, ერთმანეთს არ ვიცნობდით, მაგრამ მაინც თბილად ვესალმებოდით. დღეს კი ყველაფერი სხვაგვარადაა“, — ამბობს ცნობილი მსახიობი ჯემალ ღაღანიძე...

ჯემალ ღაღანიძემ საკუთარ ქორწილში სერგო ზაქარიაძეს ყანწი უსახსოვრა

ეკა მინდაძე

— ულამაზესი იყო ჩემი ბავშვობის დროინდელი თბილისი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მძიმე პერიოდში ვცხოვრობდით (იმ დროს, სამამულო ომი მიმდინარეობდა), თბილისი მაინც უფრო ლაღი იყო. მაშინ ბავშვები სისტემატურად დავდიოდით თეატრებში, ხოლო შემდეგ ვცდილობდით, რასაც იქ ვნახავდით, საკუთარ ეზოში გადმოგვეტანა. გარდა ამისა, ბიჭები ვერთობოდით თვითნაკეთი ჩიკორით და კოჭებით. ბუნებრივია, ყველა თაობას ჰგონია, რომ სწორედ მისი დროინდელი თბილისი იყო ყველაზე კარგი. იმ დროს, მართლაც რომ საოცარი დამოკიდებულება იყო ადამიანებს შორის. ყველამ კარგად იცოდა, ესა თუ ის პიროვნება ვინ და რა კაცი იყო.

— მოგვიყევით, როგორი მეგობრობა იცოდით მაშინ და რას ვერ აპატიებდით მეგობარს?

— ჩვენს დროს, მეგობარი უფრო გამტანი იყო, ვიდრე დღეს. მაშინ მეგობრობას სხვა ფასი ჰქონდა. თუ ვინმეს ტყუილსა და ღალატში გამოვიჭერდით, მას ჩვენი წრიდან ვაგდებდით. მე ჩემზე გაცილებით უფროსი მეგობრებიც მყავდა და უმცროსებიც. უფროსი მეგობრებიდან მინდა გამოვყო ეროსი მანჯგალაძე. ჩვენ ერთი სოფლიდან ვიყავით (სამტრედიის რაიონის სოფელი ღანირი), მაგრამ ის სტუდენტობის პერიოდში გავიცანი. მახსოვს, ეროსი ჩემს გასაცნობად ინსტიტუტში იმ დღეს მოვიდა, როცა საკურსო სპექტაკლში ვთამაშობდი. სპექტაკლის დამთავრებისთანავე, კულისებში შემოვიდა და დაიყვირა: მაჩვენეთ ღაღანიძე „ღანირსკი“ რომელიაო? ამას შემდეგ „ღანირსკის“ მეძახდა. ისე დავმეგობრდით, რომ ამ სახლშიც არაერთხელ გვიქეიფია ერთად. სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანი დღეს აღარ არის, მაგრამ რას იზამ, ცხოვრება ასეთი დაუნდობელია.

— როგორი სიყვარული იცოდით იმ დროს და რაიმე თუ შეიცვალა დღეს?

— სიყვარული ყოველთვის ერთნაირია. შეიძლება, სიყვარულის გამომჟღავნების ფორმა შეიცვალა. ჩვენ უფრო რომანტიკულები ვიყავით, ვიდრე დღეს არიან. დღეს უფრო უჭირთ თქმა — მიყვარხარო, მაგრამ შინაარსით არაფერი შეცვლილა. ვინაიდან მაღალ კლასებში გოგონები და ვაჟები ცალ-ცალკე ვსწავლობდით, ჩვენი შეხვედრის ერთადერთი ადგილი მოზარდ მაყურებელთა თეატრი იყო. სად მქონდა სტუდენტობის პერიოდში იმის თავი, რომ კაფეებსა და ბარებში მეტარებინა გოგონა, რომელიც მე მომწონდა?! ამის საშუალებაც რომ მქონოდა, ამას ვერ გავაკეთებდი: იმ დროს თბილისში თითზე ჩამოსათვლელი რესტორანი და დუქანი იყო და იქ რომ გოგო შეგეყვანა, მთელ თბილისს ეცოდინებოდა... იმდენს თუ მოახერხებდი, რომ შენი რჩეული დაგეთანხმებინა კინოში ან თეატრში წამოსვლაზე, უბედნიერესი ადამიანი იყავი. ჩვენთვის დიდი ბედნიერება იყო ახალი წლის შეხვედრები. აი, მაშინ გვეძლეოდა საშუალება, გაგვეცნო ერთმანეთი. გაცნობის საუკეთესო საშუალება იყო საზაფხულო კურორტებიც. იქ გავიცნობდით ერთმანეთს, ხოლო შემდეგ თბილისში ვაგრძელებდით მეგობრობას. საღამოობით, თითქმის მთელი ახალგაზრდობა სეირნობდა, განსაკუთრებით — რუსთაველსა და პლეხანოვზე. ყოველ საღამოს ათჯერ მაინც ავივლიდით და ჩამოვივლიდით პროსპექტზე. აი, ასე, ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით ერთმანეთს. ჩვენთვის მთავარი იყო ადამიანი, დღეს კი უფრო, მატერიალურ მხარეს აკვირდებიან, ადამიანს იმით აფასებენ, თუ რამდენი ფული აქვს. თითქმის ყველა მამაკაცი ფიქრობს ფულიანი გოგოს ცოლად მოყვანას და ყველა ქალი — ფულიან მამაკაცზე გათხოვებას. ჩვენს დროს, მთავარი, ფული არ იყო, დღეს კი ფულით ზომავენ ყველაფერს. დღეს ყველაფერი გაუფერულებულია. ალბათ დემოკრატიამ მოიტანა ის, რომ ადამიანი ზედმეტად თავისუფალი გახდა. აბა, ლამაზია, როცა გოგონა ქუჩაში შეყვარებულს ნახევრად შიშველი მიჰყვება?!. სხვათა შორის, თეატრშიც არაერთხელ შემოსულა ბიჭი, რომელსაც გვერდზე ნახევრად შიშველი გოგონა ედგა. ჩემთვის ეს გაუგებარია. კარგი, გოგოს ამდენი არ ესმის,

ჩვენთვის მთავარი იყო ადამიანი, დღეს კი უფრო, მატერიალურ მხარეს აკვირდებიან, ადამიანს იმით აფასებენ, თუ რამდენი ფული აქვს...

მაგრამ ბიჭი მაინც ვერ ხვდება, ვის გვერდით დგას?!. მე იმ აზრის არ ვარ, რომ ქალს კოჭებამდე კაბა უნდა ეცვას. არა, მოკლე კაბის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ზედმეტი არ უნდა მოუვიდეთ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მიკვირს. არა, ბოლოს და ბოლოს, მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი და ყველაფერი მინახავს, მაგრამ ქართველ ქალს ასეთი ჩაცმა არ შეშვენის. თუ ასე გაგრძელდა, 3-4 წელიწადში ვშიშობ, გოგონები უკვე საცურაო კოსტიუმებით ივლიან.

— ცოტა რამ თქვენი ოჯახის შესახებ მიამბეთ.

— ბავშვობა დოლიძის ქუჩაზე გავატარე. მამა ეკონომისტი იყო, დედა — საბავშვო ბაღის პედაგოგი და ამ უბანში ყველა ჩემი ტოლი, დედაჩემის ხელშია გაზრდილი. დედას მე და ჩემი ძმა ხშირად დავყავდით თეატრში. ალბათ, ამანაც განაპირობა ეს პროფესია რომ ავირჩიე. მეშვიდე კლასში უკვე განზრახული მქონდა, მსახიობი გავმხდარიყავი. სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის სწავლა არ მიყვარდა. ამის გამო ჩემი სკოლის დირექტორი ამბობდა: ნოდარი (ჩემი ძმა) ჩემი მოსწავლეა და ეს (ე.ი. მე) ვინ არის, არ ვიცი, ამას ფანდური უნდა მისცე ხელში და ამღეროო... მახსოვს, ერთხელ, მან გამიძახა და მითხრა: ღაღანიძე, მაგ ცოდნით შორს ვერ წახვალო... გავიდა დრო, მოვხვდი რუსთაველის თეატრში და თითქმის მთელი მსოფლიო შემოვიარეთ. ერთხელ, ნიუ-იორკში მე და ეროსი მანჯგალაძე ვსეირნობდით. ეს ამბავი მოვუყევი და თან დავაყოლე — კი მითხრა, შორს ვერ წახვალო, მაგრამ ამაზე შორს სადღა უნდა წავიდე-მეთქი?!. ბევრი ვიცინეთ.

— ძნელი მისაღწევი იყო პოპულარობა თქვენი თაობისათვის?

— რუსთაველის თეატრში უფროსი თაობის მსახიობები საკმაოდ გულღიად შემხვდნენ. ისინი თითქმის ყველა ახალმოსულს, როგორც კვიცს, ისე ხედნიდნენ. არავითარ შემთხვევაში პირველად, სერიოზულ როლს არ განდობდნენ. მეც ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ყველაფერი თავის დროზე მოვიდოდა... არასოდეს მიფიქრია, ისეთ „შტანგას“ შევჭიდებოდი, რომელსაც ვერ ავწევდი. რასაც მოვკიდებდი ხელს, ვცდილობდი, ხარისხიანად შემესრულებინა. აი, ასე ნელ-ნელა ვაღწევდით სასურველ შედეგს. დღეს კი, ახალგამოჩეკილებს თავი პოპულარულ ადამიანებად მიაჩნიათ...

— როგორი ურთიერთობა ჰქონდა წინა თაობის ადამიანებთან თქვენს თაობას?

— საერთოდ, ყველა თაობა ამბობს — ჩვენ საუკეთესოები ვიყავითო... ვფიქრობ, ჩვენი თაობის ახალგაზრდობას უფრო მეტი რიდი ჰქონდა უფროსი თაობის ადამიანებისა. მე და ჩემი მეგობრები, როგორც კი უფროსს დავინახავდით, თუ ვიჯექით, ფეხზე ვდგებოდით, მაშინვე ჯიბიდან ხელს ამოვიღებდით, ხოლო თუ სიგარეტს ვეწეოდით, მაშინვე გადავაგდებდით... ვერ ვიტყვი, რომ დღეს ჩემი შვილის და შვილიშვილის თაობები უპატივცემულოდ მეპყრობიან, მაგრამ ისეთი მორიდებულები, როგორიც ჩვენ ვიყავით, ნამდვილად არ არიან.

— თქვენი აზრით, რამდენად განათლებულია დღევანდელი თაობა?

— მართალია, ახალგაზრდებში ინფორმირებულობის დონე და საერთო განათლება გაცილებით მაღალია, მაგრამ წიგნის კითხვა არავის უყვარს. ჩემი შვილიშვილიც, თავისი თანატოლების მსგავსად, განათლებულია ინფორმირებულობის თვალსაზრისით, მაგრამ მას განათლება წიგნების კითხვით არ მიუღია... ჩვენ გაცილებით მოკრძალებული დამოკიდებულება გვქონდა წინა თაობის მსახიობებთან, ვიდრე დღევანდელ ახალგაზრდებს აქვთ ჩვენ მიმართ. მახსოვს, ინსტიტუტში, როცა ბატონი აკაკი ხორავა შემოვიდოდა, მაშინვე ყველანი ფეხზე ვდგებოდით. თეატრში სულ ახალი მისული ვიყავი, როცა 3-4-წუთიან სცენაში დამაკავეს აკაკი ხორავასთან ერთად. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. ერთ-ერთი მსახიობი ავად გახდა და მის მაგივრად, სრულიად მოულოდნელად, მე შემიყვანეს სპექტაკლში. სცენა ასეთი იყო: მენშევიკი (ე.ი. მე) უნდა გამოსულიყო და დაეძახა: სად არის კაპიტანი; ცოტა ხანში, კაპიტანიც გამოვიდოდა, რომლის როლსაც ბატონი აკაკი ხორავა ასრულებდა. მისთვის უნდა დამეყვირა — გასწორდი, როგორ დგახარ-მეთქი! — მერე ამეღო ჯოხი და მისთვის ცხვირზე მომესვა. აი, ამას კი ვერაფრით ვერ ვუბედავდი, ავიღებდი ჯოხს და ცხვირის მაგივრად, მუცელზე ვუსვამდი... ბოლოს, როცა მიხვდა ბატონი აკაკი, რომ მერიდებოდა ამის გაკეთება, დამაჭერინა ხელში ჯოხი, ჩემს ხელს თავისი ხელი დაადო, ძალით გამასმევინა ცხვირზე და მითხრა: ნუ გეშინია, აი, ასე მომისვიო.. ასეთი შემთხვევების დავიწყება შეუძლებელია. ეს ბუმბერაზი მსახიობები არა მარტო თეატრში გვპატრონობდნენ, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ხშირად, მოგვკიდებდა ხელს და პურმარილზეც მიგყავდით, სადღეგრძელოების თქმასაც გვასწავლიდნენ... ასე რომ, პურის ჭამაც და ქეიფიც უფროსი თაობისაგან ვისწავლეთ. მახსოვს, სუფრაზე ბატონი აკაკი ხორავა მეორე ხმას მღეროდა, აკაკი ვასაძე — პირველს, გიორგი საღარაძე (გურამ საღარაძის მამა) — მესამეს. კარგად მღეროდა ეროსი მანჯგალაძეც და ბრწყინვალე ქეიფი გამოდიოდა. ჩემს ქორწილში თამადობა ბატონ სერგო ზაქარიაძეს ვთხოვე. მან ასე მიპასუხა — ჯემალ, ხომ იცი, რომ მე არ ვსვამო, — მაგრამ, როცა თითქმის ყველა ზომის სასმისი დაინახა კედელზე დაკიდებული, ყველაზე პატარა სასმისისკენ მიმითითა და მითხრა: თუ ამით მათამადებ, თანახმა ვარო. მეც გახარებულმა ვუპასუხე: რითიც გინდათ, იმით ითამადეთ-მეთქი! მან მართლაც, ბრწყინვალედ ითამადა. სუფრის დამთავრებისთანავე, მივედი და ვუთხარი: ბატონო სერგო, ყანწს აწერია — ვინც დალევს, იმისია და რადგანაც თქვენ დალიეთ, ყანწიც თქვენია-მეთქი. მანაც გახარებულმა აიღო ყანწი და მაშინვე ჯიბეში ჩაიდო. ბედნიერი ვარ, რომ ამ ბუმბერაზ ადამიანებთან მომიწია ყოფნამ — სცენასა და ცხოვრებაშიც.



ასეთი შემთხვევების დავიწყება შეუძლებელია...

— რა არ მოგწონთ დღევანდელ ახალგაზრდებში?

— ვერ ვეგუები ზედმეტ თავისუფლებას. არ ვიცი, დრომ მოიტანა თუ რამ, ხშირ შემთხვევაში, ტელევიზორს ვერ უყურებ შვილთან და შვილშვილთან ერთად, ისეთ რამეს აჩვენებენ და ამბობენ... არაერთხელ მითქვამს — ტელევიზორი „სახლში შემოსაშვები“ არ არის-მეთქი, იმდენად ხშირად გაისმის უწმაწური სიტყვები. არ მომწონს, ახალგაზრდობის უმეტესობა ყოველ მეორე სიტყვაზე იგინება... ამას წინათ, ტაქსის მძღოლი გაგიჟებული იყო: მიყვებოდა — ორი გოგო ჩამიჯდა და გზაში ერთი მეორეს ეუბნებოდა: მამაჩემის საყვარელი ვიყო, თუ გატყუებდეო!.. აბა, ეს ლამაზია ქართველი ქალისგან?!.

— დაბოლოს: ახალგაზრდა მსახიობების შემოქმედება თუ გაიმედებთ?

— რა თქმა უნდა, ისინი ჩვენზე გაბედულები არიან. მათ არ ერიდებათ, რომ თავიანთი თავი წარმოაჩინონ ამა თუ იმ რეჟისორის წინაშე კი, ეს ჩემი აზრით, კარგია. აბა, ჩვენს დროს, ვინ გაბედავდა რეჟისორთან მისვლას?!. მჯერა, რომ ქართული თეატრი და კინო თავის სიტყვას კიდევ ბევრჯერ იტყვის.

■

ძალადობა — გონჯებს

145 წლის წინ, ინგლისში ჯოზეფ კერი მერიკი დაიბადა, რომელიც ბედისწერის წყალობით მსოფლიოში ყველაზე ცნობილი გონჯი ადამიანი გახდა. 25 წლის წინ, ეკრანებზე მერიკის სავალალო ბედისადმი მიძღვნილი, დევიდ ლინჩის ფილმი — „ადამიანი-სპილო" გამოვიდა. სხვის სიმახინჯეზე აგებული ბიზნესი მუდამ შემოსავლიანი საქმე იყო: სხვისი ტანჯვის საყურებლად ხალხს ფულის გადახდა არასოდეს დანანებია...

უჩვეულო ადამიანები ფიცარნაგებზე ცხოვრობდნენ. გარდაცვალების შემდგომ კი, ანაგომიურ თეატრებში ხვდებოდნენ. ადამიანი-სპილოს თავის ქალა ლონდონში დღესაც ინახება

გოლიათი და ფერია

„დღის სინათლე პირველად 1850 წლის 5 აგვისტოს, ლესტერში ლი-სტრიტისა და უორფ-სტრიტის გადაკვეთაზე ვიხილე. დედაჩემი სპილომ შეაშინა, რაც იმ სიმახინჯის მიზეზად იქცა, რომელსაც მე ახლა პუბლიკას ვუჩვენებ. ქუჩაში ცხოველთა პროცესიას მიერეკებოდნენ. მათ სანახავად ხალხის დიდი ნაკადი მოაწყდა და ჭყლეტა მოხდა. ფეხმძიმე დედაჩემი ბრბომ სპილოს ფეხქვეშ შეაგდო. დედას ძალიან შეეშინდა, რაც ჩემი სიმახინჯის მიზეზი გახდა", — ასე აღწერს თავისი უბედურების მიზეზს ადამიანი-სპილოს სახელით ცნობილი ჯოზეფ მერიკი, რომლის ცხოვრებაზე დევიდ ლინჩმა ფილმი გადაიღო. მერიკი სამართლიანად ითვლებოდა თავისი დროის ყველაზე უბედურ ადამიანად, რადგან დაბადებიდან პროთეუსის სინდრომით იტანჯებოდა. ეს დაავადებაა, რომლის დროსაც ადამიანს ძვლები და კანი უზომოდ ეზრდება. „ქალები და გულსუსტნი მის დანახვაზე თავზარდაცემულნი უკანმოუხედავად გარბოდნენ. ამის გამო, ღრმა ინტელექტის მიუხედავად, ნორმალური ცხოვრება არასოდეს ღირსებია", — წერდა ერთ-ერთი ექიმი. შემთხვევითობის წყალობა იყო, რომ ჯოზეფ მერიკმა სიცოცხლე კეთილი ადამიანების გარემოცვაში დაასრულა, რომლებიც მას დამცირებისა და დაცინვისგან იცავდნენ. ადამიანი-სპილო ალბათ პირველი იყო იმ ინვალიდთა შორის, რომელთა მიმართ საზოგადოებამ კეთილგანწყობა და თანაგრძნობა გამოამჟღავნა. სხვა ავადმყოფებს, რომლებიც მნიშვნელოვანი ფიზიკური ნაკლით მოევლინნენ ქვეყნიერებას, მერიკის მსგავსად როდი გაუმართლა.

თანდაყოლილი ფიზიკური ნაკლი ადამიანებში მუდამ შიშის, ზიზღისა და ცნობისმოყვარეობის გრძნობებს იწვევდა. საზოგადოების უდიდესი ნაწილი ფიქრობდა, რომ გონჯთა ადგილი მხოლოდ ბალაგანში, მეფის კარზე ან ანატომიურ თეატრში და არანორმალურ ადამიანთა შორის იყო.

ყველა დროში იყვნენ მოხერხებული ადამიანები, რომლებიც სხვათა სიმახინჯის წყალობით, დიდ ფულს შოულობდნენ და კარიერასაც იკეთებდნენ. ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში დიდებულმა, სახელად ხუეფხორმა, სამხრეთის ქვეყნებიდან მოცეკვავე ქონდრისკაცი ჩამოიყვანა და ფარაონს საჩუქრად მიართვა. ხუეფხორი ჯერ კიდევ გზაში იყო, როდესაც ფარაონმა საკვირველი საჩუქრის შესახებ შეიტყო და დიდებულს ასეთი წერილი გაუგზავნა: „უმალ ჩრდილოეთისაკენ გამოეშურე და ქონდრისკაცი წამოიყვანე... როდესაც მდინარეზე დაეშვებით, ხომალდის ქიმთან კარგად მომზადებული ხალხი დააყენე, რომ შემთხვევით წყალში არ გადავარდეს... ამ ქონდრისკაცის ხილვა უფრო მეტად გვსურს, ვიდრე სინასა და პუნტას მთელი საგანძურისა". ხუეფხორმა ჯუჯა, ფარაონს მიართვა და ამით ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა. ფარაონმა ის უპირველეს მხედართმთავრად დანიშნა.

უცნაური ადამიანებისადმი ინტერესი არც მომდევნო საუკუნეებში განელებულა და არც მათდამი დამოკიდებულება შეცვლილა: საკვირველი არსება, ამა სოფლის ძლიერთა საკუთრება უნდა ყოფილიყო და მისი ბედი მთლიანად პატრონის ხელში იყო, მაგრამ ხშირად თავად მბრძანებლებმაც არ იცოდნენ, ეს გასართობი რაში გამოეყენებინათ და ამიტომ, საბრალო გონჯებს ან საზოგადოებას უჩვენებდნენ, ანდა ერთმანეთს საჩუქრად უგზავნიდნენ. მაგალითად: რომის იმპერატორმა ოქტავიანემ, საკუთარი რეიტინგის ასამაღლებლად, ამფითეატრის სცენაზე 60 სანტიმეტრის სიმაღლის მამაკაცი გამოიყვანა. იმპერატორი ტიბერიუსი თანდაყოლილ ანომალიებს დიპლომატიური არხების მეშვეობით მაშინ გაეცნო, როდესაც პართიის მეფემ, არტაბან მესამემ, რომთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, იმპერატორს 3 მეტრამდე სიმაღლის ებრაელი ჭაბუკი ელიზარი აჩუქა.

ახალ ეპოქაში მეცნიერების ავტორიტეტი ძალზე გაიზარდა, ამიტომ უცნაურმა ადამიანებმა მეფეთა სასახლეებიდან ნელ-ნელა, მეცნიერთა ხელში გადაინაცვლეს. XV საუკუნის ბოლოს, მედიკოსთა ყურადღება ირლანდიელმა გოლიათმა ჩარლზ ბირნმა მიიპყრო, რომლის სიმაღლე 297 სმ იყო. გიგანტი ბაზრობებზე ხალხს ართობდა, მეცნიერები კი სულმოუთქმელად ელოდნენ იმ დღეს, როდესაც მისი სხეულის დანაწევრებასა და ძვლების აღნაგობის შესწავლას შეძლებდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ცნობილი შოტლანდიელი ანატომი ჯონ ჰანტერი ბირნის ძვლებით საკუთარი კოლექციის გამდიდრებაზე იმდენად ოცნებობდა, რომ სპეციალურად დაიქირავა ადამიანი, რომელიც უზარმაზარი ქვაბით ხელში გიგანტს ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, რათა ბირნის გარდაცვალებისთანავე მისი ჩონჩხი ამ ქვაბში გამოეხარშა. საწყალმა გოლიათმა ერთხელ, კინაღამ მართლაც ფეხები გაფშიკა, როდესაც შემთხვევით ეს ქვაბი იხილა... ჩარლზ ბირნის ჯანმრთელობა მკვეთრად რომ გაუარესდა, გაერთიანებული სამეფოს ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ექიმებმა მის სახლთან მოიყარეს თავი, მაგრამ მათი მიზანი ავადმყოფის გამოჯანმრთელება როდი იყო... ერთ-ერთი იმდროინდელი ჟურნალი იუწყებოდა: „საწყალი მომაკვდავი ირლანდიელის სხეულზე მონადირე ქირურგთა საძმომ მის სახლს ალყა შემოარტყა. ისინი საოცრად დიდი ზომის ვეშაპზე მონადირეებს მოგვაგონებენ". საბრალო გოლიათი იოლად დანებებას არ აპირებდა. მან მებადურები დაიქირავა, რომელთაც მისი ნეშტი ზღვაში უნდა ჩაეძირათ. მაგრამ ჯონ ჰანტერმა მომაკვდავ ბირნს ჭკუით აჯობა. მან მებადურებს იმ დროისთვის დიდი თანხა — 500 გირვანქა სტერლინგი გადაუხადა და არც სასმელი დაიშურა. ასე რომ, გიგანტის სხეული მისთვის დიდი ხნის წინ მომზადებულ ქვაბს მაინც ვერ გადაურჩა და დღეს ჩარლზ ბირნის ჩონჩხი ლონდონში, სამეფო სამედიცინო კოლეჯის ჰანტერისეულ მუზეუმშია გამოფენილი.

მსგავსი ბედი ელოდა „სიცილიელ ფერიად" წოდებულ კაროლინ კრაჩამისაც. 1824 წელს, ლონდონელებს 50 სმ სიმაღლის 8 წლის გოგონას უჩვენებდნენ, რომელსაც „უჩვეულოდ არამიწიერი ხმა" ჰქონდა. გოგონა ფაიფურის გაცოცხლებულ თოჯინას ჰგავდა. კაროლინამ მაღალ საზოგადოებაში ფურორი მოახდინა და სხვადასხვა ფენის მაყურებელიც ანდამატივით მიიზიდა.

მას შემდეგ, რაც ერთი დღის განმავლობაში მის ოთახს 200 მნახველი ეწვია, გოგონა გადაღლილობისგან გარდაიცვალა. დაკრძალვაზე ჩამოსულმა მამამ შვილის ცხედარი ვერსად ნახა. კაროლინის ექიმმა, დოქტორმა გილიგანმა ბავშვის

სიამის ტყუპი – ენგი და ჩანგი – სამოქალაქო ომის შემდგომ, ამერიკელთათვის ქვეყნის ერთიანობისა და განუყოფლობის სიმბოლოდ იქცა

გვამი ჩუმად გაიტანა საკვოიაჟით და სამეფო სამედიცინო კოლეჯს 500 გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა. დღეს კოლეჯის მუზეუმში მისული დამთვალიერებელი ირლანდიელი გოლიათის, ჩარლზ ბირნისა და სიცილიელი ფერიის, კაროლინ კრაჩამის ჩონჩხებს გვერდიგვერდ იხილავს.

ნორმანის შოუ

გოლიათმა და ფერიამ სიცოცხლე შოუბიზნესს შესწირეს, მათი გარდაცვალება კი მედიცინის მონაპოვრად იქცა. ადამიან-სპილოზე უფლების მოსაპოვებლად კი მის სიცოცხლეშივე უდიდესი ბრძოლა გაჩაღდა. პროთეუსის სინდრომი მერიკს 5 წლის ასაკში აღმოაჩნდა. თავდაპირველად, სკოლაში სიარულიც კი შეეძლო, მაგრამ ავადმყოფობა სწრაფად განვითარდა და მალე, სხვა ბავშვებისგან მისი იზოლირება აუცილებელი გახდა. მერიკმა სიგარის მწარმოებელ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ ცოტა ხანში, მარცხენა ხელი წაერთვა და საწარმოს დატოვება მოუხდა. შემდეგ, ქუჩაში ვაჭრობა სცადა, მაგრამ მის დანახვაზე მყიდველები თავზარდაცემულნი გარბოდნენ. მერიკმა სამუშაო კიდეც ერთხელ შეიცვალა და ე.წ. მუშათა სახლში დაიწყო საქმიანობა. მისმა უჩვეულო გარეგნობამ საწარმოო პროცესი იქაც ჩაშალა და ბოლოს, 1884 წლის ზაფხულის დამლევს, ჯოზეფ მერიკი ტომ ნორმანის დასს შეუერთდა, რომელიც მაყურებელს უცნაურობათა შოუს უჩვენებდა. მას ადამიანი-სპილო ეწოდა და საზოგადოებას პროგრამის წამყვან ნომერს უჩვენებდა. მერიკი მაყურებლის წინაშე იმ ცვილის ფიგურებთან ერთად წარდგებოდა ხოლმე, რომლებიც საშინელ დანაშაულთა მსხვერპლს გამოსახავდნენ. თანამედროვენი წარმოდგენას ასე აღწერენ: „ძველ მოსასხამში გახვეული საბრალო ყმაწვილი იჯდა და სანათურზე გახურებული აგურით გათბობას ცდილობდა. როდესაც შესასვლელთან მდგომი ზედამხედველი საკმარის თანხას მოაგროვებდა, მერიკი მოსასხამს იხსნიდა და მაყურებელს თავის მახინჯ სხეულს უჩვენებდა“.

ნორმანი მერიკს პატიოსნად უხდიდა გასამრჯელოს. ამიტომ მან 4 თვეში 200 გირვანქა სტერლინგის დაგროვება მოახერხა. ანტრეპრენიორთან მისი თანამშრომლობა მოულოდნელად შეწყდა. ნორმანმა, მისდა საუბედუროდ, ბალაგანი უაიჩესტერროუდზე, ლონდონის სამეფო ჰოსპიტლის წინ განათავსა. ერთმა ექიმმა ადამიანი-სპილო დაინახა და სულ მალე ბალაგანს უჩვეულო დაავადებით დაინტერესებულმა მედიკოსებმა მიაკითხეს. ცნობისმოყვარეთა შორის, ქირურგი ფრედერიკ ტრევესიც აღმოჩნდა. მერიკის თავზე ჩამოკიდებულმა წარწერამ — „პირველყოფილი ცოდვის მომაკვდინებელი ნაყოფი“ — მეცნიერის ქრისტიანული გრძნობები შეურაცხყო. 1884 წლის დეკემბერში, ტრევესმა ავადმყოფი ლონდონის პათოლოგიურ დაავადებათა საზოგადოებას წარუდგინა და შესაბამისი მოხსენებით გამოვიდა. მოხსენებამ ლონდონის გავლენიანი სამედიცინო საზოგადოება იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნორმანი ადამიანთა მწვალებელი იყო. პოლიციამ შოუ დახურა. დევიდ ლინჩის გახმაურებულ ფილმში ტრევესი საცოდავ ავადმყოფს საავადმყოფოში, სრულ პანსიონზე მოათავსებს, სინამდვილეში კი, ეს მედიკოსთა წინაშე ექიმის გაკეკლუცება იყო და შემდეგ, ჯოზეფი აღარც გახსენებია. „ჰუმანური საზოგადოებრიობის წყალობით, მერიკი კვლავ უმუშევარი აღმოჩნდა. გასაჭირში ჩავარდნილმა ნორმანმა ადამიანი-სპილო ვიღაც ავსტრიელს მიჰყიდა, რომელმაც ის ბრიუსელში წაიყვანა.

ავსტრიელი მერიკს უხეშად ეპყრობოდა, საბოლოოდ გაძარცვა და დასიდან გააგდო. შოუბიზნესს ადამიანი-სპილო აღარ სჭიდებოდა. ჯოზეფი ლონდონში დაბრუნდა სადაც გააფთრებულმა ბრბომ მასხრად აიგდო და კინაღამ ჩაქოლა. მერიკი დაღუპვას პოლიციელებმა გადაარჩინეს. ბრბოს კლანჭებიდან დაიხსნეს და ლონდონის სამეფო ჰოსპიტალში დოქტორ ტრევესს მიჰგვარეს.

იმ დროიდან მოყოლებული, ადამიანი-სპილო ჰოსპიტლის განცალკევებულ პალატაში დაბინავდა. იქ მას შეურაცხყოფას აღარავინ აყენებდა. ტრევესი ჯოზეფს მეგობრულად ეპყრობოდა, მედდები ავადმყოფს მოთმინებით უვლიდნენ. მათი გულისხმიერებით გულაჩუყებული მერიკი სამედიცინო პერსონალს საკუთარი ხელით დამზადებულ სათამაშოებს უძღვნიდა საჩუქრად. მეცნიერებამ მერიკისადმი ინტერესი დაკარგა და ექიმებმა თავი დაანებეს, მაგრამ ჯოზეფს წყნარი ცხოვრება არ დასცალდა. მას ფრედერიკ ტრევესისთვის მაღალ საზოგადოებაში შესასვლელ სავიზიტო ბარათად ქცევა ელოდა წინ.

ჰოსპიტლის უფროსმა კარ გომმა ლონდონის Time-ისთვის წერილი დაწერა, მკითხველს ადამიანი-სპილოს შესახებ მოუთხრო და საზოგადოებას დახმარებისკენ მოუწოდა. სტატიამ ჯოზეფ მერიკი საქვეყნოდ ცნობილ ადამიანად აქცია. მისი პალატა მაღალი საზოგადოების მნახველებით აივსო, მათ შორის, უელსის პრინცესა ალექსანდრაც კი აღმოჩნდა. ეს ღირსეული ადამიანები ექიმ ტრევესთანაც ხშირად საუბრობდნენ, რაც მის რეპუტაციას ძალზე წაადგა. მერიკი ამ პოპულარობას დიდად აფასებდა, უელსის პრინცესის საშობაო ბარათებს სასოებით ინახავდა და თავის კეთილისმყოფელთ გულის ამაჩუყებელ წერილებს უგზავნიდა, რომლებსაც ხშირად, ამგვარი ლექსებით ასრულებდა: „დამიწუნებთ ალბათ იერს, შექმნილი ვარ უფლის მიერ, ჩემს ბედს თავად მე რომ ვწყევტდე, იქნებ ღმერთკაცს ვედრებოდე!“

1890 წლის 11 აპრილს, ღამით, ჯოზეფ მერიკი გაიგუდა. საბრალო ავადმყოფი თავის სიმძიმის გამო იძულებული იყო, მჯდომარეს სძინებოდა. ის მუდამ ოცნებობდა, რომ სხვების მსგავსად, დაწოლილიყო, ერთხელაც ოცნება აისრულა და გაიგუდა. მერიკის გვამი დაანაწევრეს. მისი ნეშტი ახლაც ლონდონის სამეფო ჰოსპიტალში ინახება, მაგრამ დღემდე ვერავინ მოიფიქრა, რაში გამოიყენონ ერთ დროს საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი-სპილოს ცხედარი.

ფრედერიკ ტრევესის კარიერა უფრო და უფრო წარმატებული ხდებოდა, მან საქვეყნოდ ცნობილი ექიმის სახელი მოიხვეჭა და ბოლოს, მეფის პირადი ქირურგის პოსტი დაიკავა. 1902 წელს, ედუარდ



ლილიპუტი ჩარლზ სტრატონი, ბარნუმის წყალობით, დიდ ადამიანად იქცა

მეშვიდის მეფედკურთხევის წინ, ტრევესმა დაჟინებით მოითხოვა, რომ მეფე, მეფედკურთხევის ცერემონიის ნაცვლად, საავადმყოფოში წაბრძანებულიყო და საოპერაციო მაგიდაზე დაწოლილიყო, რაზეც ედუარდმა კატეგორიული უარი განაცხადა. „თუ ოპერაციას არ გაიკეთებთ, თქვენი მეფედკურთხევა დასაფლავების ცერემონიად გადაიქცევა“, — მოკლედ მოუჭრა ტრევესმა დიდებულ პაციენტს და ბრიტანეთის სამეფო ტახტზე მეფის ასვლა რამდენიმე დღით გადაიდო!

ამერიკული სილამაზე

ინგლისში ნორმანის ბალაგანი პოლიციამ დაარბია, მაგრამ XX საუკუნის დანარჩენ ევროპაში ადამიანის სიმახინჯეზე აგებული ბიზნესი ყვაოდა. არატრადიციული გარეგნობის ადამიანების გარეშე არც ერთი ცირკი არ მუშაობდა, სოფლის ბაზრობების წარმატება ხომ მხოლოდ და მხოლოდ მათ მონაწილეობაზე იყო დამოკიდებული. ხშირად ცირკის სახელგანთქმული მსახიობების ჩასვლა ქალაქში სენსაციად იქცეოდა, მაგალითად: 1858 წელს მოსკოვი მექსიკელი ქალის, იულია პასტრანას გასტროლებმა შეძრა. მექსიკელი მსახიობი ქალი საშუალო დონეზე ნაკლებად მღეროდა და ცეკვავდა, მაგრამ მოსკოველი მაყურებელი მისმა გრძელმა, შავმა წვერმა აღაფრთოვანა. პასტრანა მოსკოვს მეორედ საუკუნის დასასრულს, უკვე ფიტულის სახით „ესტუმრა“ — მექსიკელი წვეროსანი ქალი სიკვდილის შემდგომაც კი მენეჯერისთვის შემოსავლის წყაროდ დარჩა...

რუსეთს საკუთარი უჩვეულო ადამიანებიც ჰყავდა. მაყურებელი სიამოვნებით ადევნებდა თვალს უხელფეხო მარფა როდიონოვნას, როდესაც ეს ინვალიდი ქალი პირით მაქმანებს ქსოვდა.

მახინჯი ადამიანების შოუმ ყველაზე გრანდიოზულ მასშტაბებს ამერიკაში მიაღწია. მსგავს სანახაობათა პოპულარობაზე ცნობილი სიამის ტყუპის ამბავიც მეტყველებს. 1828 წელს ინგლისელმა რობერტ ჰანტერმა და ამერიკელმა კაპიტანმა ეიბლ კოფინმა სიამში (თანამედროვე ტაილანდი), ერთმანეთს შეზრდილი ტყუპი ძმა — ენგი და ჩანგი აღმოაჩინეს. ჰანტერი მათ დედას 3.000 დოლარის მიცემას დაჰპირდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ 500 დოლარი გადაუხადა. კომპანიონებმა ტყუპი ძმა ამერიკაში ჩაიყვანეს და „საკონცერტო მოღვაწეობა“ გააჩაღეს, რითიც უდიდესი მოგება ნახეს. ამ საოცრების სანახავად უამრავი ხალხი მოდიოდა. ტყუპი ძმა ჯერ სიარულითა და სირბილით აოცებდა მაყურებელს, შემდეგ კი სიმძიმის აწევასა და ცურვაში ვარჯიშობდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ენგმა და ჩანგმა მხოლოდ დიდება და სახელი როდი მოიხვეჭეს. ხალხმა ისინი ერთგვარ ფილოსოფიურ მეტაფორად, იმ უწყვეტი ჯაჭვის შემაერთებელ რგოლად აღიქვა, რომელიც ჩრდილოეთსა და სამხრეთს, დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს, კათოლიკეებსა და პროტესტანტებს, ანგლოსაქსებსა და ირლანდიელებს, თითოეულ ამერიკელს მისგან სრულიად განსხვავებულ თანამოქალაქესთან აერთიანებდა.

ძალზე ნიშანდობლივია სიამელი ძმების მისამართით ნათქვამი, ხუმრობანარევი სიტყვები, რომელიც მარკ ტვენის კალამს ეკუთვნის: „სხვების მსგავსად, ტყუპ ძმასაც ხშირად მოსდიოდა უთანხმოება, მაგრამ მათი დამაკავშირებელი ჯაჭვი ძმებს დაშორების საშუალებას არ აძლევდა... ურთიერთშეთანხმების თანახმად, ჩანგი საოჯახო საქმეებით იყო დაკავებული, ენგი კი აქეთ-იქით დარბოდა. იმიტომ, რომ ენგს სიერნობა უყვარდა, ჩანგს კი, შინ ყოფნა და ფუსფუსი ერჩივნა, მაგრამ ჩანგი მუდამ ძმასთან ერთად ბრუნდებოდა. ენგი ბაპტისტია, ჩანგი კი — კათოლიკე, მაგრამ ენგის გულის გასახარად ჩანგი მასთან ერთად მონათვლას დათანხმდა. ომი რომ დაიწყო, ორივე ვაჟკაცურად იბრძოდა: ენგი შეერთებულ შტატებს იცავდა, ჩანგი კი მოწინააღმდეგეთა რიგებში ომობდა“. ირონიის დედააზრი უფრო გასაგები გახდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ენგი ძმაზე რამდენიმე დუიმით მაღალი იყო და სწორედ ამიტომ, მარკ ტვენმა დაჩაგრული უმცირესობის სიმბოლოდ ჩანგი აქცია.

როდესაც ძმებმა ცოლების შერთვა გადაწყვიტეს, ეს სიახლე საზოგადოებრივმა აზრმა საერთო ევროპული დისკუსიის საგნად აქცია. მორალის, რასობრივად უთანასწორო ქორწინების უფლების, რელიგიისა და სხვა მრავალი საკითხი საყოველთაო მსჯელობის საგნად იქცა. ბოლოს და ბოლოს, ძმები ჩვეულებრივ დეზზე დაქორწინდნენ და შოუბიზნესს დროებით ჩამოშორდნენ.

სიამის ტყუპი ძმის ოჯახები სწრაფად იზრდებოდა (ენგს 11 შვილი შეეძინა, ჩანგს — 9). წინა წლებში, ნაშოვნი ფული თოვლივით დნებოდა და ძმებმა შოუბიზნესში დაბრუნება გადაწყვიტეს. ამ საქმეში მათ XX საუკუნის ყველაზე ცნობილი შოუმენი, ამერიკელი ფინეას ტეილორ ბარნუმი დაეხმარა.

ბარნუმი ნიუ-იორკში მდებარე ამერიკული მუზეუმის მეპატრონე იყო. მასვე ეკუთვნოდა ცირკი „დედამიწის უდიდესი შოუ“ და გრანდიოზული ატრაქციონი, რომელსაც მფლობელმა, „ფ.ტ. ბარნუმის მოძრავი გამოფენა და მსოფლიო ბაზრობა“ შეარქვა. სიამის ტყუპი, ბარნუმთან მომუშავე ერთადერთი უცნაური წყვილი როდი იყო. მისი შოუს ვარსკვლავი, გენერალ ტომი ცერათითის სახელით ცნობილი ლილიპუტი ჩარლზ შერვუდ სტრატონი გახლდათ. სტრატონი ნიჭიერი მსახიობი იყო და განსაკუთრებული წარმატება, გამოჩენილი ისტორიული პირების როლებმა მოუტანა. ბარნუმის წყალობით, სტრატონმა საკმაო ქონება დააგროვა და სიმდიდრესა და ფუფუნებაში ცხოვრობდა. ბარნუმი თავისი მსახიობების მიმართ ყოველთვის გულუხვობას იჩენდა. მაგალითად, 50 სმ სიმაღლის ლილიპუტი ქალი ლუსია სარატე საათში 20 დოლარს იღებდა, რაც იმ დროისთვის საკმაოდ დიდ გასამრჯელოდ ითვლებოდა.

ფინეას ბარნუმს „ურჩხულთა მბრძანებელს“ ეძახდნენ. სინამდვილეში კი ინვალიდებს მაღალანაზღაურებადი სამუშაოთი უზრუნველყოფდა

ბარნუმის დასის მსახიობთა შორის, უდიდესი პოპულარობით სარგებლობდნენ მიკროცეფალი (პატარათავიანი იდიოტი) შლიცი, რომელსაც ცეკვა-სიმღერა და ათამდე თვლა შეეძლო, პრინცი რანდიანი ანუ ადამიანი-მუხლუხი, რომელსაც ხელ-ფეხი არ ჰქონდა, მაგრამ სიგარაზე ცეცხლის მოკიდებას მაინც ახერხებდა და ზიპი — დაკარგული რგოლი „ნახევრად მოაზროვნე“ არსება, რომელიც მაყურებლის წინაშე, მაიმუნიდან ადამიანად ჩამოყალიბების ევოლუციურ პროცესში დაკარგულ რგოლად წარდგა.

ბარნუმის დასის წევრთა შორის, რუსეთის იმპერიის მკვიდრი, კოსტრომელი გლეხის შვილი ფედორ ევტიხიევიც იყო. ჰიპერტრიქოზით (თავიდან ფეხებამდე გრძელი თმით დაფარული) დაავადებული ევტიხიევის კარიერა რუსეთის ბაზრობებზე დაიწყო, სადაც ის მამასთან, მასავით ჭარბთმიან ანდრიანთან ერთად გამოდიოდა. მამა-შვილმა ევროპაშიც წარმატებას მიაღწია. მამის გარდაცვალების შემდეგ, ფედორმა ამერიკას მიაშურა. 1884 წელს ბარნუმმა — ევტიხიევს ახალი სახელი — „იო-იო ძაღლის სიფათი“ შეარქვა და მაყურებელს უყვებოდა, თითქოს ფედორი და მამამისი კოსტრომის ტყეების გამოქვაბულებში ბინადრობდნენ, შემდეგ მონადირეებმა დაიჭირეს და გაწვრთნეს. მამა ძნელად გასაწვრთნელი აღმოჩნდა, შვილი კი უკვე ნახევრად ადამიანად იქცა. „გაწვრთნილი“ ევტიხიევი ინგლისურ, გერმანულ და, რაღა თქმა უნდა, რუსულ ენებს შესანიშნავად ფლობდა. ფედორი დედასამშობლომაც არ დაივიწყა — საბჭოთა ეპოქის ბიოლოგიის სასკოლო სახელმძღვანელოებს ათწლეულების განმავლობაში მისი პორტრეტი ამშვენებდა.

ბუნებრივია, ამ ვარსკვლავთა გარდა, ბარნუმის დასში უამრავი ჯუჯა, გოლიათი, წვეროსანი ქალი და სხვადასხვა ფიზიკური ნაკლის მქონედ ადამიანი მუშაობდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ვიქტორია ოინბაზობს

ბოლო წლებში ბექჰემები გამუდმებით ხვდებიან ცნობილ ევროპულ გამოცემებში, თანაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი არათუ გაურბიან პაპარაცებს, არამედ თავად ცდილობენ მათი ყურადღების მიპყრობას. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, Spice Girls-ის ყოფილ სოლისტს მაშინ გადააწყდნენ მასმედიის წარმომადგენლები, როდესაც იგი მაღაზიისკენ მიიჩქაროდა. ვიქტორიამ თავი გამოყო მანქანიდან და ფოტოფირზე მათი აღბეჭდვა სცადა, ვინც თავად უღებდნენ მას სურათს. მაგრამ ობიექტივისთვის საფარვლის მოხსნა დაავიწყდა. ბოროტი ენები უმალვე იმაზე ალაპარაკდნენ, რომ დევიდის მეუღლეს ეს კურიოზი მისთვის ჩვეული, ბრიყვული გულმავიწყობის გამო შეემთხვა. მიუხედავად ამისა, ბევრი ადამიანი 31 წლის ადამსს მაინც ჭკვიან ქალბატონად მიიჩნევს. მათი აზრით, ვიქტორიამ ყველაზე უკეთესად იცის, რომ მისი ბანალური ფოტოები ბევრს უკვე მოჰბეზრდა, ამიტომაც მან შეგნებულად შექმნა კურიოზული სიტუაცია, როდესაც ფოტოაპარატის ობიექტივს საფარველი არ მოხსნა და ისე დააპირა ფირზე პაპარაცების აღბეჭდვა. ■

გაუჰატიურება თუ ნებაყოფლობითი სექსი?!

ლონდონის „არსენალის“ მეკარემ, გრეგ სტეკმა, რომელსაც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გოგონას გაუპატიურებაში ედება ბრალი, დანაშაულის ჩადენა უარყო. The Sun იუწყება, რომ გოლკიპერმა 22 წლის გოგონასთან სქესობრივი კავშირი მისი თანხმობით დაამყარა. გრეგის თქმით, იმ საღამოს, იგი სტუდენტთან და კიდევ ერთ ეჭვმიტანილთან, ალან სმილისთან ერთად თავისი სახლისაკენ გაეშურა. შემდეგ მათ ისე, რომ ბევრი არ უფიქრიათ, პირდაპირ საწოლისკენ აიღეს გეზი და სიყვარულს მიეცნენ. იმ ღამის მოვლენები სტეკმა დაწვრილებით აღწერა. „გოგონა ალანს ეხვეოდა და კოცნიდა. მერე მე მომიბრუნდა და კოცნა დამიწყო. ძალიან გაკვირვებული ვიყავი, მანამდე მას რიგიანად არც კი ვიცნობდი, — დასძინა გრეგ სტეკმა, — მეც ხვევნა-კოცნა დავუწყე“. გრეგის თქმით, გოგონამ თავად გამოიჩინა ინიციატივა და მას ჯინსის შარვალი გახადა, რის შემდეგაც, სქესობრივი აქტი მოხდა, რომელიც დაახლოებით ერთ წუთს გრძელდებოდა. გოლკიპერის მტკიცებით, ამ დროს, სტუდენტს მისთვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. რაც შეეხება სმილის — გრეგ სტეკის მსგავსად, გაუპატიურების ფაქტს ისიც უარყოფს. ■

სიყვარული გოლებსაც გაგატანინებს

წარმატებულად დაიწყო სეზონი „ფიორენტინის“ ახალწვეულმა და იტალიის ნაკრების წევრმა, 28 წლის ლუკა ტონიმ. მას 5 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა სიას ლიდერობს. გარდა ამისა, ტონი შედეგიანად თამაშობს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაშიც. მისი თავბრუდამხვევი ფინტები და თავით უნაკლო თამაში დღესაც კარგად ახსოვთ „პალერმოში“, სადაც ტონიმ გასულ სეზონში 20 გოლი გაიტანა. თავად ფორვარდი აცხადებს, რომ მისი წარმატების საფუძველი, ცნობილ იტალიელ მოდელ მარტა ჩეკეტოსთან სასიყვარულო ურთიერთობაა. უკვე 7 წელია, რაც ტონი და ჩეკეტო ერთად არიან. ლუკა ამაყობს იმით, რომ მარტა მას ჯერ კიდევ მაშინ დაუახლოვდა, როდესაც ფეხბურთელს ფაქტობრივად, არავინ იცნობდა. ბოლო დროს კი, წყვილი მუდმივად ხვდება ცნობილი გამოცემების ფურცლებზე. ჟურნალისტები აღფრთოვანებული არიან ფეხბურთელისა და მოდელის კავშირით, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. „როდესაც ერთმანეთთან შეხვედრა დავიწყეთ, არაფერს წარმოვადგენდი, — იხსენებს ლუკა, — მაშინ სერია C1-ში მოასპარეზე „ფიორენცუოლას“ ღირსებას ვიცავდი და ვარსკვლავი ნამდვილად არ ვიყავი. მსიამოვნებდა ის, რომ მან სწორედ მე მომანიჭა უპირატესობა. დღეს ცნობილი ადამიანი ვარ, რაც მარტას დამსახურებაა. მისი სიყვარული გოლების გატანაში მეხმარება“.

რაც შეეხება თავად მოდელს, მან მშვენივრად იცის, თუ რა არის სპორტი. ბავშვობაში მარტა ჩოგბურთითა და მძლეოსნობით იყო გატაცებული, დღეს კი ფიტნესს მისდევს, რომ მუდამ ფორმაში იყოს. ■

შევა და ლუიში მილანში მოდის ყვირეულს ეწვივნენ

როგორ ფიქრობთ — სად შეიძლება იხილოთ, საფეხბურთო მოედნების გარდა, იტალიის ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთის ვარსკვლავები? ამ კითხვაზე სწორი პასუხია — მოდის კვირეულზე, რომელიც მილანში ამ ცოტა ხნის წინ მიმდინარეობდა. სერია A-ს არაერთი ცნობილი ფეხბურთელი ასეთ ღონისძიებებზე დასწრების შანსს ხელიდან არ უშვებს. ისინი ხომ ყოველთვის უკანასკნელ მოდაზე იცვამენ. მათ კარგად იციან, თუ როგორ სტილს უნდა მიანიჭონ უპირატესობა წლის ამა თუ იმ სეზონში. სხვათა შორის, მოთამაშეთა შორის ისეთიც მრავლადაა, ვინც თავად წარმოადგენს ცნობილ დიზაინერთა სახეს. ამჯერად, საპატიო სტუმართა შორის, ანდრეი შევჩენკო, პაოლო მალდინი, ალესანდრო კოსტაკურტა, კაკა და ლუიშ ფიგუც იყვნენ. საქმე ის გახლდათ, რომ შევჩენკო და ფიგუ, ჯორჯო არმანის მეგობრები არიან. უფრო მეტიც, უკრაინელი სუპერფორვარდი ცნობილი მოდელიერის სახედ ითვლება. ამასთანავე, მილანის მოდის კვირეულის ერთ-ერთ ჩვენებაში შევას მეუღლე, კრისტენ პაზიკი სწორედ არმანის კოსტიუმით წარდგა. რაც შეეხება ფიგუს მეუღლეს, ცნობილ შვედ მოდელ ჰელენ შვედენს, ის უკვე დიდი ხანია, რაც იტალიელ დიზაინერთან თანამშრომლობს. ჰოდა, ქმრებიც მათ საქმიანოდ მისულან დეფილეზე. ■

ჩოგბურთიდან კინოში, პოდიუმის გავლით...

ბობი სიუ ლუთესი მერილენდში (ავსტრალია) დაიბადა. ბავშვობაში იგი სპორტით იყო გატაცებული და მოდების ჩვენებებშიც მონაწილეობდა, რომლებსაც თანატოლებთან ერთად აწყობდა. ლუთესი განსაკუთრებულად წარმატებულად ჩოგბურთს თამაშობდა და მალე სკოლის ნაკრებშიც მოხვდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო The University of Maryland-ში, რომელიც ე.წ. ვაშინგტონ-ბალტიმორში (აშშ) მდებარეობს. 40 მილზე გადაჭიმული ეს ტერიტორია აშშ-ში „ტალანტთა რესურსების“ ორ ყველაზე მდიდარ „საცავს“ აკავშირებს ერთმანეთთან. Smith School of Business, რომელშიც ბობმ ასევე გამოიჩინა თავი, გაზეთ Financial Times-ის რეიტინგში მოწინავე პოზიციაზეა. ლუთესს არც ჩოგბურთისთვის დაუნებებია თავი. უფრო მეტიც, ერთხელ იგი ანა კურნიკოვასთან ამხანაგური მატჩის გამართვასაც კი აპირებდა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს შეხვედრა არ შედგა. მოგვიანებით, ბობი მთლიანად სამოდელო ბიზნესსა და კინოზე გადაერთო. „კარიერა ქალის თეთრეულის ჩვენებით დავიწყე, ასე რომ, ასეთი ტანისამოსით პოდიუმზე გამოსვლას უკვე მიჩვეული ვარ“, — იხსენებს ლუთესი, რომელიც ბოლო დროს სულ უფრო ცნობილი ხდება ჰოლივუდში. ამიტომ გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს, რომ მას გადაღებებზეც იწვევენ. ბობი თვით რეპერ ემინემის კლიპის გადაღებაშიც მონაწილეობდა. შემდეგ ის სერიალში — „ენტერპრაიზის ვარსკვლავური გზა“ — მონაწილეობის მისაღებადაც მიიწვიეს. წელს კი, ავსტრალიელი მოდელი ფილმში — „მამაკაცი გამოძახებით-2“ — აღმოჩნდა, რობი შნაიდერთან ერთად. აი, ასე იკეთებს კარიერას კინოში, ერთ დროს პერსპექტიული ჩოგბურთელი. ■

მაიკი უარზეა...

მაიკ ტაისონი რომ სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ათლეტია, ამაზე დღეს აღარავინ კამათობს. ყველაზე დიდ სკანდალებში ცნობილი მძიმეწონოსანი გაუპატიურების ბრალდებით ეხვეოდა ხოლმე. თანაც, როგორც წესი, „რკინის მაიკი“ უპირატესობას მსახიობებსა და ტოპმოდელებს ანიჭებდა. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, პორნოინდუსტრიის მესვეურებს მისთვის ეროტიკულ ფილმში გადაღება შეუთავაზებიათ; AVN Magazine იუწყება, რომ ტაისონმა ყველასთვის მოულოდნელად, ეს წინადადება უარყო. „ჩვენ იმედგაცრუებული და ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ვართ, — აღნიშნავს Zero Toterance-ის (სწორედ ეს ტელეკომპანია იწვევდა მაიკს) პრეზიდენტი, გრეგ ალვესი, — მაიკ ტაისონის პასუხის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მან მორალური შეხედულების გამო თქვა უარი გადაღებაზე. სიმართლე გითხრათ, ასეთ პასუხს ნამდვილად არ მოველოდით ადამიანისგან, რომელიც აღვირახსნილ ცხოვრებაზე არასოდეს ამბობდა უარს...“ ცოტა ხნის წინ, მსოფლიო ექსჩემპიონმა ჯენი ჯეიმსონის სტუდიის წარმომადგენლების ანალოგიური წინადადება უარყო, თუმცა, ისიც ცნობილია, რომ თავიდან, „რკინის მაიკი“ ამ შეთავაზებით დაინტერესებულა (ყოველ შემთხვევაში, ამას ჯეიმსონის გარემოცვა ირწმუნებოდა). ■

ივონიმ, რონისა და რობის ყურადღება მიიპყრო

ორიოდე დღის წინ, მადრიდის ერთ-ერთ კლუბში, ესპანეთში მცხოვრები ბრაზილიური დიასპორის წარმომადგენელთა ტრადიციული ღონისძიება — „ბრაზილიური ფლოსტების ზეიმი“ გაიმართა, რომელსაც რონალდო და რობერტო კარლოსიც ესწრებოდნენ. საღამოს მთავარ ვარსკვლავად, 38 წლის ბრაზილიელი მოდელი, ივონი რეიესი იქცა, რომელიც პირველად პოდიუმზე 15 წლის ასაკში გამოვიდა. მოგვიანებით, იგი ესპანეთში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც წარმატებულად აიწყო სამსახიობო კარიერა. ვაჟიშვილის, ალესანდროს დაბადების შემდეგ, ივონიმ მოდელის კარიერის დასრულება იმ მოტივით გადაწყვიტა, რომ მის შვილს დედის ეროტიკული ფოტოების ხილვის გამო უხერხულობა არ შეჰქმნოდა. ამჟამად რეიესს საკუთარი ბიზნესი აქვს. ■

„ჩელსი“ ბუკმეკერებს აპოტრებს

ირლანდიურმა საბუკმეკერო კანტორამ — Paddy Power — ინგლისის ჩემპიონატის დასრულებამდე 31 ტურით ადრე განაცხადა იმის შესახებ, რომ გამარჯვებულ გუნდზე ფსონს აღარ მიიღებს და უკვე იწყებს იმაზე ზრუნვას, თუ როგორ გაუნაღდოს მოგებები მათ, ვინც ფული „ჩელსიზე“ დადო. ნუ გაგიკვირდებათ და ვინც „ჩელსის“ გაჩემპიონებაზე ფსონის დადება 29 სექტემბრამდე მოასწრო, უკვე შეუძლია მოგებული თანხის მიღება. კანტორის მესვეურთა თქმით, საერთო გასასტუმრებელი თანხა მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს. „ჩვენც და ჩვენმა კლიენტებმაც ვიცით, რომ ოქროს მედლებისათვის ბრძოლა უკვე დასრულებულია. „ჩელსიმ“ გაიმარჯვა“, — აცხადებს პედი პაუერი, რომლის სახელსაც ატარებს ზემოთ ხსენებული საბუკმეკერო კანტორა. პაუერის თქმით, ორი წლის წინაც კი, როდესაც „არსენალი“ უახლოეს მდევართან შედარებით ქულათა დიდი სხვაობით გახდა ინგლისის ჩემპიონი, ინტრიგა გაცილებით დიდი იყო. მაშინ Paddy Power-მა გვარიანად იზარალა, რადგან ფსონებს თითქმის ჩემპიონატის დასრულებამდე იღებდა. ამჟამად კანტორის მფლობელი უფრო წინდახედულად იქცევა და „ჩელსის“ გაჩემპიონებაზე ფსონების მიღებას წყვეტს. ■

ბედს ეძება ბარბარეს ცოლქმარი

ხუტა იოსავა

(დასაწყისი იხ. „გზა“ №39)

ფეხმოტეხილი ახალგაზრდა კაცი — ბადრი თავისი ფანჯრიდან მოპირდაპირე სახლის მცხოვრებთა ყოფას აკვირდება. ერთ დღეს, ის შეამჩნევს, რომ შუახნის ცოლ-ქმრის ბინაში რაღაც უჩვეულო ხდება. ბადრის ვარაუდით, ქმარმა თავისი ავადმყოფი ცოლი მოკლა... მეგობრის, კახას დახმარებით, ბადრი იმ კაცის ვინაობასაც დაადგენს და ტელეფონის ნომერსაც, შემდეგ დაურეკავს და ეტყვის — ყველაფერი ვიცი და დუმილისთვის ფული გადამიხადეო. ბოროტმოქმედი — საბა შეხვედრაზე პისტოლეტით შეიარაღებული გაეშურება. ამ დროს, ბადრის დავალებით, კახა ფანჯრიდან ცოლ-ქმრის ბინაში შეაღწევს და მკვდარ ქალსაც ნახავს. ბადრი ყოველივეს თავის ძველ მეგობარს, გამომძიებელ პაატას აცნობებს, რომელიც თავდაპირველად, ეჭვის თვალით უყურებს ბადრის „შერლოკჰოლმსურ“ შესაძლებლობებს. ტელეფონით მეორედ საუბრისას, საბა ბადრის ადგილსამყოფელს გამოიცნობს. ბადრი ვერ უკავშირდება პაატას და სთხოვს კახას, მოძებნოს გამომძიებელი. ცოტა ხნის შემდეგ, შემოსასვლელ კარს მიღმა, ბადრი ფაჩუნს გაიგონებს...

როცა ბადრის ბინაში იარაღშემართული საბა შევარდა, მასპინძელს უკვე სატყუარა მზად ჰქონდა. პლედგადაფარებული სკამი, რომლის თავზეც, ფანჯრის რაფაზე მრგვალი კაქტუსის საყვავილე ისე იყო მოთავსებული, რომ გარედან ახალშემოსულ კაცს, ოთახის ბნელ კუთხეში მჯდომარე ადამიანის შთაბეჭდილებას უქმნიდა.

— აქ ხარ, შე დამპალო?! რა გინდა, რატომ მითვალთვალებ?! — დაიღრიალა საბამ და „მაკაროვის“ პისტოლეტი პირდაპირ კაქტუსისკენ მიმართა. წიგნების თაროს უკან მიყუჟული ბადრი კი, სუნთქვაშეკრული იდგა და ყოველ წამს, იარაღის გავარდნას ელოდა. მაგრამ საბა არ ჩქარობდა... მისი ქმედებები უფრო, აგონიაში მყოფი მამაკაცის საქციელს ჰგავდა, ვიდრე ცივსისხლიანი დამნაშავისას... სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა... მომხდური, იერიშის დაწყებას არ ჩქარობდა. რამდენიმე წამს იდგა, მერე კი პისტოლეტი ძირს დაუშვა, მისაღები ოთახის კართან სკამი მიაჩოჩა და მოწყვეტით დაეშვა ზედ.

ნეტავ, რა ჩაიფიქრა? — გაუელვა თავში, თაროებს უკან ატუზულ ბადრის, რომელიც უიმედოდ ელოდა პაატასა და კახას გამოჩენას.

— მე ტელეფონით ლაპარაკის დროს გითხარი, რომ შენ ყველაფერი არ იცი... მაგრამ ახალგაზრდები სულსწრაფები ხართ... თქვენი გამარჯვებით ნაადრევად ტკბებით ხოლმე... — ისეთი ხავერდოვანი და სევდით სავსე ხმით დაიწყო საბამ, რომ ბადრი დაიბნა: ცოლის მკვლელი ასეთი ტონით არ უნდა ლაპარაკობდესო, — გაუელვა... თუმცა, ფეხმოტეხილ შერლოკ ჰოლმსს ამ წვრილმანებზე ფიქრი არ გაუგრძელებია — ის მაინც ყოველ წამს, თავდასხმას ელოდა და ნერვიულად კუმშავდა მუშტებს, რომ ასეთ შემთხვევაში, თავისი ძლიერი მკლავებით მოეგერიებინა.

საბა ერთხანს გაუნძრევლად იჯდა და საყვავილეზე პლედგადაფარებულ სკამს არ აშორებდა ცრემლიან თვალს; დარწმუნებული იყო, რომ მის წინ ის გამომძალველი იჯდა, რომელიც დუმილის საფასურად, 200 დოლარს ითხოვდა. როგორი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელიც გარკვეული თანხის საფასურად, მკვლელობის დაფარვის პირობას დებდა, ამაზე საფიქრალად საბამ, მისი სატელეფონო ზარის შემდეგ ვეღარ მოიცალა... თუმცა მკვლელობის ჩასადენად მოსული ადამიანი მოულოდნელად, აღსარებაზე მოსულ ბერიკაცად გადაიქცა:

— ...ბავშვთა თავშესაფარში მაშინ მიმაბარეს, როცა ენის მოჩლექით რამდენიმე სიტყვის თქმას ძლივს ვახერხებდი, როცა გარე სამყარო ჩემთვის იმ ოთახების ნესტიანი კედლებით შემოფარგლებოდა, რომელშიც ჩემსავით უპატრონო ათამდე ბავშვი იყო გამოკეტილი და დილიდან დაღამებამდე, ჭუჭყიანი შარვლებითა და ცრემლიანი თვალებით ფანჯრის რაფაზე ახოხებას ვცდილობდით, რას ველოდი ფანჯრიდან ორი წლის ბავშვი?.. — ნელა, გაბზარული ხმით ლაპარაკობდა დაუპატიჟებელი სტუმარი. — ჩემზე უფროსები ეზოს უცქერდნენ და მეც მათ ვბაძავდი. მაგრამ როცა წამოვიზარდე, მივხვდი, რომ ფანჯრიდან ეზოს განიერი ჭიშკარი მოჩანდა, საიდანაც დროგამოშვებით, ვიღაც ქალბატონები შემოდიოდნენ, ბავშვებს ერთნაირად მოგვიალერსებდნენ, შემდეგ ყველაზე იღბლიანს ამოარჩევდნენ და სახლში მიჰყავდათ. არც ერთმა ჩვენგანმა არ იცოდა, რა იყო სახლი, მაგრამ ყველას უნდოდა, ამ ბავშვის ადგილზე თვითონ ყოფილიყო, ჩვენთვის გაეღიმა ვინმეს ისე, როგორც რჩეულს უღიმოდნენ ახალი მშობლები... მაგრამ 16 წელი ისე გავიდა, არც ერთმა ქალმა არ ინება ჩემი დე-დო-ბა, — ჩუმი, სევდიანი ხმით, დამარცვლით წარმოთქვა საბამ ბოლო სიტყვა და წამით გაირინდა. კარადის კედელს აკრული ბადრი ახლაღა მიხვდა, რომ სუნთქვაშეკრული უსმენდა მკვლელს და გული ტკივილისგან შეეკუმშა, მაგრამ როგორც კი საბამ სიტყვა გაწყვიტა, ბადრის მაშინვე იჭვნეულად გაუელვა თავში: სატყუარაა, ცდილობს თავგზა ამიბნიოს...

— არაფერი ამქვეყნად ისეთი ადვილი არ არის, როგორიც 16 წლის უპატრონო ბიჭის გზიდან აცდენა. როცა თავშესაფრის პედაგოგებმა ჩვენზე მზრუნველობის პასუხისმგებლობა მოიხსნეს, მივხვდი, რომ თავად უნდა გვებრძოლა საკუთარი გადარჩენისთვის. პირველად, მაღაზიიდან ოთხი „პავიდლოიანი“ ფუნთუშა მოვიპარე, მაშინ 12-ის ვიყავი, — ისევ მშვიდი ტონით განაგრძო საუბარი საბამ და სახეზე ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა, თითქოს საკუთარ ბედს დასცინოდა. — ფუნთუშას ძეხვი მოჰყვა, შემდეგ, ჯიბეში ხელის ჩაყოფაც ვისწავლე, ბოლოს ორი თითით მუშაობას ისე ავუღე აღღო, ყველაზე გამოცდილი „კარმანშიკებიც“ კი ვერ მალავდნენ აღფრთოვანებას... მაგრამ ყველა ქურდის ბოლო მაინც ერთია — ციხეში 18 წლის შევედი და როცა პირველი „სროკი“ მოვიხადე, უკვე 24 წლის ვიყავი...

ერთი ისიც თქვი, ქურდობიდან ცოლის მკვლელობამდე რამ მიგიყვანა, — უნდოდა, მიეხალა გაღიზიანებულ ბადრის, საბასთვის, რომლის წყალობით, საკუთარ სახლში დაჯდომას ვერ ახერხებდა, ფეხზე დგომისგან კი, მოტეხილი წვივი ეტკინა და ღამის სიმწრისაგან ხმამაღლა დაიკვნესა.

რა თქმა უნდა, საბა მის ტკივილს ვერ გრძნობდა... სხვის ტკივილს კი არა, ველარაფერს გრძნობდა... მისთვის დრო გაჩერებულიყო. ის მხოლოდ საკუთარ მოგონებებში იყო ჩაძირული და თავგადასავალს ჰყვებოდა:

— ...მაგრამ ეს არ იყო ჩემი ერთადერთი პატიმრობა. რამდენიმე თვეში, ისევ უკან შემაბრუნეს... ამჯერად, წელიწადნახევარში გავთავისუფლდი, მაგრამ უკვე ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ გარეთ აღარაფერი დამრჩენოდა. მოღიმარ ადამიანებს შორის ყოფნას ველარ ვიტანდი, მეგონა, ისინი ჩემი წილი ბედნიერებით ხარობდნენ და ყველა ნაცნობ-უცნობი ერთნაირად შემძულდა. — საბა ისევ თავჩაღუნული იჯდა, ბადრის რომ მისი დაღარული სახის დანახვა შესძლებოდა, შეამჩნევდა, რომ უჩვეულო სტუმარს ცრემლიც უჩვეულოდ — მხოლოდ ცალი თვალიდან სდიოდა...

საბამ რამდენიმე წამით კვლავ გაწყვიტა სიტყვა და თანდათან სახეზე გამომეტყველება შეეცვალა, სკამზე შეტოკდა, წელში გაიმართა და ფანჯრისკენ მიაპყრო მზერა, საიდანაც ღამის სიბნელე იმზირებოდა.

— ეს ამბავი ავდრის შემდეგ ცის გახსნას ჰგავდა... ცხოვრებაზე გაბოროტებულ ახალგაზრდა კაცს, ერთმა სიმპათიურმა, საოცრად მომხიბვლელი ღიმილის მქონე გოგონამ დაანახვა, რომ თუნდაც მასთან გატარებული რამდენიმე წამისთვის ღირდა სიცოცხლე. ეს გოგონა ირა ჩოლოყაშვილი იყო, დიდგვაროვანი ოჯახის შთამომავალი და უმდიდრესი მამის საყვარელი ქალიშვილი... ირა დანახვისთანავე შემიყვარდა. თუ ადამიანი მართლაც, მთელი ცხოვრება, თავის მეორე ნახევარს ეძებს, მე ირა, როგორც ჩემი სხეულის ნაწილი, დანახვისთანავე ამოვიცანი. საკვირველი ის იყო, რომ არისტოკრატულ ოჯახში აღზრდილი ქალიც მოიხიბლა ჩემით. მე არც განათლება მქონდა და ნორმალურად ქცევის წესებიც არ ვიცოდი. ნუ გრცხვენია, მე ისეთი მომწონხარ, როგორიც ხარო, — გადაიკისკისებდა ხოლმე ჩემს მოუქნელ საქციელზე ირა და გულში მეკვროდა. მე ასეთ დროს, სუნთქვასაც კი ვაჩერებდი, რომ ჩემზე მოყრდნობილი ქალი არ შემეწუხებინა.

...როცა საბა ირაზე საუბრობდა, ბადრის, როგორც პრინციპულ და საკუთარ შეხედულებებში მტკიცედ დარწმუნებულ ბერბიჭას, სახეზე ღიმილმა გადაურბინა: მისთვის ქალისა და მამაკაცის ასეთი ფაქიზი, გულწრფელი სიყვარული წარმოუდგენელი იყო. „ეს იყო შენ მიერვე გამოგონილი სულელური სიყვარული“, — მიახლიდა ხოლმე შეყვარებულისაგან გულგატეხილ რომელიმე მეგობარს და ამაყად გაივლ-გამოივლიდა ოთახში, თავისი შეხედულების სისწორეში კიდევ ერთხელ დარწმუნებული.

— ...როცა ირამ ჩვენი სიყვარულის ამბავი მშობლებს გაუმხილა, — განაგრძო საბამ და ღრმად ამოისუნთქვა, — მთელი საგვარეულო აგვიჯანყდა, საბრალო გოგონას სასწავლებელში წასვლის უფლებასაც აღარ აძლევდნენ. დეპრესიაში ჩავარდნილი ირა ექიმის მოსანახულებლადაც არ გამოიყვანეს შინიდან, შემთხვევით თვალი რომ არ მოეკრა ჩემთვის. მე კი, ყოველ ღამით მისი სახლის წინ ვათენებდი. როცა ყველა სართულზე შუქს გამორთავდნენ, ავუყვებოდი ირას სადარბაზოს კიბეს, კარის წინ გავჩერდებოდი, შევეხებოდი იმ რკინის სახელურს, რომელზეც მისი თითების კვალი მეგულებოდა და ღრმად ჩავისუნთქავდი ჰაერს, რომელსაც კარის მიღმა, საძინებელში სასურველი ქალი სუნთქავდა. ბოლოს, ირამ ძალა მოიკრიბა, სახლიდან გამოიპარა და ჯვრის მონასტერში მალულად ვიქორწინეთ. როცა მას მღვდელმა გვირგვინი დაადგა თავზე, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს მის წინაშე უდიდეს ცოდვას ჩავდიოდი. ირას ყველაფერი ჰქონდა, მე კი რას ვთავაზობდი სანაცვლოდ?.. ერთოთახიან ნაქირავებ ბინას, რომლის გადასახადიც „კარმანშიკობით“ უნდა მეგროვებინა. — „ირა, გაუძლებ ახალ ცხოვრებას?“ — მაინც ვკითხე ჯვრისწერის რიტუალის დაწყებამდე და ვიგრძენი, საკუთარმა კითხვამ როგორ შემაშინა. ირას არაფერი უთქვამს, კვლავ ხალისიანად გადაიკისკისა. მე ვიცოდი, რომ ეს უზრუნველი ადამიანის სიცილი იყო, მაგრამ რა მოხდებოდა მაშინ, როცა მეორე დილით, სულ სხვა სამყაროში გაიღვიძებდა?..

„არა, არ მიატოვებს“, — თავისდა უნებურად გაიფიქრა ბადრიმ, რომელსაც წვივის ტკივილი დავიწყებოდა და წინ გადმოწეულიყო, რომ საბას ნათქვამი არც ერთი სიტყვა არ გამორჩენოდა. წინ გადმოწევას მცირე გაფაჩუნება მოჰყვა. ფაჩუნზე მკვლელმა თავი წამოსწია — ეს იყო პირველი ბგერა, რომელიც ამ სახლში შემოსვლის შემდეგ გაიგონა...

— ჰმ, მამტყუნებ, არა?!. არ გჯერა ან ყველაფერი ზღაპარი გგონია, არა?!. მაგრამ ამას ახლა ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს... საოცარია, მაგრამ ჩვენი ქორწინების შემდეგ, ისე გადიოდა წლები, რომ ირას დედასაც კი არ დაურეკავს ქალიშვილისთვის, ის დიდგვაროვან ოჯახში მაშინვე დაივიწყეს, როგორც კი უდედმამო, ყოფილი პატიმრის მეუღლე გახდა... ირასთვის ამის გადატანა ალბათ, გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე ჩემთვის 16 წლის გატარება ბავშვთა თავშესაფარში. მაგრამ ის ძლიერი ქალი აღმოჩნდა, სწავლაც გააგრძელა და პარალელურად, მუშაობაც დაიწყო. მთელი დღეები შეეძლო, წყალსა და პურზე ყოფილიყო, ოღონდ ჩემი მომზადებისათვის საჭირო თანხა დაგვეზოგა და ოჯახის სარჩენად ქუჩაში გასვლა არ დამჭირვებოდა. მისმა თავდაუზოგავმა მცდელობამ შედეგი გამოიღო: ჩვენი ქორწინებიდან ერთი წლის

შემდეგ, მე უკვე „გეპეის“ საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი და შეთავსებით მუშაობაც დავიწყე... თითქმის 10 წელი დაგვჭირდა იმისათვის, რომ სიღატაკისთვის თავი დაგვეღწია, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში, ჩვენ უფრო და უფრო მეტად ვავსებდით ერთმანეთს. მე მასში გავაერთიანე დედის, დის, მეუღლის სიყვარული. ის სრულყოფილება იყო...

„ნეტავ, შვილები თუ ჰყავდათ?“ — გაიფიქრა ბადრიმ და გაახსენდა, რომ მისი თვალთვალის დღეებში, საბას ბინის ფანჯრებში არც ერთი ადამიანი არ დაუნახავს. საბას კი, თითქოს ტელეპათიურად გადაეცა მისი ნაფიქრი.

— ირას შვილის გაჩენა არ შეეძლო. როცა ექიმმა ეს დიაგნოზი დაუსვა, ცოლი შეშინებული თვალებით მომაჩერდა. სახლამდე სიტყვაც არ დაუძრავს. როცა შინ დავბრუნდით, სასოწარკვეთილი, მაგრამ მაინც ძლიერი ქალის თავდაჯერებულობით მითხრა — ჩვენი ქორწინება ბედნიერი იყო, მაგრამ შენ უფრო დიდ ბედნიერებას იმსახურებო... მივხვდი, რომ მას უკვე სახლიდან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. სიხარულისგან გონება დამებინდა: მისმა სიტყვებმა ხომ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, თუ რას განიცდიდა მეუღლე ჩემ მიმართ. შემდეგ დავამშვიდე — ყველაფერი განგების ნებაა, ჩვენ იმდენად ძლიერად გვიყვარს ერთმანეთი, ამ ურთიერთობაში ჩვენივე სიყვარულის ნაყოფიც არ უნდა ჩაერიოს-მეთქი... სიმართლე გითხრათ, იმ წუთებში, ბოლომდე გულწრფელი არ ვიყავი, მაგრამ ირას ერთი გაღიმებისთვის ყოველთვის მზად ვიყავი, მეცრუა.

საბამ კიდევ ერთხელ გაწყვიტა სიტყვა, რადგან ეზოდან მანქანის შუქმა შემოანათა და ავტომობილის კარების მიჯახუნების ხმაც გაისმა. კახა და პაატა მოვიდნენ, — გაიფიქრა ბადრიმ. რამდენიმე წუთის წინ, ის მათ გამოჩენას ნატრობდა, მაგრამ ახლა თითქოს გული დასწყდა: „ჯანდაბა, ან საშინლად აგვიანებს, ან ძალიან ადრე მოდის!..“ — გაუელვა ისევ თავში და უფრო მეტად დაძაბა სმენა. მაგრამ რამდენიმე წამში, მანქანის ძრავა ისევ აგუგუნდა და ავტომობილმა ცენტრალური ქუჩის მიმართულებით განაგრძო გზა. ბადრიმ შვებით ამოისუნთქა. საბამ დაუშვა შემართული იარაღი და ისევ პლედიან სკამს მიაშტერდა. ბადრის ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს თავად მკვლელიც ჩქარობდა — უნდოდა, ბოლომდე ეთქვა სათქმელი.

— 1980 წელს, ირას 30 წელი შეუსრულდა. მცხეთაში დიდი წვეულება გავმართეთ, სტუმრები რესტორანში დავპატიჟეთ. იმ დღეს, დარბაზი სხვებისთვის დახურული იყო, მთელი დღის ხარჯი თავად, საკუთარი შეგროვილი ხელფასით უნდა დამეფარა. როცა მშვენიერ მეუღლეს იმ საღამოს ვუცქერდი, თითქოს ფრთები მესხმებოდა. „გაფრენა არის ისეთი ადვილი, თუკი გაბედავ და გაშლი მკლავებს“ — იმ წუთებში მეგონა, რომ ეს სიტყვები მე მეკუთვნოდა. მაგრამ ფრთების გაშლა არ მაცადეს... ეტყობა, ამ ცხოვრებაში ყველაფერი ბედისწერაა, — ამოიოხრა... ჯიბეში სიგარეტი მოიძია, მოუკიდა და რამდენიმე ღრმა ნაფაზი დაარტყა. — იმ საღამოს, ჩვენთან ერთად წესით, უცხო არავინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაუთვალისწინებელი შემთხვევა მაინც მოხდა. ჩემს მეგობარს მოყოლილმა უცნობმა ირა რამდენჯერმე გაიწვია საცეკვაოდ. სანამ ქალს თავადაც სიამოვნებდა მასთან საუბარი, არც მე გამომითქვამს პრეტენზია. მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ კაცმა ირას თავი მოაბეზრა, ღვინით შეზარხოშებულს, რატომღაც ძველი დრო გამახსენდა და ჩემთვის უცნობი ტიპი საქმის გასარჩევად გვერდზე გავიყვანე. ის კი თავხედობას განაგრძობდა... ვერ დავინახე, როგორ ამოიღო ჯიბიდან დანა. მას პირდაპირ სახეში ჩავარტყი მუშტი. როცა ძირს დავარდა, ზემოდან დავახტი. სწორედ ამ დროს შეუმართავს ბასრი იარაღი და პირდაპირ თვალში მატაკა... გონზე საავადმყოფოში მოვედი. პალატაში ექიმი წამომდგომოდა თავს. ვწუხვარ, მაგრამ თვალი დაკარგეთო, — რამდენიმეწუთიანი შესავლის შემდეგ, ძლივს ამოღერღა ქირურგმა... ჭრილობა საშინლად მტკიოდა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ღია იარაზე მარლიან საფენებს მადებდნენ. მაგრამ ეს ტკივილი არაფრად მიმაჩნდა იმის განცდასთან შედარებით, რომ შესაძლებელი იყო, ცალთვალა, ირას აღარ ვყვარებოდი... როგორ უნდა დამენახა და აღმექვა ერთი თვალით მისი უზადო სილამაზე, როგორ უნდა შემებედა ირასთვის ცალი თვალით შეხედვა?!. მაგრამ ჩვენმა სიყვარულმა ამ გამოცდასაც გაუძლო. ორი თვის შემდეგ, მოსკოვიდან ხელოვნური თვალი ჩამომიტანეს და ჩამისვეს. როცა ახალი თვალით შინ პირველად დავბრუნდი, ირას ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. მომეხვია, შემდეგ ვახშამი მომიმზადა და მთელი ღამე სამსახურის ამბებზე მეჭიკჭიკებოდა. არც იმ დღეს და არც მას შემდეგ, ცოლს ჩემი დიდი ტკივილი, შუშის თვალი, არ უხსენებია...

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა საბა თავის სიყვარულზე, მით უფრო მეტად გაოგნებული რჩებოდა ბადრი. „რა მოხდა იმ ღამეს?.. იქნებ, ეს კაცი ფსიქიკურად გაუწონასწორებელია და ამ შეშლილს სიყვარულმა აუბნია თავგზა?.. თუმცა, ყველაფერს სჯობია, ბოლომდე მოვუსმინო, ფაქტია, რომ ის მკვლელია“, — გადაჭრით გაუმეორა საკუთარ თავს და შეეცადა, ცივი გონებით მოესმინა მისი აღსარება.

— სანამ ფაქტის წინაშე დადგები, ყოველთვის გგონია, რომ სიკვდილი, რომელიც ყოველდღე გიღიმის, მაინც შორსაა, შენს სიყვარულს ვერ მოერევა. მაგრამ ბუნება გამონაკლისებს არ ცნობს... როცა ირამ თავი შეუძლოდ იგრძნო და ანალიზები გავაკეთეთ, პასუხების გამოსატანად თავად არ წამიყვანია. მამოლოგმა ონკოლოგიურ საავადმყოფოში დამატებითი გამოკვლევისათვის გაგგზავნა. რა უნდა მეთქვა მეუღლისთვის — ონკოლოგიურში რისთვის უნდა წავიდეთ-მეთქი?.. როცა შინ ვბრუნდებოდი, არც ერთი მიწისქვეშა გადასასვლელით არ მისარგებლია, ყველაზე სახიფათო მონაკვეთებზე ვჭრიდი გზას: ვინ იცის, იქნებ, უბედური შემთხვევა მოხდეს და ეს დიაგნოზი მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ წაიკითხოს ცოლმა-მეთქი! მაგრამ... არ გამიმართლა... ექიმმა მეორე დღესვე, საავადმყოფოში დაწვენა მოგვთხოვა. მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ოპერაციას აზრი აღარ ჰქონდა: სიმსივნე უკვე მეოთხე სტადიამდე განვითარებულიყო და ქირურგიული ჩარევის შემთხვევაში, ირა საოპერაციო მაგიდაზე დარჩებოდა. მისთვის ეს არ მითქვამს, ექიმიც გავაფრთხილე, მისი შეშინება არ გაბედო-მეთქი, — ცოლს კი, სახელდახელოდ მოგონილი ტყუილი შევაგებე — კეთილთვისებიანი სიმსივნური წარმონაქმნი გაქვს, რომელსაც ორგანიზმი თანდათან გაიწოვს, მანამდე კი, ტკივილგამაყუჩებელი წამლები უნდა მიიღო-მეთქი... ავადმყოფობამ ირა ორ კვირაში ლოგინად ჩააგდო, ერთ თვეში კი, ისე გახდა, რომ ყველა ძვალს სათითაოდ დაუთვლიდა კაცი. ცოტა ხანში, საწოლიდან ადგომასაც ვეღარ ახერხებდა... არაფერს ვაკლებდი, პატარა ბავშვივით ვუვლიდი, იმ დროს მე მისთვის ძმაც ვიყავი, მამაც და მეუღლეც, რადგან ჩოლოყაშვილებმა არც სიმსივნიანი ავადმყოფის მონახულება ინებეს...

— ვიცი, რომ კარგად უვლიდი, ეს ჩემი თვალით ვნახე, — წაიჩურჩულა ბადრიმ, თუმცა საბას თავი აღარ აუწევია. ის უკვე იატაკს დასჩერებოდა და წელში ისე იყო მოხრილი, თითქოს მუცლიდან წამოსული სპაზმები გამართვის საშუალებას არ აძლევდა.

— ერთადერთი გამოსავალი, ნარკოტიკი იყო. როგორც კი დოზას მიიღებდა, ირა მშვიდდებოდა და დაძინება შეეძლო. მე სწორედ ამ დროს შევდიოდი სააბაზანოში, ონკანს მოვუშვებდი და სარკის წინ დამხობილი ვტიროდი. დიახ, ვტიროდი, მაგრამ ჩემი ცრემლების არ მრცხვენოდა, — ღრმად ამოისუნთქა კაცმა და ბადრი მიხვდა, რომ მის უპეებზე ცრემლები ეკიდა.

— ექიმმა, რომელიც მის მოსანახულებლად მოდიოდა, ბოლო ვიზიტის დროს გამომიცხადა — აწი, ჩემს მოსვლას აზრი აღარ აქვს, მაქსიმუმ ერთი თვე კიდევ გაუძლებს ორგანიზმი, შემდეგ სიმხნევე უნდა გამოიჩინოთ — ყველანი სიკვდილის შვილები ვართო... — ერთი თვე?! შეუძლებელია!.. — დავიღ-

რიალე სასოწარკვეთილმა. რაოდენ ბევრი იყო ეს, ტკივილით გატანჯული ირასთვის და რაოდენ ცოტა — ჩემთვის!.. მასთან ერთად, ყველაფერს ვკარგავდი. მე ირას გარეშე ისევ უპატრონო, ობოლი კაცი გავხდებოდი, რომლისთვისაც ამ საზოგადოებაში ადგილი არ იყო.

ერთი კვირის შემდეგ, ჩემი ცოლის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. შეტევებს შორის ინტერვალმა იკლო, ირა უკვე 15-20 წუთში ერთხელ ითხოვდა წამლის გაკეთებას და ტკივილებს ველარ უძლებდა... ერთხელ დილით, მისმა კივილმა გამომაღვიძა. ჯერ კარგად არც იყო გათენებული. შეტევა დამართვოდა და სანამ ტკივილი კულმინაციას მიაღწევდა, იფიქრა, თავად მოვძებნი წამალს, საბას არ გავაღვიძებო. ირა ფეხზე წამომდგარა და ტრილიაჟთან ბარბაცით მიუღწევია, მაგრამ როცა უზარმაზარ სარკეში ჩონჩხად ქცეული სხეული, აწეწილი თმა და ჩაცვენილი თვალები დაუნახავს, შემზარავი კივილი მორთო. „სიკვდილი, სიკვდილი მენატრება, საბა!“ — ეს ისტერიკული შეტევა იყო. მაშინვე წამოვხტი საწოლიდან, წამალი გავუკეთე და როცა ჩაეძინა, აკანკალებული მუხლებით სააბაზანოში გავედი. ვიცოდი, რომ მეტს ველარ გავუძლებდი. იქვე, სარკის უკან, პისტოლეტი ამოვიღე და მისი ლულა შუბლთან მივიბჯინე. ჩემთვის სასხლეტისთვის თითის გამოკვრა, შვება იქნებოდა, მაგრამ უცებ მივხვდი, რომ ლაჩრულად ვამთავრებდი ცხოვრებას — ეს ყველაზე ეგოისტური გამოსავალი იქნებოდა. რა პასუხს გავცემდი ირას, რა ტკივილისთვის ვიმეტებდი საყვარელ ქალს?!. იარაღი ჯერ მას დავუმიზნე. მაგრამ იმ მომენტში, არც ეს მომეჩვენა სწორ გამოსავლად. იარაღი თავის ადგილზე დავაბრუნე, პირზე წყალი შევისხი და საძინებელში დავბრუნდი. ირა გაუნძრევლად იწვა. მის საწოლზე ჩამოვჯექი და გაძვალტყავებულ სახეზე დავაცქერდი. მის ნაკვთებზე უზადო სილამაზის კვალი ჯერ ისევ არ გამქრალიყო... ნარკოტიკით გაბრუებული ქალი საწოლზე რამდენჯერმე შეიშმუშნა, შემდეგ სახე უკმაყოფილოდ დაეღარა და რაღაც წაიჩურჩულა. ერთხანს, კიდევ იწრიალა და ძილში რაღაც ჩაილაპარაკა. მე მისი სიტყვები მშვენივრად გავარჩიე: „მიშველე, საბა, მიშველეო“, — მევედრებოდა ტკივილით დატანჯული ქალი. გიშველი, ჩემო საყვარელო, — ვუპასუხე დაუფიქრებლად, ფეხზე წამოვდექი, მეორე საწოლიდან ბალიში ავიღე, მივუახლოვდი ჩემს ერთადერთ სიყვარულს და სახეზე დავაფარე... ქალმა რამდენჯერმე გაიქნია ხელი და სამუდამოდ დამშვიდდა... გესმით? მე მას ვუშველე, დავეხმარე! ის სიკვდილს ნატრობდა! — დაიყვირა საბამ და პლედწაფარებული კაცისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— ეს ხომ უკანონობაა, — თავი ვერ შეიკავა ბადრიმ და სამალავიდან გამოსძახა მკვლელს. მის ხმაზე დამნაშავე შეკრთა, კვლავ ფანჯრის სიბნელეს მიაპყრო თვალი და ხელში იარაღი შეათამაშა.

— შენ იცი, ნაბიჭვარო, კანონთა უმეტესობა მორალს არ ცნობს! მე ჩემი პრინციპებით ვიცხოვრე და მხოლოდ სიყვარულის კანონს ვემორჩილებოდი.

საბა თანდათან უმატებდა ხმას და ბოლოს, ისევ ყვირილზე გადავიდა. „მაკაროვის“ ლულა სატყუარისკენ ჰქონდა მიმართული, მაგრამ სასხლეტისთვის თითის გამოკვრა არც უფიქრია.

ბადრი გაუნძრევლად იდგა და ჭირის ოფლი ასხამდა. „ვინ არის დამნაშავე?“ — ფიქრობდა თავისთვის და საბას ნერვიულ ნაბიჯებს აყოლებდა თვალს.

სწორედ ამ დროს, ეზოში ავტომანქანის ხმა გაისმა, ოთახი კი, პატრულის შუქურის ციმციმმა ცისფრად გაანათა...

— მოვიდნენ! — წამოიძახა ბადრიმ ხმამაღლა, ვინ იცის — საბას გასაგონად, რომ დამნაშავეს გაქცევა მოესწრო...

საბა ინსტინქტურად ადგილზე დაბზრიალდა, პისტოლეტის ლულა საფეთქელზე მიიბჯინა, შემდეგ ხელები დაუშვა, ოთახის გასასვლელისკენ გაიქცა და გამოღებულ კარს ისეთი ძალით დაეჯახა, რომ ბადრის ეგონა, თავი შუაზე გაეპო. მაგრამ საბას თავი არ გასტეხია, იატაკზე მხოლოდ რაღაც საგნის დავარდნის ხმა გაისმა, ბადრი ვერ მიხვდა — რისი. დამნაშავემ კიბისკენ აიღო გეზი, მაგრამ იქიდან უკვე რამდენიმე ადამიანის სწრაფი ნაბიჯების ხმა ისმოდა. კაცი უკან შებრუნდა, ფანჯარასთან მიიჭრა და მესამე სართულიდან გადაეშვა.

კაცი პირდაპირ ფანჯრების ქვეშ დაყრილ სილაში მუხლებამდე ჩაეფლო. სწორედ იმწამსვე იგრძნო, რომ შუშის თვალი აღარ ჰქონდა. ქვიშაში ჩამივარდაო, — გაუელვა თავში, მაგრამ მოძებნის დრო არ იყო: მდევრის შიშით სწრაფად გაითავისუფლა ქვიშისგან ფეხები და გაუაზრებლად გავარდა მოასფალტებულ გზაზე, შემდეგ — მარჯვნივ... მერე — მარცხნივ... შემდეგ შეჩერდა და იმის მაგივრად, რომ სამალავზე ეზრუნა, პირდაპირ თავისი კორპუსისკენ აიღო გეზი. სადარბაზოში შესვლა ვერ გადაწყვიტა, სახანძრო კიბე დაინახა და მისი მეშვეობით, სახურავზე ასვლა ამჯობინა, თან უკან-უკან იყურებოდა; რას ემალებოდა, ვის გაურბოდა — მეუღლის გვამს, თავის უიღბლობას, ბადრის თუ სიყვარულის კანონს, თავადაც არ იცოდა... ქალი, რომელსაც მთელი ცხოვრება შესწირა, რომლის საშველად ეშმაკსაც მიჰყიდა სული, ცოცხალი აღარ იყო, საბას კი მისი მკვლელობისთვის გაასამართლებენ...

რამდენიმე წუთის შემდეგ, საბა უკვე სახურავზე იდგა. ჯერ წაბარბაცდა, შემდეგ წელში გაიმართა და გაუაზრებლად, მოპირდაპირე სახლის მესამე სართულის ფანჯარას პისტოლეტი დაუმიზნა... ბადრი ფანჯრის რაფასთან ღონემიხდილი იჯდა და თვალს არ აშორებდა საბას მოძრაობას... მას ეგონა, რომ ყველაფერი დამთავრდა და აღარაფერი გააკვირვებდა. მაგრამ ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე და თურმე, მწარედ ცდებოდა...

დასასრული შემდეგ ნომერში

ტიპიური ასევე აქტუალური

ხამოსი შეჯამ ჰამეზე მეცყვილებს..

27 სექტემბერს კლუბ „16 რაუნდში“ სამოდელო სახლის — „თიკო და ნინო“ გამოფენა გაიმართა. ამ სახლის დიზაინერები, დედა-შვილი, ქალბატონი ნინო ხიჭაკაძე და თიკო ნებიერიძე არიან. მათთვის პრინციპული იყო, რომ ამ საღამოს, სწორედ გამოფენის ფორმა ჰქონოდა და არა კოლექციის ჩვენებისა, რათა საზოგადოებისთვის მათ მიერ შექმნილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ხარისხიც თვალსაჩინო ყოფილიყო. მართალია, გამოფენაზე რამდენიმე ქართველი მოდელი იყო, მაგრამ ისინი ჩვეულებისამებრ პოდიუმზე კი არ დადიოდნენ, არამედ სახლის კოსტიუმებით შემოსილნი, სცენასა და სკამებზე გაშუშებულნი ისხდნენ. მთელი საღამო, ნარინჯისფერსა და მწვანეში იყო გადაწყვეტილი. მიმტანებსაც კი ამ ფერის მაისურები ეცვათ. საღამოს სტუმრებს შორის, ბევრი ცნობილი სახე იყო: ნატო გელაშვილი მეუღლითურთ, ნატო მეტონიძე, მერაბ სეფაშვილის მეუღლე, ქალბატონი ნინო, აჩი მეფარიძე, მარიკა თხელიძე, „შაბათის შოუს“ თითქმის ყველა წევრი, პეტრე მამრაძე და სხვები. უმეტესი მათგანი ამ სახლის მუდმივი კლიენტი ყოფილა. გამოფენის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომლის წამყვანიც, მომღერალი ლიზა ბაგრატიონი გახლდათ. ის ჩვეული, მომხიბლავი ღიმილით ხშირ-ხშირად არბოდა სცენაზე და ისიც კი თქვა — როგორც ყოველთვის, უზრდელად ვიქცევიო. ჩვენების დაწყებამდე, ორივე დიზაინერს საკუთარ შემოქმედებაზე ვესაუბრეთ.

ნათია ქივიძე

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ თქვენი კოლექციის გამოფენა მოგეწყოთ და არა ჩვენება?

თიკო:

— შესაძლოა, სულელური პრინციპია, მაგრამ მე მგონია, რომ ფეხსაცმელი, რომელიც ხარისხიანია, გამოფენის ფორმით უნდა ვაჩვენოთ საზოგადოებას და არა — ჩვენების. გადავწყვიტე, რომ ამისთვის რაღაც შოუს სახე მიგვეცა და ჩავრთე მანეკენებიც. სხვათა შორის, ამ გამოფენის იდეა ხათუნა ჟორდანიასა და აჩიკო მეფარიძეს ეკუთვნით, ხოლო ორგანიზატორი, ირინა იაშვილი გახლდათ. ხათუნა სულ მეუბნებოდა — არ შეიძლება, რომ თქვენ ჩუმად იყოთო. დამარწმუნეს, რომ ეს გამოფენა მომეწყო. თან დამპირდნენ, რომ ისინი ამ გამოფენაში თავიანთ წვლილს შეიტანდნენ. მათი წვლილი კი ის იყო, რომ ყველა მომღერალმა, რომელმაც ჩვენს შოუში მიიღო მონაწილეობა, ჩვენი სახლისთვის საჩუქრად ანუ ყოველგვარი ჰონორარის გარეშე იმღერა.

— თვითონ ხათუნა და აჩიკო ალბათ, თქვენი კლიენტები არიან. მათ გარდა, ვინ იკერავს თქვენთან ტანსაცმელსა თუ ფეხსაცმელს?

— ხათუნა და აჩიკო მართლაც, ჩვენთან იმოსებიან. სხვაც ბევრი ცნობილი მომხმარებელი გვყავს: ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, თითქმის ყველა მინისტრის მეუღლე, ყოფილი თბილისის მერის, ზურაბ ჭიაბერაშვილის მეუღლე, ძალიან ბევრი საქმიანი ქალი და ა.შ.

ნინო:

— მოდი, ახლა, სულ თავიდან დავიწყოთ: მოგვიყევით თქვენი სადიზაინერო კარიერის შესახებ და გვითხარით, ხართ თუ არა პროფესიონალი დიზაინერი.

— დიზაინერობის სპეციალური განათლება არ მაქვს მიღებული. ტანსაცმელზე ყოველთვის ვმუშაობდი, ოღონდ — სახლში. მაგრამ 1992 წლიდან, მეგობართან ერთად, მოდების სალონი გავხსენი. მერე უკვე ასეთივე სალონი მარტომ გავაკეთე. ჩემი ქალიშვილის სალონიც ჩემთან ახლოს იყო, მცირე ფართობის გამო მაშინ ვერ მოხერხდა ჩვენი გაერთიანება. მერე გადავწყვიტეთ, რომ ერთად აგვეშენებინა მოდების სახლი და ამ ყველაფერზე ერთად გვემუშავა. ასეც მოვიქეცით და ახლა უკვე აქ ვართ.

ფეხსაცმელი, რომელიც ხარისხიანია, გამოფენის ფორმით უნდა ვაჩვენოთ საზოგადოებას და არა — ჩვენების

— თიკოს ალბათ დედის ნიჭი გამოჰყვა, არა?

— თიკო ბავშვობიდანვე ძალიან კარგად ხატავდა. ჯერ იაკობ ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელი დაამთავრა, მერე — სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა. ასე რომ, მას სხვა სპეციალობაზე არც უფიქრია, თუმცა, ერთი პერიოდი, სერიოზულად იყო გატაცებული ფოტოხელოვნებით. მოგვიანებით კი, ჩემთან დაიწყო ქამრებისა და სხვა აქსესუარების კეთება. ამასობაში, რატომღაც თვითონვე გაუჩნდა იდეა, რომ ფეხსაცმელზე ემუშავა. მის ამ გადაწყვეტილებას ოჯახის წევრები ძალზე სკეპტიკურად შეეხვდით, რადგან მან საერთოდ არაფერი იცოდა ფეხსაცმლის შესახებ. მაგრამ მეოთხე წელია, ამაზე მუშაობს და დიდ წარმატებასაც მიაღწია. ახლა უკვე გამოცდილება შეიძინა და ფეხსაცმლის ყველა დეტალი ძალიან კარგად იცის.

— როცა ბავშვი იყო, თქვენ რომ ტანსაცმელს კერავდით, თიკო ალბათ, გეხმარებოდათ...

— არა, კი არ მეხმარებოდა, რაღაცებს მიფუჭებდა. ყველაფერს დაუკითხავად იღებდა და თავისთვის რაღაცებს აკეთებდა, უფრო — ფეხსაცმელს, ხან რას მიაკერებდა და ხან რას მიაწებებდა!.. მაგრამ მაშინ არც მიფიქრია, რომ საბოლოო სპეციალობად თიკო ფეხსაცმლის დიზაინერობას აირჩევდა. ეს ჩემთვის ძალიან მოულოდ-

თან მეგობარი დააყენა და კლიენტების მოხმობა დაავალა: „თქვენ თავად ავა გარდნერი გელით!“ მთვრალი ამერიკელი მეზღვაური ნომერში შევიდა და ერთი წუთის შემდეგ, ოთახიდან თავზარდაცემული გამოვარდა: „უფალო, შემიწყალე! იქ მართლაც ავა გარდნერია!“

„ავიატორში“ ავა გარდნერის როლზე თავდაპირველად, ნიკოლ კიდმანი მიიწვიეს, მაგრამ მსახიობი დაკავებული აღმოჩნდა და სკორსეზემ ეს როლი კეიტ ბეკინსეილს შესთავაზა. კეიტი აღფრთოვანებული დარჩა, რადგან იმ ქალის განსახიერების შესაძლებლობა მიეცა, რომლის შესახებაც კლარკ გეიბლმა თქვა: ის შესანიშნავი ყმაწვილია — ცხენივით სვამს, ისე იგინება, რომ მეზღვაურებიც კი წითლდებიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, მსოფლიოში ყველაზე მაცდურ და მომხიბვლელ ქალად რჩებაო.

ჯინ ჰარლოუს უსაზღვრო პოპულარობამ ამერიკელ ქალთა ნახევარზე მეტი ქერათმიანად აქცია. მისი გარეგნობა, მანერები, ცხოვრების სტილი საფუძვლად დაედო იმ სახეს, რომელმაც შემდგომ, მსახიობიც და მისი დიდებაც გადაფარა. ჰოლივუდის ყველა შემდგომი ლამაზმანი — ლანა ტერნერი, ბეტი გრეიბლი, მერილინ მონრო — მას ჰბაძავდა. ჯინ ჰარლოუს გმირები, გარეგნულად უცოდველი კრავები იყვნენ, რომელთა ნიღაბქვეშ, გააფთრებული ქალები იმალებოდნენ და რომლებსაც კლარკ გეიბლის უშფოთველი პერსონაჟებიც კი მოთმინებიდან გამოჰყავდათ. ჰარლოუმ პირველი როლი ფილმში — „ჯოჯოხეთის ანგელოზები“ — ჰოვარდ ჰიუზის წყალობით მიიღო, უნდა ითქვას, რომ ფუშფუშა მკერდის მიუხედავად, ჯინა ბიუსტჰალტერის ჩაცმაზე ჯიუტად აცხადებდა უარს და უპირატესობას ტანზე შემოტმასნილ კაბებს ანიჭებდა. ჰიუზს ამ ტიპის ქალები არ მოსწონდა, მაგრამ ინტუიციამ უკარნახა, რომ ჯინი ფურორს მოახდენდა და არც შემცდარა. ეროტიკული ჯინ ჰარლოუ ამერიკელთათვის ქუჩიდან მოსულ იმ შინაურ გოგონად იქცა, რომელსაც ელიტურობასა და მაღალ ინტელექტზე პრეტენზია არ გააჩნდა. ჯინა ჰარლოუ 1937 წლის 7 ივნისს გარდაიცვალა. სიკვდილის მიზეზად მისი სექტანტი დედა იქცა, რომელიც შვილს აიძულებდა, ექიმის დახმარებაზე უარი ეთქვა და მუცლის მწვავე ტკივილებს ლოცვებით გამკლავებოდა. სტუდიიდან გაგზავნილ ექიმს ავადმყოფთან შესაღწევად კარის შემტვრევა მოუხდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო... 26 წლის ჯინ ჰარლოუ ინტოქსიკაციით გარდაიცვალა.

ამ გრიმში შვილებს ნიკოლ კიდმანი კუდიანი დედაბერი ეგონათ

ამ სახლში ვირჯინია ვულფი თვითმკვლელობამდე მცირე ხნით ადრე გადაბარგდა

მარტინ სკორსეზემ ეს როლი გვინეტ პელტორუს შესთავაზა, მაგრამ მსახიობმა უარი განაცხადა. ჯგუფ No Doubt-ის სოლისტი, 35 წლის გვენ სტეფანი რეჟისორმა ჟურნალ Teen Vogue-ის გარეკანზე იხილა, ჯინ ჰარლოუსთან გარეგნული მსგავსება შეამჩნია და ფილმში მიიწვია. გადაღებების დაწყებამდე სტეფანიმ ჯინ ჰარლოუს ყველა ფილმი ნახა. გადაღებების დროს, რეჟისორს ხშირად აკრიტიკებდა, შეცდომებზე მიუთითებდა, კაბებსა და მაკიაჟს იწუნებდა. გადაღებების დამთავრების შემდგომ, მომღერლის საძაგელი ხასიათი სრულად გამოვლინდა: როდესაც განაცხადა, რომ ჟურნალისათვის — Marie Claire — ბლანშეტთან და ბეკინსეილთან ერთად გადაღებული ფოტო მის „როკმუსიკოსის იმიჯს“ დაღუპავდა.

მარია კალასი ცხოვრებაშიც ისეთივე დიდებული ქალბატონი იყო, როგორიც სცენაზე

მაგრამ ბეფირელის თქმით, „ფანი არდანი ეკრანზე უფრო მეტად ჰგავდა კალასს, ვიდრე თავად მარია კალასი“

მექსიკური ვნებანი

ახალი რელიგიის — კალოიზმის მიმდევრები მხატვარ ქალს ფრიდა კალოს ეთაყვანებიან. მისი ნახატები ლუვრსა და ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს ამშვენებს. ფრიდა კალოს მთელი ცხოვრება, საზოგადოების გამოწვევას წარმოადგენდა. კომუნისტი, ბისექსუალი, ალკოჰოლიკი და ნარკომანი ქალი ამავდროულად, საოცარი ნიჭიერებით გამოირჩეოდა. ბავშვობაში გადატანილი პოლიომიელიტი და ავტოკატასტროფის დროს მიღებული უმძიმესი ტრავმები ხელს არ უშლიდა, ირონიული, მხიარული და მაცდური საყვარელი ყოფილიყო. კალომ 30-ზე მეტი ქირურგიული ოპერაცია გადაიტანა და სიცოცხლის საოცარი წყურვილი და სიყვარული შეინარჩუნა. გარყვნილი ქალი, რომელმაც საკუთარ სიმბოლოდ, გაიძვერა მაიმუნი აქცია, ადამიანთა გულების დაპყრობის ხელოვნებას სრულყოფილად ფლობდა. 15 წლისამ, მხატვარი დიეგო რივერა გაიცნო და საქვეყნოდ განაცხადა — ამ სქელ მაჩოს ცოლად გავყვები და მას ვაჟიშვილს გავუჩენო. ფრიდა კალო სიტყვებს ქარს არასოდეს ატანდა...

წარმოშობით მექსიკელ მსახიობს, სელმა ჰაიეკს ამ ლეგენდარული ქალის ეკრანზე განსახიერების იდეა მოსვენებას უკარგავდა. „შინაგანად ვგრძნობდი, რომ ჩემს მშობლიურ მექსიკასა და გამაოგნებელი მხატვარის, ფრიდა კალოზე ფილმის შექმნა აუცილებელი იყო“, — ამბობდა სელმა. როდესაც ფრიდას ერთ-ერთმა საყვარელმა, მექსიკელმა მომღერალმა ქალმა ჩაველა ვარგასმა პირველად იხილა სელმა ჰაიეკი, განაცხადა, რომ მსახიობი ფრიდა კალოს საოცრად ჰგავდა. მაქსიმალური მსგავსების მისაღწევად, სელმამ ხატვა ისწავლა, წარბების ამოქნას თავი მიანება და იმისათვის, რომ ულვაში ამოსვლოდა, ზედა ტუჩის გაპარსვა დაიწყო. კალოთი მისი ფანატიკური გატაცება გადამდები აღმოჩნდა. ჰოლივუდის მასშტაბებით ფრიად მოკრძალებული ბიუჯეტის (12 მლნ დოლარი) მიუხედავად, ფილმში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს ჰაიეკის მეგობრებმა — ანტონიო ბანდერასმა, ეშლი ჯადმა და სელმას ბოიფრენდმა, ედვარდ ნორტონმა.

ვუგზავნე. სამაგიეროდ, მისგან საახალწლო მოლოცვა მივიღე. ეს ალბათ, იმის მანიშნებელია, რომ მას ჩემი საჩუქარი მოეწონა.

ნინო:

— დანამდვილებით ვიცი, რომ ბატონ მიშას ეს ფეხსაცმელი აცვია კიდეც და ყველას აჩვენებს — ნახეთ, საქართველოშიც შეიძლება, კარგი ფეხსაცმლის შეკერვაო...

— ვიცი, რომ ცნობილ სახეებს საჩუქრებით მაინცდამაინც არ ანებივრებთ, მაგრამ პრეზიდენტის გარდა, იყო კიდევ ერთი შემთხვევა...

თიკო:

— მართალი ხარ. ადამიანებს რაღაცრაღაცებს კი ვჩუქნი, მაგრამ ეს ჩემი პირადი ურთიერთობიდან გამომდინარეხდება. წინააღმდეგი ვარ, საჩუქრები სულ ვარიგო. რაც არ უნდა ცნობილი იყოს ადამიანი, ვთვლი — როცა შენს ნაშრომს გააუფასურებ, სხვაც აღარ დააფასებს მას. ძალიან დიდი შრომის ფასად მიჯდება ის, რასაც ვაკეთებ და არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ ეს ფეხსაცმელი ვარიგო. იმ საჩუქრის ამბავსაც მოგიყვები. ნატო გელაშვილს მაღაზიაში ჩემი შეკერილი ქოში მოსწონებია და უკითხავს — ვინ შეკერაო? უთხრეს, თუ როგორ შეიძლებოდა ჩემთან დაკავშირება. მაშინ მას სოლო კონცერტისთვის სჭირდებოდა ჩექმა. მითხრა — ავთო ცქვიტინიძე მიკერავს კაბას, ჩექმა კი შენ შემიკერე, თავიდან ბოლომდე გენდობი, რაც გინდა, ის გააკეთეო. შევუკერე ჩექმა, რომელიც 65 ნაჭრისგან შედგებოდა. როცა ნატო მის წასაღებად მოვიდა, მე არც მიფიქრია, რომ ის აუცილებლად უნდა მეჩუქებინა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც კომპოზიტორი და მომღერალი, ძალიან მიყვარს. ჩექმა რომ გამოვუტანე, ისეთი რეაქცია ჰქონდა, რომ გავგიჟდი: აღარ იცოდა, ეტირა თუ ეცინა, მითხრა — სულ სხვა რაღაცას ველოდებოდი და ეს რა დამხვდაო!.. ჩემს თანამშრომლებს მაშინვე უთქვამთ — გამორიცხულია, ასეთი რეაქციის შემდეგ, თიკომ ნატოს ფული გამოართვასო... ნატოს რომ ვუთხარი — საჩუქრად მიიღე-მეთქი, — უარი მითხრა: ეს ძალიან ძვირფასი საჩუქარიაო. მაშინ მე ვუთხარი — ჩემს ამ შრომას ვერ შევაფასებ და შენ შეაფასე-მეთქი... ეს მართალიც იყო: იმდენად არანორმალური რეაქცია ჰქონდა, რომ იმწუთას ის ჩექმა ჩემთვის ისეთი ძვირფასი გახდა, მართლა ველარ შევაფასებდი. აი, ამ რეაქციით მივიღე მე ის „თანხაც“, რომელიც მასში უნდა ამეღო და ჩემი შრომის შეფასებაც.

— ვიცი, რომ ასეთივე ქამარი გაქვთ, რომელიც პარიზში მოღვაწე დიზაინერს, ირაკლი ნასიძეს არ მიჰყიდეთ...

ნინო:

— ეს ქამარი არ იყიდება, რადგან იმდენად დიდხანს ვქარგავდი და მასში იმდენად დიდი შრომა ჩავდე, რომ ვერ შევაფასებ. ის არის ბისერით მოქსოვილი, მასში ძალიან ბევრი ბისერია გამოყენებული. ეს ქამარი ყველა ჩვენს გამოფენაზე იქნება, როგორც ჩვენი ემბლემა და სავიზიტო ბარათი.

— ქალბატონო ნინო, თქვენ ალბათ, თიკოსავით არ აგიჩუყდებათ გული, რომ ვინმეს, რეაქციის გამო, რაიმე აჩუქოთ...

— როგორ არა?!. ძალიან ბევრი ადამიანისთვის მიჩუქებია რაღაც, მაგრამ ისინი ჩემი მეგობრები არიან. ასე რომ, საჩუქრებს გამორჩენის მიზნით არ ვაკეთებ. ყოფილი პრეზიდენტის მეუღლე, ქალბატონი ნანული შევარდნაძე სულ ჩემთან იკერავდა ტანსაცმელს. შეიძლება, მისთვის რაიმე პატარა საჩუქარი მიმერთმია, მაგრამ ეს ისეთი საჩუქარი ყოფილა, რომ მისთვის ამით შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. შემიძლია ვთქვა, რომ არ მახსოვს, ქალბატონი ნანულისთვის ოდესმე რამე მეთხოვოს, მიუხედავად იმისა, რომ მას წლების განმავლობაში ვუკერავდი ტანსაცმელს.

— როგორც ცნობილია, ქალბატონი ნანული საკმაოდ კეთილი და თბილი ადამიანი იყო. თავად არ გასჩენია სურვილი, რომ თქვენთვის რაიმე გაეკეთებინა?

— კი, ძალიან ხშირად. მაგრამ ყოველთვის უარს ვეუბნებოდი. ერთი პერიოდი, ავად ვიყავი და თვითონ შემომთავაზა, რომ გულიკო ჩაფიძის კლინიკაში დავეწვინე და მკურნალობის თანხაც გადაეხადა, მაგრამ ამაზეც უარი ვუთხარი: საავადმყოფოში დაწოლის დრო არ მაქვს, თორემ, თუ დავწვები, ფულსაც თვითონ გადავიხდი-მეთქი, — ვუპასუხე. რა ვქნა, ასეთი პრინციპი მაქვს. არ მინდა, ვინმე ცნობილმა ადმიანმა იფიქროს, რომ მას იმიტომ ვყვები თან, რომ მისგან რაიმეს ველოდები. ჩემთან შემოსულ პრეზიდენტის ცოლსაც და რიგით კლიენტსაც აბსოლუტურად ერთნაირად ვხვდები.

— ირაკლიმ საიდან შეიტყო თქვენი ქამრის არსებობის შესახებ?

— ირაკლის, ნანული შევარდნაძისთვის უნდა შეეკერა კოსტიუმი. ქალბატონმა ნანულიმ უთხრა, რომ ერთადერთი, ვისთანაც შემიძლია ურთიერთობა, ნინოა და თუ შეგიძლია, მის სალონში იმუშავე ჩემს კოსტიუმზეო. ირაკლი ჩვენთან მოვიდა. ამ ქამარს ვქსოვდი, ჯერ დამთავრებული არ მქონდა და დაუმთავრებელი ნახა. გაგიჟდა, ისე მოეწონა და ძალიან გვთხოვა, რომ მიგვეყიდა მისთვის, მაგრამ უარით გავისტუმრე. ეს ქამარი არ იყიდება. ის შრომა, რომელიც ამ ქამარშია ჩადებული, შეუფასებელია და საქართველოში ამის მყიდველი არც არსებობს.

■

რამ აატირა ლიზა ბაგრატიონი სტამბოლში

როგორც უკვე აღვნიშნე, სამოდელო სახლის — „თიკო და ნინო“ — გამოფენაზე გამართული საღამოს წამყვანი, ყველასათვის საყვარელი მომღერალი, ლიზა ბაგრატიონი გახლდათ, რომელმაც აჩი მეფარიძის სიმღერებზე განსაკუთრებით „მოილხინა“ და თავის დასთან, ვანკო თარხნიშვილთან და ზუზუსთან ერთად, დიდი მონდომებით ცეკვავდა... როცა კონცერტის ბოლო მონაწილე, ნატო ყანჩელი გამოაცხადა, ყველა გავოცდით: ვერ მივხვდით, ვინ იყო ნატო ყანჩელი და... სახეზე ყველას ღიმილმა გადაურბინა, როცა სცენაზე ნატო მეტონიძე ავიდა. ამ ამბით თვითონ ლიზამ ძალიან იხალისა, მეგობარს ბოდიში მოუხადა და მიკროფონი გადასცა. მე კი დრო ვიხელთე და მიკროფონს, დიქტოფონი შევუნაცვლე...

ნათია ქევეიძე

— ლიზა, როგორც ვიცი, თქვენ ამ სამოდელო სახლის პირველი კლიენტი იყავით...

— არა, მთლად პირველი ნამდვილად არ

ვარ — შესაძლოა, მათი პირველი კლიენტი ვარ, საზოგადოებისთვის ნაცნობი სახეებიდან. უკვე 7-8 წელია, რაც მათთან მუდმივად დავდივარ და ჩემს სამოსზე ყოველთვის ნინო ზრუნავს.

— ვიცი, რომ მათ სულ პირველად, ქამარი გაგიკეთეს.

— როგორც ხედავთ, მათ კოლექციაში ძალზე ბევრი ბისერია გამოყენებული. მაშინ საქართველოში ამას თითქმის არავინ აკეთებდა. ჩემს ქამარში, ბისერთან ერთად, ზამში, ტყავი და მაქმანი იყო გამოყენებული და მართლა ძალიან ლამაზი გამოვიდა. მერე, საზღვარგარეთ ყოფნისას, ერთმა ძალიან მდიდარმა იქაურმა ადამიანმა მილიონჯერ მაინც მითხრა — რა ლამაზი ქამარი გაქვსო! ამას იმდენჯერ გაუსვა ხაზი, რომ მოვიხსენი და ვაჩუქე, რაზეც დღემდე გული მწყდება... მას მერეც ბევრი სამოსი შემიკერავს ნინოსთან. რაიმე საფირმო ტანსაცმელი რომ მაქვს, იმასაც კი ვაკეთებინებ, რადგან მის მიერ შეკერილი ნივთი ჩემთვის თილისმასავითაა, კარგად მაქვს დაცდილი. მიყვარს, როცა კონცერტის წინ, მათთან შევდივარ, სულ თვითონ მაწესრიგებს და ფაქტობრივად, მაცმევს კიდეც. ჩემთვის ეს ძალიან დიდი სტიმულია.

— რატომ გადაწყვიტეთ, მაინცდამაინც ნინოსთან და თიკოსთან მისვლა, როცა საქართველოში ამდენი დიზაინერია?

— ნინოსთან დედაჩემის მეგობარმა მიმიყვანა. მაშინ საქართველოში ამდენი სალონი და სამოდელო სახლი არ იყო. მათი ყველა ნამუშევარი მომეწონა და უკვე ჩვევად მექცა მათთან მისვლა. თანაც, ახლა უკვე, მათი მხოლოდ კლიენტი როდი ვარ — ძალზე დავმეგობრდით, ერთად ვფიქრობთ, ერთად ვიგონებთ ახალ რაღაცებს, ყავას ვსვამთ, ვჭორაობთ, უფრო მეტად — პოლიტიკაზე. მართალია, ამ საკითხზე ხშირად განხეთქილებაც მოგვდის, მაგრამ იმდენად დაახლოებული ვართ ერთმანეთთან, რომ აბსოლუტურად კომფორტულად ვგრძნობთ ერთად თავს.

— დღევანდელი საღამოს წამყვანობაც თქვენი მეგობრობის წყალობაა?

— ეს თიკომ მთხოვა. დღეს მათ ჩემთვის რაც არ უნდა ეთხოვათ, უარს ვერაფერზე ვეტყოდი, რადგან ისინი ყოველთვის მხარში მიდგანან და მეხმარებიან, ამიტომ არ მქონდა უფლება, რომ ასეთ საპასუხისმგებლო საღამოზე, როცა ისინი ასე ნერვიულობენ, დიდი ენერგია, შრომა და ფინანსები ჩადეს ამ ყველაფერში, მათთვის უარი მეთქვა. თუმცა, მათი მოლოდინი გავამართლე თუ არა, ამას ვერ გეტყვით.

— საერთოდ, მოდის მიმდევარი ხართ, არა?

— კი, ვარ. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჩემი, ჩამოყალიბებული გემოვნება მაქვს. ჯინსიც მიყვარს, ბოტასიც, ქუსლიანი ფეხსაცმელიც და კლასიკურად ჩაცმაც, მაგრამ ვფიქრობ, რომ ძალიან ექსტრავაგანტურიც არ ვარ. ტანსაცმელში ჩემებური დეტალების შეტანა მიყვარს.

— კიდევ ერთ თემას მინდა, შევეხოთ. სულ ცოტა ხნის წინ, „საქართველოს დღეებზე“ სტამბოლში იმყოფებოდით. თუ შეიძლება, გვიამბეთ ამის შესახებ.

მოლხენა ნამდვილად არ გაგვჭირვებია. 35 გადარეული ქართველი ვიყავით ერთად შეყრილი და რატომ ვერ მოვილხენდით?!. (პეტრე მამრაძესთან ერთად)

— სტამბოლი ფანტასტიკურია. იქ მოქმედებს საქართველოს საკონსულო, კონსული, ზვიად კვაჭანტირაძე — არაჩვეულებრივი ქართველი დიპლომატი გახლავთ. თუ არ ვცდები, სწორედ მისი იდეა იყო, რომ იქ საქართველოს კულტურის დღეები ჩატარებულიყო. როგორც აღმოჩნდა, იქ უკვე ძალიან დიდი ხანია, მსგავსი არაფერი ყოფილა. ბატონ ზვიადს, რა თქმა უნდა, საქართველოს კულტურის სამინისტრო ამოუდგა მხარში, მაგრამ ფინანსური მხარდაჭერა სტამბოლის მერიამ და იქ არსებულმა, საქართველოს სათვისტომომ გაუწია. ამ ყველაფრის ორგანიზატორი კი, სტამბოლის მერი გახლდათ. როგორც მივხვდი, მონაწილეებიც ქართული სათვისტომოს მიერ იყვნენ არჩეულნი. როგორც ჩანს, იქ მაინც ადევნებენ თვალყურს იმას, თუ რა ხდება საქართველოში, რადგან როცა ზვიადმა დამირეკა, მან უკვე კონკრეტულად ჩამომითვალა ის ხალხი, ვისაც ამ კულტურულ დღეებში უნდა მიეღო მონაწილეობა და მე უბრალოდ, მათთან დაკავშირება მთხოვა. რა თქმა უნდა, უარი არც ერთ მომღერალს არ უთქვამს, ყველა დიდი სიხარულით დაგვთანხმდა. მხოლოდ თემურ თათარაშვილი გამოგვაკლდა, რადგან მას ამ დროისთვის უკვე დაგეგმილი ჰქონდა გასტროლი. იქ წავედით: მე, მერაბ სეფაშვილი, ნატო მეტონიძე, ნუკრი კაპანაძე, ფოლკლორული ანსამბლი „ლაშარი“ და ახალი „ქართული ხმები“. ასევე იყო რეჟისორი ნანა ჯანელიძე, რომელსაც რამდენიმე ფილმი ჰქონდა წამოღებული, მათ შორის — „იავნანამ რა ჰქმნა?!“; ეროვნული გალერეის დირექტორი, ქალბატონი ქეთევან კორძახია, რომელსაც თანამედროვე ქართველი მხატვრების გამოფენა ჰქონდა წამოღებული. აგრეთვე: მინანქარი, ბატიკა და ფარდაგები. ჩვენთან ერთად იყო ახალგაზრდა ფოტოგრაფი, ტატო კოტეტიშვილი, რომელმაც ექსპოზიცია — „ვარდების რევოლუცია“ გამოფინა. ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო იყო. მაგრამ ყველაზე სასიამოვნო და საინტერესო, იქაურ ქართველებთან შეხვედრა გახლდათ. თვითონ მოდიოდნენ სასტუმროში, გვეცნობოდნენ, გვესაუბრებოდნენ, თავის ამბებს გვიყვებოდნენ. გაოცდებით, ისე ლაპარაკობენ ქართულად. საქართველოს შესახებაც აბსოლუტურად ყველაფერი იციან. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ ისინი მაინც რაღაცნაირად, საქართველოს ნაწილს წარმოადგენენ... ამ ყველაფრის დაგვირგვინება ჩვენი გალა-კონცერტი იყო, რომელსაც ისეთი ემოციური მუხტი ჰქონდა, რომ არასოდეს დამავიწყდება.

— რა რეაქცია გქონდათ, როცა იქაური ქართველები სცენაზე ამოვიდნენ და ქართული ხალხური ცეკვები შეასრულეს?

— ყველას გვეტირებოდა. ეს ჩვენთვის ძალზე მოულოდნელი იყო და გაგვახარა კიდეც. ბიჭებმა ოთხჯერ იმღერეს ბისზე, რადგან სცენიდან არაფრით გაგვიშვეს. ყველა ვიდექით სცენაზე და ვტიროდით... ყოველთვის ვამბობდი, როცა ადამიანი სცენაზე დგას, მისთვის ემოციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს-მეთქი. იმ კონცერტზე თითოეულმა ჩვენგანმა ისე ვიმღერეთ, რომ შესაძლოა, ასე არასოდეს გვიმღერია. ძალიან გვინდოდა, რომ მათთვის დიდი სიამოვნება მიგვენიჭებინა და მართლაც, არაჩვეულებრივი კონცერტი გამოვიდა. კონცერტის შემდეგაც, კარგა ხანს არ დაშლილან, გველოდებოდნენ, კულისებიდან როდის გამოვიდოდით, გვესაუბრებოდნენ, გვეფერებოდნენ, გულში გვიკრავდნენ და ტიროდნენ... სანამ ჩვენი ავტობუსი არ დაიძრა, არც ერთი მათგანი არ წასულა. ტაშით გაგვაცილეს. ეს არასოდეს დამავიწყდება. ბატონი ზვიადი ალბათ, ამ ინტერვიუს წაიკითხავს და მინდა, რომ მას დიდი მადლობა გადავუხადო ამ დღესასწაულისთვის.

— როგორც ვიცი, კონცერტამდე, კულისებშიც კარგად მოგილხენიათ...

— მოლხენა ნამდვილად არ გაგვჭირვებია. 35 გადარეული ქართველი ვიყავით ერთად შეყრილი და რატომ ვერ მოვილხენდით?!. 4 დღის განმავლობაში, საერთოდ არ გვიძინია, სულ ვსეირნობდით. სტამბოლი ხომ არაჩვეულებრივი, ულამაზესი ქალაქია! ბატონმა ზვიადმა ექსკურსია მოგვიწყო და ამ 4 დღეში, ყველა საინტერესო ადგილი ვნახეთ.

— მანამდე, ამ ზაფხულს თუ ისვენებდით სადმე?

— რა თქმა უნდა. დედასთან და ჩემს შვილთან ერთად მთელი ზაფხული აჭარაში ვისვენებდი და არჩვეულებრივი დრო გავატარე.

■

რობინიო: თავმდაბლობა არასოდეს არ უნდა დავკარგო...

ბილბაოს „ატლეტიკთან“ შეხვედრისას, რობინიომ მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში თავისი პირველი გოლი გაიტანა. მანამდე, „სამეფოკლუბელები“ 0:1-ს აგებდნენ და სწორედ ბრაზილიელი ვუნდერკინდის გოლის წყალობით გაათანაბრეს ანგარიში, რის შემდეგაც, მატჩი გამარჯვებამდეც მიიყვანეს. არადა, ამ პაექრობამდე, „რეალს“ ზედიზედ 3 მატჩი ჰქონდა წაგებული და მასმედიაც უკვე აერცელებდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი, ბრაზილიელი ვანდერლეი ლუქსემბურგო პოსტს ვეღარ შეინარჩუნებდა.

„სასიამოვნოა, რომ გავიტანე, მაგრამ მთავარი — გამარჯვებაა, — დასძინა მატჩის შემდეგ რობინიომ Marca-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. — ახლა ამავე ინერციით სვლას გავაგრძელებთ მომდევნო მატჩებშიც. „რეალმა“ ყოველთვის უნდა მოიგოს. დღეს ყველა კმაყოფილი ვართ. თავით თამაშის გაუმჯობესებაზე ბევრს ვმუშაობ, დღეს ამან შედეგიც გამოიღო. ჩემი გოლი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან მისი წყალობით, ანგარიში გავათანაბრეთ. ქომაგებიც არაჩვეულებრივად გვიჭერდნენ მხარს. 0:1 ვაგებდით, მაგრამ შემდეგ დავწინაურდით და გულშემატკივრები უფრო გამხნევდნენ. ყველამ ისე უნდა ითამაშოს, როგორც შეუძლია. თავდამსხმელი ზუსტად უნდა ურტყამდეს, ხოლო მცველმა საიმედოდ იმოქმედოს თავისი გუნდის კართან. რაც უფრო მეტ მატჩს ჩავატარებთ ერთად, უფრო უკეთესადაც გავუგებთ ერთმანეთს“.

— „რეალში“ კარიერის ასეთ დაწყებას თუ მოელოდი? 3 წაგება ზედიზედ, არც ერთი გატანილი გოლი, გუნდის სათამაშო-ტაქტიკური სქემის მუდმივი კრიტიკა...

— ამისათვის მზად ვიყავი. „რეალი“ სახელგანთქმული კლუბია, მის ასპარეზობას უამრავი ადამიანი ადევნებს თვალს. გუნდები ძალისხმევას არ იშურებენ მის დასამარცხებლად... ასე თამაში ძნელია. ისიც გვესმის, რომ სეზონი მხოლოდ ახლა იწყება, ხოლო თავიდან, ყოველთვის ძნელია თამაში. ვფიქრობ, თანდათან უკეთესად ავთამაშდებით და გამარჯვებებსაც მივაღწევთ. არც იმას დავმალავ, რომ პირველ ტურებში მსაჯებმა გამაკვირვეს. ისინი ბრაზილიაშიც ცდებიან, პენალტს მაშინ ნიშნავენ, როდესაც ამის საფუძველი არ არსებობს და არ თვლიან აშკარა გოლს, მაგრამ ეს რაღაც ნორმის ფარგლებში რჩება, აი, ესპანეთში კი... ოჰ... ოთხივე მატჩში ვითამაშე და მათგან ორში არბიტრებისგან მართლაც გვარიანად „მოგვხვდა“. ყოველთვის ასე იქნება?.. საერთოდ, ამ თემაზე საუბარი მაინცდამაინც არ მიყვარს. მაგრამ სინამდვილე ასეთია. ვიმედოვნებ, ეს აღარ გამეორდება.

— გაღიზიანებდა ის, რომ „რეალში“ შენი კარიერა ასე არასახარბიელოდ დაიწყო?

— რა თქმა უნდა, გაღიზიანებული ვიყავი. ჩვენ ხომ ყოველთვის გამარჯვებისკენ მივილტვით. თავიდანვე ვიცოდი, რომ მოგების გარდა, ნებისმიერი შედეგი „რეალში“ არადამაკმაყოფილებლად ითვლება, რის გამოც, გამუდმებით ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვიმყოფებით. თუმცა, მოხარული ვარ, რომ გარდატეხის შეტანა შეგვიძლია. როდესაც ერთ მატჩს ვიგებთ, მომდევნო შეხვედრებშიც წარმატებულად ვასპარეზობთ.

— ბრაზილიურ ფეხბურთთან შედარებით, აქ რა განსხვავება აღმოაჩინე?

— ეს არცთუ ისე ბევრია. აქ უფრო მჭიდროდ თამაშობენ მცველები. თუმცა, ჩემს სამშობლოშიც მსგავსი ვითარებაა. საფეხბურთო მოედნები აქ უკეთესია, რაც ძალიან მომწონს, რადგან ეს ბურთის კონტროლს მიადვილებს. რაც შეეხება „სანტიაგო ბერნაბეუს,“ იქ მინდორი ხალიჩასავითაა.

— ყველაზე მეტად რომელი გუნდის დაცვა თამაშობდა მჭიდროდ?

— „ლიონის“. ბრაზილიელები — კრისი და კასპა კარგად მიცნობენ, ამიტომ მეტისმეტად მჭიდროდ მეთამაშებოდნენ. მაგრამ ეს ნორმალურია, ამას მიჩვეული ვარ. აქ ისევე გირტყამენ ფეხებში, როგორც ბრაზილიაში. ჩვენთან თამაშისას, გუნდები მთელი შე

ადამიანის სახელსა და გვარში მისი ბედია კოდირებული

როგორც შორეულ წარსულში, ისე ახლაც, XXI საუკუნეში, ადამიანებს სურთ, უფრო მეტი შეიმეცნონ საკუთარ თავზე და გაიგონ, თუ რა მეტაფიზიკური კოდი დევს მათში. ამას ყველა სხვადასხვაგვარად ცდილობს — არადა, ყველაზე ადვილი და მოსახერხებელი, ჩვენი სახელისა და გვარის გამოთვლაა — ანუ მათი კაბალისტიკური ჯამის დადგენა.

შორეულ წარსულში, ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ სახელით იცნობდნენ. როდესაც ადამიანები გამრავლდნენ და მათი გარკვევა მხოლოდ სახელის მეშვეობით გაჭირდა, მაშინ გაჩნდა გვარებიც (შუა საუკუნეებში გვარი მხოლოდ დიდებულებს ჰქონდათ).

მაშ ასე, გამოთვალეთ საკუთარი სახელისა და გვარის კაბალისტიკური ჯამი, გაიგეთ საკუთარი „ცხოვრების ციფრი“, დაადგინეთ, ნუმეროლოგიურად რომელი პლანეტა შეგესაბამებათ და გაიგეთ მისი დადებითი თუ უარყოფითი თვისებები.

1	2	3	4	5	6	7	8	9
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი
კ	ლ	მ	ნ	ო	პ	ჟ	რ	ს
ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც
ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ			

როგორ უნდა გამოვიყენოთ ზემოთ მოყვანილი ცხრილი:

ავიღოთ ადამიანის სრული სახელი და გვარი, თითოეული ასოს ქვეშ მივაწეროთ მათი შესაბამისი ციფრი. მაგალითად:

რ	ა	მ	ა	ზ	გ	ი	გ	ა	ურ	ი	
8	1	3	1	7	3	9	3	1	2	8	9

შევკრიბოთ მიღებული ციფრები: 813173931289=55

საერთო ჯამი უდრის 55-ს. ახლა მიღებული რიცხვიც შევკრიბოთ: 55=5+5=10. მიღებული რიცხვი კიდევ შევკრიბოთ: 10=1+0=1 (ალბათ მიხვდით, რომ საჭირო ამ ციფრების ერთნიშნა ციფრამდე დაყვანა).

ამ რიცხვს ნუმეროლოგები „ცხოვრების ციფრს“ უწოდებენ და ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. ქვემოთ მოგახსენებთ, თუ რომელია ამ ცხრა ციფრის შესაბამისი პლანეტა, ასევე ისლაპარაკებენ მათ მოკლე დახასიათებას.

1 — მზე. მისი სინათლე კოსმოსური საწყისის მაორგანიზებელია. ის მართავს ადამიანის შინაგან ბუნებას, ნებას, პირად „მეს“, „ეგოს“. პასუხს აგებს ადამიანის პიროვნებაზე, მის ინდივიდუალურ გამოვლენაზე (ანუ იმაზე, თუ როგორ ვავლენთ საკუთარ თავს ყოველდღიურ ყოფაში.

დადებითი თვისებები: საკუთარი ღირსების შეგრძნება, სიამაყე, გულწრფელობა, სერიოზულობა, არტისტიზმი.

უარყოფითი თვისებები: ეგოცენტრიკულობა, ამპარტავნება, დესპოტიზმი, ზედაპირულობა.

2 — მთვარე. მთვარეს ისევე, როგორც ადამიანს, ცვალებადი ფსიქიკა აქვს და ატარებს ციკლურ ხასიათს: დაბადება, აპოგეა და გარდაცვალება — ანუ ახალი ციკლის დასაწყისი. იგი მართავს ადამიანის ირეალურ სამყაროს, ემოციას, ქვეცნობიერს. ეს ჩვენი „ღამეული“ არსია. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მანდილოსნებისთვის, ვინაიდან მათ ჯანმრთელობასა და დედობრივ გრძნობასა თუ ინსტინქტებზეა პასუხისმგებელი.

დადებითი თვისებები: მგრძნობიარობა, რომანტიკულობა, მზრუნველობა, ტაქტიანობა, ათვისების უნარი.

უარყოფითი თვისებები: მეოცნებეობა, ეჭვიანობა, ფანტაზიორობა, მერყეობა, სიმხდალე, ბუტიაობა.

3 — იუპიტერი. განვითარების, გაფართოებისა და წონასწორობის პლანეტაა. დადებით პიროვნებას სრულყოფილი განვითარების საშუალებას აძლევს. ჩვენს წარმატებებზეა პასუხისმგებელი. განაგებს ენთუზიაზმს, იღბლიანობას, გამარჯვებას. ასტროლოგები მას „იღბლიან“ პლანეტას უწოდებენ. იუპიტერი მართავს კოსმოსურ წესრიგს (მისი მდებარეობა გვიჩვენებს, თუ რა თვისებების გამოვლენა სჭირდება ადამიანს გამარჯვების მოსაპოვებლად და როგორ ან რა პროფესიებში უნდა გამოამჟღავნოს მან საკუთარი ძალა).

დადებითი თვისებები: სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარული, სამართლიანობა, დიდსულოვნება.

უარყოფითი თვისებები: ქედმაღლობა, მოუთმენლობა, სწორსაზოვნება.

4 — ურანი. ყველაზე ფეთქებადი და საიდუმლოებით მოცული პლანეტაა. ეს არის: ევოლუცია, გარდაქმნა, რიტმი, ტრანსფორმაცია (ტკივილების გარეშე). მას უკავშირდება ყოველგვარი სიურპრიზი და ბედის ცვლილება. ავლენს სიახლეებსადმი სწრაფვას, ორიგინალობას, რეფორმატორობას, დამოუკიდებლობას.

დადებითი თვისებები: გამომგონებლობა, მაძიებლობა, იდეალიზმი, ძმობა, ერთიანობა.

უარყოფითი თვისებები: ექსცენტრიკულობა, უპასუხისმგებლობა, მეამბოხეობა, სარკაზმი, გაუწონასწორებლობა.

5 — მერკური. უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის ინტელექტზე, გონებასა და აზროვნების პროცესზე. მისი მდებარეობა მიუთითებს, თუ რა სტილში აზროვნებს ეს ადამიანი. იგი ხელს უწყობს ინფორმაციის ათვისებას, პასუხს აგებს სწავლაზე და ყოველგვარ ურთიერთობასა თუ კომუნიკაციაზე.

დადებითი თვისებები: გამჭრიახობა, მიხვედრილობა, დიპლომატიურობა, მოქნილობა.

უარყოფითი თვისებები: ნერვიულობა, აჩქარებულობა, სიცრუე, ცვალებადობა.

6 — ვენერა. ადამიანებში სიყვარულის გრძნობას მართავს. ანიჭებს მათ სილამაზეს, ჰარმონიულობასა და ხელოვნებისადმი მიდრეკილებას. არეგულირებს შეგრძნებათა სამყაროს. მის სფეროს განეკუთვნება, კარგი გემოვნება და ზომიერების გრძნობა, ასევე ფინანსები და მატერიალური კეთილდღეობა.

დადებითი თვისებები: ერთგულება, სტაბილურობა, შეუპოვრობა, ელეგანტურობა.

უარყოფითი თვისებები: გაუბედაობა, სიჯიუტე, სიზარმაცე.

7 — ნეპტუნი. იძლევა სრულიად განსხვავებულ სისტემებს. ის კავშირშია ადამიანის უმაღლეს „მესთან“ (სულის აბსოლუტურ და ინტუიციურ წევრებთან). მის „გამგებლობაშია“: სიზმრები, ილუზიები, ფანტაზიები, წარმოსახვა. ფენომენებისა და წინასწარმეტყველების პლანეტაა. ამაღაფრენს ადამიანის მიდრეკილებებს შემოქმედებისადმი, ასევე ლოთობისა და ნარკომანობისადმი.

დადებითი თვისებები: სულიერება, რელიგიურობა, ინტუიციურობა.

უარყოფითი თვისებები: გაუბედაობა, გარეგნილება, აბსტრაქტულობა, შიში, სიგიჟე.

8 — სატურნი. განაგებს დისციპლინასა და მობილიზების უნარს. ხელს უწყობს იდეების მატერიალიზაციასა და კრისტალიზაციას. ადამიანებს ეხმარება უფროს თაობასთან ურთიერთობის დამყარებაში. ადამიანს უქმნის პრობლემებს, რომელთა გადალახვა უპირველესად იმისთვისაა საჭირო, რომ ადამიანმა ისწავლოს რაღაც ახალი, დათრგუნოს საკუთარი **უარყოფითი თვისებები** და სულიერად განვითარდეს.

დადებითი თვისებები: გონიერება, სიზუსტე, მომჭირნეობა, სიფრთხილე.

უარყოფითი თვისებები: პესიმიზმი, სიძუნწე, ეგოიზმი, მელანქოლია, სიცივე.

9 — მარსი. „წითელი“ პლანეტა პასუხს აგებს ადამიანში ენერგიის განაწილებაზე. მოქმედების, ენერგიის, ძალის, სიმამაცის, ბრძოლისუნარიანობის პლანეტაა. მისი მოქმედების სფეროა — მიზანდასახულობა, წინააღმდეგობათა გადალახვა, მიზნის მიღწევა. აგრეთვე, აგრესია (პირად ჰოროსკოპში მარსის მდებარეობა მიუთითებს, თუ რამდენად სწორად იყენებს ადამიანი საკუთარ ენერგიას; ენერგიის არასწორად გამოყენების შემთხვევაში, ის აგრესიად ან დეპრესიად გარდაიქმნება).

დადებითი თვისებები: სიმამაცე, გულადობა, მიზანსწრაფვა, თავდაჯერებულობა.

უარყოფითი თვისებები: იმპულსურობა, უხეშობა, ცინიზმი, დაუნდობლობა.

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(6 – 12 ოქტომბერი)

ვერძი – 21/III-20/IV

პირადი ცხოვრებისგან განსხვავებით, პროფესიულ საქმიანობაში გარკვეულწილად, უსიამოვნო ცვლილებები გელით. მოსალოდნელია კომერციული ხარჯების გაწევამ მოგიწიოთ. ეს მძიმედ დააწვება თქვენს ბიუჯეტს, რაც თქვენს გულწრფელ შეშფოთებას გამოიწვევს. შეეცადეთ, მდგომარეობიდან შრომისმოყვარეობის ხარჯზე გამოხვიდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური — ვერძსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები**: 6, 8, 10. **ნეგატიური დღეები**: 7, 11.

კუროს – 21/IV-21/V

ამ პერიოდში საკმაოდ მაცდუნებელ და პერსპექტიულ წინადადებას მიიღებთ, რაც თქვენს დაინტერესებას გამოიწვევს; შესაძლოა, ეს სამსახურებრივი ადგილის შეცვლასთანაც კი იყოს კავშირში. პოტენციური მოგების ალბათობა ნუ დაგაბრმავებთ და დაუფიქრებლად ნუ იმოქმედებთ, რჩევა კომპეტენტურ ადამიანებს ჰკითხეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ლომთან, ნეგატიური — სასწორთან და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები**: 6, 7, 11. **ნეგატიური დღეები**: 9, 12.

მარჩხიბი – 22/V-21/VI

მოიმატებს თქვენი სასიცოცხლო ტონუსი და ენერგია, რაც თქვენს მიზანსწრაფვასა და შრომისმოყვარეობას ერთიორად გაზრდის და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც უკანა პლანზე გადაინაცვლებს. თუმცა, გაძლიერდება ნეგატიური შტრიხიც — ერთდროულად ორი საქმის კეთებას მოინდომებთ, რაც თქვენი მხრიდან დიდი შეცდომა იქნება. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და თხის რქასთან, ნეგატიური — ღრიანკალსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 7, 9, 12. **ნეგატიური დღეები**: 6, 10.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ამ პერიოდში გაიზრდება თქვენი პოპულარობა და მრავალი ახლობელი თუ უცნობი ადამიანი მოინდომებს თქვენთვის ქება-დიდების შესხმას, რაც თქვენს წარსულ მოქმედებებთან იქნება დაკავშირებული. მოსალოდნელია გარკვეული თანადგომა იგრძნოთ ამა თუ იმ ორგანიზაციისგან ან სახელმწიფო სამსახურისგან, რაც თქვენს თვითრწმენას უფრო განამტკიცებს. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — მშვილდოსანსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 7, 8, 10. **ნეგატიური დღეები**: 9, 12.

ლომი – 23/VII-23/VIII

ამ კვირაში თქვენი უმთავრესი პრობლემა ფინანსები იქნება. დაიწყებთ მეცენატების თუ მატერიალური მფარველების ძებნას, თუმცა, ამაოდ დაშვრებით. შეეცადეთ, დახმარება მხოლოდ საკუთარ ნათესავებსა და კოლეგებს სთხოვოთ, რადგან უცნობი ადამიანები თქვენს პრობლემებს გულთან ახლოს ნამდვილად არ მიიტანენ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და ლომთან, ნეგატიური — ღრიანკალსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 9, 10, 12. **ნეგატიური დღეები**: 6, 8.

ქალწული – 24/VIII-23/IX

გირჩევთ, გააქტიურდეთ და შეეცადოთ, ამ კვირაში მიმდინარე პროცესები თუ შექმნილი სიტუაციები თქვენდა სასარგებლოდ გამოიყენოთ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ, თუკი რაიმე კუთხით შეხება გაქვთ შოუბიზნესთან ან ხელოვნების რომელიმე სხვა სფეროსთან. არ არის გამორიცხული, რომ რაიმე თანხა მოიგოთ ან იღბლიანი შენაძენი გქონდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თხის რქასთან, ნეგატიური — კუროსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები**: 7, 8, 11. **ნეგატიური დღეები**: 9, 10.

სასწორი – 24/IX-23/X

კარგი იქნება, თუკი ამ პერიოდში საზოგადოებრივი საქმიანობით ან ქველმოქმედებით დაკავდებით, ეს მეტად წაადგება თქვენს იმიჯსა და რეპუტაციას. თუ მარტომ ვერ შეძელით თქვენ წინ მდგარი პრობლემების გადაჭრა, მაშინ, აქტიურად ჩართეთ პარტნიორებიც, ეს მომავალში თქვენს კარიერას ნამდვილად სასიკეთოდ წაადგება. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და თევზებთან, ნეგატიური — ვერძსა და კუროსთან. **პოზიტიური დღეები**: 7, 10, 11. **ნეგატიური დღეები**: 8, 12.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ამ პერიოდში მოგიწევთ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობების გარკვევა. მოსალოდნელია გარკვეულმა პირებმა თქვენს წინააღმდეგ პროვოკაციები და ინტრიგები დაგეგმონ. ნუ გაცხარდებით და შეტევაზე ნუ გადახვალთ (ასე უარეს შედეგს მოიმკით), პირიქით, სიმშვიდე შეინარჩუნეთ და თქვენი სიმართლე ისე დაამტკიცეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური — ლომსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები**: 6, 9, 12. **ნეგატიური დღეები**: 7, 11.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ისეთი წარმოდგენა შეგექმნებათ, რომ თქვენ გარშემო რაღაც გრანდიოზული და მასშტაბური ხდება, დაიწყებთ მზადებას ცვლილებებისა და განახლებისთვის, მაგრამ შესაძლოა, იმედები გაგიცრუვდეთ. ამის შედეგად გულგატეხილობის გრძნობა დაგეუფლებათ და არ არის გამორიცხული, დეპრესიაშიც ჩავარდეთ. ასე რომ, იყავით რეალისტი და პრობლემებიც მოგვარდება. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და მერწყულთან, ნეგატიური — კირჩხიბსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები**: 6, 8, 12. **ნეგატიური დღეები**: 7, 10.

თხის რქა – 22/XII-20/I

გაგიმახვილდებათ ინტუიცია და გონებაც გაგინათდებათ, რაც დაგეხმარებათ დაამყაროთ ახალი და განამტკიცოთ ძველი ურთიერთობები. შესაძლოა, შეხება გქონდეთ გარკვეული სახის დოკუმენტაციასთან: ხელშეკრულების დადების დროს ნუ იჩქარებთ ხელმოწერას, რათა შეცდომა გამოირიცხოს. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩხიბსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — კუროსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები**: 9, 10, 11. **ნეგატიური დღეები**: 6, 7.

მერწყული – 21/I-19/II

გამორიცხული არ არის, ამ პერიოდში მოხვდეთ ბრიფინგებზე, პრესკონფერენციებსა თუ საქმიან შეხვედრებზე. შეეცადეთ, უფრო მეტი ყურადღება დეტალებზე გაამახვილოთ, რადგან ეს მომავალში მეტად წაგადგებათ. გარშემო მყოფებისთვის საკუთარი აზრის გაზიარებას მეტად ეფექტურად მოახერხებთ, რაც კიდევ ერთი ბიძგი იქნება კარიერაში წინსვლისთვის.

ურთიერთობები პოზიტიურია მშვილდოსანსა და მერწყულთან, ნეგატიური — კირჩხიბსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები**: 8, 9, 11. **ნეგატიური დღეები**: 7, 12.

თევზები – 20/II-20/III

თუ ამ კვირაში სადმე გამგზავრებამ მოგიწიათ, თამამად გაემგზავრეთ. ადვილი შესაძლებელია, სწორედ ამ დროს მიიღოთ ის ინფორმაცია, რომელიც გულწრფელად დაგაინტერესებთ და თქვენს მოგზაურობას წარმატებულს გახდის. ყურადღებას ნუ მიაქცევთ ყოფით პრობლემებს და აქცენტი უმთავრეს მოვლენაზე გადაიტანეთ. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თევზებთან, ნეგატიური — მარჩხიბსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები**: 7, 10, 11. **ნეგატიური დღეები**: 6, 8..



მოთხოვნა მუქარით
გონგის ნაირსახეობა
დაკოდილი ცხენი
ქალაქი საქართველოში
უნგრული ღვინო
ბანქოს თაღლითი პროფესიონალი მოთამაშე
იორდანიის დედაქალაქი
ხის ჩუჩერმა კრფანვარის თვეზე
სახელმწიფო დასავლეთ აზიაში
ამერიკის შტატი
ტბა ჩრდ. ამერიკაში
ყურის ანთება
რისმე განვითარების უმაღლესი წერტილი
საშობლო
რადიოტალღების მიმღებგადამკვები
უდაბნო აზიაში
ირლანდიელი მწერალი
იტალიური სისტემის პისტოლეტი
რომის პაპის ელჩი
სუკლესთა თანმდევობათა ყოვგყოვ
ბუნების დამანგრეველი მოვლენა
კათოლიკე მღვდელი
მხედრის დასაჯდომი მოწყობილობა
მეზობლების ერთმანეთი
ხიდი
ქალაქი იტალიაში
ყინულის მთა
პერიოდული სხდომა
მშვილდის ბაწარი
წვრილი და გრძელი მოსახარში ტეზი
იგივეა, რაც ფუთა
არმიის მღვდელი
ჩამონათვალი
მსუბუქი ძილი, თვლეშა
დას. საქართველოში ქართ. სახელმწიფო
უნებლიე შეცდომა
საგანგებო დავალება
მზის ღმერთი ეგვ. მით
ზუთხისებრთა ოჯახი

კ	ა	ტ	ა	ს	ტ	რ	ო	ფ	ა
ო		ა	ლ	ე	ვ	ო	ნ		რ
ლ	ა	ტ	ი	ფ	უ	ნ	დ	ი	ა
ი	რ	ა	ფ	ა	ს	ს	ო	კ	ო
	ი	მ	ე	ნ	ი	მ	ე		ლ	ა	ნ
კ		ა		⇩	პ	ი		დ	ა	ლ	ა	ს	ი
რ	კ	ჰ		ფ	ა			უ		ა		ა	
ი	რ	ა	ლ	ა	რ			ტ	რ	ი	უ	მ	ი
ყ	ო	რ	ა	რ				ა		კ	უ	ბ	ი
ი	ნ	ა	რ	ე	ტ	ი	მ		ჰ	ა	ნ	ო	ი
	ა	ჯ	ი	ლ	ა	ბ	ი						
ს		ა		ი	ნ	ბ	ა						
ა			ჭ	კ	ზ		მ						
ბ	ო	ლ	ი	ვ	ა	რ	ი						
ა		ი	რ	ო	ნ	ე	ტ						
ლ	ი	ნ	ა	რ	ი		ი						
ო	რ	ზ		ი	ა	ჩ							

36-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ბ; 4-ა.
39-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა.

ანეკდოტები

***

გურული გზაზე დგას. მას მანქანა დაეჯახება. მძღოლი გადმოდის და ეხვეწება:

— ადექი, ბიჭო, ნუ დამღუპავ, ადექი, გთხოვ...

გურული თვალს ახელს:

— ქე ვიდექი, ძამა, მარა დამაყენე?!.

***

— ყველაზე მაგარი კაიფი იცი, რა არის, ჭიჭიკია, სიმონ?

— რაა, ძამია?

— ორი ზომით პატარა „ტუფლით“ მთელი დღე რო ივლი, სიმონ და... მერე რო გეიხდი, სიმონ.

***

ელექტროსაქონლის მაღაზიაში ფაშფაშა ქალი რაჭველ გამყიდველს ეკითხება:

— უკაცრავად, დამაგრძელებელი ხომ არა გაქვთ?

— ქვე რისი, ქალბატონო?.. — კითხვითვე პასუხობს გამყიდველი.

***

კაცი თევზაობს. ამ დროს, წყლიდან დეზერტირი გურული ამოყოფს თავს და ეკითხება:

— რა ხდება, ძამა? კიდო უბედურობა და შიმშილია?!

— კი, — უპასუხა მეთევზემ.

— აუჰ!.. არ გაახურა ამ ჰიტლერმა საქმე?! — თქვა და ისევ ჩაყვინთა.

***

მიხომ ექიმთან წასვლა გადაწყვიტა.

— სად მიდიხარ, მიხავ? — ეკითხება მარო.

— ექიმთანა. უნდა ვანახო, მგონი, დამიპატარავდა... — ცოლის გაშაყირება სცადა მიხომ.

— იი!.. მეხი კი დაგეცეს! არსად წახვიდე, თიაქარი არ ეგონოს, სულ არ მაგაჭრას.

***

განცხადება:

— დაიკარგა დიდი შავი დიპლომატი. მპოვნელს ვთხოვთ, მოაცილოს ნიგერიის საელჩომდე.

***

ქუთაისის რესტორანში:

— აფიციანტ! აფიციანტ! ჩემს „სუპში“ ბუზია!

— ჩუმად, პატივცემულო, თვარა, სხვებიც გეიგონებენ და მათაც მოუნდებათ!..

***

მიხო და მარო თეატრში არიან:

— ხომ გითხარი, „ნასკები“ გამაიცვალე-მეთქი — ყარს დარბაზი, — ეჩხუბება მარო მიხოს.

— ოჰ!.. ვიცოდი — არ დამიჯერებდი და ძველები ჯიბით წამავიღე.

***

თანამედროვე ანეკდოტი:

— დედიკო, ბავშვები საიდან ჩნდებიან?

— წეროს მოჰყავს, შვილო.

— მაშ, წეროს ვინღა ყიმავს?

***

— ჭიჭიკია, სასწრაფოდ ფული მჭირდება...

— ბუჯო, შენ ჭკუა უფრო გჭირდება.

— მე იმას არ გთხოვ, რაც არა გაქვს...

***

მას შემდეგ, რაც ბუხუტი უვარისაშვილს ექიმმა საშინელი დიაგნოზი — უშვილობა დაუსვა, მან არც კი იცოდა, რა ეთქვა თავისი ფეხმძიმე ცოლისთვის...

***

სეროჟა ციხიდან წერილს სწერს დედას:

— დედიჯან, ბალღობაში რო მეუბნებოდი — ისეთი კაცი გაზრდილიყავი, შენ კართან დაცვა მდგარიყოსო, — ხო შაგისრულე...

***

— დედა, მამაჩემი ვინაა?

— თოვლის ბაბუა.

— როგორ თუ თოვლის ბაბუა?

— ახალ წელს მოვიდა, გაგაკეთა და მის მერე აღარ მინახავს.

***

სვანი ეკითხება იმერელს:

— რა კარგი პიჯაკი გაცვია!.. სად შეიკერე?!

— პარიზში.

— მესტიიდან შორსაა?!

— კი, იქნება ასთე, 6000 კილომეტრი.

— უი, რა მიყრუებულში ყოფილა და რა კარგათ კერავენ!

***

ბოტანიკის გაკვეთილზე მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

— ვაშლის დასაკრეფად ყველაზე შესაფერისი დრო რომელია?

ნიკო:

— აგვისტო.

ვახო:

— სექტემბერი.

მიხო:

— როცა ძაღლი დაბმულია, მასწ!

***

ქმარი ცოლს დილით ეკითხება:

— იმედი მაქვს, ცუდი არაფერი გიფიქრია, წუხელ მთვრალი და თვალ-ჩალურჯებული რომ შემოვვარდი სახლში.

— არა, ძვირფასო. სხვათა შორის, რომ შემოვარდი, თვალი ჩალურჯებული არ გქონდა...

***

— მოწმე ჭიჭიკიავ! — მიმართავს მოსამართლე. — დეინახეთ თუ არა, რაფერ ჩაარტყა ამ გათახსირებულმა ქალმა თავის ქმარს თავში უთო, რა მეიმოქმედეთ?

— მაშინთავე ჩემს საცოლეს დოვურეკე, პატივცემულო და ვუთხარი, რომე ცოლის მოყვანა გადევიფიქრე!

***

— იმდენი ვიკითხე ალკოჰოლისა და სიგარეტის მავნებლობაზე, რომე გადავწყვიტე, თავი დავანებო!

— რას, მოწევას თუ სმას?

— კითხვას.

***

მაკა დაქალს შესჩივის:

— ბედი „ვაფშე“ არ მწყალობს... საკმარისია, სიმპათიური კაცი გავიცნო და დამევასოს, რომ მაშინვე ირკვევა — ან ის არის ცოლიანი, ან მე — გათხოვილი.

***

ქმარი მოუქნელად ფხაჭნის ჩანგლით მაკარონიან თეფშს. ახალგაზრდა ცოლი კი ეკითხება:

— ძვირფასო, გიყვარვარ?

— გეთაყვა, — პასუხობს ქმარი, — უკვე მთელი თვეა, ამას ყოველდღე მეკითხები და ერთხელაც არ გიკითხავს, მიყვარს თუ არა მაკარონი.

გრძნობისმიერი ადამიანი ხართ თუ გონისმიერი?



1. საქმიანი საუბრის დროს, კოლეგა სრულიად მოულოდნელად, ლექსის სტრიქონების ციტირებას იწყებს:

ა) სერიოზულ საკითხზე მსჯელობისას ადამიანმა საკუთარ თავს ამგვარი ქმედების ნება არ უნდა მისცეს;

ბ) მსგავსი რამის გაკეთება თავად აზრადაც არ მოგივიდოდათ, მაგრამ ამ რიტორიკულ გამოსვლას საინტერესო ქმედებად აღიქვამთ;

გ) ვინ იცის — პოეტის ბრძნულმა გამონათქვამმა შესაძლოა, სწორი გადაწყვეტილება გაპოვნინოთ.

2. თუკი უყურებთ ტელესერიალებს, უპირატესობას რომელ ჟანრს ანიჭებთ?

ა) დეტექტივს;

ბ) ეს ფილმის მხატვრულ ღირებულებაზეა დამოკიდებული;

გ) მელოდრამას.

3. სამსახურში შეფმა ისეთი განკარგულება გასცა, რომელიც თქვენი აზრით, სავალალო შედეგებს გამოიღებს:

ა) სიტყვის შეუბრუნებლად შეუდგებით განკარგულების შესრულებას, ბოლოს და ბოლოს, თუკი თქვენი პესიმისტური პროგნოზი გამართლდება, პასუხისმგებლობა თქვენ არ დაგეკისრებათ;

გ) ეცდებით, უფროსს შეაცვლევინოთ აზრი, მაგრამ თუკი ამას ვერ მოახერხებთ, ძალ-ღონეს არ დაიშურებთ, რომ ბრძანების შესრულებისას, მოსალოდნელი სავალალო შედეგები მინიმუმამდე დაიყვანოთ;

გ) უგუნური ბრძანების შესრულებას ნებისმიერი ხერხით შეეწინააღმდეგებით.

4. ჰოროსკოპის მიხედვით, ხვალინდელი დღე თქვენს ზოდიაქოს ნიშანს სერიოზულ უსიამოვნებას უქადის:

ა) ამას არანაირ მნიშვნელობას არ მიანიჭებთ, რადგან ასტროლოგების პროგნოზებისა არ გწამთ;

ბ) მიგაჩნიათ, რომ ამგვარი გაფრთხილება სულაც არ არის ზედმეტი, რადგან სიფრთხილის აუცილებელი ზომების მიღების შემთხვევაში, შესაძლოა, ხიფათის თავიდან აცილება შეძლოთ;

გ) ეცდებით, ამ დღეს სახლიდან საერთოდ არ გახვიდეთ.

5. რა აზრი გიჩნდებათ, როცა მეუღლეებს შორის სხვაობა 20 წელს შეადგენს?

ა) გამორიცხული არ არის, რომ მას, ვინც ამ წყვილიდან უმცროსია, ანგარება ამოძრავებდეს. სხვაგვარად მისი საქციელის ახსნა სრულიად წარმოუდგენელია;

ბ) ძნელია, ამ ადამიანების ურთიერთობაზე რაიმე კონკერეტულის თქმა, თუკი ამ წყვილს ახლოს არ იცნობ;

გ) ჭეშმარიტ სიყვარულს ასაკი ხელს ვერ შეუშლის!

6. ყმაწვილი ან გოგონა ჰუმანურ, მაგრამ მცირეანაზღაურებად პროფესიას ირჩევს:

ა) მან გონივრულად განჭვრიტა, რომ მომავალში ამ პროფესიისადმი დამოკიდებულება შეიცვლება და ანაზღაურება გაიზრდება;

ბ) სავარაუდოა, რომ ამ სფეროში მუშაობა მისი მოწოდებაა;

გ) მისი ამგვარი არჩევანის წინაშე ქედი უნდა მოვიხაროთ, რადგან თანამედროვე ახალგაზრდობის უმრავლესობისგან განსხვავებით, ეს ყმაწვილი (გოგონა) მერკანტილური არ აღმოჩნდა.

7. საგაზეთო პუბლიკაციის ავტორმა არცთუ ისე კომპეტენტურად გააშუქა ის საკითხი, რომელშიც თქვენ საკმაოდ კარგად ერკვევით და თავს ამ სფეროს სპეციალისტად მიიჩნევთ:

ა) ის ამ სფეროში თქვენსავით კარგად რომ ყოფილიყო ჩახედული, ასეთ უზუსტობას არ დაუშვებდა;

ბ) საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება მასაც აქვს. აი, ის კი, დაეთანხმებით მას თუ არა, უკვე თქვენი ნებაა;

გ) დაუშვებელია ჭეშმარიტების დამახინჯება, განსაკუთრებით საგაზეთო პუბლიკაციაში.

8. რაღაც მსხვილი შენაძენი გქონდათ დაგეგმილი, მაგრამ მაღაზიაში მისვლისას აღმოაჩინეთ, რომ ეს ნივთი გაძვირებულია და თქვენ მიერ მოგროვილი თანხა მის საყიდლად არ გყოფნთ:

ა) შინ დაბრუნდებით და მოთმინებით განაგრძობთ ფულის მოგროვებას;

ბ) ანალოგიურ ნივთს შეიძენთ, ოღონდ — შედარებით დაბალი ხარისხისას, რომელიც შესაბამისად, შედარებით იაფი ღირს;

გ) თავის დამშვიდებას შეეცდებით — მაგალითად, შეიძენთ ტორტს ან რაიმე მიმზიდველ სუვენირს.

9. მეგობარმა ისეთი წიგნი გაჩუქათ, რომელიც მართალია, იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ თქვენ ნაკლებად გაინტერესებთ:

ა) ამ წიგნს ბუკინისტთან წაიღებთ, რათა საჩუქრიდან რაიმე სარგებელი მაინც ნახოთ;

ბ) თაროზე შემოდებთ წიგნს იმ იმედით, რომ ის ოდესმე რამეში გამოგადგებათ;

გ) საჩუქრის მიღებისას ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი, მეორე ადამიანის მიერ გამოვლენილი ყურადღებაა. თქვენი მეგობრობის ამ სიმბოლოს სათუთად გაუფრთხილდებით.

ტესტის შედეგები

როცა პასუხებში „ა“ ვარიანტი ჭარბობს: ძალზე რაციონალური ადამიანი ბრძანდებით. ნებისმიერ პრობლემას პრაგმატულად უდგებით და ლოგიკურ და კეთილგონივრულ გადაწყვეტილებას იღებთ. თუმცა, ამგვარი მიდგომის მიუხედავად, შეცდომებისგან დაზღვეული არც თქვენ ბრძანდებით, რადგან შესაძლოა, თქვენი გადაწყვეტილებები ლოგიკურია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, ადგილი აქვს მიკერძოებულ მიდგომასა და ცრურწმენას. ლოგიკურად აზროვნებისას, თქვენ აბსოლუტურად უგულებელყოფთ ემოციებს და არ ითვალისწინებთ იმას, რომ ზოგჯერ ემოციებსაც შეუძლია სიკეთის მოტანა.

როცა პასუხებში „ბ“ ვარიანტი ჭარბობს: ეს მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ აფექტისა და ინტელექტის ჰარმონიული შერწყმის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენთ. თქვენთვის უცხო არ არის ძლიერი გრძნობები, მაგრამ შეგიძლიათ მათი გაკონტროლება.

როცა პასუხებში „გ“ ვარიანტი ჭარბობს: ეს მოჭარბებულ ემოციურობაზე მეტყველებს. ზოგიერთები თქვენს ემოციურობას გულისხმიერ საქციელად აღიქვამენ და ამის გამო გაფასებენ; სხვები კი ამას ეგზალტირებულ ქმედებად გითვლიან და ულოგიკო საქციელში გდებენ ბრალს; შეიძლება ითქვას, რომ ერთნიც და მეორენიც თავისებურად მართლები არიან. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ ემოციურობამ საღი აზრის საწინააღმდეგო ნაბიჯი არ გადაგადგმევინოთ.

როცა თქვენს პასუხებში არც ერთი ტიპი არ ჭარბობს: ეს მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ არც ერთ კონკრეტულ კატეგორიას არ მიეკუთვნებით. ზოგ შემთხვევაში თქვენ ცივსისხლიანი ანალიტიკოსივით მოქმედებთ, ზოგჯერ კი ემოციებს აჰყვებით ხოლმე. იმას კი, რამდენად გამართლებულია ამა თუ იმ სიტუაციაში თქვენი ქმედება, მეგობრებისა და ახლობლების შეფასების მიხედვით ადვილად გაარკვევთ.

ᲨᲔᲛᲬᲕᲐᲠᲘ ᲙᲠᲐᲖᲐᲜᲐ ᲚᲣᲓᲡ ᲣᲮᲓᲔᲑᲐ

თუ გსურთ, საინტერესო ჰობი გქონდეთ და ამასთან ერთად, თქვენი მენიუც გაამრავალფეროვნოთ, მაგალითი ჩინელი ზონგ ჟიშენგისგან აიღეთ და კრაზანების ჭერას მიჰყავით ხელი. როგორც ის ამტკიცებს, ამგვარი „ნადირობით“ მშ-

ვენივრად გაერთობით, ხოლო თუ მწერს შებრაწავთ და ისე მიირთმევთ, კარგად დანაყრდებით კიდეც.

ჩინეთში, ქალაქ შაოგუანში მცხოვრები ზონგ ჟიშენგის უჩვეულო ჰობი, შესაძლოა, მის ბევრ თანამემამულეში რაღაცნაირ ზიზღსა და შიშსაც კი იწვევდეს; თუმცა მათგან არავინ უარყოფს, რომ ზონგის ამ გატაცებას ადამიანებისთვის სარგებლობა მოაქვს.

საქმე ის გახლავთ, რომ 30 წლის მამაკაცი, 11 წლიდან გატაცებულია კრაზანების დევნით. ეს სახიფათო საქმიანობა მას ბაბუამ ასწავლა, რომელიც ამ საქმის ნამდვილი ოსტატი იყო. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ჟიშენგი მწერებზე არა მხოლოდ საკუთარი სურვილით, არამედ იმ მეზობლებისა და ნაცნობების თხოვნითაც ნადირობს, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ ბედავენ კრაზანების ბუდეების დარბევას.

თვითმხილველთა თქმით, ნადირობის პროცესი ძალზე ხანმოკლეა. ბამბუკის ჯოხისა და ბოლის საშუალებით, ჟიშენგი კრაზანებს ბუდიდან გამოდევნის და სპეციალურ პლასტიკატის კოლოფში ათავსებს. ყველაფერ ამას მხოლოდ 5 წუთი სჭირდება. ამგვარი ტექნოლოგიის მეშვეობით, გასულ წელს, მან დაახლოებით 100 ბუდე გაანადგურა. „ჩემთვის კრაზანების დაჭერა იგივეა, რაც, მაგალითად, ბუზების დევნა ან გოგრის მოსავლის აღება“, — ამაყად განაცხადა „კრაზანების რისხვამ“ ჟურნალისტებისთვის მიცემულ იტერვიუში.

წარმატებით დამთავრებული სამუშაოს შემდეგ მონადირეს ნადავლი შინ მიაქვს, სამზარეულოში ტაფაზე ბრაწავს და ლუდს ან სხვა ალკოჰოლურ სასმელებთან ერთად, მადიანად მიირთმევს. ■

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲞᲚᲐᲡᲔᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ



იტალიელი სკოლის მოსწავლე სულ რაღაც ერთ საათში ნამდვილი მილიონერი გახდა. ყველაფერი კი იმის წყალობით მოხდა, რომ სკოლაში, ლანჩის შემდეგ ჯიბეში დარჩენილი ფულით, ფუნთუშის ნაცვლად, ლატარიის ბილეთი შეიძინა.

ეს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი საქციელი, ბიჭის ცხოვრებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა: მან ქვეყანაში ყველაზე პოპულარული ლატარიის ჯეკპოტი მოხსნა და 50 მილიონი დოლარის მფლობელი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიური კანონების მიხედვით, ბავშვებს აზარტულ თამაშებში მონაწილეობა ეკრძალებათ, მათ ლატარიის თამაშის უფლება აქვთ. ამიტომაც ამ ფულადი შეჯიბრის წარმომადგენელმა — რაფაელ უმბრიანიომ განაცხადა, რომ ბიჭი კუთვნილ თანხას უახლოეს დროში მიიღებს და ღიმილით დასძინა, — ერთი სული მაქვს, როდის გავიცნობ ამ ქუდბედიან ყმაწვილსო.

ადგილობრივი მცხოვრებლებიც მოუთმენლად ელიან პატარა მილიონერის გაცნობას და ამ მოვლენის აღსანიშნავად, დიდი სახალხო დღესასწაულის მოწყობასაც გეგმავენ. ■

ᲪᲮᲕᲠᲔᲑᲡ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲬᲧᲔᲛᲡᲐᲕᲔᲜ

ავსტრალიელმა მეცნიერებმა გამოიგონეს უნიკალური მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც, ფერმერს ცხვრების მისახედად ქალაქგარეთ ყოველდღე სიარული აღარ დასჭირდება და საშუალება მიეცემა, შინიდან გაუსვლელად ადევნოს მათ თვალყური. მოწყობილობა სპეციალური პროგრამით აღჭურვილი კომპიუტერის დახმარებით მუშაობს. ინფორმაცია კომპიუტერამდე ცხვრების ყურებთან ჩამაგრებული ჩიპების მეშვეობით აღწევს.

ახალი სისტემის საშუალებით, პატრონი, ცხოველის ირგვლივ მიმდინარე ყველა ცვლილების საქმის კურსშია. როგორც პროექტის ხელმძღვანელი — ბილ მორეი ამბობს, ფერმერს შეუძლია იმყოფებოდეს სიდნეიში და იქიდან ამოწმებდეს, თუ რას აკეთებენ ცხვრები; პრობლემის გაჩენის შემთხვევაში კი, დაუყოვნებლივ გადაჭრას იგი.

მაგალითად, როცა ცხვარს საკვების დამატება სჭირდება, საგანგებო სკანერები განსაზღვრავენ მის საიდენტიფიკაციო ნომერს და სპეციალურ პლატფორმაზე ცხოველის წონას აფიქსირებენ. ამასთანავე, საკვების მაჩვენებლის გვერდით დამონტაჟებულია მოწყობილობა, რომელიც სუნის მიხედვით, ცხ-

ვრის ჯანმრთელობის მდგომარეობას განსაზღვრავს; ასევე პატრონს აცნობებს, როცა სასმელი წყლის გამოცვლის დრო მოვა...

სპეციალისტებმა სიახლე ერთობ დადებითად შეაფასეს. „ეს დიდი, წინ გადადგმული ნაბიჯია სოფლის მეურნეობაში. მოხარული ვართ, რომ ამიერიდან ფერმერებს გაცილებით გაუიოლდებათ ცხოვრება“, — აღნიშნეს მათ. ■

ფოტოკუთხეები

ეროვნული მედიასივრცის, მასწავლებლის და მასწავლებლობის საუკეთესო!

ყველაზე ეროვნული მედია-პროექტი

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი **ლომი** შეავსეთ „ტოდნის კუპონი“ და მოიპოვეთ სტიპენდია

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება

611/26

პროექტის პარტნიორია თბილისის მერია და საკრებულო;

„ეზალონი“ ყოველ შაბათს 18 საათზე „იმედის“ არხზე

შეხვედრამდე